მუსლიმისთვის საჭირო

მორალური ღირებულებები

პროფ. დრ. ჯაფერ სადიქ იარანი

რსს
მეგობრობა

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
Muslim Georgia Foundation
International Charity

რელიგიის საქმეთა
სამინისტროს გამომცემლობა- 1487

მორალი-1

მთავარი კოორდინატორი	:	პროფ. ჰურიე მარტი
გამოცემის რედაქტორი	:	ფათიჰ ქურთი
კოორდინატორი	:	ფარუქ გორგულუ
გამომცემელი	:	პროფ. მუჰამმედ შევქი აიდინი
ავტორი	:	პროფ. ჯაფერ სადიქ იარანი
რედაქტირება	:	რამაზან ოზალფდემირ
გრაფიკა და დიზაინი	:	ემრე ილდიზი
		მუჯელლა თექინი
გარეკანის დიზაინი	:	ონურ დემირბაში
თარგმნა	:	თამაზ მიქელაძემ
გრაფიკა და დიზაინი	:	ბილალ ილკაი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
جورجيا مسلم خيرية وقف
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18 muslim.georgia.54
georgiaquran muslim_georgia
muslimgeorgiaquran muslimgeorgia

მუსლიმისთვის საჭირო

მორალური ღირებულებები

პროფ. დრ. ჯაფერ სადიქ იარანი

სარჩევი

გამომცემლის წინასიტყვაობა 9
წინასიტყვაობა 21
შესავალი 25

1. გულწრფელობა და კეთილგანწყობა 35
1.1. გულწრფელობა 35
1.2. კეთილი განზრახვა 44

2. გონიერება და სინდისიერება 53
2.1. გონიერება 53
2.2. სინდისიერება 57

3. სიმართლე და პატიოსნება 63
3.1. სიმართლე 63
3.2. პატიოსნება 69

4. სამართლიანობა და სამართალი 77
4.1. სამართლიანობა 77
4.2. სამართალი 79

5. ხელგაშლილობა და სიკეთე 91
5.1. ხელგაშლილობა 91
5.2. სიკეთე 95

6. პატივისცემა და სიყვარული 103
6.1. პატივისცემა 103
6.2. სიყვარული 108

7. სიბეჯითე და ალალი შრომა 113
7.1. სიბეჯითე 113
7.2. ალალი სარჩო 116

8. სირცხვილი და პატიოსნება 121
8.1. სირცხვილის გრძნობა 121
8.2. პატიოსნება 124

9. გულმოწყალება და შემწყნარებლობა 131
9.1. გულმოწყალება 131
9.2. შემწყნარებლობა 134

10. სიმამაცე და ვაჟკაცობა 141
10.1. სიმამაცე 141
10.2. ვაჟკაცობა 144

11. მოთმინება და სიმშვიდე 151
11.1. მოთმინება 151
11.2. სიმშვიდე 154

12. ზომიერება და წონასწორობა 159
12.1. ზომიერება 159
12.2. წონასწორობა 161

13. სისუფთავე და მოწესრიგებულობა 167
13.1. სისუფთავე 167
13.2. მოწესრიგებულობა 169

14. თავისუფლება და ტოლერანტობა 173
14.1. თავისუფლება 173
14.2. ტოლერანტობა 177

15. პასუხისმგებლობა და ვალდებულება 183
15.1. პასუხისმგებლობა 183
15.2. ვალდებულებები 188

16. თავმდაბლობა და სიდინჯე 195
16.1. თავმდაბლობა 195
16.2. სიდინჯე 198

17. ძმობა და მეგობრობა 203
17.1. ძმობა 203
17.2. მეგობრობა 206

18. მშვიდობისმოყვარეობა და სანდოობა 213
18.1. მშვიდობისმოყვარეობა 213
18.2. სანდოობა 217

19. ერთობა- ერთიანობა და შერიგება 223
19.1. ერთობა-ერთიანობა 223
19.2. შერიგება 225

20. ლმობიერება და მიმტევებლობა 231
20.1. ლმობიერება 231
20.2. მიმტევებლობა 233

21. დიალოგი და სტაბილურობა 241
21.1. დიალოგი 241
21.2. სტაბილურობა 243

22. კმაყოფილება და ერთგულება 249
22.1. კმაყოფილება 249
22.2. ერთგულება 253

23. საკუთარი თავის შეცნობა და სრულყოფილება 259
23.1. საკუთარი თავის შეცნობა 259
23.2. თვითგანვითარება 263

24. ცოდნა და სიბრძნე 269
24.1. ცოდნა 269
24.2. სიბრძნე 273

25. თავაზიანობა და დახვეწილობა 281
25.1. თავაზიანობა 281
25.2. დახვეწილობა 284

26. ბედნიერება და მადლიერება 293
26.1. ბედნიერება 293
26.2. მადლიერება 296

ეპილოგი 305

წყაროები 315

გამომცემლის წინასიტყვაობა

შუამავალი, რომლის მოვლინების მიზანიც "მორალური სილამაზის სრულყოფა" იყო (იხ. ბუჰარი, "ედებულ მუფრედ" 104), ბრძანებს: "მორწმუნეთა შორის, რწმენის მიხედვით, ყველაზე სრულყოფილი ისაა, ვისი ზნეობაც უკეთესია". (იხ. ბუჰარი, "ედებ" 39; მუსლიმ, "ბირ" 47; ებუ დავუდ, 14). ეს ჰადისი ადასტურებს, რომ ისლამის მოძღვრების ცენტრში მორალი დგას და ის ამ მიმართულებითაა ჩამოყალიბებული, რაც განპირობებულია იმით, რომ ღრმადმორწმუნოების ხარისხი სწორედ რომ მორალური საზომით იზომება. ისლამის მიხედვით ნამაზი, მარხვა და სხვა მსგავსი ღვთისმსახურება ადამიანს ზნეობრივად ამაღლებს და ამის პარალელურად უზნეობისკენ მიდრეკილებებს ახშობს. (იხ. ანქებუთ 45; ბაყარა 183). გამომდინარე აქედან, მორწმუნეობა, რომელიც ზნეობისგან დაცლილია, თავის არსს სცილდება. ისლამში იდენტობის გამოხატვა მორწმუნის მიერ სხვადასხვა ასპექტების მთლიანობაში წარმოჩენითაა შესაძლებელი. როდესაც სიტყვა და საქმე ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, ბუნებრივია, ეს მდგომარეობა კრიტიკისთვის ღიაა.

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რატომ ამბობთ იმას, რასაც არ აკეთებთ?

დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე იმის თქმა, რასაც არ აკეთებთ”. (საფ 61/2-3).

გამომდინარე აქედან მუსლიმს სიტყვა და საქმე ერთი უნდა ჰქონდეს. ის სიტყვითაც და საქმითაც ზომიერი და მართალი უნდა იყოს. (იხ. ჰუდ 112; ფუსსილეთ 6).

ისლამის მოაზროვნეები ზოგადად მორალს შემდეგნაირად განმარტავენ: „მორალი ადამიანში ჩამოყალიბებული წესრიგია, რომლისგანაც, გონების ძალდატანების გარეშე, ქცევები ყალიბდება“. სწავლულთა მიერ შემოთავაზებული ეს განმარტება ორ მიმართულებას მოიცავს: პირველი არის ის, რომ მორალი ადამიანში ჩამოყალიბებული ერთგვარი წესრიგია, ხოლო მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ ადამიანის ქცევა, გონების ძალდატანების გარეშე, ამ წესრიგიდან გამომდინარე იოლად წარმოიქმნება. შესაბამისად მორალი ადამიანის შიგნითაა, ხოლო ქცევები ამ მორალის გარეგნულ გამოვლინებას წარმოადგენს. მორალის მქონე ადამიანის შინაგანი მორალი და მისი ქცევებში გამოვლინება ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს. მორალის კარნახი გარეგან მოტივაციაზე არ არის დამოკიდებული. მორალი ქცევებს ისე განსაზღვრავს, რომ მოსალოდნელ ჯილდოს ან სასჯელს წინაპირობად არ მიიჩნევს. ასეთ დროს ქცევები, როგორც წესი „გულის კარნახით“ ვლინდება.

ინდივიდს ისლამის მიერ შემოთავაზებული, ასეთი ზომიერი და „ერთიანი“ მორალის განვითარება, გამჩენის მიერ დაბადებიდანვე მასზე მინიჭებული საწყისი მორალის წრთვნით შეუძლია. მორალის საფუძველი ადამიანის

ბუნებაში არსებობს და გააჩნია განვითარების პოტენციალი.

„სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას! და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი!

უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!“ (შემს 91/7-10)

ყურანში მორალის საფუძვლად ადამიანის შინაგან ბუნებაში არსებული საწყისებია მიჩნეული. ადამიანს შინაგანი ბუნების კარნახით შეუძლია განასხვავოს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, ჭეშმარიტება და მცდარი და ა.შ. ანუ მას დაბადებიდანვე გააჩნია პოტენციური უნარი, რომელიც ღირებულებების გააზრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ადამიანის ბუნებაში არსებული მორალური საწყისები თესლის თვისებისაა. მათი აღმოცენება, გაზრდა, გაკვირტვა და ნაყოფის სახით გამოვლინება, მხოლოდ და მხოლოდ განათლებითაა შესაძლებელი. ინდივიდის ზნეობრივი განვითარებისათვის საჭიროა ეფექტური აღმზრდელობითი განათლება, ეს კი ორი მიმართულებით არის შესაძლებელი: პირველი არის ცხოვრების მანძილზე გამოცდილებით მიღებული ცოდნა, ხოლო მეორე გზა ცოდნის შეძენა, აზროვნება და ფიქრია (თეფექქური).

ადამიანი დაბადებიდანვე გარემოში არსებული მორალის სხვადასხვა სახით გამოვლინებას აბსტრაქტულად აღიქვამს და ეს ყველაფერი მისი ზნეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაღალი ზნეობის სხვა და სხვა გამოვლინებები ადამიანს საშუალებას აძლევს

გაითავისოს და ისწავლოს ეს ყველაფერი და ეს ცოდნა, როგორც წესი, ეფექტური და საფუძვლიანია. ინდივიდმა კონკრეტული ქცევების მიზეზები რომც ვერ გაიგოს, ასე გამოცდილებით, დანახვით შესწავლილ ქცევებს დროთა განმავლობაში ითავისებს და იმეორებს. დროთა განმავლობაში მორალური ღირებულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ქცევები ადამიანს ჩვევად ჩამოუყალიბდება და უფრო მეტიც, ადამიანის ცხოვრების წესად იქცევა. ამასთანავე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი გარემო ზეგავლენების მიმართ მუდმივად ღია მდგომარეობაშია. ადამიანს დადებითთან ერთად უარყოფითისკენაც აქვს მიდრეკილება. უარყოფითი მიდრეკილებების განვითარების საფრთხეს ქმნის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცუდი გარემო, ცრურწმენები, ცრუ იდეოლოგია, ტრაგიკული ცხოვრებისეული გამოცდილება, ეგოიზმი და სხვა მსგავსი. ამგვარ ფაქტორებს შეუძლია ადამიანის დამოკიდებულებები შეცვალოს, სიკეთისკენ მიდრეკილებები შეასუსტოს და ბოროტებისკენ უბიძგოს.

თუმცა, დროთა განმავლობაში გარემო ფაქტორებიდან მომდინარე ზემოქმედების შედეგად ადამიანის არჩეული მიმართულება შეიძლება შეიცვალოს. მითუმეტეს გლობალიზაციის პირობებში მსგავსი ალბათობა შესაძლოა ნებისმიერ წამს რეალობად იქცეს, რადგან განსხვავებული რელიგიიის, კულტურისა და ტრადიციის მატარებელი ადამიანები უფრო დიდი მასშტაბითა და სიხშირით ერთმანეთთან კონტაქტობენ. მითუმეტეს როცა მრავალგვარი რელიგიური, იდეოლოგიური და კულტურული თავისებურებების მატარებელი ჯგუფები ერთ სივრცეში ცხოვრობენ. ისინი ერთიმეორის მიმართ ზეგავლენას განიცდიან.

ასეთ მდგომარეობაში ყველაზე ძლიერი და მიმზიდველი ჯგუფის სხვა ჯგუფებზე ზემოქმედების ალბათობა უფრო მაღალია. რადგანაც ამ ჯგუფების ერთ სივრცეში თანაცხოვრება გარდაუვალია, მაშინ არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ინდივიდმა პრევენციული დამოკიდებულება უნდა განივითაროს. ამგვარი „აცრის“ მსგავსი დამცავი საშუალებებიდან მთავარი არის განათლება, თავისუფლებისა და თავისუფალი ნების მაღალი ხარისხი და სხვა. გამომდინარე აქედან, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნების აღსაზრდელად აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საუკეთესო მორალური მაგალითები დომინირებს. ამავდროულად ამ მაგალითებს შესაბამისი ინფორმაცია და ცოდნა უნდა კვებავდეს.

თუ ინდივიდი სიცოცხლესა და არსებობას რეალურად არ გააცნობიერებს, ის მორალს ვერ განავითარებს. ზოგადად არსებობის, როგორც ერთი მთლიანობის გაცნობიერება და ამ მთლიანობაში საკუთარი თავის დანახვა ინდივიდს გამჩენისა და მთელი სამყაროს შესაახებ ფიქრისკენ უბიძგებს. სწორედ ამ პროცესში ის იგრძნობს ზნეობისა და ზნეობრიობის მოთხოვნილებას, რის შედეგადაც ინდივიდი საკუთარი ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბებას შეეცდება. ინდივიდი შინაგანად აღიარებს კონკრეტულ ღრებულებებს და ცხოვრების სტილსა და ქცევებს ამ ღირებულებების გათვალისწინებით დაგეგმავს. გარე ფაქტორების ზეგავლენებისგან თავისუფალი ინდივიდი მხოლოდ იმ ღირებულებების მიხედვით იქცევა, რომელთა მიმართ ღრმა რწმენაც აქვს ჩამოყალიბებული, რაც ნიშნავს, რომ მისი მორალი ჩამოყალიბებული და თავისუფალია. ამ პროცესში სწორ განათლებას საუკეთესო გზამკვლევის ფუნქცია აკისრია.

თუ ყურადღებას მივაქცევთ, ნათელია, რომ ამ წერტილმდე მისასვლელად ინდივიდს სწორი განათლება და ამ განათლებით კვება სჭირდება, რათა მოვლენების სწორად შეფასების უნარი გამოიმუშავოს. ბუნებრივია მზა წესების გაზეპირებით მსგავსი რაიმის მიღწევა შეუძლებელია. თუ ადამიანი მხოლოდ მზა მითითებების კითხვას დაჯერდება, მოარულ ბიბლიოთეკადაც რომ გადაიქცეს სწორი შეფასებების გაკეთებას ვერ შეძლებს. ინდივიდი, შეფასებების უნარის გარეშე, თავისუფალ ზნეობას ვერ განივითარებს. ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თეორიულად მრავალ მორალურ ცოდნას ფლობს და მათზე საუბარი შეუძლია, მაგრამ მათი ცხოვრებაში ხორცშესხმა და საკუთარი მორალის სრულყოფილკენ წაყვანა არ შეუძლია. მას შეუძლია მიბაძოს ირგვლივმყოფებს და გარეგნულად მორალური პიროვნება ჩანდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის რეალურადაც ასეთია. თუ ინდივიდი შეფასების საფეხურს მიაღწევს, მას უკვე მორალური ქცევის „წარმოება“, მორალური ქცევების საკუთარი გადაწყვეტილებებით დაფიქსირება შეუძლია. მორალურობის აბსტრაქტული ცოდნა მორალურს ვერ გაგვხდის, თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების სწორად შეფასება არ შეგვიძლია. როდესაც ინდივიდი რომელიმე მორალურ ქცევას გააზრებულად გააკეთებს, შემდგომში მას ცხოვრების წესად აქცევს და კონკრეტული ქცევის საპირისპირო ქცევის მიმართ ანტიპათიით განიმსჭვალება. ინდივიდს უჩნდება სურვილი, რომ მის ქცევებს შინაგანი მორალური მხარდაჭერა ჰქონდეს და ამის შედეგად შინაგანი სიმშვიდე მოიპოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როცა ადამიანის ქცევას შინაგანი მორალური მხარდაჭერა არ გააჩნია შფოთვას და საბოლოო ჯამში სასოწარკვეთილებას იწვევს. შესაბამისად, შეხედულებების სრულყოფილება შესაბა-

მისი ქცევის გარეშე შეუძლებელია და ასევე პირიქითაც, სრულყოფილი ქცევა შესაბამისი შეხედულებების გარეშე არ არსებობს.

ამ მიმართულებით, რასაც მორალური სრულყოფა ან დეგრადაცია ჰქვია, მრავალი რამ დაწერილა და კიდევ დაიწერება. ადამიანისა და მისი ქცევების შესახებ ახალ-ახალი რეალობა ჩნდება და ასევე ახალი ცოდნა გროვდება. ადამიანის ცხოვრების პირობების მუდმივი ცვლილება ამ მიმართულებით ახალი მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოებას მოითხოვს. ამ ახალი მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოება მნიშვნელოვანია როგორც მორალის აღქმისათვის, ისე მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. ამ ორივე სფეროში სწორი რეაგირებისათვის საჭიროა გარკვევით ითქვას თუ რას ამბობს ისლამი მორალის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ადამიანთან ურთიერთობაში ისლამის მიერ ისტორიის მანძილზე მორალთან მიმართებაში დაგროვილი შეხედულებების ზუსტი გამეორება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. საჭიროა ამ გამოცდილების სწორი გააზრება და შეფასება, ხოლო ამის შემდეგ სწორი ტაქტიკით, თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების შესაბამისი ფორმით მიწოდება. დღეს არის საჭიროება მორალური ღირებულებების თანამედროვე პირობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად განმარტებისა და ამასთანავე, საჭიროა სწორი და გეგმაზომიერი ანალიზი, რომელიც სწორად შეფასებული მორალური ღირებულებების საზოგადოებაზე შეთავაზების ფორმებს წარმოაჩენს.

ზოგიერთი მორალისტის აზრით „ფიქრის“ გარეშე ზნეობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევების დემონსტრირების საჭიროება მორალის არსთან შეუსაბამოა. მა-

გალითად, თუ ფიქრის საჭიროებას გამოვრიცხავთ, ხელგაშლილობის, როგორც მორალური ქცევისთვის საჭირო დამოკიდებულებებსა და ქცევებს ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ. ხელგაშლილობა სიტუაციის შესაბამისად განსხვავებული ფორმითა და რაოდენობით უნდა ვლინდებოდეს, რათა ის მორალურ ღირებულებათა მოთხოვნების შესაბამისი იყოს. ხელგაშლილობას თუ გადავაჭარბებთ ზღვარსგადასულობას, ფლანგვას მივიღებთ, ხოლო თუ ზედმეტად შევზღუდავთ, სიძუნწემდე მივალთ. შესაბამისად, გონივრული ფიქრის გარეშე ასეთი ქცევის სწორად განსაზღვრას, რომელსაც შესაბამისი დრო და საფუძველი უნდა ამყარებდეს, ვერ შევძლებთ. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელგაშლილობის უნარის მქონე ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამის ქცევას სწრაფად იმიტომ აფიქსირებს, რომ მას საამისოდ წინასწარი მზაობა გააჩნდა და არა იმიტომ, რომ ის არ დაფიქრებულა. გამომდინარე აქედან მორალური ქცევის ფიქრის გარეშე დემონსტრირება არ განიხილება. თუ ადამიანი საკმარისად არ დაფიქრდება, ის შეიძლება თანამედროვე პირობების შესაბამისად მიჩნეული მორალური ღირებულებების საპირისპიროდ მოიქცეს. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც გააჩნია მორალური პრინციპი, რომ სხვისი უფლებები არ უნდა ხელყოს, დაუფიქრებლად, უნებართვოდ აკოპირებს სხვის წიგნს და ამას ამორალურად არც კი მიიჩნევს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი მორალურ პრინციპს კონკრეტულ მოვლენასთან არ აკავშირებს და ზოგადად მისთვის ეს კავშირი ბუნდოვანია. მორალის ყოველდღიურ მოვლენებთან კავშირის ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად მორალის ცოდნა და გათავისება. მორალური გაგება და ცოდნა ძირითადად თეორიულ და აბსტრაქტულ

დონეზე რჩება და ხშირად ის პრაქტიკული მორალის სახეს ვერ იღებს. არადა ადამიანის ცხოვრება სწორედაც რომ მორალის პრაქტიკულობას საჭიროებს. მორალური სწავლება მიმდინარე მოვლენების შეფასებას, სწორ ანალიზსა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას უნდა უზრუნველყოფდეს. ისლამი ძირითად მორალურ პრინციპებსა და შეხედულებებს გვაცნობს და მათ ახსნას და პრაქტიკაში სწორად განხორციელებას ადამიანის მოვალეობად განიხილავს.

ღირებულებებისა და მოვლენების შესახებ მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოებისას საჭიროა სისტემატიურობა. მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სფეროებისა და ახალი ურთიერთბების კვალდაკვალ უნდა ფართოვდებოდეს და ვითარდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ზნეობრივად უკან ჩამორჩება და სხვა რომელიმე საზოგადოების ღირებულებებისადმი დამოკიდებული გახდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი მორალური ქცევების სხვა ეპოქაში უცვლელად გადატანა დროის მიღმა ყოფნას გამოიწვევს. ეს კი, თავის მხრივ, ზნეობრივ კრიზისს გამოიწვევს. ამრიგად, ზნეობრივი ღირებულებების დაცვა და მათი პრაქტიკაში განხორციელება მუდმივ აზროვნებასა და განახლებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოგმატიზმის მახეში აღმოვჩნდებით.

ამ თვალსაზრისით განათლების თავისებურების განმსაზღვრელი მორალია, რაც მორალის მნიშვნელობას წინა პლანზე აყენებს. მორალის შესწავლაზე პასუხისმგებელი პირები (მშობლები, მასწავლებლები და სხვა) სწავლის პროცესს გააზრებულად და მიზანმიმართულად უნდა წარმართავდნენ. ძალადობა და სხვა მსგავსი არამართლზომიერი დამო-

კიდებულებები ანტიპათიას წარმოშობს და შესაბამისად შედეგიც უარყოფითი დგება. ზოგიერთი აღმზრდელი ამ ყველაფერს არ ითვალისწინებს და საბოლოოდ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში საპირისპირო ხდება და აღსაზრდელი უზნეო საქციელის დემონსტრირებას იწყებს. მზა ინფორმაციის დაზეპირებაზე დამყარებული განათლების სისტემა, რომელიც კვლევის, გონების განვითარებისა და კონსტრუქტივიზმის საშუალებას ნაკლებად იძლევა, აღმზრდელობით პროცესში წარუმატებელია.

სწავლა-აღმზრდელობით პროცესში, მორალის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რელიგიის საქმეთა სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა სწავლა-აღმზრდელობით პროცესს და ასევე ამ კომისიის კოორდინირებით დაიწყო სამუშაოები, რათა ახალი სტილის სახელმძღვანეოები შექმნილიყო. 2014 წელს გამოიცა სახელმძღვანელო, რომელიც ავტორთა გარკვეულმა ჯგუფმა მოამზადა. ეს წიგნი ისლამში ზნეობის მნიშვნელობას და ძირითადი საკითხვების განმარტებას ეხება. რელიგიის საქმეთა სამინისტრომ მოიწონა აღნიშნული სახელმძღვანელო და წიგნი გამოიცა. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზნეობის მნიშვნელობას ისლამსა და სწავლა-აღმზრდელობით პროცესში. აღნიშნული სახელმძღვანელო 2015 წელსაც გამოიცა. მასში საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები ის ხედვები, რომლებიც ისლამს მორალის მიმართ გააჩნია. გაჩნდა საჭიროება, რომ ეს ხედვები ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგილიყო, ამიტომ აღნიშნული სახელმძღვანელოების სრულყოფის მიზნით ახალი სახელმძღვანელოები უნდა დაწერილიყო. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჩატარდა სამუშაოები და დაიწერა შემდეგი წიგნები:

1. ზნეობრივი ღირებულებები, რომლებსაც ყოველი მუსლიმი უნდა ატარებდეს
2. განათლების მორალი
3. თანაცხოვრების მორალი
4. პროფესიული და სამსახუროებრივი მორალი
5. ეკონომიკური მორალი
6. პოლიტიკური მორალი
7. მედია- მორალი
8. სამეცნიერო მორალი
9. სამედიცინო მორალი
10. ხელოვნების მორალი
11. გარემოსთან მიმართებაში მორალი
12. საოჯახო მორალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სახელმძღვანეოები შექმნილია მწერალთა კონკრეტული ჯგუფის მიერ, სადაც თითოეული მათგანი ცალკეულ საკითხს ეხება და განმარტავს. ყოველ წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა და შემდეგ თიტოეული მწერლის ნამუშევარი კონკრეტულ სახელმძღვანელოშია თავმოყრილი. სახელმძღვანელოებისთვის საბოლოო რედაქტირებამდე თითოეული მწერლის ნაშრომი ჯგუფის სხვა წევრებს გაეგზავნა და ყველამ თავისი დამოკიდებულება და შენიშვნა დააფიქსირა. საჭიროდ მიჩნეული შესწორებები გაკეთდა და ამის შემდეგ გადაეგზავნა სამინისტროს, რათა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულიყო. საბოლოო რედაქტირების შემდეგ სახელმძღვანეოები დასაბეჭდად მზად იყო და სტამბას გადაეცა.

წინამდებარე სახელმძღვანელო „განათლების მორალი“ შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მასწავლებლების, ხოლო მეორე ნაწილში მოსწავლეთა ზნეობრივი ვალებულებებია განხილული. წიგნი ასევე შეიცავს ქვესათაურებს, სადაც კონკრეტული საკითხები უფრო სიღრმისეულადაა განხილული. სახელმძღვანელოს შექმნისას გათვალისწინებულია როგორც ტრადიციული მეთოდები, ისე თანამედროვე ლიტერატურა და მიდგომები.

აღნიშნული სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში, მისი დაწყებიდან დაბეჭდვამდე, ყოველ ეტაპზე მრავალი ადამიანი შრომობდა და მათი წვლილი ძალიან დასაფასებელია. დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, რომლებმაც სახელმძღვანელოს მომზადებაში წვლილი შეიტანეს. მადლობა რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში მოქმედი კომისიის თითოეულ წევრს. მადლობა იმ პროფესიონალ ადამიანებს, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს და სახელმძღვანელოს საბოლოო ფორმა მისცეს. განსაკუთრებული მადლობა რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს სპეციალურ კოორდინატორს ბაირამ ქოსეოღლუს. ასევე უღმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ტექსტის რედაქტირებაში მიიღეს მონაწილეობა: პროფ. ჯიჰან ოქუიუჯუს, პროფ. სულეიმან აქიურექს, დოც. დოქ. მეჰმეთ ქორქმაზს, ჯემილ ოსმანოღლუს და მ. ესათ ალთინთაშს.

პროფ. მუჰამმედ შევქი აიდინი

წინასიტყვაობა

წინასიტყვაობა ამ წიგნის აუცილებლობა არ გახლავთ. თუმცა წინასიტყვაობას თავისი ორი განმასხვავებელი ფუნქცია გააჩნია. წიგნის შექმნაში მონაწილე ადამიანების მიმართ მადლობის თქმა წინასიტყვაობაშია შესაძლებელი. გარდა ამისა, მწერლის მხრიდან მკითხველებთან პირველი კომუნიკაცია, ცოტა ახლო ურთერთბაში შესვლა და გულწრფელობის გამოხატვა წინასიტყვაობაშია მოსახერხებელი. წინასიტყვაობა რაიმე განსაკუთრებულ მეცნიერულ სირთულეს არ მოითხოვს. ჩვენც, აქედან გამომდინარე, ასე მარტივად და გულწრფელად, რამოდენიმე სიტყვა უნდა გითხრათ.

მუსლიმი მორალისტების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იბნ მისქევეიჰი ამბობს: „მორალის ხელოვნება, ხელოვნებათა შორის უმაღლესია“. როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ვფიქრობ ხელოვნებასთან საერთო მაქვს თუ არა. მართალია ხელოვნება ჩემი პროფესია არ ყოფილა და მსგავსი ჰობიც კი არ მქონია, მაგრამ მორალის სფეროში მიმუშავია და ჩემი მსგავსი ადამიანისთვის ეს სიტყვები ძალიან იმედისმომცემი და შთამბეჭდავია.

თ ეს სიტყვები ჭეშმარიტებაა და მორალის ხელოვნება უმაღლესი ხელოვნებაა, მაშინ მორალის შემადგენელი ღირებულებების შესახებ თითო წიგნის დაწერა, ამ ღირებულებების თითო მარგალიტად ხელში აღება და მათზე საუბარი, საჭირო და აუცილებელიც კია. ერთ-ერთი უდიდესი დასავლელი ფილოსოფისი კანტი ამბობს, რომ „კეთილგანწყობა“ მორალურ ღირებულებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი სამკაულია. გამომდინარე აქედან, ღირებულებები მორალის სათითაო სამკაულია, რომლებიც მთლიანობაში ამ უდიდეს ხელოვნებას ქმნიან. ამ წიგნში წლის 52 კვირის განმავლობაში 52 ღირებულება განვიხილეთ. მე თუ მკითხავთ, ყველა ნაკლოვანება, რაც აქ შეიძლება იყოს, მწერლის უმეცრების შედეგადაა გაჩენილი, თორემ თითოეული ღირებულება მართლაც რომ შეუფასებელი მარგალიტია. (თუ ეს ახლა ასე არ წარმოჩნდა, ღვთის დახმარებით, მომავალში წარმოჩნდება). ეს არის ერთმეორის მიყოლებით დალაგებული 52 ბრილიანტი. ღირებულებები ხომ ის შეუფასებელი სამკაულებია, რომლებიც ადამიანს ასე ლამაზად ამკობს და მათ მატერიალურ ღირებულებასთან საერთო არაფერი აქვთ.

რახან დასაწყისში ვახსენე, რომ წინასიტყვაობაში გულწრფელად უნდა გესაუბროთ, ცოტა რამ აქ დასახელებულ რიცხვზე, 52-ზეც ვისაუბროთ. ამ სტრიქონებს ვინც წერს, წარმოშობით ფაცელია. მოკლედ, სტამბოლის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე მუშაობისას (2003-2011), ახლომდებარე მეჩეთებს გვერდს ვუვლიდი და ზეირექის მეჩეთში დავდიოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ის მეჩეთი მარტო იყო მიტოვებული. როდესაც იქ მიმავალს მნახავდნენ, მეგობრები, „ისევ ჯიჰადში მიდიხარ?“ ასე მეხუმრებოდნენ. იქ მისული ყოველთვის დამწუხრებული ვიყავი, რადგან ასეთი ისტორიული მნიშვნელობის

მეჩეთს არ ჰყავდა წინამძღვარი, რომელიც იქადაგებდა. ერთხელაც, როდესაც ამ მეჩეთიდან ვბრუნდებოდით, თანამგზავრს ჩემი გულისნადები გავანდე. „ნეტა 52 ღირებულების შესახებ წიგნის დაწერა შევძლო და ამ მეჩეთში სათითაოდ მათ შესახებ ვინმემ იქადაგოს“- მეთქი ვუთხარი. ახლა მე სამსუნშ ვცხოვრობ და იქ ქადაგების შესაძლებლობა არ მაქვს, მაგრამ ამ წიგნის დაწერა მაინც გადავწყვიტე და იქნებ უფრო ფართე მასებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი. ამ შესაძლებლობისთვსი უსაზღვრო მადლიერებას გამოვხატავ ღვთის წინაშე.

ახლა კი ჯერი მიდგა იმ ადამიანებისთვის მადლობის გადახდაზე, ვინც ამ წიგნის შექმნაში წვლილი შეიტანა. ამ წიგნზე მუშაობის ინიციატივა პროფესორ მუჰამმედ შევქი აიდინ ბეის ეკუტვნის, რომელმაც მთხოვა, რომ ამ წიგნზე მემუშავა. დიდი მადლობა მას, რადგან მიუხედავად ჩემი ყოყმანისა, მაინც მოტივაცია აღმიძრა და წიგნის წერას შევუდექი. მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა წიგნის შედგენაშიც. გარდა ამისა, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ პროფესიონალი სწვალულები, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს და მე მათ ჩემს პატივისცემას ვუდასტურებ და უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ჯაფერ სადიქ იარანი

21 აგვისტო, 2017.

სამსუნი



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

შესავალი

მუსლიმი არის ადამიანი, რომელსაც უკანასკნელი და სრულყოფილი სარწმუნოების, ისლამის სწამს და ამ რწმენის შესაბამისი ფორმით ცხოვრებას ცდილობს. ისლამი ღვთიური გზავნილის მიხედვით ჩამოყალიბდა და ამ გზავნილის შესაბამისად ჩამოყალიბდა ღირებულებები,რომლებიც მუსლიმის რწმენასა და ქცევებს განსაზღვრავს. მუსლიმი ცდილობს ეს ღირებულებები გაითავისოს და თავისი შინაგანი ბუნება ამ ღირებულებების მიხედვით განაწყოს, რაც მას სათნო და კეთილშობილ მორწმუნედ აქცევს.ამრიგად, ისლამის მიერ მოტანილი აბსტრაქტული ღირებულებები, მუსლიმის პიროვნებაში რეალურ სახეს იძენს და ის უკვე თვალით ხილული ქცევების სახით წარმოჩნდება. ისლამსა და მუსლიმს შორის კავშირი ღირებულებებსა და სათნოებით აღსავსე ადამიანს შორის კავშირს განსაზღვრავს. ისლამი რწმენისა და ცხოვრების პრინციპებს ადგენს და ეს რწმენა და პრინციპები მუსლიმის პიროვნებაში განსხეულდება და პრაკტიკული სახით გვევლინება. ამრიგად, ისლამისეული ღირებულებები, მუსლიმის პიროვნებაში, მის გრძნობებსა და აზროვნებაში, მის ქცევებში ვლინდება. ამრიგად, ღირებულებები

და მუსლიმი სულისა და სხეულის მსგავსი არიან. სულის გარეშე სხეული ვერ იცოცხლებს. სხეულის გარეშე სული არ ჩანს.სხვა შედარება რომ გამოვიყენოთ, ღირებულებები მიწაში ჩამარხული ხის ფესვებია, ხოლო სათნოება ამ ღირებულებებით ნაკვები ხის ნაყოფი.

ღირებულებები მრავალგვარია. ჩვენ აქ განვიხილავთ იმ ღირებულებებს, რომლებიც პირდაპირ შეგვეხება თითოეულ ჩვენგანს და რომელთა ასახვა დამოკიდებულებესა და ქცევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს ღირებულებები ყველას ეხება; დიდსა და პატარას, ღარიბსა და მდიდარს, ქალსა და კაცს. ყოველ მუსლიმის ისინი უნდა ახასიათებდეს და კეთლშბილებაშ, სათნოებესა და დახვეწილობაში უნდა ვლინდებოდეს. ღირებულებები, ფასეულობები, სათნოება ის აუცილებელი ნიშან-თვისებებია, რომლებიც ადამიანს საუკეთესო ფორმით წარმოაჩენს და მის ზნესა და ქცევებს დადებითი ფორმით არეგულირებს.

ყოველი მუსლიმისთვის ზნეობრივი ღირებულებების ძირითადი წყარო ღვთიური გზავნილი, ხოლო მთავარი მოტივაცია ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ამასთანავე, მორწმუნეს ყველა იმ ბრძანებისა და აკრძალულისა სწამს, რომლებსაც ღმერთი აწესებს და სწამს, რომ ამ რწმენით ორივე სამყაროში, ამიერ და იმიერ სოფელში ბედნიერებას ეზიარება. ამ გზით ის საზოგადოებაში გამორჩეულად ზნეკეთილი ადამიანის სახელით სარგებლობს და ეს ყველაფერი მისთვის დამატებითი მოტივაციის მიზეზია. რწმენა და საუკეთესო ზნეობა ყოველი მუსლიმის სანუკვარი მდგომარეობაა.

ყოველი მუსლიმი ინდივიდი ვალდებულია სრუყოფილი რწმენისა და კეთილი საქმეების კომბინაციით საუკეთესო

ზნეობისკენ ისწრაფვოდეს. ისლამი ერთიანობის, მთლიანობის პრინციპზე დგას და შესაბამისად რწმენა და საქმე ერთმანეთთან სრულებით თანხვედრაში უნდა იყოს, რაც საბოლოო ჯამში საუკეთესო ზნეობით გამოიხატება. როდესაც ყურანში სიკეთის შესახებ ვკითხულობთ, აშკარად ჩანს, რომ ამ ტერმინის საფუძველში ზნეობაა ჩადებული და რწმენა, ღვთისმსახურება და მორალური ღირებულებები ერთიანი და განუყოფელი ჯაჭვის რგოლებია.

„სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს ; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან“. (ბაყარა, 2/177)

როგორც სხვა მრავალ აიათში, ამ აიათშიც განმარტებულია, რომ ჭეშმარიტი მორწმუნე ზნეუბრივი ღირებულებებით უნდა გამოირჩეოდეს. აღნიშნული შეგონება არა მარტო აიათებში, მრავალ ჰადისშიცაა მოცემული: „მუსლიმთა შორის რწმენის თვალსაზრისით საუკეთესო ისაა, ვინც ზნეობრივად საუკეთესოა“. (იხ. ებუ დავუდ, „სუნნეთ“, 15). სხვა ჰადისში კი ზნეობისა და მორალის კავშირზეა საუბარი: „მორწმუნე საუკეთესო ზნეობით იმ ადამიანის საფეხურს მიაღწევს, რომელიც დღეებს მარხვაში, ხოლო ღამეებს ღვთისმსახურებაში ატარებს“. (იხ. ებუ დავუდ, „ედებ“, 7). როდესაც იგულისმხება, რომ ზნეობა ღვთისმსახურებისა და სხვა სიკეთისგან განსხვავებით ცალკე მადლად არ

იწერება, ეს არ ნიშნავს, რომ საიქიოში „უზენაესის საწორზე“ არ განთავსდება. ამის თაობაზე შუამავალი ასეთ განმარტებას აკეთებს: „განკითხვის დღეს, ღვთიურ სასწორზე, მორწმუნისთვის საუკეთესო ზნეობაზე მძიმე არაფერი იქნება“. (იხ. თირმიზი, „ბირ“ 62).

ისლამის სწავლულებისა და ფილოსოფოსების აზრით, მუსლიმს საუკეთესო ზნეობა შეჰფერის, რათა ამქვეყნადაც და საიქიოშიც ღირსეული და ბედნიერი იყოს. ვერავითარი ამქვეყნიური პრივილეგია, ვერც თანამდებობა, ვერც სიმდიდრე ვერ მისცემს ისეთ უპირატესობას, რომელსაც საუკეთესო ზნეობა მიანიჭებს. მაგალითად, იბნ მესქეიაჰი ამბობდა, რომ ყოველი მუსლიმისთვის საუკეთესო ზნეობის მიღწევა ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. საფეხური, რომელიც საუკეთესო ზნეობის შედეგად იქნება მიღწეული, სხვა ვერანაირი ამქვეყნიური მდგომარეობით ვერ იქნება მიღწეული, რადგან ყოველგვარი მატერიალური სიმდიდრე და მდგოპმარეობა წარმავალი და ფუჭია.

ამრიგად, ზნეობის როლი აშკარაა და ასევე ცხადია მისი მნიშვნელობა ყოველი მუსლიმის ამქვეყნიური და საიქიო ცხოვრების მოწესრიგებაში. ამ თვალსაზრისით, სამწუხარო ფაქტია, რომ ზოგიერთი მორწმუნე მუსლიმი ღვთისმსახურებას განუხრელად ასრულებს, მაგრამ ზნეობრივ საკითხებში გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია. ეს არა მარტო მათ, ზოგადად ისლამს აზიანებს. ადამიანთა უმრავლესობა რელიგიაზე აზრის შექმნის პროცესში ამ რელიგიის მიმდევრებს აკვირდება და არა თავად რელიგიას და მის დოქტრინას. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს უფრო მოკლე და იოლად აღსაქმელი გზაა. ამრიგად, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის სამყაროში,

როდესაც ინფორმაციის გავრცელება წარწმოუდგენელი სისწრაფითაა შესაძლებელი, ყოველი მუსლიმის მხრიდან უმაღლესი ზნეობრივი სტანდარტებით ცხოვრება და ამის ბუნებრივი ფორმით დემონსტრირება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია.

ზნეობრივი ნაკლოვანებების ქონა ან სასურველ ზნეობრივ სიმაღლეზე არყოფნა სხვა და სხვა მიზეზების გამო შეიძლება იყოს. ამ მიზეზებიდან ერთ-ერთი არ ის, რომ ადამიანი რეალურად ვერ აღიქვამს თავის ზნეობრივ სიმწიფეს და ჰქონია, რომ მისი ზნეობრივი მდგომარეობა კარგია. ბუნებრივია ამ დროს ადამიანი ფიქრობს, რომ ზნეობრივი სიმაღლის მიღწევა იოლი რამაა და ამ ყველაფრისთვის მომზადება ოჯახშია შესაძლებელი, რაც მერე მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვება. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ზნეობრივობა, მითუმეტეს საუკეთესო ზნეობის მიღწევა ასე მარტივი არ გახლავთ. მითუმეტეს, ბავშვობაში შეძენილი ზნეობრივი კაპიტალი იმდენად მნიშვნელოვანი საფუძველია, რომ მისი სისტემატიური განვითარება და გამრავლებაა საჭირო. როდესაც ადამიანს ოჯახისგან მემკვიდრეობით ქონება რჩება, ის ცხოვრების მანძილზე ამ სიმდიდრეს ამრავლებს და უფრო მეტის მიღწევას ცდილობს. ასეა ოჯახში შეძენილი ზნეობრივი მდგომარეობაც. ადამიანმა ის უნდა განავითაროს და ცხოვრების მანძილზე მის დახვეწაზე იზრუნოს.

ყურანში მორალის სამი საფეხურია განხილული და ბუნებრივია, მუსლიმისთვის შესაფერისი ყველაზე მაღალი საფეხურია. წარმოგიდგენთ ყურანის აიათს:

„შემდგომ ჩვენ დავუმკვიდრეთ იგი წიგნი მათ, რომელნიც ავირჩიეთ ჩვენ მსახურთაგან: მათგანაა უსამართლო

თავისი სულისადმი, მათგანაა ზომიერნიც და მსწრაფველი სიკეთის ქმნაში, ნებითა ალლაჰითა. სწორედ ესაა დიდი წყალობა!“ (35/ფათირი, 32)

აიათიდან ნათლად ჩანს, რომ მუსლიმისთვის შესაფერისი მდგომარეობა საუკეთესო ზნეობის ქონაა. ყურანის სხვა მრავალ აიათში საუბარია იმაზე,რომ მუსლიმები საუკეთესო ზნეობის მიღწევის გზაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს შეჯიბრი მხოლოდ მუსლიმებს შორის არ მიმდინარეობს. ის მთელი მსოფლიოს ადამიანებს შეეხება და ერთგვარი მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსია. ბუნებრივია ამ შეჯიბრებაში მუსლიმიცაა ჩართული და არამუსლიმიც.

ეს არის სიკეთის, სიყვარულის, შემწყნარებლობისა და ზნეობრიობის შეჯიბრება და ამ შეჯიბრებაში ყველა რელიგიის ადამიანია ჩართული. ამ თემასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ კიდევ ერთ აიათს:

„და ჩვენ შენდა გარდმოვავლინეთ წიგნი ჭეშმარიტებით, დასტურად იმისა, რაც მასზე უწინ იყო წიგნში, და დამცველად მისდა . მაშ, განსაჯე მათ შორის იმის მიხედვით, რაც ზემოავლინა ალლაჰმა , არ განუდგე შენზე ბოძებულ ჭეშმარიტებას და არ აჰყვე მათ სურვილებს . თითოეულ თქვენგანს ჩვენ დავუდგინეთ კანონი და გზა . და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად გქმნიდათ თქვენ . მაგრამ (დაგყოთ) იმისთვის რომ გამოეცადეთ იმით, რაც გიბოძათ. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს კეთილი საქმეების კეთებაში. ყველანი ალლაჰთან მიბრუნდებით და იგი გაცნობებს იმას, რაზეც გქონდათ უთანხმოება“. (მაიდე, 5/48) ასევე (იხ. ბაყარა, 2/148)

ეს შეჯიბრება იოლი არ არის. ეს არის სუფთა გულის ადამიანებს შორის გამართული შეჯიბრება, მაგრამ მაინც

ძნელია. ეს არ არის ისეთი შეჯიბრება, რომლის სირთულესაც ყველა ადამიანი დაძლევს. დიახ. ეს რთული მარათონია. ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და ვაჩვენეთ მას ბორცვებიანი ორი გზა (ჭეშმარიტი და მრუდე)?

ის კი არც შეეცადა დაბრკოლება გადაელახა!

იცი თუ არა, რა არის დაბრკოლება?

(დაბრკოლების გადალახვაა) მონის გათავისუფლება

ან დაპურება გაჭირვების ჟამს

ნათესავი ობლისა

ან გაღატაკებული უპოვრისა!

აგრეთვე (დაბრკოლების გადალახვაა), რომელთაც ირწმუნეს, ერთიმეორეს მოთმინებას უანდერძებენ და მოწყალების მაგალითს აჩვენებენ.

ისინი არიან მარჯვენის ხალხი (ვისაც ანგარიშსწორების დღეს მარჯვნიდან მიეცემა ნამოქმედართა წიგნი)!

და რომელთაც უარყეს ჩვენი აიათები, ისინი არიან მარცხენის ხალხი (ვისაც ანგარიშსწორების დღეს მარცხნიდან მიეცემათ ნამოქმედართა წიგნი),

მათთვისაა ცეცხლი, რომელიც გადაეხურება მათ!“ (ბელედი, 90/10-19)

ამგვარი მარათონის შესახებ იუნუს ემრეც საუბრობს (2006; 408). იუნუს ემრე ამბობს, რომ ამ მარათონში გამარჯვებისთვის ადამიანმა ჯერ შვიდი თვისება უნდა შეიძინოს.

თუ გინდა შეხვდე სანეტაროს, გქონდეს ზნეობა.
შვიდი ნიშანი, შვიდი თვისება უნდა გაგაჩნდეს.
შვიდიდან ერთიც რომ დაგაკლდეს, არ შეიძლება.
ამ გზაზე მავალთ ეს ნიშნები სრულად სჭირდება.

იუნუს ემრეს მსგავსად, სხვა სწავლულები და მორალისტები ყურანისა და სუნას მოძღვრების თანახმად, სიკეთისა და სათნოებისკენ მიმავალი გზების ძიებაში იყვნენ და ბევრ სასარგებლო რჩევებს იძლეოდნენ. ისინი თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებდნენ და ამბობდნენ, რომ ამ შეჯიბრების რიგითი მონაწილეები თავადაც იყვნენ. ჩვენც, ჩვენი მხრიდან ეს 52 მორალური თვისება ჩამოვწერეთ, რომლებიც დიდი სწავლულების ნაშრომებს ეყრდნობა. ამრიგად, გთავაზობთ ამ ნაშრომს და იმედი გვაქვს, რომ მკითხველისათვის სასარგებლო იქნება. როგორც ყველა სხვა საქმეში, აქაც ჩვენ ვეცდებით, შედეგს კი ღვთისგან ველოდებით.

სიყვარულისთვის იღვაწე მუდამ,
მთელი არსებით,
დაიპყრობ უეჭველად მაღალ
მწვერვალებს.

ბრაჰიმ ჰანიფი (სოიქუთი, 1968;419)

muslim georgia
muslim georgia union of international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

1. გულწრფელობა და კეთილგანწყობა

1.1. გულწრფელობა

მორალური ღირებულებების ადამიანის ცხოვრებაში მტკიცედ ჩამოყალიბებისათვის, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ბუნების, გულისა და გონების მდგომარეობის სილამაზეა საჭირო. ამის შემდეგ ეს შინაგანი სილამაზე ადამიანის ქცევებში ვლინდება და ის გარშემომყოფების მიმართ კარგად მოქცევაში აისახება. ასეთ დროს ადამიანი გარემოსთან ჰარმონიულ ურთიერთობებს ინარჩუნებს და მუდმივად ცდილობს ყველასათვის სასარგებლო იყოს. ამ თვალსაზრისით, საჭიროა მორალური ღირებულებების სწორი კლასიფიკაცია, რათა ჩვენი მცდელობა, რომ მოზარდებში სწორი ზნეობრივი ფორმირება მოვახდინოთ, წარმატებული გამოდგეს. ამრიგად, ზნეობრივი ქცევების ათვისებამდე შინაგანი სამყარო, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა უნდა მოწესრიგდეს. ეს კი გულწრფელობას, კეთილგანწყობას გულისხმობს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯერ შიგნიდან უნდა დავიწყოთ და შემდეგ კი შინაგან სა-

ფუძველზე გარეგანი ქცევები დავაფუძნოთ. რაგიბ ელ-ისფაჰანი ამბობს: „ის ადამიანები, რომლებსაც შინაგანი სამყარო სუფთა არ აქვთ, სიტყვასა და ქცევებში სისუფთავეს ვერ გამოავლენენ. ჭურჭლისგან ის წარმოსდინდება, რაც შიგნით ასხია. ვისაც შუნაგანი სამყარო სუფთა აქვს, მისი საქმეც სუფთაა“. (2010; 88)

ადამიანის შინაგანი ბუნების სილამაზე არის ის მიზანი, რომელმაც საუკეთესო ზნეობის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი უნდა ითამაშოს. როდესაც ადამიანების ბუნებას დავაკვირდებით, ვამჩნევთ, რომ ინდივიდებს ამ მიმართულებით განსხვავებული მდგომარეობაა, მაგრამ ასევე არის დიდი მსგავსებაც. ამ მსგავსებათა შორის ერთ-ერთი არის ის, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან როგორც სიკეთისკენ, ასევე ბოროტებისკენ. ამის შესახებ ყურანშიცაა საუბარი:

„ვფიცავ, მზეს და მის ნათებას! და მთვარეს, როცა მას მიჰყვება! და მზეს, როც გამობრწყინდება! ღამეს, როცა მას (მზეს) ფარავს! ზეცას და ამგებსა მისას! მიწას და გამშლელსა მისას! სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას!

და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა!“ (შემს, 91/1-7-8)

როგორც აიათიდან ჩანს, ადამიანის ბუნებაში მორჩილებისკენ მიდრეკილებაც არის და უკეთურობისკენაც. ამრიგად, ადამიანის ბუნება ორივე მიმართულებას იტევს, სიკეთისა და ბოროტების. სწორედ ეს არის ამქვეყნიური გამოცდის წინაპირობა. ადამიანმა ამქვეყნიური გამოცდა, რომ ჩააბაროს, ჯერ მისი შინაგანი დადებითი მხარე უნდა გააძლიეროს, შინაგანი ბუნება განწმინდოს და გული სულიერი ლაქებისგან გაათავისუფლოს.

1. გულწრფელობა და კეთილგანწყობა

სიკეთისა და ბოროტებისკენ მიდრეკილებების მქონე ადამიანის ბუნების შესახებ ყურანის სხვა აიათებშია განმარტებული. ზემოთ წარმოდგენილი აიათის შემდეგ ყურანში შემდეგი გაფრთხილებაა მოცემული:

„უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი!

უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!“ (შემს, 91/9-10)

ამრიგად, შინაგანი ბუნების განწმენდა, შინაგანი გულწრფელობა გადარჩენის წინაპირობა და ზნეობრიობის უმთავრესი ელემენტია. ადამიანის შინაგანი სიწმინდე საბოლოო ჯამში სიტყვასა და ქცევებში გამოვლინდება, რაც სათნოებას, სიკეთეს და მადლს მოიტანს. ამრიგად, საუკეთესო ზნეობის საწყისი წერტილი და საფუძველი ადამიანის შინაგანი სიწმინდეა. შუამავლის შეფასებით მორწმუნე ადამიანი გულწრფელი და ღირსეულია, ხოლო ურწმუნო- ფლიდი და ზნედაცემული. (იხ. ებუ დავუდ, „ედებ“, 5)

ჩვენ ადამიანის სუფთა გულის განმარტებისათვის გულწრფელობა გამოვიყენეთ. ამ ტერმინში ადამიანის შინაგანი სიწრფელე, კეთილგანწყობა, დადებითი დამოკიდებულება იგულისხმება. ამავდროულად გულწრფელობა ყოველგვარი ავი ზრახვებისა და ნეგატიური გრძნობებისგან თავისუფალ შინაგან ბუნებას ნიშნავს. გულწრფელი ადამიანი გარშემომყოფებისათვის სანდოობისა და სარგებლობის მომტანია. მისგან რაიმე ავსა და ზიანს არ უნდა მოველოდეთ. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მორალური თვისება, რომელიც ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წინაშე, ხოლო შემდგომ ადამიანების თვალში დადებით პიროვნებად წარმოაჩენს. ჩვენი სულიერების, ჩვენი შინაგანი ბუნების კეთილშობილებას გულწრფელობა გა-

ნაპირობებს. შინაგანი გულწრფელობის გარეშე, წრფელი განზრახვის გარეშე გაკეთებული სიკეთეც კი ადამიანს დროებით სარგებელს მოუტანს. საბოლოო ჯამში გულწრფელობის გარეშე გაკეთებული სიკეთე ადამიანს საუკეთესო ზნეობის მატარებელ პიროვნებად ვერ აქცევს. ადამიანის ქცევა რომ ნამდვილად დადებით მოვლენად იქცეს და ქცევის განმხორციელებელი პიროვნება ზნეობრივად ამაღლდეს, ამისათვის საჭიროა კეთილშობილური განზრახვა, გულწრფელობა და შესაბამისი მიზნის ქონა.

როდესაც სუფთა გულის ადამიანზე ვსაუბრობთ, აქ ვიწრო გაგებით მხოლოდ გულისა და გრძნობების სისუფთავე არ იგულისხმება. ის ადამიანის მთელი შინაგანი ბუნების, გონების, სინდისისა და მთელი შიდა სამყაროს სისუფთავეს მოიცავს. როდესაც ადამიანის ცნობიერი და ქვეცნობიერი ერთიანად სუფთაა, ის არავის მიმართ ცუდს გულში არ გაივლებს და მითმეტეს ქცევით არ გამოხატავს. ზოგიერთ ფილოსოფოსი ამ სიაში სიზმრებსაც კი თვლის და მიიჩნევს, რომ ასეთი ბუნების ადამიანს ცუდი სიზმარიც კი არ დაესიზმრება. მაგალითად, ეპიქტეტოსის აზრით, სულიერად ამაღლებული და ზნეკეთილი ადამიანი ავი ზრახვების წინააღმდეგ სიზმარშიც კი გამარჯვებული გამოდის. (1989; 64)

ამრიგად, სუფთა გულის ქონა ნიშნავს შინაგანი გრძნობებისა და აზრების სრულად გათავისუფლებას ისეთი ნეგატიური აქტორებისგან, როგორიცაა ეგოიზმი, შური, ბოღმა, სიძულვილი, ამპარტავნება, სიამაყე, მედიდურობა, სიხარბე, თვალთმაქცობა, ფარისევლობა, ტყუილი, ორპირობა და ა.შ. ყურანში არის მითიტება, რომლის მიხედვითაც ჩვენ განვისჯებით არა მარტო იმის გამო, რასაც ვიმოქმედებთ, არამედ იმის გამოც, თუ რა ხდება ჩვენს შინაგან სამყაროში.

1. გულწრფელობა და კეთილგანწყობა

„ალლაჰისაა ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. განაცხადებთ თუ დაფარავთ რაც გაქვთ სულში , ამაზე ალლაჰი განგსჯით. და მიუტევებს, ინებებს ვისაც, და დასჯის, ინებებს ვისაც. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“ (ბაყარა, 2/284)

ამრიგად, ჩვენს გულში არსებული ნეგატიური გრძნობები მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან რაც არ უნდა ვმალოთ ისინი, ერთგვარი სისუსტის მომენტში აუცილებლად თავს იჩენენ და ცოდვას ჩაგვადენინებენ. ადამიანის შინაგანი და გარეგანი სამყაროს კავშირზე იუნუს ემრე შემდეგნაირად წერს:

გული სულ მაღლა მიიწევს, ასე იკვალავს გზას,
გარეთ ის წარმოჩინდება, რაც შიგნით ყოფილ არს.

გულის სიწმინდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ყველა უარყოფითი გრძნობებისგან და ასევე რამდენად სავსეა მორალურად და შინაარსობრივად დადებითი, პოზიტიური გრძნობებით. პოზიტიური გრძნობების ჰეგემონია ადამიანის შინაგანი ბუნების სიწმინდეს განსაზღვრავს. სუფთა გული, კარგი გული, ეს ის ტერმინებია, რომლებიც ადამიანის შინაგანი ბუნების კეთილშობილებას მარტივად აღწერს. კარგი გულის ადამიანობა უკიდურეს მიამიტობას არ გულისხმობს, როდესაც ადამიანს სხვების მხრიდან მომდინარე ავი ზრახვების დანახვა საერთოდ არ შეუძლია. კეთილი გულის ადამიანი, უბრალოდ, ყველაფერს კარგი თვალით უყურებს და საამისოდ წინასწარგანწყობა გააჩნია. ის უმეტესწილად დადებითს ხედავს და დაპროგრამებულია საიმისოდ,რომ ყოველთვის კარგის მხარეს დადგეს. ამასთანავე, კეთილი გულის ადამიანი იმ ადამიანებისგან, ვისაც სიკეთე გაუკეთა, რაიმე

მატერიალურ სარგებელს არ მოელის. ის სიკეთეს ანგარებისთვის არასოდეს გააკეთებს. სიკეთის კეთება მისი დავალებაა, რომელსაც მისი რწმენა, სინდისი და გული კარნახობს. მისი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ის ამ დავალებას ზედმიწევნით ასრულებს და ჯილდოს მხოლოდ ღვთისგან მოელის. უფრო მეტიც, როდესაც სუფთა გულის ადამიანს გაკეთებული სიკეთისთვის სამაგიერო სიკეთეს გადაუხდიან, ის მიიჩნევს, რომ ამით მისი სრული უანგარობის პრინციპი დაირღვა და ცდილოს ასეთ სამაგიერო სიკეთეზე უარიც კი თქვას.

სუფთა გულის ადამიანი ვინმეზე ზიანის მიყენებას ან ბოროტების ჩადენას არ დაუშვებს. უფრო მეტიც, ის მცირე ნაკლოვანებებსა და სხვათა მიმართ უბრალო გულსტკენასაც ძალიან ერიდება. კეთილი გულის ადამიანი თავის ეგოისტურ სურვილებს დასაწყისშივე ებრძვის და მათ კონტროლის ქვეშ ამყოფებს, ამიტომ მისთვის ანგარება და ეგოისტობა უცხო ხილია. კეთილი გულის ქონა ნიშნავს ჯერ ზოგად კეთილგანწყობას, შემდეგ კეთილ ზრახვებსა და მიდგომებს, ხოლო ბოლოს ქცევაში ასახულ უანგარო სიკეთეს. სწორედ ეს არის მორალური ქცევის პიველწყარო და საფუძველი. რაც უფრო სუფთა და სათნოა ადამიანის შინაგანი ბუნება, იმდენად მეტი კეთილშობილებაა მისგან მოსალოდნელი. ამრიგად, მორალის სრულყოფისათვის კეთილ გულსა და შინაგან სისუფთავეს უკუდურესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იბნ აზმი ამბობს, რომ ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერებისათვის მორალის სრულყოფაა საჭირო და ამ თვალსაზრისით ადამიანის შინაგანი სამყაროს სუსუფთავეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. „ამ გზაზე მდგარი ადამიანი, ისეთი სუფთა გულითა და ზრახვებით უნდა გამოირჩეოდეს, როგორიც

სუფთა გულის ადამიანებს შეეფერება. დადებითი თვისებების მქონე ადამიანი ფარისევლობასა და ორპირობას არ დაუშვებს. მას კარგი ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია“. (2102; 115)

წმინდა ყურანში გული ასზე მეტ აიათშია ნახსენები და მათგან ზოგიერთში წორედ გულის სულიერი ლაქებისგან განწმენდასა და სისუფთავეზეა საუბარი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება შურის, ბოღმისა და სიძულვილისგან გათავისუფლებაა ნახსენები. (იხ. არაფ, 7/43). ამრიგად, გულის სისუფთავისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მისი ბოღმის, შურის, სიძულვილისაგან გათავისუფლებაა. ჰადისის მიხედვით კი შუამავალი ბრძანებს, რომ სამოთხე ჩიტების მსგავსად სუფთა გულის ადამიანთა ხვედრია. (იხ. მუსლიმ, „ჯენნეთ“, 27) გულის სისუფთავე, მისი სათნოება, სიძულვილისა და ბოღმისაგან გათავისუფლება მევლანას ლექსებშიცაა მოცემული:

მე სარკე ვარ, სუფთა,
არ მაქვს ჟანგი, ვარ პრიალა.
მე არ ვარ გული, სავსე სიძულვილით,
მე ვარ გული, სინას მთის...

სუფთა გულის ქონა, ყოველი მორწმუნისათვის, უპირველეს ყოვლისა იმიტომაა პრიორიტეტული, რომ ის ღვთის ბრძანებაა. როგორც ყველა ღვთიურ ბრძანებაში, ამ უკანასკნელშიც, მრავალი სიკეთე და სიბრძნეა. ამ სიკეთეთაგან უპირველესი ალბათ სააქაო და საიქიო ბედნიერების მოპოვებაა. სუფთა გულის ქონა ადამიანის გადარჩენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. აღნიშნულის შესახებ ყურანში მრავალი აიათი მოგვითხრობს:

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება, გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“ (შუარა, 26/88-89)

ამრიგად, ადამიანს საიქიოში უბიწო გული დიდ სამსახურს გაუწევს. მსგავსი შეფასებაა მოცემული შუამავლის ჰადისშიც: „ღმერთ თქვენს გარეგნობასა და ქონებას არ უყურებს. ის მხოლოდ თქვენს გულებსა და ნამოქმედარს შეხედავს“. (იხ. მუსლიმი, „ბირრი“, 34)

ყურანში ასევე მითითებულია, რომ თავად ყურანი სულიერი და მორალური თვალსაზრისით ადამიანთა გულებისთვის შვებისმომგვრელია და გულის განწმენდისათვის ყურანი თავადაა უებარი წამალი:

„ჰეი, ხალხო ! თქვენთან ნამდვილად მოვიდა შეგონება თქვენი ღმერთისგან განკურნებად იმისა, რაც გიზით გულებში, ჭეშმარიტ გზად და წყალობად მორწმუნეთათვის!“ (იუნუს, 10/57) აიათის მიხედვით ცხადი ხდება, რომ გულის სულიერად დაბინძურების ან „დაბრმავების“ წამალი ისევ და ისევ ყურანია. ამრიგად, ვისაც სურს გულის უბიწოება მოიპოვოს და შეინარჩუნოს, ყურანის მოძღვრებას უნდა მისდიოს და მასთან მჭიდრო კავშირი შეინარჩუნოს.

როდესაც გულის უბიწოება დაირღვევა და გულში სულიერი ლაქები გაჩნდება, ხელახალი უბიწოების მოსაპოვებლად პირველი ნაბიჯი მონანიებაა.ამის შესახებ ძვირფასი შუამავალი ასე გვმოძღვრავს: „როდესაც მსახური ცოდვას ჩაიდენს, მის გულში შავი წერტილი ჩნდება. თუ ცოდვის ჩადენას თავს დაანებებს, მოინანიებს და მიტევებას ითხოვს, გულის ისევ განეწმინდება, ხოლო თუ ამ ყვე-

ლაფერს არ გააკეთებს და ცოდვის ჩადენას ისევ განაგრძობს, შავი წერტილი გადიდდება და ბოლოს მთელ გულს მოიცავს“. (იხ. თირმიზი, „თეფსირულ ყურან“, 83)

გულის სიწმინდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ყველა უარყოფითი გრძნობებისგან და ასევე რამდენად სავსეა მორალურად და შინაარსობრივად დადებითი, პოზიტიური გრძნობებით. პოზიტიური გრძნობების ჰეგემონია ადამიანის შინაგანი ბუნების სიწმინდეს განსაზღვრავს. სუფთა გული, კარგი გული, ეს ის ტერმინებია, რომლებიც ადამიანის შინაგანი ბუნების კეთილშობილებას მარტივად აღწერს. კარგი გულის ადამიანობა უკიდურეს მიამიტობას არ გულისხმობს, როდესაც ადამიანს სხვების მხრიდან მომდინარე ავი ზრახვების დანახვა საერთოდ არ შეუძლია. კეთილი გულის ადამიანი, უბრალოდ, ყველაფერს კარგი თვალით უყურებს და საამისოდ წინასწარგანწყობა გააჩნია. ის უმეტესწილად დადებითს ხედავს და დაპროგრამებულია საიმისოდ,რომ ყოველთვის კარგის მხარეს დადგეს. ამასთანავე, კეთილი გულის ადამიანი იმ ადამიანებისგან, ვისაც სიკეთე გაუკეთა, რაიმე მატერიალურ სარგებელს არ მოელის. ის სიკეთეს ანგარებისთვის არასოდეს გააკეთებს. სიკეთის კეთება მისი დავალებაა, რომელსაც მისი რწმენა, სინდისი და გული კარნახობს. მისი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ის ამ დავალებას ზედმიწევნით ასრულებს და ჯილდოს მხოლოდ ღვთისგან მოელის. უფრო მეტიც, როდესაც სუფთა გულის ადამიანს გაკეთებული სიკეთისთვის სამაგიერო სიკეთეს გადაუხდიან, ის მიიჩნევს, რომ ამით მისი სრული უანგარობის პრინციპი დაირღვა და ცდილოს ასეთ სამაგიერო სიკეთეზე უარიც კი თქვას.

უბიწო გულისა და შინაგანი პატიოსნების შენარჩუნებისათვის ისტორიულად ცნობილი გულმართალი ადამიანების სამაგალითოება უნდა ავიღოთ და ასევე მნიშვნელოვანია კარგი სამეგობრო წრის შერცევა. როდესაც სუფთა გულის ადამიანებზე ვსაუბრობთ და ისლამის ისტორიას გადავხედავთ, აქ ჰზ. ჰატიჯე და მისი ქალიშვილი ჰზ. ფატიმა გაგვახსენდება. როდესაც ჰზ.ჰატიჯეს ცხოვრებასა და მის შინაგან უბიწოებას შევისწავლით, დავრწმუნდებით, რომ ის მართლაც სამაგალითო ადამიანი იყო. ის ჯერ კიდევ ისლამადელ პერიოდშ იმდენად პატიოსნად ცხოვრობდა, რომ მეტსახელად „ტაჰირე“, ანუ სუფთა, უბიწო, უმწიკვლო შეარქვეს.

ასევე შინაგანი უბიწოებისა და პატიოსნების საოცარი მაგალითი იყო ჰზ. ფატიმაც. მას მამამისი, ძვირფასი შუამავალი და მორწმუნენი ისეთი უმწიკვლო სიყვარულით უყვარდა, რომ ის მორწმუნე ქალთა დედოფლად არის აღიარებული. წარსულიდან დღემდე ყოველთვის ასე იყო, რომ ნამდვილი კდემამოსილება და პატიოსნება შიანაგანი უბიწოებით იწყება და შემდგომში გარეგანი ქცევებით გამოვლინდება ხოლმე. ჰზ. ფატიმას მორწმუნე ქალთა დედოფლობა მრავალ მიზეზს ეყრდნობა. მათგან უპირველესი კი ბავშვობიდან გადაცვალებამდე გულის უბიწოება და უზადო პატიოსნებაა.

1.2. კეთილი განზრახვა

გულის უბიწოება ჩვენს შიგნით და გარეთ არსებულ ყველა მორალურ ღირებულებაზე დადებითად აისახება. ამ თვალსაზრისით, ის ასევე დადებითად მოქმედებს ადამიანის ზრახვებზე. კეთილი განზრახვები სუფთა გულის პრო-

დიქტია. განზრახვა ჩვენი შინაგანი გადაწყვეტილებაა, რომელიც სიტყვასა და ქცევას მიმართულებას აძლევს და მათ ფორმირებაში მნიშნელოვან როლს ასრულებს. როდესაც განზრახვა კარგია, მისი განხორციელების ფორმა და შედეგიც, დიდი ალბათობით, დადებითი იქნება. თუ განზრახვა ცუდია, შედეგის ნეგატიურობაც მეტადაა მოსალოდნელი. ცუდი განზრახვის დროს დაფიქსირებული ქმედების დადებითი შედეგიც კი მორალურად გაუმართლებელია და საბოლოო ჯამში ეს ქმედება, ზნეობრივი თვალსაზრისით, უარყოფითად განიხილება. განზრახვაში არსებული დადებითი და უარყოფითი ელემენტები, ამ განზრახვის შესაბამისად მიღებული შედეგების შეფასებისას, შესაბამისი ფარდობითობით მოქმედებს. გავიხსენოთ შუამავლის ჰადისი. ის ამბობს, რომ მეომარი, რომელსაც სურს, რომ სახელი მოიხვეჭოს და მამაცი გმირის სახელი ჰქონდეს და ამ განზრახვით იბრძვის, შაჰიდის მადლს ვერ მიიღებს, რადგან მისი მიზანი სხვა იყო. ასევე ადამიანი, რომელიც იმიტომ გასცემს, რომ ხელგაშლილი ადამიანის სახელი მოიპოვოს, ღვთის წინაშე წარდგომისას, იმ ხელგაშლილთა შორის ვერ აღმოჩნდება, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გასცემენ. (იხ. მუსლიმი, „იმარე“, 152)

კარგი განზრახვის შემთხვევაში განხორციელებული ქმედების შინაგანი საფუძველი სხვათა მიმართ ზიანის მოტანას არ წარმოადგენს. ასეთი ქმედება სხვებისთვის სასარგებლო სამსახურის გაწევას გულისხმობს. დადებითი განზრახვა ნიშნავს, რომ მის მიხედვით განხორციელებული ქმედება ადამიანებისთვის სასარგებლო იქნება და ვინმეს მიმართ ნეგატიური შედეგის მომტანი არ იქნება. სწორედ ასე წარმოჩნდება ზნეკეთილი ადამიანი. მისი მოქმედების შინაგანი მიზანი და ქმედების ფორმა სასიკეთო

და სასარგებლოა. კარგი განზრახვის მქონე ადამიანიც შეიძლება ზოგჯერ შეცდეს და მისი კეთილი განზრახვის მიუხედავად ნეგატიური შედეგი მიიღოს, თუმცა ასეთი პრეცენდენტები მის ზოგად დამოკიდებულებას და მის შინაგან მზაობას, ჰქონდეს ყოველთვის კეთილი განზრახვა, დიდად ვერაფერს დააკლებს და მის ამ დამოკიდებულებებს ვერ შეცვლის. მის პიროვნებას შეცდომები ვერ დააზიანებს, რადგან შეცდომებზე სწავლობს და ყველა შემდეგ ნაბიჯს ისევ და ისევ კეთილ განზრახვას დაუქვემდებარებს. ადამიანის ზნეობრიობას განზრახ გაკეთებული ისეთ ნეგატიური ქმედებები დააზიანებს, როგორიცაა ორპირობა, ტყუილი, თაღლითობა და ა.შ. როდესაც ადამიანს კეთილი ზრახვები გააჩნია, მაგრამ მოტყუვდება, ამისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, მაგრამ თუ ის განზრახ მცდარი გზით წავა, ამისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება.

„მოიხმეთ ისინი თავიანთი მამების სახელით, რამეთუ ეს უფრო სამართლიანია ალლაჰის წინაშე. და თუ არ იცნობთ მათ მამებს, მაშინ ისინი თქვენი ძმები არიან სჯულში და მოყვასნი. არ არის თქვენდა ცოდვა, რაც შეცდომით ჩაიდინეთ, თუ არა განზრახ გულით ჩადენილისა. და ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“ (აჰზაბი, 33/5)

ნებისმიერი ქმედება, რომელიც კეთილი ზრახვებით არ არის განხორციელებული, ზნეობრივად ვერ ჩაითვლება, თუნდაც ის დადებით ქმედებად ჩანდეს. ამრიგად, ქმედების ზნეობრიობას მისი მიზანი განსაზღვრავს. ის არის საფუძველი, რომლის მიხედვითაც განხორციელებული ქმედების შეფასებაა შესაძლებელი. მაგალითად შეთანხმებების დროს სწორი დებულებების ჩაწერა და რაიმე თაღლითობის დაუშვებლობა, სამარათლიანობა,

ყოველთვის სიმართლის თქმა, ჭეშმარიტების დადგენისთანავე მისი აღიარება და საკუთარი მცდარი შეხედულები უარყოფა, თავმდაბლობა, შემწყნარებლობა, თანადგომა და სხვა მრავალი დადებითი ქცევა ადამიანის შინაგანი ზნეკეთილობის, მისი კეთილგანზრახულობის შედეგია. (ქონტე- სპონვილე, 2004; 259-60)

ყოველი ქმედების და ასევე ამ ქმედებისგან მიღებული შედეგების შეფასებისას, მთავარი საყრდენი ფაქტორი ამ ქმედების გამომწვევი მიზანია,რომელიც ადამიანის შინაგან გადაწყვეტილებას წარმოადგენს. ამდენად, ყოველი ქმედება განზრახვის შესაბამისად ფასდება. ეს დადასტურებულია ცნობილი ჰადისით, რომელიც ალბათ ყოველმა მუსლიმმა იცის: „ყოველი ქმედება მიზნის შესაბამისად ფასდება და ყოველი ადამიანი თავისი განზრახვის შესაბამის საზღაურს მიიღებს. ვისი მიზანიც ღვთისა და შუამავლის გულისთვის ჰიჯრეთია, ის შესაბამის მადლს მიიღებს. ვისი ჰიჯრის მიზანიც ამქვეყნიური რამე ან საყვარელ ქალთან შეხვედრაა, მისი ქმედება ამ მიზნის შესაბამისად შეფასდება“. (იხ. ბუჰარი, „ბედულ ვაჰი,“ 1; მუსლიმ, „იმარეთ“, 155). აღნიშნული ჰადისიდან გამომდინარე, თუ ქმედებას რელიგიური საფუძველი და ფასი უნდა ჰქონდეს, ის მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით უნდა იქნას განხორციელებული. ამრიგად, ზნეობრიობის თვალსაზრისით მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

გულის სიწმინდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ყველა უარყოფითი გრძნობებისგან და ასევე რამდენად სავსეა მორალურად და შინაარსობრივად დადებითი, პოზიტიური გრძნობებით. პოზიტიური გრძნობების ჰეგემონია ადამიანის შინაგანი ბუნების სიწმინდეს განსაზღვრავს. სუფთა გული, კარგი გული, ეს ის ტერმი-

ნებია, რომლებიც ადამიანის შინაგანი ბუნების კეთილშობილებას მარტივად აღწერს. კარგი გულის ადამიანობა უკიდურეს მიამიტობას არ გულისხმობს, როდესაც ადამიანს სხვების მხრიდან მომდინარე ავი ზრახვების დანახვა საერთოდ არ შეუძლია. კეთილი გულის ადამიანი, უბრალოდ, ყველაფერს კარგი თვალით უყურებს და საამისოდ წინასწარგანწყობა გააჩნია. ის უმეტესწილად დადებითს ხედავს და დაპროგრამებულია საიმისოდ,რომ ყოველთვის კარგის მხარეს დადგეს. ამასთანავე, კეთილი გულის ადამიანი იმ ადამიანებისგან, ვისაც სიკეთე გაუკეთა, რაიმე მატერიალურ სარგებელს არ მოელის. ის სიკეთეს ანგარებისთვის არასოდეს გააკეთებს. სიკეთის კეთება მისი დავალებაა, რომელსაც მისი რწმენა, სინდისი და გული კარნახობს. მისი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ის ამ დავალებას ზედმიწევნით ასრულებს და ჯილდოს მხოლოდ ღვთისგან მოელის. უფრო მეტიც, როდესაც სუფთა გულის ადამიანს გაკეთებული სიკეთისთვის სამაგიერო სიკეთეს გადაუხდიან, ის მიიჩნევს, რომ ამით მისი სრული უანგარობის პრინციპი დაირღვა და ცდილოს ასეთ სამაგიერო სიკეთეზე უარიც კი თქვას.

სუფთა გულის ადამიანი ვინმეზე ზიანის მიყენებას ან ბოროტების ჩადენას არ დაუშვებს. უფრო მეტიც, ის მცირე ნაკლოვანებებსა და სხვათა მიმართ უბრალო გულსტკენასაც ძალიან ერიდება. კეთილი გულის ადამიანი თავის ეგოისტურ სურვილებს დასაწყისშივე ებრძვის და მათ კონტროლის ქვეშ ამყოფებს, ამიტომ მისთვის ანგარება და ეგოისტობა უცხო ხილია. კეთილი გულის ქონა ნიშნავს ჯერ ზოგად კეთილგანწყობას, შემდეგ კეთილ ზრახვებსა და მიდგომებს, ხოლო ბოლოს ქცევაში ასახულ უანგარო სიკეთეს. სწორედ ეს არის მორალური ქცევის პიველწყარო

და საფუძველი. რაც უფრო სუფთა და სათნოა ადამიანის შინაგანი ბუნება, იმდენად მეტი კეთილშობილებაა მისგან მოსალოდნელი. ამრიგად, მორალის სრულყოფისათვის კეთილ გულსა და შინაგან სისუფთავეს უკუდურესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გავიხსენოთ წმინდა ჰადისი: „ღმერთი თქვენს გარეგნობასა და სიმდიდრეს არ უყურებს, ის თქვენს გულებში იხედება და თქვენს საქმეს ხედავს“. (იხ. მუსლიმი, „ბირ“, 34). იბნ აზმი ამბობს, რომ ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერებისათვის მორალის სრულყოფაა საჭირო და ამ თვალსაზრისით ადამიანის შინაგანი სამყაროს სუსუფთავეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. „ამ გზაზე მდგარი ადამიანი, ისეთი სუფთა გულითა და ზრახვებით უნდა გამოირჩეოდეს, როგორიც სუფთა გულის ადამიანებს შეეფერება. დადებითი თვისებების მქონე ადამიანი ფარისევლობასა და ორპირობას არ დაუშვებს. მას კარგი ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია“. ასევე მნიშვნელოვანია გავიხსენოთ წმინდა აიათი, სადაც ნათლადაა მითითებული, რომ წრფელი განზრახვის გარეშე შესრულებული ქმედება ღვთის წინაშე სათანადო ადგილს ვერ დაიკავებს:

„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა...“. (იხ. ჰაჯ, 22/37)

როდესაც მიზნის შესაბამისად ქმედების შეფასებაზე ვსაუბროთ, აქვე გვახსენდება ცნობილი მოვლენა, რომელიც შუამავლის ცხოვრების პერიოდში მოხდა და ცნობილი ჰადისი, „ყოველი საქმე მიზნის მიხედვით ფასდება“, ამ მოვლენის შესახებ იქნა დაწერილი. ცნობილია, რომ ეს ჰადისი შუამავალმა შემდეგი მოვლენის შესახებ ბრძანა: დიდი ჰიჯრის შემდეგ მექაში ერთი მუსლიმი კაცი ცხოვ-

რობდა, რომელსაც ერთ-ერთ მუსლიმი ქალი უყვარდა და მასზე დაქორწინებას აპირებდა. სანამ ქორწინება შედგებოდა, ეს ქალბატონი, რომელსაც უმმუ ქაისი ერქვა, მექადან მედინაში გადასახლდა. მასზე დაქორწინების მსურველი საჰაბე მექაშ აპირებდა დარჩენას, მაგრამ უმმუ ქაისმა უთხრა, რომ თუ მისი გადაწყვეტილება მყარი იყო, მაშინ ისიც მედინაში უნდა ჩასულიყო და ამ შემთხვევაში ცოლად გაჰყვებოდა. საჰაბე იძულებული გახდა მექადან მედინაში გადასახლებულიყო, რათა საყვარელი ქალი ცოლად შეერთო. ისინი დაქორწინდნენ. მედინაშ მყოფმა მუსლიმებმა ამ კაცს „მუჰაჯირუ უმმუ ქაის“-ი შეარქვეს, რაც უმმუ ქაისის მუჰაჯირს ნიშნავს. შემდეგ მუსლიმებს შორის გაიმართა დისკუსია იმის შესახებ, რომ ამ კაცს მუჰაჯირის მადლი ეკუთვნოდა თუ არა. ამის თაობაზე შუამავალმა ზემოთხსენებული ჰადისი გააჟღერა და ამით მთელ ამ ამბავს ნათელი მოეფინა.

წინ გაიწიე, იარე გონების კარნახით,
წლების ტყვეობას დააღწევ თავს
გონიერება აგამაღლებს,
დაგეხმარება, გ ზას გაგიკვალავს.

იუნუს ემრე (2006; 16)

muslim georgia
muslim georgia union
international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

2. გონიერება და სინდისიერება

2.1. გონიერება

გონიერება არის ადამიანის თვისება, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს ჭეშმარიტება და სიცრუე, სასარგებლო და საზიანო და ამასთანავე მონახოს გზები სასარგებლო რამეების მისაღწევად. ადამიანი გონების საშუალებით ასევე ახერხებს ზიანის მომტანი რამეებისგან თავის არიდებას. ის იმახსოვრებს გამოცდილებით მიღებულ ცოდნას და შემდგომშ ამ ცოდნაზე დაყრდნობით იღებს ახალ ინფორმაციას. ამ მაღალი თვისებით ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისაგან საფუძვლიანად განსხვავდება და მათთან შედარებით მაღალ საფეხურზე დგას. გარკვეული გამონაკლისის გარდა, ყველა ადამიანი ჯანსაღი გონებით აღჭურვილი იბადება და შემდგომში ამ გონების სწორად გამოყენება თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული. მრავალი ადამიანი ამ უდიდეს წყალობას არაჯეროვნად იყენებს და ცხოვრებას ისე ამთავრებს, რომ გონების შესაძლებლობებსა და მისგან მომდინარე სიკეთეს სათანადოდ ვერ იყენებს. ადამიანი, რომელიც გონებას სათანადოდ ვერ იყენებს და შე-

საბამისად უგნურად იქცევა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ შეცდომას უშვებს და წარუმატებელი ცხოვრება აქვს. ასეთი ადამიანი ზნეობრივი თვალსაზრისითაც წარუმატებელია და მისი უგნური ქმედებითა და დაშვებული შეცდომების წყალობით მორალურ საფეხურზეც მაღლა ვერ იწევს.

გონება ადამიანს ცხოვრების მრავალ სფეროში ეხმარება და მის წარმატებას განსაზღვრავს. ეს ეხება მორალის საკითხებსაც. ადამიანი გონების, სინდისის და სარწმუნოებრივი მოძღვრების ერთიანი სინთეზით სულიერ ამაღლებას აღწევს. ამრიგად, გონების სწორად გამოყენება, მისი ჭეშმარიტების სამსახურში ჩაყენება ადამიანს ზნეობრივად ამაღლებს. ცნობილია, რომ გონიერი ადამიანები ზნეობრივი ღირებულებების მიმართ უფრო მეტ მგრძნობელობას იჩენენ და უფრო მეტად არიან მიდრეკილნი. ისინი იოლად ითვისებენ ამ ღირებულებებს და პრაკტიკულ ცხოვრებაშიც უფრო მეტი დოზით ავლენენ. გონიერი ადამიანი უგნურთან შედარებით ნებისმიერ სფეროში უფრო წარმატებულია და ეს, რაღა თქმა უნდა, ზნეობრივ სფეროსაც ეხება. ცნობილი პოეტი იუნუს ემრე თავის ლექსებში გონების ძალიას მნიშვნელობაზე ხშირად საუბრობს:

იგივე ლექსი

მუსლიმი მორალისტები ადამიანის გონებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათგან აღსანიშნავია მავერდი, რომელმაც თავის წიგნში ხუთი ძირითადი თავიდან ერთ-ერთი გონებას დაუთმო. ამ თავში „გონების სიკეთე და ცდუნებების ზიანია“ განხილული. აღნიშნული თავი ბევრს ქვეთავს შეიცავს. ერთ-ერთი ქვეთავის სათაური კი საკმაოდ ყურადსაღებია: „გონება სიკეთის საფუძველია“.

2. გონიერება და სინდისიერება

ამ თავში წარმოდგენილი რჩევები საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია. „ყოველ სიკეთეს და ზრდილობიან ქცევას თავისი საფუძველი გააჩნია. ადამიანური სიკეთისა და ცხოვრებისეული ზრდილობის ძირითადი დასაყრდენი გონებაა. ღმერთმ ადამიანს გონება ამისათვის უწყალობა. ამიტომაა, რომ ღმერთმა პასუხისმგებლობა გაჩენილთაგან მხოლოდ ადამიანს დაუდგინა. ასევე ღვთისმსახურების ვალდებულებაც გონებასრულ ადამიანებს ევალებათ. (1982; 1)

ყურანში უგუნურები, რომლებიც გონებას სათანადოდ არ იყენებენ, სასტიკად არიან გაკრიტიკებულნი:

„უეჭველად, ალლაჰის წინაშე, სულიერთა შორის, ყველაზე უარესნი არიან ყრუნი და მუნჯნი , რომელნიც არ მოეგებიან გონს“. (ენფალი, 8/22)

ამრიგად, გონიერება და უგნურება ზნეობრიობასთან პირდაპირ კავშირშია და შესაბამისად გონიერება ზნეობრიობისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აქვე მინდა წარმოგიდგინოთ სხვა აიათიც:

„და არ შესწევს არც ერთ სულს, რომ ირწმუნოს, თუ არა ალლაჰის ნება. და აწევს რისხვას მას, რომელნიც არ მოუხმობენ გონს!“ (იუნუსი, 10/100)

ამრიგად, გონიერება ადამიანისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი რამაა, რათა მან ამქვეყნად და საიქიოში სასურველი მდგომარეობა მოიპოვოს.

მავერდი გონიერ და უგნურ ადამიანს ერთმანეთს ადარებს და ამ შედარების დროს სათნოებასა და ზნედაცემულობას ახსენებს. ის განმარტავს, რომ ზნეობრიობისათვის გადამწყვეტი როლი გონიერებას ეთმობა. მავერდის აზ-

რით გონიერი ადამიანი მეგობარს სიხარულით ეხმარება. გონიერი ადამიანი მტრობის დროსაც კი თავის ძალას უსამართლოდ არ გამოიყენებს. ამრიგად, გონიერი ადამიანი მეგობრებს აბედნიერებს, ხოლო მტრებში პატივისცემას აღძრავს. როდესაც გონიერი ადამიანი სიკეთეს აკეთებს, ის სამაგიეროს არ მოითხოვს. როდესაც მას ცუდად მოეპყრობიან, ის ამას შეძლებისდაგვარად გაგებით ეკიდება და ცდილობს მიუტევოს. უგნური ადამიანი, გარდა იმისა, რომ დაცმულ მდგომარეობაშია, ის სხვებსაც ზნედაცემულობისკენ მიერეკება. როდესაც მეგობრების ყურადღებას გრძნობს, მაშინვე სიამაყე სძლევს და ამპარტავნება ეწყება, ხოლო როდესაც მიატოვებენ უბედურდება და არაადეკვატური ხდება. უგნურთან ერთად ყოფნა აუცილებელ დამდაბლებას გამოიწვევს. მასზე აყოლა და ჩხუბი აუცილებლად შარს გადაგყრის, ხოლო მასთან საუბარი მეგობრობას ასუსტებს და საბოლოო ჯამში მეგობრობა მტრობად გადაიქცევა. მასთან ყოფნა მუდმივ წარუმატებლობასთან ასოცირდება“. (1982; 20)

ამრიგად, ისლამის მორალისტები მიიჩნევენ, რომ გონიერება ერთ-ერთი მორალური ღირებულებაა. გონიერება არის ადამიანის თვისება, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს ჭეშმარიტება და სიცრუე, სასარგებლო და საზიანო და ამასთანავე მონახოს გზები სასარგებლო რამეების მისაღწევად. ადამიანი გონების საშუალებით ასევე ახერხებს ზიანის მომტანი რამეებისგან თავის არიდებას. ის იმახსოვრებს გამოცდილებით მიღებულ ცოდნას და შემდგომშ ამ ცოდნაზე დაყრდნობით იღებს ახალ ინფორმაციას. ამ მაღალი თვისებით ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისაგან საფუძვლიანად განსხვავდება და მათთან შედარებით მაღალ საფეხურზე დგას. გარკვეული გამონაკლისის გარდა, ყველა ადამიანი

ჯანსაღი გონებით აღჭურვილი იბადება და შემდგომში ამ გონების სწორად გამოყენება თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული. მრავალი ადამიანი ამ უდიდეს წყალობას არაჯეროვნად იყენებს და ცხოვრებას ისე ამთავრებს, რომ გონების შესაძლებლობებსა და მისგან მომდინარე სიკეთეს სათანადოდ ვერ იყენებს. ადამიანი, რომელიც გონებას სათანადოდ ვერ იყენებს და შესაბამისად უგნურად იქცევა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ შეცდომას უშვებს და წარუმატებელი ცხოვრება აქვს. ასეთი ადამიანი ზნეობრივი თვალსაზრისითაც წარუმატებელია და მისი უგნური ქმედებითა და დაშვებული შეცდომების წყალობით მორალურ საფეხურზეც მაღლა ვერ იწევს.

2.2. სინდისიერება

სინდისი არის ადამიანის შინაგანი ხმა, რომელიც საკუთარ ან სხვის მიერ განხორციელებულ ქმედებას აფასებს და ადგენს, მორალურად ეს ქმედება სწორია თუ არასწორი. ქმედების ამგვარ შეფასებას შინაგანი ხმის სახით ვგრძნობთ. როდესაც სინდისის ხმას ვუსმენთ და მივყვებით, შინაგან სიმშვიდეს და კმაყოფილებას ვგრძნობთ, ხოლო თუ მის საწინააღმდეგოდ მოვიქეცით, შინაგანი მოუსვენრობა გვემართება, რომელსაც სინდისის ქენჯნა ეწოდება. ამრიგად, თუ ადამიანი გრძნობს, რომ მორალურ ვალდებულებას კარგად ასრულებს, მისი სინდისი დამშვიდებულია, ხოლო თ ამ ვალდებულებას არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს, სინდისის ხმა შინაგანი უკმაყოფილების სახით გამოიხატება. ამიტომაა, რომ მორალისტების აზრით სინდისი ის საზომია,რომელიც გაკეთებული საქმის სისწორეს განსაზღვრავს. (აინი, 2013; 34). სინდისი

ჩვენს ქცევებს არეგულირებს და ის ასევე განსაზღვრავს ჩვენი ქცევის სისწორეს,როდესაც მარტონი ვართ და რაიმე გარე ფაქტორი არ მოქმედებს. (გუნგორი, 2010; 59)

სინდისი, ისევე როგორც გონება ადამიანის ის უნარია, რომლითაც ის ცხოველისგან განსხვავდება. სინდისი ადამიანის სულში მოთავსებული ღვთის ხმაა. სინდისის მიმართ არამართებული დამოკიდებულება მის დათრგუნვას და ერთგვარ „დაბინძურებას“ გამოიწვევს და ამასთანავე სინდისის მიმართ მგრძნობიარე და გულისხმიერი დამოკიდებულებით მისი გაძლიერება და განვითარებაა შესაძლებელი. სინდისის ხმის სიძლიერე ადამიანის პიროვნებას განსხვავებულად წარმოაჩენს. ამიტომაა, რომ თუ ადამიანი ცუდად იქცევა, უსამართლობას სჩადის, ზღვარს გადადის და უკონტროლო ქცევებით გამოირჩევა, მას უსინდისოს უწოდებენ. სინდისიერი ადამიანი კი არა მარტო თავად არ სჩადის უსამართლობას, არამედ ის სხვების მხრიდან ჩადენილი უსამართლობის დროსაც წუხდება და ტკივილს განიცდის. ამ დროს ადამიანს თუ რაიმის გაკეთება არ შეუძლია, გულით გმობს კონკრეტულ საქციელს და მის მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდება. სწორედ ამგვარი ბუნების ადამიანებს კეთილსინდისიერი, პატიოსანი ადამიანები ეწოდებათ.

სინდისის სიძ იერე ან სისუსტე თანდაყოლილი არ არის და მისი ფორმირება აღზრდასთანაა დაკავშირებული. სინდისის სიძლიერე ადამიანის საკუთარი თავის უკეთ შეცნობაზეა დამოკიდებული. ეს არის შინაგანი საზომი, რომელსაც ადამიანი მუდმივად ყურს უგდებს და თანდათან რწმუნდება, რომ სინდისის კარნახით მოქცევის შემთხვევაში შინაგან კმაყოფილებას განიცდის. სინდისის ფორმირებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მორალური განზომი-

ლება და ცოდნის შეძენა. სინდისის სიძ იერეს სწორედ ეს მორალური განზომილება განსაზღვრავს. წესიერი ადამიანი ყოველთვის შინაგან წუხილს განიცდის, როდესაც ის რაიმე ისეთს გააკეთებს, რაც შინაგანად სჯერა რომ არასწორია. (გუნგორი, 2010, 59, 65). სინდისის ზემოქმედება ადამიანზე მხოლოდ სინდისის ქენჯნით არ შემოიფარგლება. სინდისს, რა თქმა უნდა გააჩნია, ქენჯნის სახით უსიამოვნო შეგრძნება, მაგრამ მას ასევე აქვს შინაგანი კმაყოფილებისა და ბედნიერების განცდაც. როდესაც ადამიანი კარგ რამეს გააკეთებს, მას სწორედ ამგვარი სასიამოვნო განცდა დაეუფლება.

სინდისი ადამიანის შინაგან გულწრფელობასთან, ანუ სუფთა გულთან ახლო კავშირშია. როდესაც გულის უბიწოება დაირღვევა და გულში სულიერი ლაქები გაჩნდება, ხელახალი უბიწოების მოსაპოვებლად პირველი ნაბიჯი მონანიებაა.ამის შესახებ ძვირფასი შუამავალი ასე გვმოძღვრავს: „როდესაც მსახური ცოდვას ჩაიდენს, მის გულში შავი წერტილი ჩნდება. თუ ცოდვის ჩადენას თავს დაანებებს, მოინანიებს და მიტევებას ითხოვს, გულის ისევ განეწმინდება, ხოლო თუ ამ ყველაფერს არ გააკეთებს და ცოდვის ჩადენას ისევ განაგრძობს, შავი წერტილი გადიდდება და ბოლოს მთელ გულს მოიცავს“. (იხ. თირმიზი, „თეფსირულ ყურან“, 83)

გულის სიწმინდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ყველა უარყოფითი გრძნობებისგან და ასევე რამდენად სავსეა მორალურად და შინაარსობრივად დადებითი, პოზიტიური გრძნობებით. პოზიტიური გრძნობების ჰეგემონია ადამიანის შინაგანი ბუნების სიწმინდეს განსაზღვრავს. სუფთა გული, კარგი გული, ეს ის ტერმინებია, რომლებიც ადამიანის შინაგანი ბუნების კეთილ-

შობილებას მარტივად აღწერს. კარგი გულის ადამიანობა უკიდურეს მიამიტობას არ გულისხმობს, როდესაც ადამიანს სხვების მხრიდან მომდინარე ავი ზრახვების დანახვა საერთოდ არ შეუძლია. კეთილი გულის ადამიანი, უბრალოდ, ყველაფერს კარგი თვალით უყურებს და საამისოდ წინასწარგანწყობა გააჩნია. ის უმეტესწილად დადებითს ხედავს და დაპროგრამებულია საიმისოდ,რომ ყოველთვის კარგის მხარეს დადგეს. ამასთანავე, კეთილი გულის ადამიანი იმ ადამიანებისგან, ვისაც სიკეთე გაუკეთა, რაიმე მატერიალურ სარგებელს არ მოელის. ის სიკეთეს ანგარებისთვის არასოდეს გააკეთებს. სიკეთის კეთება მისი დავალებაა, რომელსაც მისი რწმენა, სინდისი და გული კარნახობს. მისი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ის ამ დავალებას ზედმიწევნით ასრულებს და ჯილდოს მხოლოდ ღვთისგან მოელის. უფრო მეტიც, როდესაც სუფთა გულის ადამიანს გაკეთებული სიკეთისთვის სამაგიერო სიკეთეს გადაუხდიან, ის მიიჩნევს, რომ ამით მისი სრული უანგარობის პრინციპი დაირღვა და ცდილოს ასეთ სამაგიერო სიკეთეზე უარიც კი თქვას.

ამ სამყაროში ყველაზე მეტად მომწონს ეს პროფესია,

სიტყვა მართალი მქონდეს, ვემსახურო ჭეშმარიტებას!

მეჰმეთ აქიფ ერსოი, (1981; 240)

muslim.ge
Muslim Georgia Non-Profit International Charity Foundation



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

3. სიმართლე და პატიოსნება

3.1. სიმართლე

ადამიანი თავის შინაგან განწყობებს, მიზნებსა და ნაზრევს უმეტესწილად სიტყვით გადმოსცემს. სუფთა გულის, კეთილგანწყობითა და სინდისიერებით აღსავსე ადამიანი, რა თქმა უნდა, კარგ სიტყვას იტყვის. სიმართლე ადამიანისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. როდესაც ადამიანის აუბრობს, მისი ნათქვამი მის შინაგან განწყობას, მის სულიერ მდგომარეობასა და ცოდნას უნდა შეესაბამებოდეს. სიმართლეზე როცა ვსაუბრობთ, აქ უპირველეს ყოვლისა სიმართლის თქმა იგულისხმება. მისი საპირისპირო ტერმინი სიცრუეა. ამ ორ ერთმანეთის საპირისპირო ტერმინების შესახებ შუამავალიც საუბრობს: „უეჭველად, სიმართლეს სიკეთისკენ მივყავართ. სიკეთე კი სამოთხეში წაგვიყვანს. ადამიანი სიმართლის ლაპარაკით ღვთის წინაშე მართლად ჩაიწერება. ტყუილს ბოროტებისკენ მივყავართ. ბოროტება კი ჯოჯოხეთში წაგვიყვანს. ადამიანი ტყუილის ლაპარაკით ღვთის წინაშე ცრუდ ჩაიწერება“. (იხ. ბუჰარი, „ედებ“, 69; მუსლიმ, „ბირ“, 103, 104)

როდესაც სიმართლეზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვა იგულისხმება. ანუ როდესაც ადამიანი ლაპარაკობს, სიმართლე უნდა ილაპარაკოს. ასევე ძალიან მნიშნელოვანია მიცემული პირობის შესრულება და რაღა თქმა უნდა წერილობითი ფორმით წარმოდგენილი შინაარსის სიმართლე. ამ ყველაფრის სიმართლესთან შესაბამისობა უნდა ეფუძნებოდეს ჩვენს შინაგან დამოკიდებულებას და აგრეთვე ზოგად მდგომარეობას. ანუ რასაც ვამბობთ ან ვწერთ, სიმართლე უნდა იყოს. როდესაც ჩვენი სიტყვა გარესამყაროში არსებულ რეალობას არ შეესაბამება და ასევე ზოგად მორალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, ის სიმართლე ვერ იქნება. თუ ჩვენი სიტყვა გარესამყაროში არსებულ რეალობას შეესაბამება და არც მორალურ ღირებულებებს ეწინაარმდეგება, მაგრამ ჩვენს შინაგან რწმენას არ ემთხვევა, მაშინ ჩვენი დამოკიდებულებები და შინაგანი მდგომარეობა მცდარ გზას ადგას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით ადამიანი, რომელიც ცდილობს სხვები მოატყუოს და გარკვეული წარმოდგენები შეუქმნას.

ზოგადი თვალსაზრისით სიმართლე მხოლოდ ნათქვამი სიტყვის სიმართლით არ შემოიფარგლება. ის ამავდროულად სიტყვისა და საქმის თანხვედრას ნიშნავს. შესაბამისად მართალი ადამიანის სიტყვა, საქმე, დამოკიდებულებები და შეხედულებები ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს. ამგვარი ფართო მნიშვნელობით გამოყენებული ეს ტერმინი შეგვიძლია ჩავანაცვლოთ ტერმინით პატიოსნება. ჩვენი ქცევები ჩვენი შიანაგანი დამოკიდებულებების გამოვლინებაა. შესაბამისად, სიმართლე და პატიოსნება ნიშნავს, რომ ჩვენი შინაგანი დამოკიდებულებები, ჩვენს მიერ წარმოთქმული სიტყვები და ჩვენი ქცევები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს და ასევე სრულ თანხვედრაში

იყოს ზოგადსაკაცობრიო მორალურ ღირებულებებთან. ყურანში გაკიცხულნი არიან ის მუნაფიყები, რომელთა სიტყვა და ქცევა ერთმანეთს არ ემთხვევა. (იხ. თევბე, 9/42). ყურანშ ასევე დაგმობილია თვალთმაქცობა (იხ. მაუნი, 107/4-7). ასევე მკაცრად არიან გაფრთხილებულნი ის მორწმუნეები, რომელთა სიტყვა და ქცევა ერთმანეთისგან განსხვავებული. (იხ. საფ, 61/2-2). ეს ცხადი გაფრთხილება ყოველი მუსლიმისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ახლა შემოგთავაზებთ აიათს, რომლის მიხედვითაც მორწმუნეებს ევალებათ, რომ ყოველთვის სიმართელ ილაპარაკონ:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და ჭეშმარიტი სიტყვა თქვით!

თქვენი საქმეები გამოასწოროს და სასარგებლო ჰქმნას და მოგიტევოს ცოდვანი თქვენი. და ვინც ჰმორჩილებს ალლაჰს და მის შუამავალს, ჭეშმარიტად, მან დიად ნეტარებას მიაღწია!“ (აჰზაბი, 33/70-71)

გარდა მართალი სიტყვისა, ყურანი ბრძანებს ერთგულებას ყველა იმ პირობის მიმართ, რომლებსაც გავცემთ:

„და არ მიეკაროთ ობლის ქონებას, გარდა სიკეთით, სანამ არ გახდება სრულწლოვანი. და აღასრულეთ აღთქმა. უეჭველად, აღთქმა პასუხისმგებლობაა!“ (ისრა 17/34). მრავალ ჰადისში სიმართლის შესახებ გვმოძღვრავს შუამავალიც. მათგან ერთ-ერთი შემდეგია: „თქვენ თქვენი სახელით ამ ექვსი რამის შესახებ იმედი მომეცით და მე თქვენ სამოთხის იმედს მოგცემთ: ლაპარაკის დროს სიმართლე თქვით, მიცემული სიტყვა შეასრულეთ, როდესაც რამეს მოგაბარებენ გაუფრთხილდით, ნამუსი დაიცავით, თვა-

ლები არამისგან დაიცავით და ხელები არამისგან შორს დაიჭირეთ“. (იხ. იბნ ჰანბელი, 5, 323)

სიმართლის საპირისპირო ტერმინი სიცურიეა. სუცრუ-ის ფორმებია ასევე ცილისწამება და მოტყუება და ყველა მათგანი ცოდვაა. მაგალითად, ტყულის თქმა წმინდა ყურანითაა აკრძალული: „მოერიდეთ ტყუილის თქმას“. (იხ. ჰაჯი, 22/30). ძვირფასი შუამავალი კი ბრძანებს, რომ ტყუილი მუნაფიყის ერთ-ერთი თვისებაა: „მუნაფიყს სამი თვისება ახასიათებს: ლაპარაკის დროს ტყუილს ამბობს, მიცემულ პირობას არ შეასრულებს და როდესაც რამეს მიაბარებენ, ხელყოფს“. (იხ. ბუჰარი, „ედებ“, 69). სხვა ჰადისში შუამავალი ბრძანებს: „მოერიდეთ ტყუილის თქმას, რადგან ტყუილი გინდ სერიოზული იყოს, გინდ ხუმრობით ნათქვამი, მუსლიმს არ შეეფერება“. (იხ. იბნ მაჯე, „სუნნეთ“, 7)

მხოლოდ აშკარა ტყუილთან ერთად ფარული ტყუილიც იგივე სიცრუეა. მაგალითად ადამიანი ისეთ რამეს ყვება, რაც არ გაუკეთებია ან არ გააკეთებს. ესეც ადამიანების მოტყუება და მათი შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ყურანის წმინდა აიათი ამის შესახებაც მკაცრად გვაფრთხილებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რატომ ამბობთ იმას, რასაც არ აკეთებთ?

დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე იმის თქმა, რასაც არ აკეთებთ“. (საფი, 61/2-3)

აიათში ასევე ნაბრძანებია, რომ ტყუილი და ორპირობა ადამიანს ჯოჯოხეთში წაიყვანს,ხოლო სიმართლე მიტევებისა და გადარჩენის საწინდარია:

3. სიმართლე და პატიოსნება

„უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“ (აჰზაბი, 33/35)

იუნუს ემრეც თავის ლექსებში სიმართლის ზნეობრივ სიკეთეებზე ხშირად საუბრობს: (2006; 417).

ამ გზის ბოლოს, უცილოდ, წმინდა ბეწვის ხიდია,
მეგობრისკენ მიმავალს სიმართლე აქვს საგზალი
იგი უყვარს გამჩენსაც, ვინაც არის მართალი.
ორივ ქვეყნად მოიგებს, ვინც კი არის ალალი.

ტყუილისა და ცილისწამების გარდა, არსებობს სხვა კატეგორია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მართალი იყოს, მაინც მორალურად მიუღებელია. ეს არის ჭორი. როდესაც ადამიანის შესახებ ზურგსუკან ლაპარაკობენ და ისეთ რამეებს ამბობენ, რომელიც ადრესატს სურს რომ საიდუმლოდ დარჩეს, ეს ჭორია. ამ დროს შეიძლება მოსაუბრემ სიმართლე თქვას, მაგრამ მორალურად მაინც გაუმართლებელი, რადგან ჭორის დროს ადამიანის ისეთი ამბავი ვრცელდება, რომლის გავრცელება და გახმაურება მას არ სურს, რადგან ეს ამბავი მას რაიმე ფორმით აზიანებს.

ადამინებს შორის ურთიერთობისას განსაკუთრებით ნეგატიური როლის მატარებელია ენის მიტან-მოტანა. ასეთ დროს შესაძლებელია, რომ ამბავი, რომელიც ერთ ადამიანს მეორესთან მიაქვს სიმართლეს შეესაბამებოდეს, მაგრამ შედეგის თვალსაზრისით ასეთი რამ ადამიანთა ურთიერთობის გაფუჭებას იწვევს და შესაბამისად უკიდურესად ნეგატიური მოვლენაა. ენის მიტან-მოტანა ძირითადად ხორციელდება ისეთ ადგილებშ, სადაც ადამიანებს ახლო ურთერთობა უწევთ. მაგალითად სამახასური, სამეზობლო, სამეგობრო და ასე შემდეგ. ასეთი ახლო ურთიერთობის პირობებში ზურგსუკან საუბარი და ენის მიტან-მოტანა, ამ ურთიერთობებს აზიანებს. საბოლოო ჯამში, ამგვარი ქცევა, შედეგის თვალსაზრისით, ნათესავური და მეგობრული ურთიერთობების მოშლას იწვევს, რაც საზოგადოებრივი სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის საფრთხის მომტანია.

გარდა იმისა, რომ ადამიანმა სიმართლე უნდა ილპარაკოს, ამასთანავე, არსებობს წესები, რომლებიც ადამიანმა ლაპარაკის დროს უნდა დაიცვას. ზნეობრივად აღზრდილი და წესიერი ადამიანი ამ ყველაფერს უნდა ითვალისწინებდეს. თუ ამ ყველაფერს არ გაითვალისწინებს, შეიძ ება ის ტყუილის თქმაშ არავინ დაადანაშაულოს,მაგრამ ტაქტი და წესი დაირღვევა, რაც არანაკლებ უსიამოვნო მოვლენაა. წესები, რომლებსაც ვგულისხმობთ შემდეგია: 1) ზედმეტი ქება და პირმოთნეობა. 2) შეუსრულებელი რამეების დაპირება. 3) ნათქვამის აუცილებლად შესრულება. 4) ლაპარაკის დროს ტონალობისა და ინტონაციის შერჩევა. 5) ზედმეტად ხმამაღალი და ყვირილით საუბრისგან თავის შეკავება. 6) ცენზურის დაცვა, რაც გულისხმობს უცენზურო სიტყვების გამოუყენებლობსა და ბილწსიტყვაობისგან თავის არიდებას. 7) ყველა ადამიანთა მისთვის გა-

საგებ სტილში საუბარი. დაუშვებელია დამამცირებელი ან დამცინავი პატოსით საუბარი. (მავერდი, 1982; 457-62)

ამრიგად, როდესაც სიმართლეზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვა იგულისხმება. ანუ როდესაც ადამიანი ლაპარაკობს, სიმართლე უნდა ილაპარაკოს. ასევე ძალიან მნიშნელოვანია მიცემული პირობის შესრულება და რაღა თქმა უნდა წერილობითი ფორმით წარმოდგენილი შინაარსის სიმართლე. ამ ყველაფრის სიმართლესთან შესაბამისობა უნდა ეფუძნებოდეს ჩვენს შინაგან დამოკიდებულებას და აგრეთვე ზოგად მდგომარეობას. ანუ რასაც ვამბობთ ან ვწერთ, სიმართლე უნდა იყოს. როდესაც ჩვენი სიტყვა გარესამყაროში არსებულ რეალობას არ შეესაბამება და ასევე ზოგად მორალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, ის სიმართლე ვერ იქნება. თუ ჩვენი სიტყვა გარესამყაროში არსებულ რეალობას შეესაბამება და არც მორალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ჩვენს შინაგან რწმენას არ ემთხვევა, მაშინ ჩვენი დამოკიდებულებები და შინაგანი მდგომარეობა მცდარ გზას ადგას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით ადამიანი, რომელიც ცდილობს სხვები მოატყუოს და გარკვეული წარმოდგენები შეუქმნას.

3.2. პატიოსნება

ზოგადად, სიმართლე და პატიოსნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. უფრო მეტიც, უმეტესწილად ეს ორი ტერმინი ერთმანეთის მაგივრად გამოიყენება და ისინი ერთმეორის შინაარსს იტევენ. როდესაც ვამბობთ სიმართლეს პატიოსნებაც იგულისხმება და პირიქით, პატიოსნების ხსენებისას სიმართლეც იგულისხმება. ისლამური

მორალის ტრადიციაში აქცენტი უმეტესწილად პატიოსნებაზეა გაკეთებული. ამ ორ ტერმინს შრის ნიუანსი, ის მცირე განსხვავება შესაძლებლელია შემდეგნაირად განიმარტოს. სიმართლე უფრო ვიწრო გაგებით გამოიყენება, ანუ ის სიტყვის ან ქცევის სიმართლეს გულისხმობს. მისი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა სიცრუეა. ტყუილის მთქმელი ადამიანი კი მატყუარაა. თუ სიმართლეს ფართო კონტექსტში წარმოვიდგენთ, ამ შემთხვევაში უკვე პატიოსნებაა. ანუ ადამიანი არა მარტო სიტყვით, არამედ ქცევით, მოქმედებით, გრძნობით დამოკიდებულებებით მართალი ადამიანია. პატიოსნების ანტონიმი მხოლოდ სიცრუე არ გახლავთ. მისი საპირისპირო მდგომარეობა სიცრუესთან ერთად ორპირობა, თაღლითობა, ფარისევლობა და სხვა მსგავსი რამეებია.

როგორც უკვე მოგახსენეთ, სიმართლე უფრო ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება და ის სწორ სიტყვას, სწორ გადაწყვეტილებებს ახასიათებს. რაც შეეხება პატიოსნებას, ის უფრო მეტად ადამიანს ახასიათებს და გულისხმობს, რომ ადამიანი ზოგადად მართალია, წესიერია, პატიოსანია.

თუ პატიოსნებას სიმართლესთან შედარების გარეშე ცალკე განვიხილავთ, პატიოსნება ჩვენი შინაგანი განწყობების, სიტყვის, საქმის, გრძნობებისა და შეხედულებების, ყველა ქცევისა და დამოკიდებულებების საერთო, ზოგად მორალურ ღირებულებებთან თანხვედრას გულისხმობს. როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანი პატიოსანია, ეს ნიშნავს, რომ მისი ყველა ქცევა და მისი ყველა ურთიერთობა სიმართლისა და პატიოსნების პრინციპს ეფუძნება. ამ შემთხვევაში ადამიანისთვის სიმართლე მისი მტკიცე და

უცვლელი ჩვევაა. ასეთი ადამიანი არამარტო ინდივიდუალურ ან საოჯახო ურთიერთბებში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სოციალურ ცხოვრებაშიც ყოველთვის მართალია. მავლანა ამბობს: „წარმოჩნდი ისეთი, როგორიც ხარ, ან იყავი ისეთი, როგორიც წარმოჩნდები“.

როდესაც პატიოსნებაზე ვსაუბრობთ, აქ სიტყვაზე მეტად ადამიანის ზოგადი მდგომარეობა იგულისხმება. პატიოსანი ადამიანის სიტყვა, საქმე, ღირებულებები, მიზნები, შეხედულებები და ზოგადად მისი ზნეობრივი მდგომარეობა ზოგად ზნეობრივ ღირებულებებს უნდა ემთხვეოდეს და სიმართლის, სიკეთის, დადებითის მხარეს უნდა იდგეს. მნიშვნელოვანია ჩვენი შინაგანი განწყობების მდგომარეობა. მაგალითად, ჩვენი განზრახვები კეთილი უნდა იყოს. ჩვენი დამოკიდებულებების საფუძველს სიყვარული და კეთილგანწყობა წარმოადგენდეს. ჩვენი გრძნობები შურის, ბოღმის, სიძულვილისა და მრისხანებისგან თავისუფალი უნდა იყოს. ასევე უნდა გავთავისუსფლდეთ ანგარებისა და ეგოიზმისგან, მედიდურობისგან სიამაყისა და ამპარტავნებისაგან.

როდესაც ადამიანი შინაგანად პატიოსანია, ის სხვა ადამიანების მიმართ დადებით დამოკიდებულებებს ავლენს. მისი ზრახვები კეთილია და ადამიანებისთვის სარგებელის მოტანას ემსახურება. ასევე თავისუფალია მისი სინდისი და შესაბამისად მისი ხასიათი გულითადი და სასიამოვნოა. ამგვარი შინაგანი ჰარმონია ადამიანს ყოველმხრივ დადებითად წარმოაჩენს და მასთან ურთიერთობა ფრიად სასიამოვნოა. ყურანის სწავლების მიხედვით ადამიანი მუდმივად უნდა ცდილობდეს,რომ შინაგან პატიოსნებას მიაღწიოს და ამისათვის ღმერთს შეწევნა უნდა სთხოვოს.

„და თქვი: „ღმერთო ჩემო! შემიყვანე ჭეშმარიტებით და გამომიყვანე ჭეშმარიტებით, და დამიდგინე შენგან დამხმარე ძალა !“ (ისრა, 17/80)

პატიოსანი ადამიანი, ბუნებრივია, ყველა იმ დამოკიდებულებისა და ქცევისგან შრს დგას, რომლებიც პატიოსნების მცნებას ჩრდილს აყენებს. მაგალითად, პატიოსანი ადამიანი გულშ სხვათა მიმართ ზიანის მიყენების აზრს არ კვებავს და ამ აზრს ჩასახვისთანავე უკუაგდებს. ის არ იტყუება, არ ორპირობს, არ აფერისტობს და ა.შ. პატიოსნება ჩვენი შინაგანი განწყობების, სიტყვის, საქმის, გრძნობებისა და შეხედულებების, ყველა ქცევისა და დამოკიდებულებების საერთო, ზოგად მორალურ ღირებულებებთან თანხვედრას გულისხმობს. როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანი პატიოსანია, ეს ნიშნავს, რომ მისი ყველა ქცევა და მისი ყველა ურთიერთობა სიმართლისა და პატიოსნების პრინციპს ეფუძნება. ამ შემთხვევაში ადამიანისთვის სიმართლე მისი მტკიცე და უცვლელი ჩვევაა. ასეთი ადამიანი არამარტო ინდივიდუალურ ან საოჯახო ურთიერთბებში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სოციალურ ცხოვრებაშიც ყოველთვის მართალია. ყურანში მოცემულია აიათები, რომლებიც გმობს ადამიანის უარყოფით ქცევებს და ადამიანების მოტყუებას ცდილობენ:

„ ვაი მათ, რომელნიც საწყაოსა და წონას აყალბებენ!

რომელნიც ყიდვის დროს ხალხისგან ზუსტად მოითხოვენ!

და როცა სხვებს მიუზომავენ ან მიუწონიან, წონას აკლებენ!“ (მუტტაფიფინი, 83/1-3)

ძვირფასი შუამავალი კი ბრძანებს: „ვინც გვატყუებს, ჩვენიანი არ არის“. (იხ. მუსლიმი, „იმან“, 164). ამრიგად, მატყუ-

არები მკაცრად არიან დაგმობილნი და ბუნებრივია ისინი პატიოსანი ადამიანები არ არიან.

ისლამური მორალის ტრადიციაში აქცენტი უმეტესწილად პატიოსნებაზეა გაკეთებული. ამ ორ ტერმინს შრის ნიუანსი, ის მცირე განსხვავება შესაძლებლელია შემდეგნაირად განიმარტოს. სიმართლე უფრო ვიწრო გაგებით გამოიყენება, ანუ ის სიტყვის ან ქცევის სიმართლეს გულისხმობს. მისი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა სიცრუეა. ტყუილის მთქმელი ადამიანი კი მატყუარაა. პატიოსანი ადამიანის სიტყვა, საქმე, ღირებულებები, მიზნები, შეხედულებები და ზოგადად მისი ზნეობრივი მდგომარეობა ზოგად ზნეობრივ ღირებულებებს უნდა ემთხვეოდეს და სიმართლის, სიკეთის, დადებითის მხარეს უნდა იდგეს. მნიშვნელოვანია ჩვენი შინაგანი განწყობების მდგომარეობა. მაგალითად, ჩვენი განზრახვები კეთილი უნდა იყოს. ჩვენი დამოკიდებულებების საფუძველს სიყვარული და კეთილგანწყობა წარმოადგენდეს.

არსებობს შემთხვევები, როდესაც მატყუარა ადამიანები ახერხებენ, რომ ადამიანებს სიმართლის მთქმელებად წარუდგნენ და დროის რაღაც მონაკვეთში წარმატებებს აღწევენ. ამ ყველაფერს ისინი ანგარების მიზნით აკეთებენ. თუმცა ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო და შესაბამისად მათი ტყუილი ადრე თუ გვიან აუცილებლად გამჟღავნდება. პატიოსანი ადამიანი საზოგადოებაში ნდობით სარგებლობს და მის სიტყვებში ეჭვს არავინ შეიტანს. ისინი ამ ნდობით კეთლად სარგებლობენ და ხალხის პატივისცემას ამართლებენ კიდეც. შედეგად, პატიოსანი ადამიანები საკუთარი თავის რწმენას, თვითშეფასებას იმაღლებენ და პატიოსანი, ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობენ.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

როდესაც ვნახავ ჭრილობას,
მეც მეწვის გული,
დასაამებლად ვიღონებ
ყველაფერს ვცდილობ,
მე არ მჩვევია არად ჩაგდება,
ვაფასებ ყველას,
ყველაფერს ვიზამ,
რომ იზეიმოს ჭეშმარიტებამ.

მეჰმეთ აქიფ ერსოი (1981; 400)

muslim georgia
muslim georgia volunteer international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

4. სამართლიანობა და სამართალი

4.1. სამართლიანობა

მორალური ღირებულებების ადამიანის ცხოვრებაში მტკიცედ ჩამოყალიბებისათვის, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ბუნების, გულისა და გონების მდგომარეობის სილამაზეა საჭირო. ამის შემდეგ ეს შინაგანი სილამაზე ადამიანის ქცევებში ვლინდება და ის გარშემომყოფების მიმართ კარგად მოქცევაში აისახება. ასეთ დროს ადამიანი გარემოსთან ჰარმონიულ ურთიერთობებს ინარჩუნებს და მუდმივად ცდილობს ყველასათვის სასარგებლო იყოს. ამ თვალსაზრისით, საჭიროა მორალური ღირებულებების სწორი კლასიფიკაცია, რათა ჩვენი მცდელობა, რომ მოზარდებში სწორი ზნეობრივი ფორმირება მოვახდინოთ, წარმატებული გამოდგეს. ამრიგად, ზნეობრივი ქცევების ათვისებამდე შინაგანი სამყარო, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა უნდა მოწესრიგდეს. გულის სისუფთავის, სინდისიერების, სიმართლისა და სხვა ადამიანური ღირებულებების ჩამონათვალში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

ადგილი სამართლიანობას უკავია. სამართლიანობის პირობებში სამართალი კეთილსინდისიერად აღსრულდება და საზოგადობაშიც სამართლიანობის განცდა დაისადგურებს, რაც თავის მხრივ საზოგადოებრივი სიმშვიდის საწინდარია.

„ჩვენს გაჩენილთაგან, არიან ხალხი, რომელნიც ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობენ და ასევე ატარებენ სამართალს მისით “. (ეღრაფი, 7/181). ამრიგად, როგორც ყურანის აიათშია ნაბრძანები, სამართლიანობის საფუძველი ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებისთვის მსახურებაა.

ადამიანს სხვა და სხვა უფლებები გააჩნია. ამათგან ზოგი დაბადებიდანვე ენიჭება, ხოლო ზოგს შემდგომში მოიპოვებს. აღნიშნული უფლებები მორალითა და სამართლის ფარგლებში განისაზღვრება. უფლებების მოპოვები, დარღვეული უფლების აღდგენის, უსამართლობის გამოვლენისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის დროს მორალური და სამართლებრივი ნორმების დაცვა აუცილებელი პირობაა. ისლამის მიხედვით ყველა უფლება ღვთის მიერ დადგენილი და დაცულია. ადამიანის უფლებები მრავალ ქვემუხლებად იყოფა და დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება. ადამიანისგან, რომელსაც სამართლინობის გრძნობა გააჩნია, ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში სწორად მოქცევაა მოსალოდნელი.

ყურანში განსაკუთრებული მნიშვნელობა ღვთისა და მშობლების წინაშე ვალდებულებებს ენიჭება.

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!“ (ისრა, 17/23)

ასევე ყურანში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ძირითად უფლებას, რომელიც სიცოცხლის უფლებითაა ცნობილი:

„ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლა-ჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!“ (ფურყანი, 25/68)

სამართლიანობა ამქვეყნიურ და საიქიო ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. ამქვეყნიურ ურთიერთობებს სამართლიანობა უნდა აწესრიგებდეს და ასევე საიქიოში, განკითხვის დღეს ღვთიური სამართლის მიხედვით განვიკითხებით. აღნიშული თემის შესახებ ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„გაბრწყინდა ქვეყანა ღმერთის შარავანდედით და დაიდვა წიგნი და მოყვანილი იქნენ შუამავალნი და მოწმენი. და განისაჯა მათ შორის ჭეშმარიტებით და ისინი არ დაიჩაგრებიან“. (ზუმერი, 39/69)

ამრიგად, განკითხვის დღეს იმედგაცრუებული რომ არ დავრჩეთ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში სამართლიანად უნდა მოვიქცეთ.

4.2. სამართალი

სამართლიანობა ნიშნავს ყველას უფლების დაცულობას და ასევე უფლების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ შესაბამისი ორგანოების ან პირის მხრიდან ადეკვატური სასჯელის გამოყენებას. ადამიანს, რომელიც იცავს სხვათა უფლებებს, უფრთხილდება და ითვალისწი-

ნებს, სამართლიანი ადამიანი ეწოდება. სამართლის ხსენებაზე, პირველ რიგში, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო გვახსენდება. თუმცა, ეს მხოლოდ სამართლის ვიწრო გაგებაა. სამართალი ანუ სამართლიანობა მორალური ღირებულებაა, რომელსაც ადამიანები უნდა იცავდნენ. გამომდინარე აქედან, სამართლიანობის, როგორც მორალური ღირებულების ეფექტური მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვიცავთ სხვათა უფლებებს და ეს ყველაფერი ჩვენი შინაგანი ბუნებიდან უნდა მოდიოდეს.

როგორც იბნ ჰაზმი ამბობს, სამართალი ის ციხესიმაგრეა, სადაც ყველა საშიშროების შემთხვევაში თავშესაფარს ვპოულობთ. ადამიანი შეიძლება თავად იყოს მოძალადე, მაგრამ როდესაც მას რაიმე საფრთხე დაემუქრება, მაშინვე სამართალს მიმართავს და ძალადობის დაგმომბას დაიწყებს. სამართლიანობას არავინ არასოდეს გმობს. ვისაც სამართლიანობა ბუნებრივად ახასიათებს, ამ ციხესიმაგრის მუდმივი ბინადრები არიან. რაგიბ ელ-ისფაჰანი კი ამბობს, რომ სამართლიანობის გარეშე სხვა მორალური ღირებულკებები ფასს კარგავს. ვინს სამართლიანი არ არის, ვერც ზნეობრივად სრულყოფილი იქნება. ზნეობრიობას სამართლიანობა სჭირდება. ამრიგად, ზნეობრიობა სამართლიანობაზე უნდა იყოს დამყარებული. ნაჰლის სურას 90-ე აიათში უზენაესი გამჩენი ასე ბრძანებს:

„უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!“

4. სამართლიანობა და სამართალი

როდესაც სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, აქ უპირველეს ყოვლისა ადამიანის უფლებები გვახსენდება. ზოგი უფლება ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება, ხოლო ზოგი შემდგომში. დაბადებიდან მონიჭებული უფლები მაგალითია სიცოცხლის უფლება. შემდგომშ მონიჭებული უფლება შეიძლება იყოს მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების უფლება და სხვა მსგავსი. რომელიმე უფლების მქონე ადამიანს უფლებამოსილი პირი ეწოდება. ზოგჯერ ხდება, რომ უფლებების განაწილების ან საკუთრების განაწილების დროს მიკერძოება ან არასამართლიანი მიდგომა ვლინდება. ამ დროს წარმოიქმნება დავის საკითხი და ყველა უფლების მქონე პირს თავისი უფლება დაუბრუნდება. როდესაც უფლებარღვეული პირის მიმართ სამართლიანობა აღდგება ასევე წარმოიშობა უფლედამრღვევის მიმართ სასჯელის ზომა. ყველა უფლების დასაწყისშივე დაცულობას სამართლიანი განაწილება ჰქვია, ხოლო შემდგომში დარღვეული სამართლიანობის გამოსწორებას, სამართლიანობის აღდგენა. ამრიგად, ადამიანთა შორის ურთიერთობებს, საზოგადოებრი წესრიგსა და ქონებრივ განაწილებას სამართალი აწესრიგებს.

წარმოქმნილი უფლების განხორციელებისათვის აუცილებელი ამ უფლების კანონიერება. ანუ ყოველი უფლება არსებულ კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს. უფლების კანონიერების შემთხვევაში მისი განხორციელება სავალდებულოა. როდესაც უფლება კანონთან და სამართლიანობასთან აბსოლუტურ თანხვედრაშია, ეს იდეალური მდგომარეობაა, რადგან შეიძ ება არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც კანონთან შესაბამისი რამ სამართლიანი არ იყოს და საბოლოო ჯამში მართალი ადამიანი დაზარალდეს.

ამრიგად, სამართლიანობა თანასწორობასთან მჭიდრო კავშირშია. თუმცა მას განსხვავებული მხარეებიც გააჩნია. ეს განსხვავება ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება. მაგალითად ასეთი შემთხვევებია შეჯიბრება და ჯილდოს გადაცემა. შეჯიბრების დროს ყველა მონაწილე ერთი საწყისიდან, თანასწორობის პრინციპის დაცვით შეჯიბრებაში ერთვებიან, მაგრამ შეჯიბრების ბოლოს ყველა ერთნაირ ჯილდოს ვერ მიიღებს, რადგან ყველა გამარჯვებული ვერ გახდება. ღირსეულ გამარჯვებულზე ჯილდოს გადაცემა სამართლიანობაა. თუნდაც ჯამაგირი ავიღოთ. ზოგ ადამიანს მეტს უხდიან, ზოგს კი- ნაკლებს. ეს პროფესიონალიზმითა და დამსახურებითაა განსაზღვრული და მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი სამართლიანობის დაცვა რთულია, მაინც ამგვარი გადანაწილება სამართლიანად ითვლება. აღნიშნულის შესახებ ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„უეჭველად, ალლაჰი გიბრძანებთ, რომ ანაბარი უკან დაუბრუნოთ თავის პატრონებს და როცა განსჯით ადამიანთა შორის, სამართლიანად განსაჯოთ. უეჭველად, რა მშვენიერია ალლაჰის შეგონება! უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!“ (ნისა, 4/58)

სამართალი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. მნიშვნელობა არ აქვს ჩვენს წინაშე ვინ იქნება, მდიდარი თუ ღარიბი, თანამდებობის პირი თუ რიგითი მოქალაქე, სამართალი ყველასთვის თანაბრად უნდა აღსრულდეს. ჭეშმარიტი მუსლიმისთვის სამართლიანობის პრინციპი შეულახავია. ის ყველაფერს იღონებს, რომ სამართლინობა განხორციელდეს და მისი ქმედებით სამართლიანობის პროცესს ხელი არ შეეშალოს. სამართლინობის განხორცილებისას მიუკერძოებლობა და თანაბარი პირობების

გათვალისწინება აუცილებელი პირობაა. სამართლიანობასთან დაკავშირებით ყურენში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი. და ეს რომც იყოს თქვენს წინააღმდეგ , ან თქვენი მშობლებისა და ნათესავების, მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, რადგანაც ალლაჰი უფრო ახლოსაა ორივესთან , მაშ, ნუ გაყვებით გულისნადებს , რომ არ გადაუქციოთ ჭეშმარიტებას, და თუ გაამრუდებთ ან გაექცევით , უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!“ (ნისა, 4/135)

სამართლიანობის განხორციელების ნიუანსებთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი აიათის გახსენებაც:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი! და არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან; და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ“. (მაიდე, 5/8)

სამართლიანი განსჯის ან სამართლიანი მოწმეობის შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ვინ არის შენს წინაშე. ვინც არ უნდა იყოს, ყველას მიმართ თანაბარი და მიუკერძოებელი მიდგომაა საჭირო.ამის შესახებ ყურანი გვაფრთხილებს. ჭეშმარიტი მუსლიმისათვის სამართლიანობაზე ღალატი და მასზე ხელის შეშლა მიუღებელია. ასევე მნიშვნელოვანია უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვა. დანაშაულის დამტკიცებამდე ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება და მასთან შესაბამისად მოპყრობაა საჭირო. გარდა ამისა, ყველა დანაშაულს თავისი სიმძიმის მიხედვით შესაბამისი სასჯელი ეკუთვნის. ამ ყველაფერთან ერ-

თად კი მიტევება და პატიებაც მორალურად გამართლებული საქციელია. ამის შესახებ მოვისმინოთ შემდეგი აიათი:

„სიავის საზღაური მისი ტოლფასი სიავეა. მაგრამ ვინც მიუტევებს და მშვიდობას დაამყარებს, მაშინ გასამრჯელო მისი ალლაჰთანაა. უეჭველად, მას არ უყვარს უსამართლონი“. (იხ. შუარა, 42/40)

საყოველთაო სამართლიანობის დაცვის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ყოველი ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და ასევე დანაშაულის შემთხვევაში დანაშაულის სიმძიმის პროპორციული სასჯელი უნდა იქნას გამოყენებული. თანამედროვე ეპოქაში კი სამართლიანობა უფრო ფართო მნიშვნელობის გახდა და ადამინები გარდა თანასწორი განსჯისა, კანონისგან განუხრელ დაცულობასა და დახმარებას ითხოვენ. ამ პროცესში, გარდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლისა, ჩამოყალიბდა სოციალური სამართალიც. ეს უკანასკნელი სახელმწიფოსგან გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რათა ადამიანები სოციალურ ასპექტში თანსაწორ მდგომარეობაში იყვნენ.

სამართლებრივი და სოციალური უთანასწორობა ის პრობლემებია, რომლის წინააღმდეგაც ჩვენი სარწმუნოება დასაწყისიდანვე იბრძვის. ამრიგად, სოციალური თანასწორობა და სოციალური მართლწესრიგის იდეალური გაგება მუსლიმებისთვის უცხო ხილს არ წარმოადგენს. ისლამში არის პრინციპები, რომლებიც სოციალურ თანასწორობასა და საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ყურანის აიათს:

4. სამართლიანობა და სამართალი

„რა ალაფიც ალლაჰმა მიჰმადლა თავის შუამავალს სოფელთა მკვიდრთაგან, ალლაჰს ეკუთვნის , ასევე შუამავალს, ნათესავებს, ობლებს, უპოვრებს და მოგზაურებს. რომ არ ერგუნოს იგი ქონება მდიდარს თქვენ შორის. და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან. გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურიანია!“ (ჰაშრი, 59/7)

სოციალური სამართლიანობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პოლიტიკაა. ამ უკანასკნელის შესახებ განსახვავებული მოსაზრებები არსებობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კამათი სამართლიანობას, მორალსა და პოლიტიკას, მათ ურთიერთკავშირს ეხება. ამ მიმართულებით ჰილმი ზია ულქეს მოსაზრებები საკმაოდ ყურადსაღებია. ის ამბობს, რომ წარსულშ მოღვაწე პოლიტიკოსების აზრით, პოლიტიკა მორალთან ჰარმონიაში ვერ იქნება. პოლიტიკის მიხედვით ხვალინდელი კარგი დღისთვის დღეს ცუდი რამეების ჩადენა მისაღები ფორმაა. ულქე ამბობს, რომ წარსულშ მოღვაწე პოლიტიკოსები ამ საკითხში სასტიკად ცდებოდნენ. ბოროტებით სამართლიანობის მიღწევა შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია სიკეთისკენ მიმავალი გზა ბოროტებაზე გადიოდეს. ბოროტება მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებისთვის კეთდება. ამრიგად, ულქე მიიჩნევს, რომ მორალის გარეშე სამართლიანობა არ მიიღწევა და შესაბამისად პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მორალი და სამართლიანობა ძირითადი ფაქტორებია. შეუძლებელია პოლიტიკა მორალის გარეშე და ასევე მორალიც ვერ იქნება პოლიტიკის გარეშე. ულქე ასევე მიიჩნევს, რომ ერთეულების სიმართლეს აზრი არ აქვს, თუ სიმართლე არ იბატონებს. ცალკეული სიკეთე საკმარისი არ იქნება, თუ სიკეთე საყოველთაო არ იქნება. არც ცარიელი სიტყვებით მორალის ქადაგება

გვიშველის, თუ მორალი ჩვენი ცხოვრების წესად არ იქცა. (2012; 58-59)

როდესაც სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, აქ უპირველეს ყოვლისა ადამიანის უფლებები გვახსენდება. ზოგი უფლება ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება, ხოლო ზოგი შემდგომში. დაბადებიდან მონიჭებული უფლები მაგალითია სიცოცხლის უფლება. შემდგომშ მონიჭებული უფლება შეიძლება იყოს მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების უფლება და სხვა მსგავსი. რომელიმე უფლების მქონე ადამიანს უფლებამოსილი პირი ეწოდება. ზოგჯერ ხდება, რომ უფლებების განაწილების ან საკუთრების განაწილების დროს მიკერძოება ან არასამართლიანი მიდგომა ვლინდება. ამ დროს წარმოიქმნება დავის საკითხი და ყველა უფლების მქონე პირს თავისი უფლება დაუბრუნდება. როდესაც უფლებარღვეული პირის მიმართ სამართლიანობა აღდგება ასევე წარმოიშობა უფლედამრღვევის მიმართ სასჯელის ზომა. ყველა უფლების დასაწყისშივე დაცულობას სამართლიანი განაწილება ჰქვია, ხოლო შემდგომში დარღვეული სამართლიანობის გამოსწორებას, სამართლიანობის აღდგენა. ამრიგად, ადამიანთა შორის ურთიერთობებს, საზოგადოებრი წესრიგსა და ქონებრივ განაწილებას სამართალი აწესრიგებს.

ამრიგად სამართლიანობა ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა და ის საყოველთაო ღირებულებას წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურანის აიათი მოვიმინოთ:

„არ გიკრძალავს თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელნიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და

მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები“. (მუმთეჰინე, 60/8)

„კარგი მსმენელნი სიცრუის, მჭამელნი აკრძალულის, თუკი შენთან მოვლენ , განსაჯე მათ შორის ან ზურგი აქციე მათ. და თუ შენ ზურგს შეაქცევ მათ, ვერანაირ ზიანს ვერ მოგაყენებენ. და თუ განსაჯე მათ შორის, განსაჯე სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები“. (მაიდე 5/42)

საბოლოო ჯამში, სამართლიანობა ის ღირებულებაა, რომელიც ადამიანს ღვთის წინაშე აამაღლებს და მისი კმაყოფილების მოპოვების საწინდარი გახდება. ღმერთს უყვარს სამართლიანნი, ნაბრძანებია ყურანში (იხ. მაიდე 5/42). სამართლიანობისკენ მოგვიწოდებს ძვირფასი შუამავალიც. (იხ. ნესაი, ადაბულ-ქუდათ, 1. სამართლიანობის ანტონიმი უსამართლობაა, ბოროტებაა. ბოროტება კი ღვთის მიერ დაგმობილი ცოდვაა. ღმერთს არ უყვარს უსამართლონი, ნაბრძანებია ყურანში (იხ. ალი იმრან, 3/57) შუამავალი არათუ გვასწავლის რომ არ უნდა ვიყოთ უსამართლონი,არამედ ის გვირჩევს, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ავიმაღლოთ და უსამართლობა შევაჩეროთ. (იხ. თირმიზი, თეფსირულ-ყურან, 5). ამრიგად, თუ ადამიანს სურს, რომ არ იყოს მათთაგანი, ვინც ღმერთს არ უყვარს, მაშინ ვალდებულია სამართლიანად მოიქცეს.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

გახსენი ბორკილები,
გათავისფლდი, შვილო!

ოქროსა და ვერცხლს ნუ ემონები.

ზღვა რომ თასში ჩაასხა,
განა რა შეგრჩება?

მხოლოდ ერთი დღის სამყოფი წყალი.

მევლანა, (მესნევი, 1; 44)

muslim Georgia
Muslim Georgia International Charity Foundation



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

5. ხელგაშლილობა და სიკეთე

5.1. ხელგაშლილობა

ყურანში ნაჰლის სურას 90-ე აიათში ზოგიერთი მორალური ვალდებულებები და აკრძალულები თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი. სმართლიანობის შემდეგ სიკეთეა ნაბრძანები. ანუ ღმერთი გვიბრძანებს, ვაკეთოთ სიკეთე. გამომდინარე აქედან, სანამ სხვა მორალურ ღირებულებებზე გადავალთ, სამართლიანობის შემდეგ სიკეთე განვიხილოთ. აქვე გაგვახსენდება, რომ სიკეთის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სხვებზე დახმარების გაწევაა. სიკეთე უფრო ფართე მნიშვნელობის მცნებაა, ვიდრე დახმარება. ადამიანი, რომელსაც სიკეთის კეთება უყვარს, ყველას ეხმარება, მიუხედავად იმისა, მოპირდაპირე მხარეს სჭირდება თუ არა, მაგრამ ის უპირატესობას იმას ანიჭებს, ვისაც მისგან დახმარება სჭირდება. ხელგაშლილობა სიკეთესთან ახლო კავშირშია. სიკეთე და ხელგაშლილობა ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ამათგან ხელგაშლილობა სიკეთის ერთ-ერთი ნიშანია.

ხელგაშლილობაზე როდესაც ვსაუბრობთ, აქ მნიშვნელოვანია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. გაცემისას ზომიერება უნდა იქნას დაცული, რათა ზღვარსგადასუ-

ლობაში არ აღმოვჩნდეთ. ასევე მნიშვნელოვანია ალალი გზებით მიღებული შემოსავლიდან გაცემა. როდესაც ადამიანი თავისი ალალი ნაშრომით სხვებს ეხმარება და მათ მდგომარეობას უმსუბუქებს, ან უბრალოდ პატივს სცემს, ეს მისაღები და მისასალმებელია. ხელგაშლილი ადამიანის მიერ გაღებული სიკეთე, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამინებს ერგებათ, რომლებსაც მისგან ეს დახმარება სჭირდებათ და გარდა ამისა, მისი სიკეთით ის ადამიანებიც სარგებლობენ, ვისაც დახმარება არ სჭირდებათ. ხელგაშლილობა მხოლოდ ღარიბებზე დახმარებით არ შემოიფარგლება. ხელგაშლილი ადამიანი ყველასათვის ხელგაშლილია. ეს არის ადამიანი სათნი ხასიათი, რომელიც ყველას მიმართ სიკეთითა და პატივისცემითაა განმსჭვალული. ხელგაშლილი ბუნების ადამიანი, თავის საკუთრებაში არსებულ ფულსა თუ სხვა სიკეთეს, ყველა იმ ადამიანების გასახარად იყენებს, ვინც მის ირგვლივაა. ამგვარი ქცევით ის შინაგან სიამოვნებას ღებულობს. ხელგაშლილი ადამიანები, რომლებიც ამას სიხარულით აკეთებენ, ადამიანებისგან მადლობის თქმასაც კი არ ელოდებიან. ისინი ამ ყველაფერს, უდიდესი მიზნისთვის, ღვთის კმაყოფილების მოპოვებისთვის აკეთებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით გთავაზობთ ყურანის აიათს:

„და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს.

ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა“. (ინსანი, 76/8-9)

ადამიანის ხელგაშლილი ბუნება სხვა ადამიანებისათვის მორალური და მატერიალური დახმარების განწყობას

ატარებს, მაგრამ ზომიერების დაცვა აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვანია სიძუნწისგან გათავისუფლება და გაცემის უნარის გამომუშავება. ამ დროს ადამიანი ძალაუნებურად კი არ გასცემს, არამედ თავისი სურვილით ეხმარება სხვებს და ამისგან დიდ სიამოვნებას იღებს. გაცემის დროს ადამიანს ეშმაკი ჩააგონებს, რომ უმჯობესია დაზოგოს, გადაინახოს, რათა საკუთარ კეთილდღეობას საფრთხე არ შეუქმნას, მაგრამ ხელგაშლილი ბუნების ადამიანი ამგვარ შფოთვებს იოლად უმკლავდება. მას სჯერა, რომ ყოველი წყალობა ღვთისგანაა და ღვთის კმაყოფილების მოოვების მიზნით გაცემისგან შინაგან კმაყოფილებას განიცდის. როგორც კი სიღარიბის შიშის მსგავსი ფიქრები მოეძალება, შემდეგ აიათს იხსენებს:

„ეშმაკი სიღატაკეს გპირდებათ და სიგლახეს გიბრძანებთ თქვენ. ხოლო ალლაჰი თავის მიტევებასა და წყალობას გპირდებათ. და ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა!“ (ბაყარა, 2/268)

ხელგაშლილობა არც უაზრო ფლანგვაა და არც სიძუნწეა. ის ამათ შორის არსებული ღირსეული თვისებაა. მორწმუნე ადამიანი ხელგაშლილი უნდა იყოს. მორწმუნე ადამიანმა იცის, რომ ღმერთს არც მფლანგავები უყვარს და არც ძუნწები. ყურანის აიათით მტკიცდება, რომ ღმერთს ხელგაშლილები, თანადგომისა და დახმარების მოყვარულები უყვარს. (იხ. ბაყარა, 2/195) ასევე ყურანითვე დამტკიცებულია, რომ ღმერთი კრძალავს ზღვარსგადასულობას. (იხ. ენამ, 6/141). მფლანგველობა და ძუნწობა არც საზოგადოებისთვისაა მისაღები. ამ ორივე კატეგორიის ადამიანებს ხალხი ყოველთვის აკრიტიკებს და მათი ქცევა არავის მოსწონს. ამ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, გონივრული და ზომიერი დამოკიდბუელები უნდა გაგვა-

ჩნდეს და ზედმეტად არცერთ უკიდურესობაში გადავვარ-დეთ. ყურანში საუკეთესო რჩევებია:

„და ნუ იქნები ხელმომჭირნე და ნურც გაშლი მას ბოლომდე , თორემ იმედგაცრუებული, გაღატაკებული დარჩები!“ (ისრა 17/29)

ადამიანი ხელგაშლილი რომ იყოს, ამისათვის სიმდიდრე აუცილებელი არ არის. ყოველ ადამიანს შეუძლია თავისი ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით ადეკვატური ქველმოქმედება ან უბრალოდ სხვაზე დახმარება მოახერხოს. რაც მთავარია, გაცემის დროს მას სხვა, შეუსაბამო მიზანი არ ჰქონდეს, მაგალითად ისეთი, როგორიცაა სხვებზე თავის მოწონება, თავის გამოჩენა და სხვა. ასევე მიუღებელია სურვილის წინააღმდეგ, ძალაუნებურად დახმარების გაწევა. აღნიშნულის შესახებ წარმოგიდგენთ ყურანის აიათს:

„რომლებიც გასცემენ ჭირშიც და ლხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს. და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელნი!“ (ალი იმრანი, 3/134)

ხელგაშლილობა მხოლოდ ღარიბებზე დახმარებით არ შემოიფარგლება. ხელგაშლილი ადამიანი ყველასათვის ხელგაშლილია. ეს არის ადამიანი სათნი ხასიათი, რომელიც ყველას მიმართ სიკეთითა და პატივისცემითაა განმსჭვალული. ხელგაშლილი ბუნების ადამიანი, თავის საკუთრებაში არსებულ ფულსა თუ სხვა სიკეთეს, ყველა იმ ადამიანების გასახარად იყენებს, ვინც მის ირგვლივაა. ამგვარი ქცევით ის შინაგან სიამოვნებას ღებულობს. ხელგაშლილი ადამიანები, რომლებიც ამას სიხარულით აკეთებენ, ადამიანებისგან მადლობის თქმასაც კი არ ელოდებიან. ისინი ამ ყველაფერს, უდიდესი მიზნისთვის, ღვთის

კმაყოფილების მოპოვებისთვის აკეთებენ. როდესაც შუამავალი გვირჩევს, რომ მეზობლებსა და მეგობრებს ატივი ვცეთ და ვუმასინძლოთ, აქ არ აკონკრეტებს, რომ ეს მდიდრებს ეხება თუ ღარიბებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გთავაზობთ ყურანის აიათს:

და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, ღატაკსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!“ (ისრა 17/26)

როდესაც ადამიანი სხვის გაჭირვებას წინა ლანზე აყენებს და ეხმარება, ეს მისასალმებელი ქმედებაა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზომიერებაა დასაცავი. სხვაზე დახმარების გამო ადამიანი თავად გაჭირვებაში არ უნდა აღმოჩნდეს. სწორედ ეს არის ამოსავალი წერტილი, ზომიერება. ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი აიათის გახსენება:

„ ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის“. (ფურყანი, 25/67)

5.2. სიკეთე

სიკეთე, სულიერი და მატერიალური შესაძლებლობებით, ისეთი რამეების კეთებაა, რომლებიც ღვთს კმაყოფილების მოპოვების საწინდარია და ადამიანებისთვის სარგებელი მოაქვს. სიკეთის მოყვარული ადამიანი გულწრფელად განიცდის სხვათა განსაცდელს და უანგაროდ ეხმარება. მას უყვარს სიკეთე და სურს, რომ ყველა კარგად იყოს. ეს არის აქტიური ადამიანი, რომელიც ყვე-

ლასთვის სასარგებლოა და ყველას მიმართ კეთილგანწყობას ინარჩუნებს. როდესაც სიკეთეზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების და ცხოველების მიმართ კეთილი მოყრობა გვახსენდება. სიკეთე, რა თქმა უნდა, უფრო ფართო შინაარსაც ატარებს. მაგალითად, ქველმოქმედება, სალოცავების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობაში მონაწილეობა და ა.შ.

ზოგიერთ აიათში სიკეთე და თანადგომა ერთი და იგივე მნიშვნელობითაა ნახსენები. მაგალითად, შემდეგ აიათში სიკეთის კეთება და ნათესავებზე დახმარება ერთადაა ნახსენები:

„უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!“ (ნაჰლი, 16/90)

ასევე წარმოგიდგენთ აიათს, რომელშიც სიკეთე, დახმარება და სათნოებაა ერთად ნახსენები:

„და შეეწიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობაში, მაგრამ არ შეეწიოთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში. და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰის საზღაური სასტიკია!“ (მაიდე 5/2)

ასევე მრავალ აიათშია მოწოდება სიკეთის კეთებისა და ურთიერთდახმარებისკენ. ერთ-ერთი ასეთი აიათი შემდეგია:

„მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ.

სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!“ (თევბე, 9/71)

სიკეთე ადამიანის სულს ამშვიდებს და სათნოებას ჰმატებს. სიკეთე ადამიანს ახარებს და უკეთურობისგან განწმენდს. ყურანში ნაბრძანებია:

„აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია!“ (თევბე, 9/103)

როდესაც ადამიანი სიკეთეს აკეთებს, ის ამისათვის ჯილდოს ჯერ საკუთარი სინდისისგან იღებს და შინაგან სიმშვიდეს იგრძნობს. შემდეგ მას ყველაზე დიდი ჯილდო, ღვთის კმაყოფილება ელოდება. ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)!

და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)!“ (ზილზალ, 99/7-8)

როდესაც საზოგადოებაში ფინანსური და მენტალური პრობლემები მძლავრობს, როდესაც არ არის საკმარისი განათლების დონე და შესაბამისად კეთილდღეობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიკეთე და ქველმოქმედება, რათა როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერსპექტივაში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს. ისლამური საზოგადოება ცნობილია, როგორც ქველმოქმედებით, ისე ურთიერთდახმარების მსურველთათვის შეთავაზებული ფართე ასპარეზით. არის მრავალი საქველმოქმედო ფონდი, რომლებიც ადამიანებს ეხმარებიან.

ასევე დიდი წვლილი შეაქვთ განათლების საქმეში. ამგვარი დამოკიდებულება ისლამურ საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული. ამის მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიოში მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში მაინც შეიმჩნევა, როგორც განათლების ნაკლებობა, ისე ეკონომიკური სიდუხჭირე. შესაბამისად, საქველმოქმედო საქმიანობის უფრო ფართო მასშტაბებით ამოქმედებაა საჭირო.

ისლამური ტრადიციის მიხედვით სიკეთის კეთებისა და დახმარების დროს გარკვეული თანმიმდევრობის დაცვაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში მუსლიმები ჯერ თანამორწმუნე ძმას ეხმარებიან. ბუნებრივია, მუსლიმები სხვა აღმსარებლობის ადამიანებსაც ეხმარებიან, მაგრამ უპირატესობას მუსლიმებს ანიჭებენ. თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიურმა განვითარებამ „სამყაროს დაპატარავება“ გამოიწვია და ადამიანებს უფრო სწრაფად შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარება. ეს მათ საშუალებას აძლევს, რომ ერთმანეთს უფრო სწრაფად და ეფექტურად დაეხმარონ. ამრიგად, მუსლიმების მიერ გაწეული სიკეთე მსოფლიო მასშტაბით მაქსიმალურად ბევრ ადამიანს ხვდება. ყურანში მოწოდებულია, რომ სიკეთე ყველა ადამიანის მიმართ უნდა განხორციელდეს და ზოგადად ამგვარი ღირებულებები ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა.

„არ გიკრძალავს თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელნიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები“. (მუმთეჰინე, 60/8)

ამრიგად, მუსლიმისთვის სიკეთის კეთება მთელი კაცობრიობის წინაშე ერთ-ერთი ღირსეული ვალდებულე-

ბაა. „თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის. ხოლო რომ ეწრმუნათ ღვთიური წიგნის ხალხს, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ გზასამცდარნიც არიან დიდი ნაწილი მათგან“. (ალი იმრანი, 3/110) ყველა თქვენგანს ერთი მხარე (ყიბლე) აქვს, რომლისკენაც სახეს მიაპყრობს. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს სიკეთის ქმნაში. სადაც არ უნდა იყოთ, ალლაჰი შეგკრებთ ყველას ერთად. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა“. (ბაყარა 2/148)

მუსლიმთათვის სიკეთის სიყვარული მხოლოდ სიკეთის კეთებით არ შემოიფარგლება. მუსლიმი სიკეთეს ქადაგებს და სხვა ადამიანებისთვისაც სიკეთის მაგალითს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სიკეთისკენ მოწოდება და ბოროტების აღკვეთა მუსლიმთა ერთ-ერთი უპირველესი პრინციპია. ამ პრინციპის შესახებ ყურანის აიათებში მრავალგზის მოცემულია შეგონებები და ისინი არამარტო ინდივიდებს, არამედ ზოგადად საზოგადოებასაც ეხება: „(ო, მორწმუნენო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი“. (ალი იმრანი, 3/104)

ამ მოვალეობის შესრულება, როგორც ინდივიდისათვის, ისე საზოგადოებისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ყველამ გაიგოს, სიყვარული
მზისა დარია

უსიყვარულოდ ადამიანი
ქვისა დარია.

სულში თუ ქვა გაქვს,
შენი სიტყვაც იმდაგვარია.

რბილადაც რომ თქვა,
შენი სიტყვა ომის გვარია.

იუნუს ემრე, (2006; 116)

muslim georgia
muslim georgia union
international charity foundation



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

6. პატივისცემა და სიყვარული

6.1. პატივისცემა

პატივისცემა ყველა არსების მიმართ დადებითი დამოკიდებულების გამოხატულებაა და მათ მიმართ ისეთი ყურადღებისა და ერთგვარი მოკრძალების ჩვენებაა, რომელსაც იმსახურებენ. პატივისცემა სიყვარულთან ახლო კავშირში მყოფი ღირებულებაა, მაგრამ ის სიყვარულისგან განსხვავებით შინაგანი გრძნობით დატვირთვას არ საჭიროებს. საუკეთესო პატივისცემა, რა თქმა უნდა, სიყვარულისა და ერთგულების შედეგად გამოხატული პატივისცემაა. თუმცა, ამათ გარეშეც ადამიანების მიმართ პატივისცემის გამოხატვა და ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი ქცევების დაფიქსირება პატივისცემის მინიმალურ დონეზე გამოხატვისთვის საკმარისია. ზოგიერთი მუსლიმი მოაზროვნის აზრით, მაგალითად ასეთია ნურეთთინ თოფჩუ, პატივისცემა არა ცალკე მორალური ღირებულება, არამედ ყველა სხვა ღირებულების ძირითადი წყაროა. თოფჩუ ამბობს, რომ მორალური გრძნობების გამოღვიძება პატივისცემის გრძნობით იწყება. მაგალითად, თუ ადამიანი სხვა ადამიანს პატივს სცემს, მას არ მოატყუებს, კარგად მოეპყრობა, დაეხმარება და ყოველთვის სი-

კეთეს გაუკეთებს. ბუნებრივია, რაიმე ისეთს არ ჩაიდენს, რომელიც მოპირდაპირე მხარეს შეაწუხებს. (2012; 40-45)

ადამიანები პატივისცემას სხვა და სხვა მიზეზით იმსახურებენ. ამათგან უპირველესი ისაა, რომ ის ღმერთმა ადამიანად გააჩნა და პატივისცემის უფლება დაბადებიდანვე გააჩნია. სხვა რაიმე მაღალი თვისება რომც არ გააჩნდეს, ადამიანი მაინც დასაფასებელია, რადგან ის ღმერთმა გააჩინა.ამის შემდეგ, ადამიანები იზრდებიან და ცხოვრების მანძილზე სხვა და სხვა მაღალ თვისებებს იძენენ. ამ შეძენილი თვისებებიდან გამომდინარე მათ მიმართ პატივისცემის გამოხატვის საჭიროება იზრდება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლება და მორალური თვისებების განვითარება. განსწავლული ადამიანი, ისევე როგორც ზნეობრივად ამაღლებული და ღვთისმოსავი ადამიანი განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. ამრიგად, ადამიანების მიმართ პატივისცემის გამოხატვა ერთ-ერთი უმთავრესი მორალური ღირებულებაა და ამას პირმოთნეობასთან არანაირი კავშირი გააჩნია.

სხვების მიმართ პატივისცემის გამოხატვა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას საჭიროებს. ადამიანის მიერ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა, ზომიერი თვითშეფასება, ღირსების ქონა და ამ ყველაფრის ნიადაგზე ღირსეულად ცხოვრება, მისი ზნეობრიობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა ადამიანის სულიდან მომდინარეობს. როგორც სხვების მიმართ დამსახურებული პატივისცემის გამოხატვა პირფერობა არ არის, ისევე არ არის ამპარტავნება, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს აფასებს და პატივს სცემს.

6. პატივისცემა და სიყვარული

საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა, ახალი თუ ძველი ლიტერატურის განხილვის საგანი ყოფილა და ყველგან მნიშნელოვანი ადგილი უკავია. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა სხვების მიმართ პატივისცემის საფუძველს წარმოადგენს. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს აფასებს, ის სხვებსაც დააფასებს. ემპათია მორალის შესახებ შექმნილ ლიტერატურაში ოქროს წესადაა ცნობილი. ის უნივერსალური ზნეობრივი პრინციპია. ეს არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც სხვებს ისე ვექცევით, როგორც გვინდა, რომ სხვებმა მოგვექცნენ. ვისაც სურს, რომ პატივისცემით მოექცნენ, ის ვალდებულია, სხვებსაც პატივისცემით მოექცეს.

პატივისცემის უმაღლესი გამოხატულება უზენაესი გამჩენის მიმართ უნდა გაგვაჩნდეს. ის არის სამყაროს, ყველა არსებისა და ყველა წყალობის გამჩენი. ღვთისმოსაობის ერთ-ერთი გამოხატულება ღვთის მიმართ პატივისცემაა. ღვთისადმი პატივისცემის გამოსახატად კი, უპირველეს ყოვლისა, ყველა ის ვალებულება უნდა შევასრულოთ, რასაც ის ბრძანებს. ამრიგად, ღვთისადმი პატივისცემის გამოხატვა სამი საფეხურისგან შედგება: ჯერ პატივისცემა, შემდეგ პასუხისმგებლობის გააზრება და ბოლოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად ვალდებულებების შესრულება. როდესაც ღვთის მიმართ პატივისცემაზე ვსაუბრობთ, აქვე მის მიმართ პასუხისმგებლობაც იგულისხმება. ღვთის წინაშე ადამიანის ფასიც მისი ღვთისმოშიშობით განისაზღვრება. ყურანში ნაბძანებია შემდეგი:

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქ-

ვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ, 49/13)

ღვთისადმი პატივისცემის შემდეგ, ადამიანის მხრიდან, უმთავრესი პატივისცემის ადრესატები მშობლები არიან. ახლა მოვისმინოთ ღვთიური ბრძანება:

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა, 17/23-24)

ღვთისა და მშობლების შემდეგ, ყოველი მორწმუნე ვალდებულია, პატივისცემა გამოიჩინოს სხვა მორწმუნე ძმების მიმართ და მათ უფლებებს პატივი სცეს. დაუშვებელია რაიმე ფორმით სხვათა უფლებების ხელყოფა. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში მრავალი აიათია მოცემული. ახლა წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მათგანს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდია თვისებაა სისაძაგელე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი“. (ჰუჯურათ, 49/11)

6. პატივისცემა და სიყვარული

თანამორწმუნე ძმების შემდეგ, მორწმუნე მუსლიმი ვალებულია ღვთის მიერ გაჩენილი ყოველი არსების მიმართ პატივისცემა გააჩნდეს. ამ თვალსაზრისით, მორწმუნე მუსლიმი ყველა ადამიანს პატივს უნდა სცემდეს, რადგან ყველა ადამიანი ღმერთის გაჩენილია. განსხვავებული აღმსარებლობა ადამიანის მიმართ უპატივცემულობის მიზეზი არ გახლავთ. ყველა ადამიანი პატივისცემით მოპყრობას იმსახურებს და ყველას უფლება დაცული უნდა იყოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისევ და ისევ ყურანის აიათს შეგახსენებთ:

„არ გიკრძალავს თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელნიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები“. (მუმთეჰინე, 60/8)

„და არ გაუკიცხოთ, რომელთაც ისინი მოუხმობენ ალლაჰის გარდა, მერე მტრობით ზღვარს გადავლენ და უვიცობით ალლაჰს დააძაგებენ ეგენი. და ასე მოვუკაზმეთ ჩვენ ყოველ ერს თავისი საქმენი. მერე თავიანთ ღმერთთანაა მათი მიბრუნება . მაშინ აცნობებს მათ, რასაც ისინი სჩადიოდნენ “. (ენღამი, 6/108)

პატივისცემის ვალდებულება მხოლოდ ადამიანების მიმართ პატივისცემის არ შემოიფარგლება. მორწმუნე მუსლიმი ვალდებულია ღვთის მიერ გაჩენილი ყოველი ცოცხალი არსება დააფასოს. ის სათანადო პატივისცემას უნდა იჩენდეს ცხოველებისა და მცენარეების მიმართ. ადამიანმა ცხოველები და მცენარეები ჯერ იმიტომ უნდა დააფასოს, რომ ისინიც ღვთის მიერ არიან გაჩენილნი, ხოლო შემდეგ იმიტომ, რომ ისინი ადამიანის სამსახურში არიან

და მისთვის მრავალი სარგებლობა მოაქვთ. მოკლედ, ადამიანი ვალებულია პატივისცემით მოეპყრას მთელ სამყაროში არსებულ ცოცხალ და არაცოცხალ გარემოს.

6.2. სიყვარული

სიყვარული და პატივისცემა ერთმანეთთან ახლო კავშირში მყოფი მორალური ღირებულებებია. სიყვარული ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, აყალიბებს თბილ ურთიერთბებს და იწვევს ნდობასა და პატივისცემას. როცა სიყვარულია, ადამიანს დიდი ამაგის გაწევა შეუძლია. სიყვარული ის ძალაა, რომელიც ადამიანს თავგანწირვას აიძულებს. ის ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული, ყველაზე ძლიერი და ემოციებით დატვირთული გრძნობაა. როდესაც ორ ადამიანს ერთმანეთ უყვარს, მათ შორის პატივისცემა და სხვა ყველა მორალური ღრებულება იმკვიდრებს. ისლამის ტრადიციული ლიტერატურის მიხედვით სიყვარულს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ის სამართლიანობასთანაა გატოლებული და ამ თვალსაზრისით, მიღებულია, რომ ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანები ერთმანეთს მათდაუნებურად სამართლიანად მოექცევიან. იბნ მესქევეიჰი ამბობს, რომ თუ საზოგადოების წევრებს ერთმანეთ უყვართ, ისინი ერთმანეთს პატივისცემითა და სამართლიანად მოექცევიან. მათ შორის გაუგებრობა და შუღლი ფეხს ვერ მოიკიდებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ადამიანს სხვა ადამიანი უყვარს, მასაც იგივეს უსურვებს, რაც საკუთარი თავისთვის სურს. ერთმანეთის მოსიყვარულე საზოგადოებაში უსაფრთხოება, ნდობა, სიკეთე და სიმშვიდე დაისადგურებს.

6. პატივისცემა და სიყვარული

სიყვარული ყველა მორალური ღირებულების გვირგვინია, რადგან ის ყველა ამ ღირებულებას აერთიანებს და კვებავს. სადაც სიყვარულია, იქ ბოროტება და უკეთურება ვერ დაისადგურებს. თუ არის სიყვარული, იქ ყურადღება, მზრუნველობა, თანადგომა, სამართლიანობა, სიკეთე და პატივისცემა უხვად იქნება. ამ დროს ადამიანები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ და მეტ მზრუნველობას იჩენენ.

ზოგიერთი რელიგიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სიყვარული მხოლოდ მათი სარწმუნოების დოქტრინაშია უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ ეს სწორი არ არის. სიყვარული ყველა სარწმუნოებაშია და ის ძალიან მნიშვნელოვანი რამაა. ამათგანაც, უმთავრესი ადგილი ისევ და ისევ ისლამს უკავია. ყურანის მიხედვით რწმენაც კი სიყვარულთან კავშირშია განხილული. იმამი გაზალი ამბობს, რომ ღვთისადმი სიყვარული ყველაზე უმაღლესი წერტილია, რადგან ის უმაღლესი საფეხურია. ამ საფეხურზე ყოფნა ყველა სხვა საფეხურს მოიცავს.

რაც შეეხება საზოგადობრივ ცხოვრებაში სიყვარულს, მისი ყველაზე საუკეთესო ფორმით გამოვლინება ოჯახში ხდება. ოჯახური სითბო და სიყვარული ადამიანებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. სიყვარულის ერთ-ერთი განსაკუთრებული გამოხატულება მშობლების მიერ შვილებისადმი სიყვარულია. ისინი ამ სიყვარულის გამო მრავალი სახის მზრუნველობას გამოხატავენ და უდიდეს თავგანწირვას აჩვენებენ. ასევე დიდია მშობლების მიმართ სიყვარული, მეუღლეებს შორის სიყვარული, და-ძმების სიყვარული და ა.შ. საზოგადოების საწყისი ერთეული ოჯახია. ოჯახი კი ორი ადამიანის სიყვარულის შედეგად იქმნება. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია:

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!" (რუმი, 30/21). ამრიგად, აიათის მიხედვით წყვილები ერთმანეთთან სიყვარულს, სიმშვიდესა და გულმოწყალებას ჰპოვებენ, რაც ოჯახური ცხოვრებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ღვთისადმი სიყვარულის, მშობლების სიყვარულის, მეუღლეებს შორის სიყვარულის შემდეგ მორწმუნეთა შორის სიყვარულიც რწმენისეული ვალდებულებაა. შუამავალი გვასწავლის, რომ სიყვარულის გარეშე ვერც რწმენას და ვერც სამოთხეს დავიმკვიდრებთ: „რწმენის გარეშე სამოთხეში ვერ შეხვალთ. ურთიერთსიყვარულის გარეშე კი რწმენას ვერ ეზიარებით". (იხ. მუსლიმ, „იმან", 93)

როგორც ყველა დანარჩენის შემთხვევაში, სიყვარულის საკითხშიც კი ზომიერების დაცვაა საჭირო. ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ჰადისში საკმაოდ ნათელი სწავლებაა წარმოდგენილ;ი: „ვინც გიყვარს, ზომიერად გიყვარდეს, რადგან ერთ დღეს შეიძლება აღარ გიყვარდეს. თუ ვინმე არ გიყვარს, აქაც ზომიერება გამოიჩინე, რადგან ერთ დღეს შეიძლება შეგიყვარდეს". (იხ. თირმიზი, „ბირ", 60)

ვისაც ქვეყნად ვერ უნახავს სარჩო,
პურის ფულია,

მეგობრების სირცხვილი და
მტრისთვის დასაცინია.

მეჰმეთ აქიფ ერსოი (1981; 71)

muslim georgia
muslim georgia national charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

7. სიბეჯითე და ალალი შრომა

7.1. სიბეჯითე

სიბეჯითე ერთ-ერთი დადებით თვისება და მორალური ღირებულებაა. ღვთის შუამავალი ყოველთვის მოგვიწოდებდა, რომ სიბეჯითე გამოგვეჩინა და გამრჯენი ვყოფილიყავით. საამისოდ კი საუკეთესო მაგალითს თავად შუამავალი იძლეოდა. სამყაროს გამჩენი ადამიანებს შუამავლებს უგზავნიდა და დედამიწაზე ცხოვრების წესს ასწავლიდა. ღვთიური სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, სწორედაც რომ შრომა და მუყაითობა იყო. მაგალითად, შუამავლების, დავითისა და სულეიმანის შესახებ მოვლენილ აიათებში სამყაროს გამჩენი ასე ბრძანებს:

„და სულეიმანს ქარი, დილით წასვლა მისი ერთი თვე და საღამოს უკან მოსვლა ერთი თვე იყო. და მისთვის სპილენძი წყაროსავით ვადინეთ. და ჯინებს შორის იყვნენ ისეთნიც, ვინც მუშაობდა მის თვალწინ, ნებითა ღმერთისა თვისა. და ვინც ჩვენს ბრძანებას გადაუხვევს, ვაგემებთ მას ცეცხლის სასჯელს!“ (სებე, 34/13)

ყურანში მრავალგზის არის წარმოდგენილი ისეთ შინაარსის აიათები, სადაც აქტიურობის, მუყაითობისკენაა მოწოდებები.

„ჰეი შენ, სამოსში გახვეულო! აღავლინე ლოცვა ღამით, თუნდაც მცირედი, ან მისი ნახევარი ან გამოაკელი მას ცოტა, ან დაამატე მასზე და ლამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად). უეჭველად, ჩვენ ზეგარდმოვავლენთ შენზე მძიმე სიტყვას , უეჭველად, ღამით წამოდგომა (ძნელია, მაგრამ) უფრო ქმედითია და უფრო ნაყოფიერი. უეჭველად, შენთვის დღისით უფრო დიდი დატვირთულობაა“. (მუზზემმილი, 73/1-7)

„მაშ, იყავით მომთმენი, რამეთუ ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. დაე, რომელნიც მოკლებულნი არიან რწმენას - ცოდნას, ვერ შეგარყიონ!“ (რუმი, 30/60)

ყურანისეული მოწოდება შრომისმოყვარეობის შესახებ მხოლოდ შუამავლებს არ ეხება. ის ყველა მორწმუნეს, უფრო მეტიც, მთელ კაცობრიობას ეხება. შრომისმოყვარე ადამიანი ამ სტატუსს მაშინ მოიპოვებს, თუ ის ამ თვისებას მუდმივად ატარებს. მოგეხსენებათ, შრომა ერთჯერადი აქტივობა არ გახლავთ. შრომისმოყვარე ადამიანი ყოველთვის შრომობს და ახალ გასაკეთებელს გეგმავს. ყურანში ვკითხულობთ:

„უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება!

და როცა მოიცლი, წამოდექი და იშრომე“. (ინშირაჰი, 94/6-7)

ნამდვილი შრომა მხოლოდ მოუცლელობას და მუდმივად რაიმის კეთებას არ გულისხმობს. ნამდვილი შრომისმოყვარეობა გეგმაზომიერი, სასარგებლო და შედეგის მომტანი უნდა იყოს. შრომისმოყვარეობა თავისთავად დადებითი თვისებაა, მაგრამ უფრო უკეთესია შრომა შედეგიანი იყოს და სარგებელი მოიტანოს როგორც თავად საქმის გამკეთებელისთვის, ისე საზოგადოებისთვის. შრომისმოყვარეობამ საზოგადოებისთვის დადებითი შე-

დეგი უნდა მოიტანოს,როგორც მოკლევადიან, ისე გრძელ-ვადიან პერსპექტივაში.

ჩვენ ყველანი გარკვეულ საქმიანობას ვეწევით. ზოგი დამსაქმებელი ვართ, ზოგი -დასაქმებული. ზოგი ფერმერულ საქმიანობას ვეწევით, ზოგიც კიდევ მომსახურების სფეროში ვმუშაობთ. ზოგს თანამდებობა გვაქვს, ზოგი კერძო სექტორში ვსაქმიანობთ. მოკლედ, ჩვენ ცხოვრების ფერხულში ვართ ჩაბმული და ერთმანეთთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. ნენისმიერი ჩვენი საქმიანობა გარკვეულ პასუხიმგებლობას მოითხოვს. მაგალითად, დამსაქმებელი ვალდებულია უსაფრთხო და ხელსაყრელი სამუშაო პირობები უზრუნველყოს. შუამავალი გვასწავლის: „დასაქმებულ ადამიანს შუბლზე ოფლის გაშრობამდე ჯამაგირი გადაუხადეთ“. (იხ. იბნ მაჯე, „რუჰუნ“ 4). ამრიგად, შრომა აუცილებლად უნდა დაფასდეს და გაწეული სამუშაოს გასამრჯელო დროულად და უკლებლივ უნდა გაიცეს. გარდა ამისა, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს ღვთისმსახურების, დასვენების და სხვა მსგავსი მოთხოვნილებებისთვის გონივრული დრო გამოუყოს. ასევე აუცილებელია სამუშაო პირობების უსაფრთხოება, რათა დასაქმებულთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაცული იყოს.

ერთ-ერთი მედინელი მუსლიმი ხშირად მიდიოდა შუამავალთან და დახმარებას სთხოვდა. შუამავალიც ყოველ ჯერზე ეხმარებოდა. ერთ დღეს ეს კაცი ისევ ეახლა შუამავალს. ამ კაცს სახლში ერთი ნაჭრის გადასაფარებელი და ერთი ჭიქა ჰქონდა, სხვა არაფერი. შუამავალმა უთხრა ორივე ნივთი მოეტანა. როდესაც კაცმა ეს ორივე ნივთი მოიტანა, შუამავალმა იქ მყოფებს უთხრა, რომ ორივეს ორ დირჰემად ყიდდა. მყიდველი გამოჩნდა და ორივე ნივ-

თი გაიყიდა. შუამავალი კაცს მიუბრუნდა და დაარიგა: „ამ ორი დირჰემიდან ერთით საჭმელი იყიდე და სახლში წაიღე, მეორეთი კი ცული შეიძინე, შეშა მოაგროვე და ბაზარში გაყიდე“.

ღარიბმა კაცმა შუამავლის რჩევა გაითვალისწინა და შეშის გაყიდვას მიჰყო ხელი. მოგებული ფულით ოჯახისთვის ტანისამოსსაც ყიდულობდა და საკვებსაც. ის უკვე ფეხზე მყარად იდგა და საკუთარ ოჯახს თავად არჩენდა. შუამავალმა მისი ეს მდგომარეობა რომ დაინახა, ბრძანა: „უმჯობესია ამგვარად იმუშაო და სარჩო თავად მოიპოვო, ვიდრე სხვებზე დამოკიდებული იყო და განკითხვის დღეს ამგვარი წარსულით წარსდგე“ (იხ. ებუ დავუდ, „ზექათ“ 26).

7.2. ალალი სარჩო

ისლამი პატიოსანი შრომით მიღებული შემოსავლის მიღებას გვასწავლის. ისლამი ასევე კატეგორიულად კრძალავს არამი და არალეგიტიმური გზებით ფულის შოვნის მცდელობას. ჭამა, სმა, ჩაცმა, ვაჭრობა და სხვა ნებისმიერი საქმიანობა მოქცეულია ერთი საერთო პრინციპის ფარგლებში და პატიოსნებას ეფუძნება. ალალი და არამი ღმერთის მიერ დადგენილი საზღვრებია. ამ საზღვრების დაცვის გზით, ადამიანი, როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოშიც სიმშვიდეს და ბედნიერებას ეზიარება.

ჩვენი სარმწუნოება კრძალავს შემოსავლის მიღების ყველა იმ გზას, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს, მორალს, აზიანებს საზოგადოებას და ზოგადად მავნებლურია. ერთხელ, როდესაც შუამავალი მედინას ბაზარში იმყოფებოდა ხორბლის გამყიდველთან მივიდა, ტომარა

შეუმოწმა და ნახა, რომ ტომარაში ზევიდან მშრალი ხორ-ბალი იყო, ხოლო ქვეშ კი- სველი. შუამავალმა გამყიდველი მკაცრად გააფრთხილა: „სველი ხორბალი ზევიდან უნდა გქონოდა, რათა ადამიანებს დაენახათ. ვინც გვატყუებს, ჩვენიანი არ არის!“. (იხ. მუსლიმ, „იმან“ 164).

ისლამის მიხედვით სავაჭრო საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი სიმართლე და პატიოსნებაა. მორწმუნე სიტყვითაც და საქმითაც სანდო ადამიანია. მორწმუნე ადამიანი ყოველგვარი საქმიანობისას ღვთის კმაყოფილების მოპოვებისათვის იღწვის, ამიტომ რაიმის ყიდვისასაც და გაყიდვისასაც სრულ პატიოსნებას ავ-ლენს. მისგან თაღლითობა და მოტყუება გამორიცხულია. მორწმუნემ იცის, რომ თაღლითობითა და ტყუილით მიღე-ბული სარგებელი არამია და არ შეერგება.

მორწმუნე, რომელსაც სწამს ღვთისა და განკითხვის დღისა, სავაჭრო საქმიანობაში ტყუილსა და თაღლითობას არ მიმართავს. ის წონასა და ზომაში არასოდეს იტყუება. არ მისდევს კონტრაბანდას და ან რაიმე მსგავსი სახის არა-ლეგიტიმურ საქმიანობას. მორწმუნე საქონლის გაყიდვის მიზნით ტყუილზე არ დაიფიცებს და არც საქონლის ნაკლს დაფარავს. მორწმუნეს ასევე ეკრძალება ფასების არამარ-თებული გაზრდა და სხვა ადამიანებს შორის გამართული მოლაპარაკებების ჩაშლა.

ძვირფასი შუამავალი ერთ-ერთი ჰადისის მიხედვით ასე ბრძანებს: „პატიოსანი და სანდო ვაჭარი შუამავლებთან, ერთგულბთან და შაჰიდებთან ერთად იქნება“. (იხ. თირმიზი, „ბუიუ“ 4)

ამრიგად, ამქვეყნიური სარგებლის მიღების პროცესში საიქიოს ნუ დავივიწყებთ და ფუჭი სიმდიდრის გამო მუდ-

მივ სამყოფელში ჩვენს მდგომარეობას საფრთხის ქვეშ ნუ დავაყენებთ. ყოველნაირად ვეცადოთ, რომ არამი ლუკმა ოჯახში არ შევიტანოთ. ჩვენი ოჯახის სარჩო ალალი გზებით მოვიპოვოთ.

„ენას, ხელსა და წელს ყურადღება მიაქციე. კარი, გული და შუბლი გახსენი. საქმიანობას, მეუღლეს და სარჩოს ყურადღებით მოეპყარი. არამს არ შეხედო. არამი არ ჭამო. არამი არ დალიო. სწორად აწონე და გაზომე. ამქვეყნიური ქონებისთვის სული არ გაყიდო. იცოდე, როდესაც ძლიერი ხარ მიტევება, ხოლო განრისხებისას თავის მოთოკვა უნდა შეგეძლოს!“

გარდა საყოველთაოდ ცნობილი არამი შემოსავლებისა, არსებობს საეჭვო რამმები, რომელთა შესახებ ზუსტი ცნობები არ მოიპოვება და ადამიანებმა არ იციან, კონკრეტული ქმედება ალალია თუ არამი. სასურველია ასეთ საეჭვო საქმიანობას მოვერიდოთ, რადგან საეჭვო გზით სიარული არამისკენ მიმავალი გზაა. განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს ისეთ რამეებთან, რომელთა არალეგიტიმურობის ალბათობა ამაღალია. არასოდეს დავიწყოთ ყურანისეული გაფრთხილება:

„და არ თქვათ ტყუილი, როგორც თქვენი ენა შეჩვეულია: ეს ნებადართულია, ეს კი - აკრძალულიო, რითაც შეთხზავთ სიცრუეს ალლაჰზე. უეჭველად, რომელნიც ალლაჰზე სიცრუეს თხზავენ, ვერ იქნებიან ნეტარნი!“ (ნაჰლი, 16/116)

„კაცობრიობის ისტორიაში, პირველივე დღიდან, ყველა შუამავალი ასე გვაფრთხილებს: „თუ არ გრცხვენია, რაც გინდა ის გააკეთე“.

(ბუჰარი, „ედებ“, 78)

muslim georgia
Muslim Georgia United International Charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

8. სირცხვილი და პატიოსნება

8.1. სირცხვილის გრძნობა

სირცხვილის გრძნობა ადამიანებში ისეთი რამეების მიმართ მორიდების გზით ვლინდება, რომლებიც მას უხერხულობის განცდას შეუქმნიან. სირცხვილის გრძნობა იწვევს შემაკავებელ ეფექტს ისეთი ქმედებებისგან, როგორიცაა ნებისმიერი უზნეობა, ამორალურობა, უნამუსობა და სხვა მსგავსი ქცევები, რომლებიც საყოველთაოდაა ცნობილი. ადამიანს ღმერთმა სირცხვილის გრძნობა უწყალობა და ამის წყალობით ადამიანი შეუფერებელი ქცევისგან თავს იკავებს. სწორედ სირცხვილის გრძნობაა ის შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც ადამიანს შთააგონებს, რომ წესიერად მოიქცეს. ძვირფასი შუამავალი რძანებს, რომ ღმერთს სირცხვილის გრძნობის მქონენი, მორიდებული ადამიანები უყვარს (იხ. ნესაი, „გუსულ“ 7). როდესაც ადამიანს სირცხვილის გრძნობა გააჩნია, ის აცნობიერებს, რომ ღმერთი ყველაგან და ყოველთვის მასთანაა და სხვა ადამიანებიც რომ ვერ ხედავდნენ ის მორწმუნე ადამიანისთვის შეუფერებელ რამეს არ გააკეთებს. ამრიგად, მორიდებულობის ერთ-ერთ გამოხატულებას, სარწმუნოების

წესისამებრ ჩაცმა-დახურვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმა-დახურვა ნიშნავს, რომ ადამიანი აცნობიერებს ღვთის ნებას და აღიარებს, რომ ღმერთი მას ყოველთვის ხედავს. სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმა -დახურვა ნიშანია იმისა, რომ ადამიანი ღვთიურ ნებას ემორჩილება და ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმა-დახურვის მნიშვნელობა დიდია, რადგან ის ღვთიური ბრძანებაა და შესაბამისად მისი გათვალისწინება ღვთის კმაყოფილების მოპოვების საწინდარია.

სირცხვილის გრძნობა ადამიანებს არამარტო ცუდი ქცევებისგან თავშეკავებას აიძულებს, არამედ კარგი ქცევებისკენ მიდრეკილს ხდის. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეგვიძლია გავიხსენოთ ჰადისი, სადაც შუამავალი ასე ბრძანებს: „უსირცხვილობა სადაც არ უნდა იყოს და ვისაც არ უნდა ახასიათებდეს, ზნედაცემულობაა. სირცხვილის გრძნობა კი, სადაც არ უნდა იყოს და ვისაც არ უნდა ახასიათებდეს, ზნეობრივად ამაღლებაა“. (იხ. თირმიზი, „ბირ“ 47)

ადამიანი, რომელსაც სირცხვილის გრძნობა გააჩნია, რაიმე ამორალობის ჩადენის პირისპირ აღმოჩენისას, უპირველეს ყოვლისა ღვთის, შემდეგ ადამიანების და უფრო მეტიც, საკუთარი თავის წინაშეც სირცხვილს იგრძნობს და მოცემულ ამორალობას არ ჩაიდენს. თ ადამიანს სირცხვილის ფარდა ჩამოხეული აქვს, ის უკვე აღარც კრიტიკას, აღარც შერცხვენასა და ცოდვას ერიდება და რაც მოესურვება იმას გააკეთებს. სირცხვილის გრძნობის არმქონე ადამიანი ცხოველისაგან დიდად არ განსხვავდება. მისგან ყოველგვარი უმსგავსობაა მოსალოდნელი. ადამიანს, რომელსაც სურს, რომ ადამიანური სახე და ღირსება

შეინარჩუნოს, სირცხვილის გრძნობას ატარებს და მის მიმართ მგრძნობელობას ყოველთვის ინარჩუნებს.

სირცხვილის გრძნობა მხოლოდ სხეულის გარკვეული ნაწილების დაფარვას არ გულისხმობს. სირცხვილის გრძნობა ადამიანის ქცევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარეგულირებელია. სირცხვილის გრძნობაა, რომელიც ადამიანს ბოროტების ჩადენისგან განაშორებს. ასევე სირცხვილის გრძნობაა მოქმედებს ადამიანზე და ის ყოველგვარ უმსგავსო სიტყვასა და ქცევას ერიდება, რათა არ შერცხვეს.

მართალი არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ სირცხვილის გრძნობის თვალსაზრისით სქესობრივ კუთვნილებას რაიმე განსხვავება არ ენიჭება. სირცხვილი ყველას უნდა ჰქონდეს, თუნდა ქალი იყოს, თუნდაც მამაკაცი. სირცხვილის გრძნობა ორივე სქესის წარმომადგენლებს ეხებათ. მიმდინარე თემის შესახებ შეგვიძლია ყურანის აიათებიც გავიხსენოთ:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ შუამავლის სახლში, თუ სადილად არ ხართ მიპატიჟებული, დროის მიუხედავად. და თუ მიწვეული იქნებით, შედით, და სადილის მერე დაიშალეთ, არ დარჩეთ სალაპარაკოდ, ამით აწუხებთ შუამავალს. მას ერიდება თქვენი, მაგრამ ალლაჰს არ ერიდება ჭეშმარიტების. თუ თქვენ თხოვთ მათ (ცოლებს) რაიმე ნივთს, სთხოვეთ ჩადრის საფარველქვეშიდან. ეს უფრო წმინდაა როგორც თქვენთვის, ასევე მათი გულებისთვის. არ გეკადრებათ ალლაჰის შუამავლის წყენინება და არც, რომ იქორწინოთ მის ცოლებზე მის შემდეგ ოდესმე. უეჭველად, ეს თქვენთვის უდიდესი ცოდვაა ალლაჰის წინაშე!“ (აჰზაბი, 33/53)

„ერთი იმ ქალთაგანი მიუახლოვდა მორცხვად და უთხრა: მამაჩემი გეძახის, რომ დაგასაჩუქროს, რადგან დაგვირწყულეო.“ როცა ის მივიდა და მოუყვა თავის ამბავს, მან უთხრა: „ნუ გეშინია, გადაურჩი უსამართლო ხალხს!“ (ყასასი, 28/25)

8.2. პატიოსნება

ისლამის მიხედვით ადამიანთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ნამუსი, ოჯახი, შთამომავლობა, ქონება, აღმსარებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებები დაცულია. ყველა ადამიანს სურს, რომ ნამუსი და ღირსება სიცოცხლის მსგავსად დაცული იყოს. ამ დაცულობის გარანტიას იძევა, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობა, ისე ყველა რელიგიური დოქტრინა. ამ მიმართულებით შექმნილია მორალური სისტემები, რომლებიც ნამუსისა და ღირსების დაცვის თვალსაზრისით, ერთგვარი დაცულობის ეფექტს ქმნიან.

ზოგადად, ნამუსისა და ღირსების დაცვას და ამ მიმართულებით შესაბამისი ქცევების დემონსტრირებას პატიოსნებას უწოდებენ. პატიოსანი ადამიანი ცდილობს განერიდოს ყველა იმ საეჭვო სიტუაციას, რომელიც მისი ნამუსისა და ღირსების შელახვას საფრთხეს უქმნის.

პატიოსანი ადამიანი ცდუნებებს არ აჰყვება და მხოლოდ ლეგიტიმური ურთიერთობებით კმაყოფილდება. მან იცის, როგორ გააკონტროლოს ამქვეყნიური სურვილები და სიწმინდე და პატიოსნება შეინარჩუნოს. მისი მოქმედების არეალი ყოველთვის ლეგიტიმურობის ფარგლებშია. პატიოსნება ასაკთან, სქესთან და ოჯახურ მდგომარეო-

ბასთან კავშირი არ აქვს. პატიოსნება ყველას ევალება. პატიოსნება ის ღირებულებაა, რომელიც ყველა ადამიანს თანაბრად ევალება. გამომდინარე აქედან, დაქორწინებული იქნება თუ დაუქორწინებელი , ქვრივი თ გაცილებული, ყველა ადამიანი ვალდებულია დაიცვას ღირსება და პატიოსნება.

არსებობს პატიოსნებასთან ახლო კავშირში მყოფი კიდევ ერთი ღირებულება, რომელსაც ერთგულება ეწოდება. წყვილი, რომელიც დაქორწინებულია და ერთმანეთის მიმართ ერთგულებას ინარჩუნებენ, პატიოსნების გზაზე უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს დგამენ. ისინი იცავენ ნამუსსა და ღირსებას და ასევე იცავენ იმ სიტყვას, რომელიც ერთმანეთს აღუთქვეს. ქორწინებაში მყოფი ადამიანი აუცილებლად ერთგული უნდა იყოს, რათა პატიოსნება შეინარჩუნოს. ქორწინებაშ მყოფი წყვილის ერთგულებისათვის სხვა დამხმარე ფაქტორებიც, არსებობს. ესენია სიყვარული და პატივისცემა. როდესაც წყვილს ერთმანეთი უყვარს და პატივს სცემს, ასეთ ოჯახში ღალატი ნაკლებად მოსალოდნელია და წყვილი ნამუსისა და ღირსების შენარჩუნებას იოლად მოახერხებს. ამრიგად, ოჯახური ცხოვრება სიყვარულითა და ერთგულებით უნდა შევამკოთ, რათა პატიოსნება და ღირსება შევინარჩუნოთ, შედეგად კი ბედნიერება მოვიპოვოთ.

ყური დაუგდე შუამავლის შეგონებას და ისეთი ოჯახი შექმენი, რომელიც სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებზე იქნება დამყარებული და სადაც თავს ბედნიერად იგრძნობ. ასეთი ოჯახის შექმნისა და შემდგომში თანაცხოვრების დროს იყავ ლმობიერი, მოსიყვარულე, ერთგული და ყოვლად პატიოსანი. ოჯახის წევრების დაცვა, მათზე ზრუნვა, მათ მიმართ გამოხატული სიყვარული შენთვის

ღირსეული მოვალეობაა. ქორწინების დროს და შემდგომი თანაცხოვრების პერიოდში ყურანის მიერ დადგენილი წესების მიხედვით იცხოვრე: ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიკრძალოთ სიამენი, რომელზეც ალლაჰმა ნება მოგცათ თქვენ, მაგრამ არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი“. (მაიდე, 5/87)

ღირსეული და პატიოსანი ცხოვრება ყოველი მუსლიმისთვის უმნიშვნელოვანესი მიზანია. აღნიშნულის შესახებ მოვისმინოთ შემდეგი აიათი:

„უთხარი მორწმუნე კაცებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი. ეს უფრო წმინდაა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც ისინი სჩადიან.

და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი და არ გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები, გარდა მოჩანს რაც მისგან ; დაფარონ საბურველით გულმკერდი და არ დაანახონ თავიანთი სამშვენისები არავის, გარდა ქმრისა, მამისა, მამამთილისა, ვაჟიშვილებისა, ქმრის ვაჟიშვილებისა, ძმებისა და ძმათა და დათა ძმებისა, მათი ქალებისა, მხევლებისა, რომლებიც მათმა მარჯვენამ მოიპოვა, მამაკაცი მსახურებისა, რომლებსაც ქალის სურვილი არ გააჩნიათ, ბავშვებისა, რომლებიც ქალის სიშიშვლეს ვერ ამჩნევენ. და არ გადადგან ფეხი ისე, რომ არ გამოაჩინონ ის, რაც უნდა დამალონ. ჰეი მორწმუნენო! ერთბაშად შესთხოვეთ ალლაჰს მოტევება, ეგებ იქმნათ ნეტარნი!“ (ნურ, 24/30-31)

8. სირცხვილი და პატიოსნება

პატიოსნების გარეშე ადამიანთა ცხოვრება შეუქცევადი სახის პრობლემებითთა და უკეთურობით აივსება. პატიოსანი ცხოვრებისათვის დიდი მოთმინება და წინდახედულებაა საჭირო. გარდა ამისა, მუდმივად ვედრება უნდა აღვავლინოთ ღვთის წინაშე და ვევედროთ, რომ ღირსებისა და პატიოსნების შენარჩუნებისათვის საკმარისი ძალა მოგვმადლოს. ყურანში მოცემულია მაგალითები, რომლებიც პატიოსნებას შეეხება:

„უთხრა : აი ის, ვის გამოც მკიცხავდით მე . ვფიცავ, რომ მასთან თანაცხოვრება ვისურვე. მაშინ უარყო, მაგრამ თუ იმას არ გააკეთებს, რაც ვუბრძანე, უთუოდ, დილეგში ჩააგდებენ და უთუოდ, დამცირებულთა შორის აღმოჩნდება!

შეევედრა : „ღმერთო ჩემო! დილეგი ჩემთვის უფრო უკეთესია იმაზე, რისკენაც მიხმობენ, დილეგში ყოფნა მირჩევნია იმის გაკეთებას, რასაც მაიძულებენ, და თუ მათ მზაკვრობას არ ამაცილებ, შეიძლება გადავიხარო მათკენ და უგუნურთა შორის აღმოვჩნდე!“

მაშინ შეისმინა ღმერთმა მისმა ვედრება მისი, ამგვარად ააცილა მას მზაკვრობა მათი. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!“ (იუსუფ, 12/32/34)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„და არ წარგვიგ ზავნიხარ შენ, თუ არა მოწყალებად სამყაროთათვის!“

(ენბია, 21/107)

muslim georgia
muslim georgia union of the international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

9. გულმოწყალება და შემწყნარებლობა

9.1. გულმოწყალება

გულმოწყალება და შემწყნარებლობა ერთმანეთთან ძალიან ახლოს მყოფი მორალური ღირებულებებია. ისინი უმეტესწილად ერთად არის ნახსენები. მათ შორის არსებული იმ მცირე განსხვავების წარმოსაჩენად, ალბათ სიყვარულის დამატება დაგვჭირდება. ამ სამეულს თუ შევხედავთ და ერთ მხარეს სიყვარულს, მეორე მხარეს შემწყნარებლობას დავაყენებთ, გულმოწყალება ამ ორს შორის აღმოჩნდება. გულმოწყალება ნიშნავს, რომ ადამიანს სიყვარულიც გააჩნია და შემწყნარებლობაც. გულმოწყალება ერთის მხრივ სიყვარულთან, ხოლო მეორეს მხრივ შემწყნარებლობასთანაა ახლოს. თუ სიყვარულსა და გულმოწყალებას ერთმანეთის გადაკვეთაზე არსებულ ორ წრედ წარმოვიდგენთ, გადაკვეთის ნაწილში გულმოწყალებაა. გულმოწყალების კიდევ ერთ განმარტება ასეთია: სიყვარულით გამოწვეული გულმოწყალება.

გულმოწყალების ხსენებისას, უპირველეს ყოვლისა, „დედის გულმოწყალება“ გვახსენდება. ამგვარი შედარება გულმოწყალების განმარტებისათვის მნიშვნელოვან გასაღებს გვაძლევს. დედას თავისი შვილი ძალიან უყვარს და მის მიმართ უსაზღვროდ გულმოწყალეა. გულმოწყალების სხვათა მიმართ არსებული გამოვლინებაც ამ საფუძველს ემთხვევა. როდესაც ბავშვს მოშივდება ან რაიმეს ითხოვს, დედა მაშინვე ყველაფერს მიატოვებს და მასზე ზრუნვას იწყებს. როდესაც ბავშვი ავადაა ან ტირის, დედა თავადაც ტკივილს განიცდის და ყველა ღონეს ხმარობს, რომ შვილს მდგომარეობა შეუმსუბუქოს. დედა ბავშვზე ზრუნვისას ყველანაირ დათმობაზე მიდის და ოდნავადაც არ განიცდისიმ ჯაფას, რაც შვილის აღზრდის დროს ადგას. დედა შვილის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს არ იმჩნევს და მისთვის შვილი ყოველთვის მართალია. მოკლედ დედის სიყვარული უანგარო და უსაზღვროა. შეიძლება ეს სიყვარული შედარების თვალსაზრისით ცალმხრივიც კი იყოს, მაგრამ დედისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. სწორედ ეს არის დედობრივი სიყვარული და გულმოწყალება. სხვა სახის გულმოწყალებაც ამ თვისებას შესაბამისი დოზით ატარებს.

გულმოწყალება ღვთური თვისებაა. ღმერთი ადამიანების მიმართ უსაზღვრო გულმოწყალებას იჩენს. გულმოწყალება ასევე შუამავლების თვისებაცაა. წარმოგიდგენთ ყურანის აიათებს:

„ადამიანთაგან არის ისეთიც, ვინც ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების სურვილით საკუთარ სულსაც არ დაიშურებს. და ალლაჰი შემბრალეა მსახურთა მიმართ“. (ბაყარა 2/207)

9. გულმოწყალება და შემწყნარებლობა

„და ამგვარად დაგადგინეთ თქვენ შუა (სამაგალითო) თემად, რათა მოწმენი იყოთ ადამიანთა მიმართ და შუამავალი მოწმე იყოს თქვენს მიმართ. და დავადგინეთ ყიბლე, რომლისკენაც იდექი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგვეცნო (გამოგვემჟღავნებინა) ვინ მიჰყვება შუამავალს და ვინ გაბრუნდებოდა უკან ქუსლებზე შემდგარი. სწორედაც მძიმე იყო ეს, მაგრამ არა იმათთვის, რომელნიც სწორ გზას დააყენა ალლაჰმა. ალლაჰი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას. უეჭველად, ალლაჰი ლმობიერი და მწყალობელია ხალხის მიმართ“. (ბაყარა 2/143)

„იგია, რომელიც ავლენს თავის მსახურზე ცხად აიათებს, რათა გამოგიყვანოთ სიბნელეებიდან სინათლეში. უეჭველად, ალლაჰი ლმობიერი და მწყალობელია თქვენს მიმართ“. (ჰადიდ, 57/9)

„ვფიცავ, თქვენთან მოვიდა შუამავალი თქვენივე წიაღიდან. მძიმეა მისთვის, რომ თქვენ განსაცდელში ხართ. გული შესტკივა თქვენზე. მიმტევებელი და მწყალობელია მორწმუნეებისადმი!“ (თევბე, 9.128)

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!

და რომელნიც მოვიდნენ მათ შემდგომ, ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! შეგვინდე ცოდვები ჩვენი და ჩვენი ძმების, რომელთაც ჩვენ გაგვასწრეს რწმენით. და არ ჩაგვინერგო გულებში შური იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო

ჩვენო, უეჭველად, შენ ლმობიერი და მწყალობელი ხარ!“ ჰაშრ, 59/10)

9.2. შემწყნარებლობა

შემწყნარებლობა სხვათა მდგომარეობის ან განცდების მიმართ ემპათიის გამოხატვა, მათი გაგება და მათი ტკივილის გაზიარებაა.

ჩვენს სარწმუნოებაში რწმენა, ღვთისმსახურება და მორალი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ისლამი ჩვენგან ღვთისმსახურების დროს გულწრფელობას ითხოვს და ასევე მოითხოვს, რომ ვიყოთ ლმობიერნი და ზნეკეთილნი. მორწმუნე მუსლიმი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებსა და მეგობრებს. მათთან ურთიერთობაში ძირითადი მამოძრავებელი ხაზი ლმობიერება, შემწყნარებლობა და სიყვარული უნდა იყოს. ამასთანავე, მუსლიმი უნდა აცნობიერებდეს, რომ ყველა და ყველაფერი ღმერთის გაჩენილია, შესაბამისად მათდამი ქცევას ეს ჭეშმარიტება უნდა განსაზღვრავდეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველი მისი გაჩენილი დავაფასოთ.

შუამავალი საუკეთესო მაგალითია. მან საკუთარი ქცევებით გვასწავლა თუ როგორ უნდა მოვექცეთ ადამიანებს და ზოგადად როგორი ურთიერთობებია მისაღები. შუამავალი ლმობიერი, თავაზიანი და შემწყნარებელი ადამიანი იყო. ის ირგვლივმყოფებს იმედს, სანდოობას და სიმშვიდეს აძლევდა. მასთან ურთიერთობისას ადამიანებს სიმშვიდე ეუფლებოდათ და შიშებისგან თავისუფლდებოდნენ. ოჯახსა და მეგობრებთან დიდად მოსიყვარულე გახლდათ.

კარგი დღეების გარდა, ძნელბედობის ჟამსაც მოთმინებას იჩენდა და წონასწორობას არასოდეს კარგავდა. ის ყოველთვის შემწყნარებელი და მიმტევებელი იყო. ღმერთმა შეაქო მისი თვისებები, რაც ყურანშია გადმოცემული:

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრან 3/159)

ჩვენ, როგორც მორწმუნე ადამიანებმა, შუამავლის მაგალითი უნდა ავიღოთ და მის მიერ ნაჩვენები გზა ჩვენი ცხოვრების პრინციპად ვაქციოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ გულწრფელობა, გულმოდგინება, შინაგანი სიწმინდე და სამართლიანობა ხასიათის ძირითად მახასიათებლებად ვაქციოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ თვალთმაქცობა, ორპირობა, ამპარტავნება და მსგავსი ნეგატიური დამოკიდებულებები არც ღმერთის მხრიდან დაფასდება და არც ადამიანების. მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში ავსიტყვიანობას, რისხვას, უხეშობასა და ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შუამავალი გვასწავლის: „მორწმუნე საყვარელი ადამიანია. ვინც ადამიანს ვერ უახლოვდება და არც მას უახლოვდებიან, სიკეთეს არ მოიტანს“. (იხ. იბნ ჰანბელი, 2, 400). „გინდათ გაცნობოთ თუ ვინ არის ის ადამიანი, რომელიც ჯოჯოხეთის ცეცხლში არ მოხვდება? ეს არის სულთან ახლო, საყვარელი, ლმობიერი ადამიანი“. (იხ. თირმიზი, სიფათულ ყიამე, 45)

ჩვენ იმ საზოგადოების ფასი უნდა ვიცოდეთ, სადაც ვცხოვრობთ და რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ჩვენ

ერთმანეთის სიხარული და მწუხარება, ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროთ. ურთიერთობებში დამთმობი და შემწყნარებელი უნდა ვიყოთ. ოჯახში, შინ და გარეთ სიყვარულსა და იმედს უნდა ვასხივებდეთ. მღიმარე სახე და ტკბილი სიტყვა, ლმობიერება და პატივისცემა ჩვენი ხასიათის ძირითადი მახასიათებლები უნდა იყოს და არავის უნდა დავამადლოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ირგვლივმყოფებს ცხოვრება გავუადვილოთ და იმედი მივცეთ.

მუსლიმები განსაკუთრებით ვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლობა გამოიჩინონ. ყურანში ნაბრძანებია:

„მუჰამმედი, შუამავალი ალლაჰის. ხოლო მასთან ერთად რომელნიც არიან მკაცრნი ურწმუნონის წინაშე და მოწყალენი ერთმანეთთან მიმართებაში, მათ დაინახავ რუქუღის და სეჯდეს აღმრულებლებად, რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და წყალობას მიელტვიან. მათი ნიშნები მათ სახეებზეა, როგორც ნაკვალევი სეჯდისა. სწორედ ასეთია მათი მდგომარეობა თევრათში და ინჯილში: როგორც ნათესი, რომელმაც აღმოცენდა, შემდეგ განამტკიცდა და გამსხვილდა, მერე ტანი აიყარა თავის ღეროზე და ახარებს მთესველთ, რითიც იბოღმებიან ურწმუნონი. რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, აღუთქვა ალლაჰმა შენდობა და უდიდესი საზღაური!“ (ფეთიჰ, 48/29)

„(დაბრკოლების გადალახვაა) მონის გათავისუფლება

ან დაპურება გაჭირვების ჟამს ნათესავი ობლისა ან გაღატაკებული უპოვრისა!

აგრეთვე (დაბრკოლების გადალახვაა), რომელთაც ირწმუნეს, ერთიმეორეს მოთმინებას უანდერძებენ და მოწყალების მაგალითს აჩვენებენ.

9. გულმოწყალება და შემწყნარებლობა

ისინი არიან მარჯვენის ხალხი (ვისაც ანგარიშსწორების დღეს მარჯვნიდან მიეცემა ნამოქმედართა წიგნი)!“ (ბელედ, 90/13-16)

თანამედროვე სამყაროში ყოველდღე ვხედავთ, რომ ადამიანებისა და ცხოველების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებაა გამეფებული. მუსლიმების ტრადიციული კულტურა ადამიანებისა და სხვა ცოცხალი არსებების მიმართ შემწყნარებლობას წარმოადგენს. ამ კულტურის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებაა საჭირო, რათა მსოფლიოში ამ ტიპის დანაშაულმა იკლოს. თუ რომელიმე საინფორმაციოს ჩავრთვათ, აუცილებლად გადმოსცემენ მკვლელობის, ძალადობის შესახებ ფაქტებს. თუ ჩვენ გვინდა სხვას შემწყნარებლობისკენ მოვუწოდოთ და ამის მაგალითები ვიყოთ, აუცილებელია შესაბამისად მოვიქცეთ და შემწყნარებლობა მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ. ჰადისის მიხედვით შუამავალი ბრძანებს: „ვინც ადამიანებს არ შეიწყნარებს, ღმერთი თავად მას არ შეიწყნარებს“. (მუსლიმი, „ფედაილ“, 66)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„რომელთაც აუწყეს მორწმუნეებს: „უეჭველად, შეიკრიბა თქვენ წინააღმდეგ ხალხი, გეშინოდეთ მათი“. მაგრამ მათ რწმენა ემატებოდათ და ამბობდნენ: „ალლაჰი კმარა ჩვენთვის, და რა დიდებული მფარველია იგი“;

(ალი იმრანი, 3/173)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

10. სიმამაცე და ვაჟკაცობა

10.1. სიმამაცე

სიმამაცე და გაბედულება რაიმე რისკის, საფრთხის, მუქარის წინაშე უშიშრად დგომა და რაციონალურად სწორი ქმედებაა. გამბედაობა დადებითი თვისებაა და ის უშიშრობით იზომება. მამაცი ადამიანი საკუთარი თავის, ოჯახის, ახლობლების, სხვა ადამიანების საფრთხეში აღმოჩენისას ასპარეზზე გამოდის და გაბედული მოქმედებით საშიშროებას წინ აღუდგება ხოლმე. სიმამაცის გამოვლინების საუკეთესო მაგალითებია, როდესაც ადამიანი სამშობლოს, სარწმუნოების, ოჯახის, ახლობლების და ა.შ. დასაცავად წინ გამოდის და საფრთხეს წინ აღუდგება. სიმამაცეა, როდესაც ადამიანი სიმართლეს იცავს და მართალი სიტყვის თქმას არ ერიდება. სიმამაცის საპირისპირო სიტყვა სიმხდალეა, რაც უპირობოდ ცუდი და მიუღებელი თვისებაა. იბნ ჰაზმი სიმამაცის შესახებ ამბობს: „სიმამაცეა, როდესაც ადამიანი სიკვდილის საფრთხეს არ მოერიდება და სარწმუნოების, ნამუსის, ძალადობის ქვეშ მყოფი მეზობლის, უსამართლოდ დაჩაგრულის, ღირსების, ქონების და სხვა მსგავსი უფლებების დასაცავად გაილაშქრებს და სიკვდილის საფრთხეს არ მოერიდება. (2012; 87)

მამაცი ადამიანი ყოველთვის წინ გამოდის ისეთ სიტუაციებში, როდესაც ადამიანთა უმრავლესობა რაიმე უსამართლობის წინააღმდეგ ხმას არ იმაღლებს და ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე ადამიანი, რაიმე ფაქტორის შედეგად ძლიერად ჩათვლილი უსამართლობას სჩადის და მის შეჩერებას ყველა ერიდება, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდება ვინმე მამაცი, რომელიც მის თავხედობას გამოააშკარავებს და სათქმელს გაბედულად იტყვის. ან კიდევ, ხშირად ხდება რომ ვინმე ძლიერი სუსტს ჩაგრავს და მის უფლებებს უხეშად არღვევს. ასეთ დროს ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს „სხვისი ჭირია“ და ხმას არ იღებს, მაგრამ მამაცი გულის ადამიანი ამ დროს ვერ მოითმენს და უსამართლოდ მჩაგვრელს წინ აღუდგება. საბოლოო ჯამში სიმამაცე ზნეობრივი ღირებულება მაშინ ხდება, როდესაც ის სიმართლეს ემსახურება და სიკეთის გავრცელებას უწყობს ხელს, თორემ რაიმე საფრთხის წინაშე უშიშრად დადგომა და ყოველ საფრთხეზე წასვლა უპირობო ზნეობრივ ღირებულებად ვერ ჩაითვლება.

მორწმუნე მუსლიმი როგორც სარწმუნოების, სამშობლოს ან კიდევ ჩაგრულთა დასაცავად მოწინავე პოზიციაზე უნდა იყოს. მამაც ადამიანს შიშის გრძნობა უკანა პლანზე გადააქვს, როდესაც საქმემაღალზნეობრივ ღირებულებებს ეხება. მამაცი ადამიანი იცავს სუსტებს, როდესაც მათ ძლიერები ჩაგრავენ. ის მათ გადასარჩენად ყველა ღონეს მიმართავს და ყოველთვის სიმართლის სადარაჯოზე დგას.

სიმამაცის გამოვლინების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილი ომია. მამაცი ადამიანი ომში უშიშრად ერთვება და დაკისრებულ მოვალეობას უყოყმანოდ ასრულებს. ყურანში

10. სიმამაცე და ვაჟკაცობა

მამაცი ადამიანები შექებული არიან. ღმერთი ბრძანებს, რომ სიმხდალე მიუღებელია და მორწმუნეებს მოუწოდებს ღვთის ნებას მიეკედლონ და არ შეშინდენ.

„ნუთუ არ შეებრძოლებით ხალხს, რომელთაც გატეხეს თავიანთი ფიცი და განიზრახეს შუამავლის გაძევება ? და მათ პირველებმა წამოიწყეს . ნუთუ მათი გეშინიათ? ალლაჰის შიში უფრო უნდა გმართებდეთ , თუ ხართ მორწმუნენი თქვენ!“ (თევბე, 9/13)

ისლამის ისტორია სავსეა გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითებით, არა მარტო სამშობლოსა და რელიგიის დაცვის, არამედ საზოგადოებრივ ასპექტში სიმართლისა და სამართლიანობის დაცვის მიმართულებით. მუსლიმებს შიში არ ახასიათებდათ. ეს დამტკიცებულია შემდეგი აიათებით:

„რომელთაც აუწყეს მორწმუნეებს: „უეჭველად, შეიკრიბა თქვენ წინააღმდეგ ხალხი, გეშინოდეთ მათი“. მაგრამ მათ რწმენა ემატებოდათ და ამბობდნენ: „ალლაჰი კმარა ჩვენთვის, და რა დიდებული მფარველია იგი“; (ალი იმრანი, 3/173)

„ნუთუ არ შეებრძოლებით ხალხს, რომელთაც გატეხეს თავიანთი ფიცი და განიზრახეს შუამავლის გაძევება ? და მათ პირველებმა წამოიწყეს . ნუთუ მათი გეშინიათ? ალლაჰის შიში უფრო უნდა გმართებდეთ , თუ ხართ მორწმუნენი თქვენ!“ (თევბე, 9/13)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ განუდგეს თქვენგან ვინმე თავის რწმენას, ალლაჰი შეცვლის ხალხით, რომელნიც ეყვარება მას და რომელთაც ეყვარებათ იგი, თავმდაბალნი მორწმუნეთა წინაშე, მკაცრნი ურწმუნოთა

წინაშე, იბრძოლებენ ისინი ალლაჰის გზაზე და არ შეუშინ-დებიან გაკიცხვას გამკიცხველისას . ესაა მადლი ალლაჰი-სა, უბოძებს, ინებებს ვისაც, და ალლაჰი ყოვლისმომცვე-ლია, ყოვლისმცოდნეა“. (მაიდე, 5/54)

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მწყობრად მყოფ ურწმუნოებს შეხვდებით, ფრთხილად! არ აქციოთ ზურგნი მათ!

და ვინც იმ დღეს ზურგს შეაქცევს მათ, ალლაჰის რისხ-ვა დაუბრუნდებათ , გარდა იმათი, ვინც ხელახლა შესაბრ-ძოლებლად ან რაზმთან შესაერთებლად შეტრიალდება. და მისი სამყოფელი ჯოჯოხეთია. და რა საზიზღარი მისაქ-ციელია!“ (ენფალ, 8/15)

10.2. ვაჟკაცობა

ვაჟკაცობა სიმამაცისა და გმირობის ერთობაა. მასში ასევე მოიზარება სხვა ზნეობრივი თვისებებიც. ის, რო-გორც წესი, არა ცალკე ღირსება, არამედ ღირსებათა ერ-თობლიობაა. როდესაც ადამიანს ამ ღირსებათა ერთობ-ლიობა გააჩნია, ის ვაჟკაცობას თავისუფლად ავლენს. ვაჟკაცი ადამიანი ყოველთვის სიმართლის, პატიოსნების, სანდოობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა. ეს ყველა-ფერი მისი მახასიათებელი თვისებებია. შეუძლებელია ამ თვისების მატარებელი ადამიანი მატყუარა და ფლიდი იყოს. ის არავის, არასოდეს ცუდს არ გაუკეთებს და ბო-როტებას არ ჩაიდენს.მასთან ურთიერთობა სასიამონო და საამაყოა. ის არავის აწუხებს და არც არავის მისცემს უფ-ლებას შეაწუხოს. ვაჟკაცობით დაჯილდოებული ადამია-ნი, მამაცი ადამიანის მსგავსად მაღალი ზნეობის იდეალე-

ბისთვის ყველანაირი რისკზე მიდის. მიზნის მისაღწევად კი ორპირობას, თაღლითობას არასოდეს მიმართავს და მახეებს არასოდეს აგებს. მისთვის მიუღებელია სიმდაბლე და უზნეობა. ამ თვისების მქონეა დამიანისთვის ყოველი საქმის მიზანთან და შედეგთან ერთად, პროცესიც მნიშვნელოვანია. ის საქმის კეთების პროცესშიც ყველაფერს ვაჟკაცურად აკეთებს და მისი ქცევები საყოველთაოდ მისაღებ და მოსაწონ მეთოდებს ემთხვევა.

როდესაც ვაჟკაცობას ვახსენებთ, აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მამრობითი სქესი არ იგულისხმება. ეს თვისება ქალბატონებსაც ახასიათებთ და საბოლოო ჯამში ეს ადამიანის თვისებაა. ვაჟკაცი კაციც შეიძლება იყოს და ქალიც. ისევე როგორც სიმხდალე შეიძლება კაცსაც ახასიათებდეს და ქალსაც.

ვაჟკაცობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი თვისება თავმოყვარეობა და ღირსებაა. ამ თვისების მატარებელი ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში ღირსეულად იქცევა და სახეს არასოდეს კარგავს. ვაჟკაცი ადამიანები ღისების უპირობო დამცველები არიან და ისინი ღირსების შებღალვას არასოდეს დაუშვებენ.

მუსლიმი სამყაროს და ცოცხალ არსებებს, სიცოცხლეს და სინდისს უკიდურესი პატივისცემით ეკიდება. მუსლიმს სინდისში ღრმად აქვს გამჯდარი ღმერთის არსებობა და ერთადერთობა. მისი რწმენა ყოველ ამოსუნთქვაზე ძლიერდება და ამის შედეგად ღირსება და სულიერი სიმაღლე ემატება. ამ ღირსების დასაცავად კი მუდმივად შრომობს. მიზანი, ერთია: მოიპოვოს ღმერთის კმაყოფილება და ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერებას ეზიაროს.

მუსლიმისთვის ჯანმრთელობა ღმერთისგან ბოძებული წყალობათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მადლიერების ნიშნად კი ამ წყალობას მუდმივად იცავს და უფრთხილდება. ამიტომ ის თავს არიდებს ჰარამს, იცის რა ჭამოს და რა დალიოს, რა ჩაიცვას და როგორ მოიქცეს.

პატიოსნება და ალალი სარჩოს მოპოვება ადამიანის სიწმინდის უპირველესი გამოხატულებაა.

მუსლიმი ადამიანისთვის ალალი ფული პატიოსანი შრომით მოიპოვება. ის საქმეს გულით და სრულფასოვნად აკეთებს. საამისოდ ის, უპირველეს ყოვლისა საქმის ლეგიტიმურობას ანიჭებს უპირატესობა და ამის შემდეგ მის კეთილსინდისიერად შესრულებას.

გამომდინარე აქედან, მუსლიმი ადამიანი სანამ საქმეს ხელს მოკიდებდეს იმ საქმის სწავლობს და პროფესიონალად ყალიბდება. შესაბმისად სურს რომ მისი შესრულებული სამქე სრულყოფილი იყოს. მან იცის, რომ საქმის კეთებისთვის უპირველეს ყოვლისა საქმის ცოდნაა მთავარი და საამისოდ ყველაფერს აკეთებს.

ღირსეული მუსლიმი ისეთ საქმეს არ მოჰკიდებს ხელს, რასაც ვერ გაართმევს თავს, ხოლო რაზეც პასუხისმგებლობას აიღებს, სიტყვას აუცილებლად შეასრულებს.

მუსლიმ ადამიანს გააჩნია საიმისო რწენა და ძალა, რომ დაუღალავად იშრომოს ჯერ სულიერი ღირებულებებისა და ბედნიერებისათვის, შემდეგ კი ამქვეყნიური საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სწორად ცხოვრებისათვის. ყურანში ნაბრძანებია:

„აკი, ჭაბუკებმა თავი შეაფარეს გამოქვაბულს და თქვეს: „ღმერთო ჩვენო! გვიბოძე შენგან წყალობა და დაგვიდგინე ჩვენს საქმეში სიკეთე-წარმატება!“

ამგვარად ჩვენ ყურები დავულუქეთ მათ გამოქვაბულში მრავალი წლით.

მერე ჩვენ გამოვაღვიძეთ ეგენი, რათა გაგვეგო რომელი ჯგუფი უკეთ გამოითვლიდა რამდენი წელი დაჰყვეს .

ჩვენ მოგიყვებით შენ მათ ამბავს ჭეშმარიტებით. უეჭველად, ეგენი იყვნენ ჭაბუკები, რომლებმაც ირწმუნეს თავიანთი ღმერთი და გავუძლიერეთ წრმენა ჭეშმარიტებისა.

და ჩვენ სიმტკიცე მოვავლინეთ მათ გულებზე; აკი, ფეხზე წამოდგნენ და თქვეს: „ჩვენი ღმერთი ცათა და ქვეყნის მეუფეა! ჩვენ არ ვსცემთ თაყვანს მის გარდა სხვა ღვთაებას, რამეთუ მაშინ ზღვარს გადავალთ და ტყუილს ვიტყვით!“ (ქეჰფ, 18/10-13-14)

მუსლიმი აფასებს ტექნოლოგიურ მიღწევებს და ადამიანის შესაძლებლობებისთვის ღმერთს მადლობას სწირავს. ვაჭრობაში და ბიზნესში კი ცდილობს იაფი და ხარისხიანი საქონელი შესთავაზოს მომხმარებელს.

ჭეშმარიტმა მუსლიმმა იცის, რომ არალეგიტიმური გზებით მოპოვებული ფული და საქმის ღალატი კეთილდღეობას ვერ მოიტანს და ამის ჩამდენი პიროვნება აუცილებლად ზარალს ნახავს. რაცარუნდა კარგი ცხოვრება მოიწყოს არამით, რაცარუნდა იზრუნოს შთამომავლობის კარგი აღზრდისათვის, ერთ დღეს ყველაფერი სანანებლად გაუხდება.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ“,

(ბაყარა, 2/155)

muslimgeorgia
Muslim Georgia Humanitarian International Charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

11. მოთმინება და სიმშვიდე

11.1. მოთმინება

გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამს სიმშვიდის შენარჩუნებას და ამ მდგომარეობის გასვლამდე გონივრულობის ფარგლებში გაძლებას და თავშეკავებას მოთმინება ეწოდება. მოთმინების გამოჩენას გამძლეობა სჭირდება, რათა მდგომარეობისგან გამოწვეული ზეწოლის შედეგად მკვეთრი რეაქცია არ გამომავლინოთ. ყურანში მოთმინება ხშირადაა ნახსენები და ის შუამავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებადაა მიჩნეული. ყურანში ღმერთი ადრინდელი შუამავლების მაგალითს ახსენებს და შუამავლს მოთმინებისკენ მოუწოდებს:

„მაშ, მოითმინე, როგორც მოითმინეს მტკიცე ნების მქონე შუამავლებმა და არ ითხოვო დაჩქარება მათთვის, რამეთუ იმ დღეს იხილავენ იმას, რაც აღთქმული ჰქონდათ, რომ მათ არ დაუყვიათ, გარდა დღის ერთი საათისა. (ეს ყურანი) ცნობარია . განა განადგურდება ვინმე, მეამბოხე ცოდვილი ხალხის გარდა?!“ (აჰქაფ, 46/35)

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ყველა ადამიანი მგზავრია. წუთისოფლის სტუმრები ვართ და ვინც მოდის, ისევ მი-

დის. ყოველი ჩვენგანი გზას ვადგივართ. ეს არის გზა სამოთხისკენ და ამ გზაზე აღმართი და დაღმართი, სიხარული და გაჭირვება მრავლადაა. რამდენადაც გვაქვს იმედი, იმდენად ვუძლებთ ტკივილებს და ამ გზას ვაგრძელებთ. ღმერთმა ისეთი რამ გვიწყალობა, რომელიც გვაძლებინებს, გვიცავს უსაზღვრო მღელვარებისგან, გაპროტესტებისა და მცდარი ქმედებებისგან და ეს წყალობა არის მოთმინება.

მოთმინება სასოწარკვეთა ან დაცემულობა არ გახლავთ. მოთმინება არც უიმედობა და ხელჩაქნეულობაა. მოთმინება ღირსებაა. მოთმინება ღვთისადმი უპირობო მინდობის გამოხატულებაა. მოთმინება გაძლებაა. მოთმინება ამქვეყნიური მრავალი და მრავალგვარი გამოცდის წინაშე ქედის მოუხრელობაა. მოთმინება ეშმაკისა და საკუთარი სურვილების ტყვეობისგან თავის დაღწევა და გამარჯვებაა. მოთმინება გასაჭირზე ღირსეულად შეგებებაა. მოთმინება ღვთის განჩინების უპირობო აღარებაა. მოთმინებას საფუძვლად რწმენა უდევს და ის სიკეთის გასაღებია, რომელიც საბოლოო ჯამში სამოთხეში შეგვიყვანს.

ზოგჯერ ადამიანს მცირეოდენი გაჭირვების დროსაც კი მოთმინება უჭირს. ზოგჯერ კი ადამიანს დიდი უბედურება დაატყდება თავს და იმედს დაკარგავს. ამ დროს ადამიანი ფიქრობს, რომ ავადმყოფობა არ დასრულდება, ფინანსური გაჭირვება არ გამოსწორდება, ოჯახური პრობლემები აღარ დამთავრდება და ა.შ. ამ დროს ადამიანი სასოწარკვეთილია და ჰგონია, რომ წარმატება, სიმშვიდე და ბედნიერება მისი ხვედრი არ არის და ეს ყველაფერი ძალიან შორსაა. არადა ყურანში აშკარა მითითებაა: „რამეთუ, უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება; უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება!“ (ინშირაჰი 94/5-6). ყოველ სიძ-

ნელეში მრავალი წყალობაა დაფარული. ზოგ საქმეში მხოლოდ უბედურებას ვხედავთ, მაგრამ მისგან მოულოდნელი სიკეთე იბადება. მორწმუნე ადამიანმა იმედი და გამძლეობა არ უნდა დაკარგოს. მორწმუნე ადამიანს მუდმივად უნდა სჯეროდეს, რომ ღმერთი მომთმენების მხარესაა.

მოთმინება არა მარტო ინდივიდუალური ურთიერთობისას, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებაში სიმშვიდე და ჰარმონია შენარჩუნდეს. უზენაესი გამჩენი ყურანში ასე ბრძანებს:

„და ჰმორჩილეთ ალლაჰსა და მის შუამავალს და არ შეეცილოთ ერთმანეთს, თორემ სულით დაეცემით და ძალას დაკარგავთ. და იყავით მომთმენნი, უეჭველად, მომთმენთანაა ალლაჰი!“ (ენფალ, 8/46)

„უამრავი შუამავალი იყო, რომელთა გვერდით იბრძოდა მრავალი ღვთისმოსავი, და არ დაშინებულან ისინი იმის გამო, რაც შეემთხვათ ალლაჰის გზაზე, ძალა არ დაუკარგავთ და არ დანებებულან, და უყვარს ალლაჰს მომთმენნი“, (ალი იმრან, 3/146)

მორწმუნენი არამარტო მოთმინებას იჩნენენ, არამედ სხვებსაც მოთმინებისკენ მოუწოდებენ. ეს მათი მოვალეობაა.

„ვფიცავ, ღესვრს ! უეჭველად, ადამიანი წაგებულია! გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ერთმანეთს ჭეშმარიტებასა და მოთმინებას ამცნობენ!)ასრი, 103/1-3) მოთმინება მუსლიმთა ცხოვრების საერთო პრინციპია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

11.2. სიმშვიდე

მოთმინებასთან ახლო კავშირში მყოფი კიდევ ერთი მორალური თვისება სიმშვიდეა. რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი მორწმუნისთვის შესაფერისი საქციელი სიმშვიდის შენარჩუნებაა. აღშფოთება, პანიკაში ჩავარდნა, რისხვის გამოვლენა, მკვეთრი რეაქციები წონასწორობის დაკარგვის ნიშნებია,ხოლო წონასწორობის დაკარგვა და ზომიერების გზიდან გადახვევა მორწმუნისთვის შეუფერებელი საქციელია. პანიკაში ჩავარდნილი ადამიანი, როგორც წესი, კონტროლიდან გამოდის და არაადეკვატური ქცევებით ხასიათდება. ამდენად, ნებისმიერ სიტუაციაში, მორწმუნეთა მხრიდან მოსალოდნელია სიდინჯე და თავშეკავებულობა.

ფიზიკურ სხეულს მრავალი დაავადება ახასიათებს და მათ ცვლილებას გარკვეულწილად ეს განაპირობებს. ასევე ემართება სულსაც. არსებობს სულისთვის დამახასიათებელი დაავადებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ მასზე. ამის მტკიცებულება ისევ და ისევ ადამიანების ამგვარი მდგომარეობაა.

არსებობს შემთხვევები, როცა ჭკვიანური რჩევა-დარიგების ან მუქარის საშუალებით გამოუსწორებელი ვიგინდარა გამოსწორებულა და გონს მოსულა. ხშირად ბოროტი და ცოდვილი ადამიანებიც მოდიან გონს, მოინანიებენ ხოლმე და სწორი გზით ცხოვრებას იწყებენ. სწორედ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორი მკურნალობის შემთხვევაში სულის დაავადებებიც განკურნებადია.

დიახ, თავდაპირველად სული იმ ბავშვს გავს, რომელიც ვერ ისვენებს და სხვადასხვა ფორმებში შედის. თუ სწორი აღზრდა მიიღო სუფთა და წესიერი ადამიანი გაიზრდება.

ასეა სულიც. თუ სწორად განვითარდა სათნოებით და სილამაზით აღსავსე იქნება. ხოლო თუ თავის ნებაზე იქნა მიშვებული და ცუდი ზრახვების ანაბარად მიტოვებული, სული დაბინძურდება და მუდმივად შარს გადაეყრება.

გამოდის რომ დაავადების და მკურნალობის თვალსაზრისით სულის მდგომარეობა იგივენაირია, როგორც სხეულის. განსხვავება ისაა, რომ სულსა და სხეულს ერთნაირი დაავადებები არ ემართებათ და არც ერთნაირ მკურნალობას არ ექვემდებარებიან.

შუამავალი მორწმუნეებს ხშირად მოთმინებისკენ მოუწოდებდა და ამ მიზნით საუკეთესო შედარებებით მოძღვრავდა: „მორწმუნე ნედლ ხეს გავს. როდესაც ძლიერი ქარი ამოვარდება, ის მოიხრება, მაგრამ არ მოტყდება. როგორც კი ქარი ჩავარდება, ხე ისევ გასწორდება. მორწმუნეც ასეთია. უბედურებისა და განსაცდელის ჟამს წელში მოიხრება, მაგრამ არ წაიქცევა. ურწმუნო ხმელ ხეს გავს. ის თავაწეული დგას, მაგრამ, როდესაც ღმერთი ინებებს, უეცრად წაიქცევა“. (იხ. ბუჰარი, „თევჰიდ“, 31)

სიმშვიდე ის წამალია, რომელიც უბედურების ჟამს სამკურნალოდ გამოიყენება. როდესაც მექელი ურწმუნოებისგან თავდასხმა იყო მოსალოდნელი და მედინელი მუსლიმები შუამავლის მეთაურობით მედინას ირგვლივ თხრილს ამზადებდნენ, შუამავალი მიმდევრებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა და სიმშვიდის მაგალითს აძლევდა. იმდროინდელი მოვლენების ერთ-ერთი აღწერა შემდეგ ლექსშია მოცემული:

შენ რომ არა, გამჩენელო, ვინ მოგვგვრიდა შვებას,
ვერ გავცემდით მოწყალებას, ვერ შევძლებდით ლოცვას.
როცა მტერი მოგვადგება, მოგვივლინე სიმშვიდე, მოგვეც

ძალა, შეწევნა, ვიდგეთ, ვყარად ვლიდეთ. ურწმუნოთა ჯარია, თავს რომ გვესხმის ისევ, ჩვენი ბრძოლა წმინდაა, ღმერთო შეგვეწიე! (იხ. ბუჰარი, „მეგაზი“, 30)

ამრიგად, როდესაც ადამიანი განსაცდელში ჩავარდება, არ უნდა დაავიწყდეს, რომ ამქვეყნიური ყველაფერი წარმავალია. მან უნდა იცოდეს, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხორციელდება და ამიტომ ღმერთს მიენდოს და სიმშვიდე შეინარჩუნოს. აღშფოთება, პანიკაში ჩავარდნა, რისხვის გამოვლენა, მკვეთრი რეაქციები წონასწორობის დაკარგვის ნიშნებია,ხოლო წონასწორობის დაკარგვა და ზომიერების გზიდან გადახვევა მორწმუნისთვის შეუფერებელი საქციელია. პანიკაში ჩავარდნილი ადამიანი, როგორც წესი, კონტროლიდან გამოდის და არაადეკვატური ქცევებით ხასიათდება. ამდენად, ნებისმიერ სიტუაციაში, მორწმუნეთა მხრიდან მოსალოდნელია სიდინჯე და თავშეკავებულობა. რწმენის ერთ-ერთი პირობა ბედისწერის რწმენაა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი განსაცდელის დროს ღმერთს მივეკედლოთ და მისი ნების მიმართ შემგუებლობა გამოვხატოთ.

სიმართლე და სიტყვის დაცვა,

ერთგულება და სიკეთე,

სუსტის უფლებებს თუ ვიცავთ,

ერთგულებაა, სიქველე.

მეჰმეთ აქიფ ერსოი, (1981; 171)

muslim georgia
muslim georgia national charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

12. ზომიერება და წონასწორობა

12.1. ზომიერება

ზომიერება, როგორც გრძნობებსა და ფიქრში, ასევე დამოკიდებულებსა და ქცევებში გამოხატული, ერთგვარი საზღვრების დაცვით განპირობებული ცხოვრების სტილია, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს ზღვარს არ გადავიდეს და ყოველთვის ოქროს შუალედი დაიცვას. ზომიერება რომელიმე ქცევის გამოვლინების სიჭარბეს ან ზედმეტად სიმცირეს გამორიცხავს. ეს არის შუალედური გზა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ფორმაა. ზომიერება ის ზნეობრივი თვისებაა, რომელიც არამარტო ადამიანურ ურთიერთბებში, არამედ უფრო ფართო გაგებით, ჰარმონული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ზომიერების დაცვა ღვთიური ბრძანებაა. თმერთი ადამიანებს ზომიერების დაცვისკენ მოუწოდებს:

„უთხარი: „მოუხმეთ ალლაჰს ან მწყალობელს! როგორც უნდა უხმოთ, ყველა მშვენიერი სახელია მისი .“ და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე!“ (ისრა, 17/110) ყურანი, არამარტო ლოცვისას, არამედ ყოველდღიური ცხოვრების პირობებშიც ზომიერების დაცვისკენ მოგვიწოდებს:

„და ნუ იქნები ხელმომჭირნე და ნურც გაშლი მას ბოლომდე , თორემ იმედგაცრუებული, გაღატაკებული დარჩები!“ (ისრა, 17/29)

ისლამი ზომიერების სარწმუნოებაა. ის ყველა საქმეში ზომიერებისკენ მოგვიწოდებს. ისლამი გვასწავლის, რომ ზღვარსგადასულობა დიდი ცოდვაა და უნდა მოვერიდოთ. ყველა საქმეში მიზანდასახულობა, გონიერება და ზომიერი ქცევა უნდა გვახასიათებდეს.

ადამიანი მაშინ მიაღწევს ბედნიერებას, თუ ის მატერიალურსა და სულიერს, სხეულსა და სულს, სააქაოსა და საიქიოს შორის წონასწორობას შეინარჩუნებს და ზომიერ დამოკიდებულებას გამოიჩენს. ჩვენს სამყაროში სიმშვიდისა ბედნიერების მისაღწევად ის საზომი უნდა გავითვალისწინოთ, რაც ღმერთმა დაგვიწესა. ზომიერების პრინციპი უნდა არეგულირებდეს ყველა სფეროს; შრომას, ვაჭრობას, გართობას, ჭამას, ჩაცმას, ლაპარაკს და ა.შ. უფრო მეტიც, რელიგიურ საკითხებთან დამოკიდებულებაშიც ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ.

ჩვენი, როგორც მორწმუნეთა მოვალეობაა, მთელ სამყაროში არსებული უზადო წესრიგისა და ზომიერების ცხოვრებაში გადმოტანა. ყველა მიმართულებით უნდა დავიცვათ ზომიერება და არც ზღვარს უნდა გადავიდეთ და არც ნაკლები უნდა მოგვივიდეს. ზომიერება უნდა დავიცვათ ჭირსა და ლხინშიც. თავშეკავებულობა გვმართებს ბედნიერებისა და უბედურების ჟამს. „ზღვარს ნუ გადახვალთ, სწორი გზით იარეთ და გიხაროდეთ ის საზღაური, რასაც ასეთი ქცევისთვის მიიღებთ“. - ბრძანებს შუამავალი. (იხ. ბუჰარი, „იმან“ 29).

ზომიერების საპირისპირო ტერმინი ზღვარსგადასულობაა. სარწმუნოების მიხედვით ზღვარს გადასვლა დაგმობილი ქმედებაა და მორწმუნე ადამიანი ვალდებულია ეს წესი მტკიცედ დაიცვას. მაგალითად, სასურველია, რომ ადამიანი ხელგაშლილი იყოს და სხვებს ყოევლთვის დაეხმაროს, მაგრამ ეს ფულის ზედმეტად ფლანგვაში არ უნდა გადაუვიდეს. ასევე მომჭირნეობასაც ზომიერება სჭირდება. ზედმეტი სიძუნწეც იგივე ზღვარსგადასულობაა და ყოველმხრივ მიუღებელია. ამრიგად, ზომიერება ის ოქროს შუალედია, რომელიც მორწმუნემ უნდა დაიცვას.

12.2. წონასწორობა

წონასწორობა ზომიერების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ის ზომიერებასთან ახლოს მყოფი ზნეობრივი თვისებაა, თუმცა საბოლოო ჯამში წონასწორობა ზომიერების მომცველობაში მოიაზრება. წარმოგიდგენთ აიათს, სადაც წინასწორობა კარგი მსახურების თვისებადაა ნახსენები:

„ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის“. (ფურყანი, 25/67) ამრიგად, აქ ნახსენები საშუალო გზა ის წონასწორობაა, რაც მორწმუნემ უნდა დაიცვას. ხშრად ისლამს ზომიერებისა და წონასწორობის სარწმუნოებად მოიხსენიებენ. აქ იგულისხმება, რომ ისლამი ადამიანის ყველა მოთხოვნილებას ითვალისწინებს და ასევე ადამიანს ასწავლის იმ გზას, რომელიც დედამიწაზე საცხოვრებლად ხელსაყრელი პირობების შექმნისთვისაა საჭირო. სწორედ ეს არის ზომიერებისა და წონასწორობის დაცვის გზა. მაგალითად, მორწმუნემ რომ გადაწყვიტოს, რომ ყოველთვის საიქიო ცხოვრებისთვის იზრუნოს და

ამქვეყნიური საზრუნავი მიატოვოს, ისლამი ამის უფლებას არ აძლევს. ასევე მიუღებელია, თუ ადამიანი საიქიოს დაივიწყებს და მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისთვის იზრუნებს. ამიტომ, ისლამი ადამიანებს მოუწოდებს ამ ორს შორის ზომიერება დაიცვან და ორივეს გულისყურით მოეკიდონ.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა სულის, გონების, სურვილებისა და გრძნობების გავლენები უნდა გააკონტროლოს და აქაც ზომიერება დაიცვას. მაგალითად, ადამიანს მიცემული აქვს ბუნებრივი სურვილი საპირისპირო სქესთან სიახლოვე ჰქონდეს, რათა ადამიანები გამრავლდნენ. თუმცა ამ სურვილებზე იმდენად აყოლა, რომ ლეგიტიმური ხასიათის კონტროლიდან გამოვიდეს, ყოვლად მიუღებელია. ამ საკითხის შესახებ წარმოგიდგენთ შემდეგ აიათს:

„გინახავს ის, ვინც თვისი ვნება გააღმერთა? ნუთუ მისი დამცველი და მფარველი იქნები?“

(ფურყანი, 25/43) შუამავალი კი შემდეგნაირად გვმოძღვრავს: „გონიერი ადამიანი ცდუნებებს დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებს და საიქიოსთვის იზრუნებს. სუსტი ადამიანი კი ცდუნებებს აჰყვება...“ (იხ. თირმიზი, „სიფათულ ყიამე“, 25)

მორწმუნე ადამიანი რწმენისა და სიკეთის მხარეს უნდა იდგეს. რწმენა და სიკეთე განუყოფელი წყვილია. შუამავალი ბრძანებს: „სიკეთე საუკეთესო ზნეობაა“. (იხ. მუსლიმ, „ბირ ვე სილა“ 14). გამომდინარე აქედან, ცხოვრების მანძილზე სამართლიანობა, შემწყნარებლობა, პატივისცემა, სიმართლე, პატიოსნება, თავგანწირვა და ყველაფერი, რაც საუკეთესო ზნეობის გამოვლინებაა, საერთო ჯამში სიკეთეა. მორწმუნე ადამიანი კი სიკეთის განსახიერება უნდა იყოს.

12. ზომიერება და წონასწორობა

მორწმუნე ადამიანი ერთის მხრივ თავის ქცევით სიკეთეს უნდა სთესდეს, ხოლო მეორეს მხრივ კარგი შეგონებითა და სიბრძნით ყველას სიკეთის კეთებისკენ მოუწოდებდეს. მორწმუნე ადამიანი მუდმივად შუამავლის მოწოდებას ითვალისწინებს. ის აიოლებს და არ ართულებს. ის შეახალისებს, არ შეაძულებს. (იხ. ბუჰარი, „ჯიჰად“ 164)

მორწმუნემ იცის, რომ კეთილი დამოკიდებულება უკეთესია, ამიტომ ყველა საქმეს კარგი კუთხით განიხილავს. ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა ამოძრავებს და შემწყნარებლობას იჩენს. მორწმუნე ყოველთვის სიკეთის, სიმართლისა და პატიოსნების მხარესაა.

მორწმუნე ადამიანი ბოროტების წინააღმდეგ დაუღალავად იბრძვის. მორწმუნე არ მოიტყუებს და ცილს არ დასწამებს. ის ჭორებითა და შუღლის ჩამოგდებით ენას არასოდეს დაიბინძურებს. მან იცის, რომ ადამიანთა სინდისი და ღირსება ძალიან ძვირფასი ამანათია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება, ღალატი კი ბოროტების გამოვლინებაა.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს“

(ბაყარა 2/168, 172)

muslim georgia
muslim georgia union
international charity foundation



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

13. სისუფთავე და მოწესრიგებულობა

13.1. სისუფთავე

მორალური ღირებულებებიდან ერთ-ერთ უმთავრესი გულის სიწმინდეა. გულის სიწმინდეში სულიერი, შინაგანი სისუფთავე იგულისხმება. ამ თავში კი გარეგნულ სისუფთავეს განვიხილავთ. გარეგნულ სისუფთავეზე როცა ვსაუბრობთ, აქ კიდევ ჩვენი სხეულის, სახლის, ქუჩის, გარემოს სისუფთავე და მისი დაცვა იგულისხმება. სისუფთავე ღვთიური ბრძანებაა და ამასთანავე ის შუამავლის სწავლების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია. ყურანში ნაბრძანებია:

„და არ დადგე მასში არასდროს . უეჭველად მეჩეთი, რომელიც დაფუძნდა პირველი დღიდან ღვთისმოშიშობაზე , უფრო ღირსია, რომ დადგე მასში. იქ არიან კაცნი , რომლებსაც უყვართ, რომ განიწმინდონ. და ალლაჰს უყვარს განწმენდილები“. (თევბე 9/108)

გარეგნული სისუფთავე სხეულის, საკვების, ტანისამოსის, საცხოვრებელი ადგილის და გარემოს სისუფთა-

ვეს გულისხმობს. სხეულის სისუფთავე განბანვით უნდა დავიცვათ. ყურანში ვკითხულობთ:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახენი და ხელები იდაყვების ჩათვლით, თავი შეიწმინდეთ და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით. და თუ ხართ უსუფთური , განიბანეთ. და თუ ავად ხართ ან მოგზაურობთ; ან თუ რომელიმე თქვენთაგანი საპირფარეშოში გავიდა საჭიროებისათვის, ან ქალთან გქონდათ კავშირი და ვერ ჰპოვოთ წყალი, მაშინ განიბანეთ მიწით (თეიმუმი გააკეთეთ) და წაისვით სუფთა მიწა სახეზე და ხელებზე. ალლაჰის ნება არ არის რაიმე სიძნელე დაგიწესოს თქვენ , მაგრამ უნდა, რომ განგწმინდოთ თქვენ და სრულქმნას წყალობა მისი თქვენდა, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ!“ (მაიდე, 5/6)

ჰეი, ადამიანებო! ჭამეთ რაც არის ნებადართული და სუფთა ამ ქვეყანაზე და არ გაყვეთ ეშმაკის კვალთ, უეჭველად, იგი აშკარა მტერია თქვენი“. (ბაყარა, 2/168)

„და შენი სამოსი განიწმინდე“, (მუდდესსირი, 74/4)

„აი, მივუთითეთ იბრაჰიმს ადგილი სახლისა (ქააბა): არ გამიხადო არავინ მოზიარედ და წმინდად შეინახე ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარს შემოუვლის: ფეხზე მდგომი, წელშიმოხრილი თუ სეჯდეს აღმსრულებელი!“ (ჰაჯი, 22/26)

როდესაც ადამიანს აქვს საშუალება იყოს მოწესრიგებული, მაგრამ არ აქცევს ყურადღებას, აცვია ჭუჭყიანი ტანსაცმელი, არის დაუბანელი, თმა და წვერი აქვს მოუწესრიგებელი, სახლი დაულაგებელი და ა.შ. ასეთი ადამიანი სხვა ადამიანებისთვისაც და ღმერთისთვისაც მიუღებელია. ღვთის წინაშე წარსდგომა და ღვთისმსახუ-

რება მხოლოდ სისუფთავის დაცვის გზითაა შესაძლებელი. დიდი და მცირე განბანვა (ღუსული და აბდესთი) შეუდარებელი სისუფთავის სისტემაა, რომელიც ნამაზის მსგავსად ბევრი სხვა ღვთისმსახურების აუცილებელი პირობაა. სხეულის სისუფთავის დაცვა, პირის ღრუსა და ფრჩხილების მოწესრიგება, კვირაში მინიმუმ ერთხელ მაინც აბაზანის მიღება შუამავლის სუნნეთია.

13.2. მოწესრიგებულობა

მოწესრიგებულობისათვის საჭიროა შესაბამისი შინაგანი დამოკიდებულება გაგვაჩნდეს. ჯერ შინაგანი ბუნება უნდა მოვაწესრიგოთ, რათა ჩვენი დამოკიდებულებები, რომლებიც ქცევის სახით გამოვლინდება, მოწერიგებული იყოს. წესრიგი, წესების დაცვა, დისციპლინა, სისუფთავეზე ყურადღების გამახვილება უსაფრთხო და სასურველი საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის აუცილებელი პირობებია.

ცხოვრებაში ყველა სიკეთისა და სილამაზის საფუძველი სიჯანსაღეა, ხოლო სიჯანსაღის საფუძველი კი -სისუფთავე. წარსულის მსგავსად თანამედროვე ეპოქაშიც გადამდები დაავადებები საკმაოდ გავრცელებულია. გადამდები ვირუსები მთელ მსოფლიოს უქმნის საფრთხეს და მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზი ხდება. ღმერთს მადლობა, ჩვენს ქვეყანაში ლეტალური შედეგი არ დაფიქსირებულა, მაგრამ საკუთარი თავის და სხვათა ჯანმრთელობის დაცვისთვის უფრო მეტი ყურადღება და სიფრთხილე გვმართებს.

ვირუსებისგან თავის დასაცავად საყოველთაოდ მიღებული პრევენციული ზომები უნდა ვიცოდეთ და უნდა ვითვალისწინებდეთ. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სისუფთავის დაცვას. ხელები დღეში რამოდენიმეჯერ უნდა დავიბანოთ და არ უნდა დაგვავიწყდეს საპნის გამოყენება. დაუბანელი ხელით თვალებს, ცხვირსა და პირს არ უნდა შევეხოთ. დღის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი სითხე უნდა მივიღოთ. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ კვებისა და ძილის რეჟიმს. ხველისა და ცემინების დროს უნდა გამოვიყენოთ ერთჯერადი ხელსახოცი. თუ ხელსახოცი არ გვაქვს გამოვიყენოთ მოხრილი იდაყვი და გამონატყორცნი ჰაერი მივმართოთ იდაყვის შიდა მხარეს. საცხოვრებელი სივრცე ხშირად უნდა გავანიავოთ. უნდა მოვერიდოთ რელიგიურად აკრძალულ და ჯანმრთელობისთვის საზიანო მავნე ჩვევებს, როგორიცაა სიგარეტი, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და სხვა.

მოწესრიგებული ადამიანი ყველასათვის მისაღები და სასიამოვნოა. ის დისკომფორტს არ ქმნის. ის ოჯახშიც სხვებს ტვირთად არ აწვება და საზოგადოებაშიც წესიერად მოქცევის საუკეთესო მაგალითებს იძლევა. მოუწესრიგებელი ადამიანებისგან რაიმე სერიოზული სარგებელის მიღებას არ უნდა ველოდოთ. მოწესრიგებული ადამიანები ოჯახსა და საზოგადოებაში მისაბაძი თვისებებით გამოირჩევიან და მათთან ურთიერთობა სასიამოვნოა.

მე სულ თავისუფლად ვცხოვრობდი და

თავისუფალი ვიქნები ყოველთვის.

ვინ უნდა იყოს ის, ვინც მე ბორკილის
დადებას გამიბედავს?

ა ზვირთებული ღვარცოფივით
მოვდივარ, ყველა დაბრკოლებას
გადავლახავ.

მთებს გავარღვევ, წინაღობებს
გავცდები, გავიშლები.

მეჰმეთ აქიფ ერსოი (1981; 525)

muslim Georgia
Georgia Muslim International Charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

14. თავისუფლება და ტოლერანტობა

14.1. თავისუფლება

თავისუფლება მხოლოდ თანამედროვე სამყაროში სისტემატიურად გაჟღერებული, დასავლური წარმოშობის ღრებულება არ გახლავთ. თავისუფლება უფრო ისლამური ღირებულებაა, რომელიც ისლამურ კლასიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. ამ ღირებულების სრული მნიშვნელობით ფლობა ცალკე ღირებულებაა. ისლამის მიხედვით, თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ცდუნებების ტყვეობისგან გათავისუფლება და მათი კონტროლის ქვეშ მოქცევაა. ამასთანავე, ნამდვილი თავისუფლება ყოველგვარი გარეგანი და შინაგანი ფაქტორებისგან თავისუფლებას ნიშნავს. ისფაჰანი წერს, რომ ნამდვილად თავისუფალი ის ადამიანი, რომელიც ამქვეყნიური ცდუნებების ტყვეობისგან თავისუფლდება.

უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმი მორალისტი აჰმეთ ჰამდი აქსექი ამბობს: „ისლამის მიხედვით თავისუფლება საკუთარი თავისა და საზოგა-

დოებისთვის სასარგებლო საქმის კეთებასა და საკუთარი შეხედულებების მიხედვით თავისუფლად მოქმედებას ნიშნავს“. როგორც მორალური ღირებულება, თავისუფლება არის ადამიანის შინაგანი სურვილების გავლენებისაგან გათავისუფლება და ასევე გარე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილებების მიხედვით ცხოვრება.

ადამიანის თავისუფალი ნება, სხვა დანარჩენი ფუნდამენტური უფლებების მსგავსად, საერთაშორისო კანონმდებლობით ცნობილი უფლებაა. ამ თვალსაზრსისით თანამედროვე სახელმძღვანელოებში ხშრადაა გამოყენებული ტერმინი, უფლებები და თავისუფლებები. ეს ორი რამ ერთმანეთთან ძალიან ახლო კავშირშია. თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი უფლებაა, ხოლო დანარჩენი უფლებებიდან ზოგიერთ ადამიანს ცხოვრების სხვა და სხვა ეტაპზე ენიჭება. თავისუფლების უფლება ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისგან და უფრო მეტიც, ანგელოზებისგან გამოარჩევს.

თავისუფლება საკუთარი თავის ფლობაა. ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი ადამიანი საკუთარ მეს, სურვილებს, ხასიათს, უნარებს და შესაძლებლობებს კარგად ფლობს და აკონროლებს. თავისუფალი ბუნების ადამიანი იცავს, როგორც საკუთარ, ისე სხვათა უფლებებს. მისი გადაწყვეტილებები მყარია და ის ამ გადაწყვეტილებების აღსრულებას მთელი გულით ეცდება. თავისუფალი სულის ადამიანის მოტყუება, რაიმე ანკესზე წამოგება და ყალბი იდეალების ძიებაში აყოლიება ძალიან რთულია. თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და ამ უფლების დაცვა სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია. როდესაც ადამიანის თავისუფლებას ხელყოფა ემუქრება, აქ, უპირველეს

ყოვლისა, მისი ღირსება ილახება. დიახ, თავისუფლება ღირსეულ ადამიანთა ხვედრია და ასეთი ადამიანები თავისუფლებას არასოდეს დათმობენ.

თავისუფლების საპირისპირო მდგომარეობა მონობაა. მართალია თანამედროვე სამყაროში მონობა ოფიციალურად აღარ არსებობს, მაგრამ ამის მიუხედავად მრავალი ადამიანი მონური ფსიქოლოგიით ცხოვრობს. როდესაც ადამიანი საკუთარ ბედს სხვა ადამიანების კონტროლქვეშ აქცევს და სიტუაციის გამოსწორებისათვის არაფერს აკეთებს, ეს ნიშნავს, რომ მას უკვე მონური ფსიქოლოგია აქვს ჩამოყალიბებული. თანამედროვე ეპოქაშიც კი ადამიანებმა ნამდვილი თავისუფლების ფასი არ იციან. ხშრად მათ მოჩვენებით თავისუფლებას სთავაზობენ და ადამიანთა უმრავლესობა ამ მოჩვენებით თავისუფლებას უყოყმანოდ იღებს. სამწუხაროდ, გარკვეული კატეგორიის ადამიანებს კიდევ აქვთ მოთხოვნილება, რომ სხვები დაიმონონ და თავიანთი გავლენის ქვეშ იყლიონ. ამგვარი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ დონეზე შესაბამისი მასშტაბით ვლინდება. ამ კატეგორიაში შეიძლება შევიყვანოთ პოლიტიკოსები და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოგიერთი სასულიერო პირიც.

ყურანის მიხედვით, იუდაიზმი და ქრისტიანობა სასულიერო პირებს გადაჭარბებულ პრივილეგიებს ანიჭებს და ეს მდგომარეობა ქმნის იმის ალბათობას, რომ მათ მრევლზე ზღვარსგადასული გავლენები გააჩნდეთ. ადამიანს მხოლოდ ღვთისადმი მონობა ევალება და სხვა ადამიანის მიმართ მსგავსი მორჩილება მიუღებელია. ყურანში ნაბრძანებია:

„მათ დაიდგინეს ღმერთებად თავიანთი მწიგნობრები და ბერები, ნაცვლად ალლაჰისა, ასევე მესიჰი, ძე მარიამისა. და მათ არ ბრძანებიათ თაყვანისცემა, გარდა ერთი ღმერთისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. დიდება მას! შორსაა მისგან, რასაც მოზიარედ უდგენენ!“ (თევბე, 9/31)

„უთხარი (ო,მუჰამმედ!): ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! მოდით ერთ სიტყვაზე, საერთოზე თქვენთვის და ჩვენთვის, რომ არ ვცეთ თაყვანი არავის, გარდა ალლაჰისა, და არ გავუჩინოთ მას თანაზიარი, და არ დავიდგინოთ რომელიმე ჩვენგანმა ღმერთებად, მაგიერ ალლაჰისა. და თუ სახეს იბრუნებენ, უთხარი მათ: „დაამოწმეთ (მოწმე იყავით), რომ ჩვენ მუსლიმნი ვართ.

ჰეი, ღვთიური წიგნის ხალხო! რატომ კამათობთ იბრაჰიმის გამო? თევრათი (თორა) და ინჯილი (სახარება) ხომ მხოლოდ მის (იბრაჰიმის) შემდგომ იყო გარდმოვლენილი. განა არ უნდა მოუხმოთ გონებას?

აი, თქვენ ესა ხართ, იმაზე დაობდით, რაც (მეტ-ნაკლებად) იცოდით ; რატომღა კამათობთ იმაზე, რაც არ იცით ? უეჭველად, უწყის ალლაჰმა, და არ უწყით თქვენ!“ (ალი იმრანი, 3/64)

როგორც სხვა ყველაფერში, თავისუფლების აღქმასა და განხორციელების საქმეშიც ზომიერების დაცვაა საჭირო. თავისუფლების იდეის გამოყენებით ზღვარს გადასვლა და სხვათა უფლებების დარღვევა ამ მნიშვნელოვანი ღრებულების არასწორი გაგებაა და ნამდვილი თავისუფლებისგან შორს დგას. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფლებას გადაჭარბებული მოკრძალება და პასიურობაც დააზიანებს. თუ ჩვენს თავისუფლებას არ გამოვიყენე-

ბთ და ინერტულ მდგომარეობაში ჩავდგებით, იქმნება საფრთხე, რომ სხვები ჩვენს უფლებებს დაარღვევენ და ჩვენი თავისუფლების განხორციელებისათვის ადგილს აღარ დატოვებენ. თავისუფლება წესების უარყოფას არ ნიშნავს. თავისუფლება საყოველთაოდ ცნობილი წესების დაცვას და საკუთარი იდენტობის რეალიზებას გულისხმობს.

14.2. ტოლერანტობა

როგორც უკვე მოგახსენეთ, ადამიანისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება თავისუფლებაა. ადამიანები თავიანთი უფლებების განხორციელებისას, ბუნებრივია, გარკვეულწილად ერთმანეთისგან განსხვავებულ დამოკიდებულებებს გამოავლენენ. ამგვარი განსხვავებული შეხედულებების დაფიქსირებისას კი ადამიანები ურთერთბების გარკვევას იწყებენ. სწორედ აქ ხდება საჭირო კიდევ ერთი მორალური ღირებულების, სხვათა მიმართ გაგების, ანუ ტოლერანტობის არსებობა. სხვებთან ურთიერთბისას ეგოისტური დამოკიდებულებების გამოვლენა ურთიერთობებს აზიანებს და საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ სიმშვიდეს საფრთხე ემუქრება. თავისუფალი ბუნების ადამიანს განსხვავებული აზრის პატივისცემა უნდა შეეძლოს და ამ პრინციპით თანაცხოვრების გარემოს ქმნიდეს.

ჩვენს სარწმუნოებაში რწმენა, ღვთისმსახურება და მორალი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ისლამი ჩვენგან ღვთისმსახურების დროს გულწრფელობას ითხოვს და ასევე მოითხოვს, რომ ვიყოთ ლმობიერნი და ზნეკეთილნი. მორწმუნე მუსლიმი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობ-

ლებსა და მეგობრებს. მათთან ურთიერთობაში ძირითადი მამოძრავებელი ხაზი ლმობიერება, შემწყნარებლობა და სიყვარული უნდა იყოს. ამასთანავე, მუსლიმი უნდა აცნობიერებდეს, რომ ყველა და ყველაფერი ღმერთის გაჩენილია, შესაბამისად მათდამი ქცევას ეს ჭეშმარიტება უნდა განსაზღვრავდეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველი მისი გაჩენილი დავაფასოთ.

შუამავალი საუკეთესო მაგალითია. მან საკუთარი ქცევებით გვასწავლა თუ როგორ უნდა მოვექცეთ ადამიანებს და ზოგადად როგორი ურთიერთბებია მისაღები. შუამავალი ლმობიერი, თავაზიანი და შემწყნარებელი ადამიანი იყო. ის ირგვლივმყოფებს იმედს, სანდოობას და სიმშვიდეს აძლევდა. მასთან ურთიერთობისას ადამიანებს სიმშვიდე ეუფლებოდათ და შიშებისგან თავისუფლდებოდნენ. ოჯახსა და მეგობრებთან დიდად მოსიყვარულე გახლდათ. კარგი დღეების გარდა, ძნელბედობის ჟამსაც მოთმინებას იჩენდა და წონასწორობას არასოდეს კარგავდა. ის ყოველთვის შემწყნარებელი და მიმტევებელი იყო. ღმერთმა შეაქო მისი თვისებები, რაც ყურანშია გადმოცემული:

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრან 3/159)

განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემა, შეცდომებზე გაგებით მოკიდება, მიმტევებლობა და ლმობიერება მორწმუნე ადამიანისთვის შესაფერისი საქციელია. ყურანში მორწმუნეების მიმართ ხშრადაა მოწოდება შემწყნარებ-

ლობისა და მიტევებისკენ. შუამავალიც შემწყნარებლობისა და მიტევების საუკეთესო მაგალითებს იძლეოდა.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, თქვენს მეუღლეთა და შვილთა შორის არიან მტრები თქვენთვის. უფრთხილდით მათ! და თუ დაუთმობთ, მიუტევებთ, შეუნდობთ, მაშინ, უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!“ (თეღაბუნ, 64/14)

„დაე, მდიდარნი და შეძლებულნი თქვენგან ნუ დაიფიცებენ, რომ არ დაეხმარებიან ნათესავებს, ღატაკებს და ალლაჰის გზაზე გადასახლებულებს. დაე, აპატიონ და იყვნენ ლმობიერნი. განა არ გინდათ, რომ ალლაჰმა მოგიტევოთ? ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“ (ნურ, 24/22)

ჩვენ, როგორც მორწმუნე ადამიანებმა, შუამავლის მაგალითი უნდა ავიღოთ და მის მიერ ნაჩვენები გზა ჩვენი ცხოვრების პრინციპად ვაქციოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ გულწრფელობა, გულმოდგინება, შინაგანი სიწმინდე და სამართლიანობა ხასიათის ძირითად მახასიათებლებად ვაქციოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ თვალთმაქცობა, ორპირობა, ამპარტავნება და მსგავსი ნეგატიური დამოკიდებულებები არც ღმერთის მხრიდან დაფასდება და არც ადამიანების. მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში ავსიტყვიანობას, რისხვას, უხეშობასა და ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შუამავალი გვასწავლის: „მორწმუნე საყვარელი ადამიანია. ვინც ადამიანს ვერ უახლოვდება და არც მას უახლოვდებიან, სიკეთეს არ მოიტანს“. (იხ. იბნ ჰანბელი, 2, 400). „გინდათ გაცნობოთ თუ ვინ არის ის ადამიანი, რომელიც ჯოჯოხეთის ცეცხლში არ მოხვდება? ეს არის სულთან ახლო, საყვარელი, ლმობიერი ადამიანი“. (იხ. თირმიზი, სიფათულ ყიამე, 45)

ჩვენ იმ საზოგადოების ფასი უნდა ვიცოდეთ, სადაც ვცხოვრობთ და რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ჩვენ ერთმანეთის სიხარული და მწუხარება, ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროთ. ურთიერთობებში დამთმობი და შემწყნარებელი უნდა ვიყოთ. ოჯახში, შინ და გარეთ სიყვარულსა და იმედს უნდა ვასხივებდეთ. მღიმარე სახე და ტკბილი სიტყვა, ლმობიერება და პატივისცემა ჩვენი ხასიათის ძირითადი მახასიათებლები უნდა იყოს და არავის უნდა დავამადლოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ირგვლივმყოფებს ცხოვრება გავუადვილოთ და იმედი მივცეთ.

შუამავლის თანამედროვე მუსლიმები, რომლებსაც საჰაბეების სახელწოდებით ვიცნობთ, ყოველთვის შემწყნარებლობას ავლენდნენ და მიმტევებელი ბუნებით გამოირჩეოდნენ. როდესაც განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ, ერთმანეთს არ კიცხავდნენ და ყველა საკითხს დიალოგის გზით წყვეტდნენ. მაგალითად, რამადანის თვეში ზოგიერთ საჰაბე მგზავრობისთვის დაწესებულ შეღავათს იყენებდა და მგზავრად ყოფნისას არ მარხულობდა, ხოლო ზოგი კი მაინც მარხულობდნენ. ეს ორი მხარე ერთმანეთში არ კამათობდა და ერთმანეთის გადაწყვეტილებებს პატივს სცემდნენ.

„უეჭველად, რომელთაც უარყვეს რწმენა მას მერე, რაც ირწმუნეს, მერე კი უმატეს ურწმუნოებას, არ მიიღება მათი მონანიება, და, სწორედ ისინი არიან გზასამცდარნი“.

(ალი იმრანი, 3/90)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

15. პასუხისმგებლობა და ვალდებულება

15.1. პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი ამქვეყნიური და საიქიო ცხოვრების მიმართ არსებული მოვალეობების გააზრებას არ გულისხმობს. ის ასევე მოიცავს გარშემომყოფთა მიმართ არსებული მოვალეობების შესრულების მნიშვნელობის გააზრებას და ასევე უფრო ფართო გაგებით სულიერი და უსულო, მთელი სამყაროს წინაშე არსებული მოვალეობების მიმართ მგრძნობელობას. მოგეხსენებათ, ადამიანს მხოლოდ უფლებები კი არა, მოვალეობებიც გააჩნია. ადამიანი ვალებულია გაუფრთხილდეს საკუთარ თავს, მაგრამ ის ასევე ვალდებულია იზრუნოს სხვებზეც.

მორწმუნე მუსლიმის პასუხისმგებლობის ერთგვარი ფორმულა წარმოადგენს თეზისს, რომლის მიხედვითაც მუსლიმი ვალებულია გაავრცელოს სიკეთე და ხელი შეუშალოს ბოროტების გავრცელებას. ყურანში ვკითხულობთ:

„მათ სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, უბრძანებენ მოსაწონს და უკრძალავენ უკეთურს. სიკეთის კეთებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სწორედ ეგენი არიან საუკეთესოთაგანი“. (ალი იმრანი, 3/114)

ზნეობის მხრივ ერთ-ერთი სერიოზული დაავადება უპასუხისმგებლობაა. ეს არის შემტხვევა, როცა ადამიანი ამბობს, რა ჩემი საქმეა, რატომ უნდა შევიწუხო თავი და ა.შ.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ როგორც კი ადამიანები ამგვარად აზროვნებას დაიწყებენ, მათი და მთელი საზოგადოების უკუსვლა გარანტირებულია. სწორედ ამ მომენტიდან ერის წარუმატებლობა დაიწყება და დღითიდღე გაუარესდება. დაცემა მოხდება როგორც სულიერად, ისე ეკონომიურადაც.

ბუნებრივია ადამიანი უნდა აღარებდეს თავის მოვალეობას და ამბობდეს: „დიახ, ეს ჩემი მოვალეობაა“. მას უნდა სჯეროდეს, რომ ამ მოალეობის შესრულება სასარგებლო იქნება როგორც მისთვის, ისე ხალხისთვის. გარდა ამისა, მოვალეობა ამანათია და მისი შეუსრულებლობა ამანათის ღალატს ნიშნავს. თუ ადამიანი არ ფიქრობს, რომ მოვალეობას ვერ გაექცევა, თუ კი ის ცხოვრების ამ კანონს ზერელედ მიუდგება და მნიშვნელობას არ მიანიჭებს, ის უმალ დაკარგავს მისი არსებობის აზრს და მორალურად განადგურდება.

„არ მისდიო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. უეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, ყველასგან პასუხი მოეკითხება! (ისრა, 17/36)

ამ უზარმაზარ და უკიდეგანო სამყაროში ყველაფერს თავისი მოვალეობა გააჩნია და ყველაფერი ამ წესრიგის მიხედვით ბრუნავს.

მაგალითად, მზე ამოდის, უფრო სწორად დედამიწა შემოტრიალდება და თენდება. ზამთარში კი ულმობელ სიცივეში, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, ღრუბლებს მიღმიდან მზე ანათებს, გვაცოცხლებს, გვათბობს.

რატომ? რატომ აკეთებს ამას?

იმიტომ რომ სიცოცხლე იყოს დედამიწაზე.

სამყაროში არსებული ყველაფერი იმისათვისაა გაჩენილი, რომ კაცობრიობამ იცოცხლოს და სიცოცხლე განაგრძოს.

უკიდეგანო სამყაროს გონებით, მეცნიერებით, ფიქრით და ტექნოლოგიებით შევისწავლით. ადამიანის გონება ხედავს, რომ სამყაროშ არსებულ ყველა და ყველაფერს თავისი მოვალეობები გააჩნია.

ადამიანი სამყაროს აკვირდება და ხვდება, რომ ღმერთს ეს ყველაფერი ტყულუბრალოდ არ გაუჩენია. ამრიგად ის აღიარებს გამჩენს და განადიდებს მას. სწორედ ადამიანს აკისრია ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა, შეიცნოს თავისი გამჩენი და თაყვანი სცეს მას.

მთელი სამყარო ადამიანისთვისაა გაჩენილი. ადამიანი დედამიწის ხალიფადაა მოვლენილი. ამრიგად ვკითხოთ ადამიანს. როცა ესოდენ მაღალი და მნიშვნელოვანი მდგომარეობით მოევლინა ღმერთმა ის დედამიწაზე, როგორ უნდა გაექცეს მოვალეობას და როგორ უნდა შეძლოს რომ იყოს უპასუხისმგებლო. ყველა უსულო საგანი და ცხოველები ხომ თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. როგორ შეუძლია მას, ადამიანს არ სცნობდეს თავის მოვალეობას?

როცა ისინი ჰმორჩილებენ, ის რატომ არის წინააღმდეგი? როგორ უნდა დამდაბლდეს ასე? როგორ უნდა აიტანოს ის რომ ამ გზით ის სხვა არსებებზე დაბლაა დაცემული?

არადა ადამიანმა აიათებიდან იცის თავისი მოვალეობის მნიშვნელობა. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, ჩვენ შევთავაზეთ პასუხისმგებლობა აეღო ცანსა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვეს და შეეშინდათ მისგან, კაცმა კი იტვირთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა , უგუნურია!“ (აჰზაბ 72)

აიათში წარმოდგენილი პასუხისმგებლობა სწორედ რომ ღმერთს მიერ ნაბრძანები შეთავაზებები და ფარზებია. ჯერ კიდევ სულების გაჩენისას ღმერთმა ჰკითხა მათ? მე თქვენი გამჩენი არ ვარ? სულებმა ერთხმად უპასუხეს, „ბელაა“. დიახ. შენ ჩვენი გამჩენი ხარო. სწორედ მაშნ, სეჯდეზე დამხობილი ადამიანის სულების მიერ აღებულ პასუხისმგებლობაზეა აქ საუბარი.

მაშინ აღებული იმ წმინდა მოვალეობის განხორციელება კი ღმერთს მიერ დადგენილი ყველა ბრძანებისა და მოწოდების უზადოდ შესრულებითაა შესაძლებელი. ეს არის რწმენა, მორჩილება, ღვთისმსახურება და სხვა.

ცხოვრება მოვალეობის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ მოვალეობა ეს ცხოვრებაა. მოვალეობის მიმართ ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი საკუთარ ცხოვრების მიმართ ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ნიშნავს. ვინც მოვალეობებს არაფრად აგდებს, ის საკუთარ ცხოვრებას არაფრად აგდებს.

15. პასუხისმგებლობა და ვალდებულება

მოვალეობა და სიცოცხლე რომ ერთი და იგივეა, ამის გასაგებად ადამიანს შორს წასვლა არ სჭირდება. საკმარისია ადამიანმა საკუთარი სხეული და ორგანოები შეისწავლოს და ის ამას მიხვდება. ამათგან რომელიმემ რომ თავისი მოვალეობა არ შეასრულოს, სხეული ან დაიღუპება ან უეჭველი პრობლემები შეექმენება.

სხეულის ნებისმიერი ორგანო და ნაწილი, დიდი თუ პატარა, ყველა თავის მოვალეობას ასრულებს. წარმოიდგინეთ, გულმა რომ ერთი წუთით მოვალეობის შესრულება შეწყვიტოს მთელი სხეული დაიღუპება.

ასეა სხვა ორგანოებიც.

მაგალითად, კბილის გაფუჭება მისი მოვალეობის დასრულებას ნიშნავს. კბილი თავისი მოვალეობის დასრულების სიგნალს გაუსაძლისი ტკივილის თანხლებით ამცნობს პატრონს. ერთ დროს მნიშნელოვანი ნაწილი, კბილი, რომელიც პატრონს ძალიან სჭირდებოდა, ახლა ტკივილად და გაუსაძლისად გადაექცა. ასეთ კბილს ბოლოს ამოიღებენ და გადააგდებენ. ამრიგად მისგან თავისუფლდებიან.

სწორედაც რომ ასეა. ადამიანი სოციალური არსებაა და სხვებთან ერთად ცხოვრობს. საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთის თვალები, ყურები, ხელები, ფეხები და ა. შ. არიან. საზოგადოების წევრებიდან რომელიმე თუ თავისი მოვალეობის შესრულებას გაექცევა ის სხვებსაც დააზარალებს. ამგვარი ქცევა არც ღმერთს მოეწონება და არც შუამავალს.

წმ. შუამავალი თავის ჰადისში ბრძანებდა: „ვისაც რა მოვალეობა ეწყალობა, ის უნდა აკეთოს.“

15.2. ვალდებულებები

პასუხისმგებლობასთან ერთად ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინი ვალებულებაა. ვალდებულებები ის კონკრეტული მოვალეობებია, რომლებიც ადამიანმა უნდა შეასრულოს და ამ მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა აიღოს. მაგალითად, ყოველი მუსლმისთვის ღვთური ბრძანებების შესრულება ვალებულებაა და ამ ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. ადამიანს ასევე გააჩნია მრავალი სხვა სახის ვალდებულებები, რომლებიც ეხება ოჯახს, სამშობლოს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, პროფესიული საქმიანობის განხორციელებას და ა.შ.

რა თქმა უნდა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წოდება მუსლიმია. მუსლიმი ყოველ საქმეში პროგრესული ადამიანია. მუსლიმი ყოველ ამოსუნთქვაზე, სანამ ცოცხალია შრომობს. მას ყოველთვის სურს მადლიერი იყოს იმ წყალობის, რომელიც მას ღმერთმა უბოძა. რწმენა და ღვთისმსახურება კი მას ახალ იმედს აძლევს და აძლიერებს.

მუსლიმი სამყაროს და ცოცხალ არსებებს, სიცოცხლეს და სინდისს უკიდურესი პატივისცემით ეკიდება. მუსლიმს სინდისში ღრმად აქვს გამჯდარი ღმერთის არსებობა და ერთადერთობა. მისი რწმენა ყოველ ამოსუნთქვაზე ძლიერდება და ამის შედეგად ღირსება და სულიერი სიმაღლე ემატება. ამ ღირსების დასაცავად კი მუდმივად შრომობს. მიზანი, ერთია: მოიპოვოს ღმერთის კმაყოფილება და ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერებას ეზიაროს.

მუსლიმისთვის ჯანმრთელობა ღმერთისგან ბოძებული წყალობათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მადლიერების ნიშნად კი ამ წყალობას მუდმივად იცავს და

უფრთხილდება. ამიტომ ის თავს არიდებს ჰარამს, იცის რა ჭამოს და რა დალიოს, რა ჩაიცვას და როგორ მოიქცეს.

პატიოსნება და ალალი სარჩოს მოპოვება ადამიანის სიწმინდის უპირველესი გამოხატულებაა.

მუსლიმი ადამიანისთვის ალალი ფული პატიოსანი შრომით მოიპოვება. ის საქმეს გულით და სრულფასოვნად აკეთებს. საამისოდ ის, უპირველეს ყოვლისა საქმის ლეგიტიმურობას ანიჭებს უპირატესობა და ამის შემდეგ მის კეთილსინდისიერად შესრულებას.

გამომდინარე აქედან, მუსლიმი ადამიანი სანამ საქმეს ხელს მოკიდებდეს იმ საქმის სწავლობს და პროფესიონალად ყალიბდება. შესაბმისად სურს რომ მისი შესრულებული სამქე სრულყოფილი იყოს. მან იცის, რომ საქმის კეთებისთვის უპირველეს ყოვლისა საქმის ცოდნაა მთავარი და საამისოდ ყველაფერს აკეთებს.

მუსლიმი აფასებს ტექნოლოგიურ მიღწევებს და ადამიანის შესაძლებლობებისთვის ღმერთს მადლობას სწირავს. ვაჭრობაში და ბიზნესში კი ცდილობს იაფი და ხარისხიანი საქონელი შესთავაზოს მომხმარებელს.

ჭეშმარიტმა მუსლიმმა იცის, რომ არალეგიტიმური გზებით მოპოვებული ფული და საქმის ღალატი კეთილდღეობას ვერ მოიტანს და ამის ჩამდენი პიროვნება აუცილებლად ზარალს ნახავს. რაცარუნდა კარგი ცხოვრება მოიწყოს არამით, რაცარუნდა იზრუნოს შთამომავლობის კარგი აღზრდისათვის, ერთ დღეს ყველაფერი სანანებლად გაუხდება.

ღირსეული მუსლიმი ისეთ საქმეს არ მოჰკიდებს ხელს, რასაც ვერ გაართმევს თავს, ხოლო რაზეც პასუხისმგებლობას აიღებს, სიტყვას აუცილებლად შეასრულებს.

მუსლიმ ადამიანს გააჩნია საიმისო რწენა და ძალა, რომ დაუღალავად იშრომოს ჯერ სულიერი ღირებულებებისა და ბედნიერებისათვის, შემდეგ კი ამქვეყნიური საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სწორად ცხოვრებისათვის.

ყურანში ალაგ-ალაგ, გეგმაზომიერად საუბარია ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ტყუილით და ფარისევლობით ფონს გასვლას ცდილობენ. მათ შესახებ ნათქვამია, რომ ისინი არათ სხვას, არამედ საკუთარ თავსაც არაფერში არ-გიან. ასეთები საბოლოო ჯამში წარმატებას ვერ მიაღწევენ და მათი შთამომავლობა გადაშენდება.

სანდოობა, გამრჯეობა, ცოდნა, სამართლიანობა და სხვა მსგავსი თვისებები ნამდვილი მუსლიმის აუცილებელი მახასიათებლებია. ეს ოთხი მთავარი თვისება სხვა დადებით თვისებებს თავისთავად გულისხმობს.

სწორედ ესაა ჭეშმარიტი მულიმი. ამ ღირსეული სახელის მატარებელი ადამიანი, რომლის მსოფლმხედველობა ამგვარ ჩარჩოებში განიხილება. მისთვის ეს ქვეყანა და ამქვეყნიური რამ ძირითადი მიზანი არ არის, მაგრამ მთავარი მიზნის მისაღწევად ერთგვარი საშუალებებია. ამრიგად, მუსლიმის გონება ყოველთვის სიმართლის მხარესაა და ხელი კი გაუჩერებლად შრომობს.

მუსლიმი არასოდეს ჩათვლის, რომ დედამიწა მისთვის საპყრობილეა და სასოწარკვეთას არ მიეცემა. სასოწარკვეთა და უიმედომა მის ღრმა რწმენას და ამ რწმენის შედეგად მიღებულ აღზრდას არ შეესაბამება.

მუსლიმი მის ირგვლივ სუფთა და სასიამოვნო გარემომს ქმნის და არ ჩაიდენს ისეთ რამეს, რაც ამ ჰარმონიას დაარღვევს.

15. პასუხისმგებლობა და ვალდებულება

ბედისწერის რწმენა სულაც არ განაწყობს უმოქმებოდისთვის. ის შრომობს და უსაქმურობისგან მოსალოდნელი სინანულისთვის განწირული არ იქნება. მისი ეს რწმენა, სწორედაც რომ შრომის, ბრძოლის და მუდმივი მცდელობისკენ უბიძგებს.

ბედისწერის რწმენა მუსლიმს ეხმარება საიმისოდ, რომ დედამიწა ამქვეყნიური და საიქიო სიკეთის მისარებად ყველაზე ხელსაყრელ ადგილად აქციოს. თ ამ მცდელობისას წარმატებას ვერ მიაღწევს და ხელი მოეცარება, ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებას შესძენს და მომავალშ გაითვალისწინებს.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

თუ გსურს სათნოება
და წყალობა ნახო,

გულები მოინადირე,
ამპარტავნება დაგმე.

გული დაგეხმარება,
ივლის შენს გზაზე,

სიბრძნის წყاროებს
მოგადენს თვალზე.

(მევლანა (დივან, 609)

muslim georgia
muslim georgia union
international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

16. თავმდაბლობა და სიდინჯე

16.1. თავმდაბლობა

თავმდაბლობა არის საკუთარი თავის სხვებთან მიმართებაში წარმოდგენა და სხვებთან დამოკიდებულების გამოვლინების ფორმა. როდესაც ადამიანი საკუთარ თავს სხვებზე მაღლა აყენებს, ეს თავმდაბლობა არ არის. თავმდაბლობა არც იმას გულისხმობს, რომ ადამიანი დაკომპლექსდეს, არასრულფასოვნების კომპლექსი კვებოს და სხვები უპირატესად მიაჩნდეს. თავმდაბლობაა, როდესაც ადამიანი, მიუხედავად თავისი მაღალი მდგომარეობისა, უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფების მიმართ პატივისცემასა და მზრუნველობას ინარჩუნებს. თავმდაბლობაა ასევე, როდესაც ასაკით ან სხვა მდგომარეობით უფროსებს ფამილარულად თავს არ გავუტოლებთ და თავაზიანობის ფარგლებს არ გავცდებით.

თავმდაბალი ადამიანი სხვა ადამიანებს თანასწორობის პრინციპით უყურებს და ამ დროს ის ყურადღებას არ აქცევს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა თანამდებობრივი მდგომარეობა, სიმდიდრე, სოციალურ-ეკონომიკური სტა-

ტუსი, ფიზიკური ძალა და სხვა. თავმდაბალი ადამიანი სხვებში ადამიანობას აფასებს.

ჩვენ იმ საზოგადოების ფასი უნდა ვიცოდეთ, სადაც ვცხოვრობთ და რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ჩვენ ერთმანეთის სიხარული და მწუხარება, ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროთ. ურთიერთბებში დამთმობი და შემწყნარებელი უნდა ვიყოთ. ოჯახში, შინ და გარეთ სიყვარულსა და იმედს უნდა ვასხივებდეთ. მღიმარე სახე და ტკბილი სიტყვა, ლმობიერება და პატივისცემა ჩვენი ხასიათის ძირითადი მახასიათებლები უნდა იყოს და არავის უნდა დავამადლოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ირგვლივმყოფებს ცხოვრება გავუადვილოთ და იმედი მივცეთ.

უპატივცემულობა კი აბსოლუტურად უსარგებლოა. თავაზიანობას და პატივისცემას არავისთვის მოუტანია ზიანი. პირიქით, ის მუდმივად დადებით შედეგებს ბადებს. პატივისცემას და თავაზიანობას ვინც უგულებელყოფს, ვინც ამპარტავნებას და თავხედობას მიმართავს აუცილებლად უარყოფით შედეგებს მოიმკის და ცხოვრებას გაირთულებს.

ამის შემდეგ ღმერთი სიკეთის კეთებას გვიბრძანებს. სიკეთე ადამიანების მიმართ კარგი დამოკიდებულება, მათდამი მზრუნველობა და შემწყნარებლობაა. ამასთანავე, სიკეთეში შეძლებისდაგვარად დახმარება და მხარში დგომა იგულისხმება.

ამრიგად სხვა ადამიანებისთვის დახმარების ხელის გაწოდება, მათთვის მატერიალური შემწეობის გაწევა, მათი გასაჭირის გაზიარება და შეძლებისდაგვარად მხარში დგომა ჩვენი მორალური ვალდებულებაა. ღმერთს უყვარს ამგვარი საქციელი და დახმარებისთვის მოწოდებულ

ადამიანებს თავისი მხრიდან დახმარებას და შეღავათს არ მოაკლებს.

როცა ადამიანი სხვებთან შედარებით უზრუნველყოფილია და გაჭრვებულებს დაეხმარება ეს მისთვის ღირსეული საქმეა და ამასთანავე ერთგვარი მადლიერებაა იმისათვის, რაც ღმერთმა უბოძა.

თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დახმარების გაწევისას დასახმარებელი ადამიანები სწორად შევარჩიოთ. მაგალითად გლეხი სანამ რაიმეს დათესდეს მიწას არჩევს და იმ კატეგორიის მიწას ანიჭებს უპირატესობას, სადაც კარგი მოსავალი ექნება. შესაბამისად დასახმარებელი ადამიანი კარგად უნდა შეირჩეს რათა დახმარებას აზრი ქონდეს. ამ თვალსაზრისით, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, საჭიროა შევარჩიოთ ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება. ან კიდევ, როცა ნათესავი გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მისი იგნორირება და დასახმარებლად სხვების ძიება შეუფერებელია.

დახმარება და სიკეთე იმდენად ძლიერი მოვლენაა, რომ მას არათუ ადამიანის, არამედ ველური ცხოველის მორჯულებაც კი შეუძლია.

გაჭირვებულზე დახმარების გაწევისას სასურველი არ არის, რომ ეს სხვებმაც გაიგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი უარყოფითი დამოკიდებულება გაჩნდება. ამათგან ერთი ისაა, რომ იმ გაჭირვებულის არასასურველ მდგომარეობას გამოვააშკარავებთ, ხოლო მეორე კი დახმარების და სიკეთის აფიშირება გამოგვივა.

ღირსეული ადამიანი სხვებზე დახმარებისას კი არ გააამაყდება, არამედ თავმდაბლობით გასცემს და სხვას დამცირებულად თავს არ აგრძნობინებს.

ის ადამიანები, რომლებსაც შესაძლებლობა გააჩნიათ და გაჭირვებულებს არ დაეხმარებიან, საიქიოში აუცილებლად გაწბილდებიან. იქ მიხვდებიან, რომ ნაგროვებ ქონებას და ფულს არანაირი სარგებელი აღარ აქვს.

გამომდინარე აქედან, სანამ ადამიანს შესაძლებლობა აქვს და ღმერთმა მას უხვი წყალობა უბოძა სარწმუნოების სწავლებისამებრ უნდა მოიქცეს და გაჭირვებულ ადამიანებს უნდა დაეხმაროს.

16.2. სიდინჯე

სიდინჯე თავისთვში თავაზიანობას, თავმდაბლობასა და ამვდროულად საკუთარი თავის ღირსეულად წარმოჩენაშ გამოიხატება. ადამიანი დამსახურებულ თვითშეფასებას უნდა ეყრდნობოდეს და შესაბამისად ქცევებში სიდინჯეს ავლენდეს. ბუნებრივია, სიდინჯე მედუდურობასა და ამპარტავნებაში არ უნდა გადაიზარდოს. სიდინჯე თავაზიანობასა და მედიდურობას შორის არსებული მდგომარეობაა. დინჯი ადამიანი საკუთარი თავის მიმართ პატივისცემით გამოირჩევა და მის ამგვარი მანერებს ეს თვისება განაპირობებს. მას არ სურს, რომ ადამიანების მხრიდან პატივისცემა დაკარგოს ან შეასუსტოს, ამიტომ ყოველ ნაბიჯზე წინდახედულებით გამოირჩევა. ის სხვებს სერიოზულად ეპყრობა და თავადაც მსგავსად მოპყრობას ითხოვს. დინჯი ადამიანის სიტყვა, ქცევა, ჩაცმის სტილი, საუბრის მანერა, მოძრაობებიც კი სერიოზულობითაა გამორჩეული.

დინჯი ადამიანი, ამავდროულად თავმდაბალიცაა. შეიძლება ეს ერთი შეხედვით არ ეტყობოდეს, მაგრამ ხასი-

ათში სწორად ფორმირებული სიდინჯე სწორედაც, რომ თავმდაბლობის ნიშანია. დინჯი ადამიანი საზოგადოებაში ყოფნისას თავშეკავებულობით გამოირჩევა და ყოველთვის სერიოზულობას ინარჩუნებს. ეს საშუალებას აძლევს ერთგვარი სტატუსი შეინარჩუნოს და არასასიამოვნო ხასიათის ურთიერთბებში არ გაეხვეს. როდესაც მისთვის მიუღებელი სტილის საუბარი დაიწყება, დინჯი ადამიანი ასეთ შეკრებას ტოვებს ან ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. ეს არ ნიშნავს, რომ ის საკუთარ თავს სხვებზე მაღლა აყენებს და იქ მყოფების დამცირება სურს. ახლა გავიხსენოთ აიათი, სადაც დინჯ, თავდაჭერილ ადამიანზეა საუბარი:

„და არ მიჰყვე არც ერთ მაფიცარს, უღირსს, ზურგს უკან მკილავს, საზიზღარი ჭორის გამავრცელებელს, ცილისმწამებელს, სიკეთის აღმკვეთს, ზღვარგადასულს, ცოდვილს. უმართებულო და ამას გარდა აკრძალულის მქმნელ ცოდვილს, თუნდ იყოს ძეების და ქონების პატრონი“. (ქალემ, 68/ 10-14)

შემდეგ აიათში მოცემულია დარიგება, რომელიც სიდინჯით გამორჩეულ ადამიანებს შეჰფერით:

„იგია, რომელმაც მონაცვლეობა დაუდგინა ღამეს და დღეს მათთვის, ვისი სურვილიცაა, რომ შეიგონოს და მადლიერი იყოს.

ხოლო მოწყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ ეუბნებიან: „სალამი !“

რომელნიც ღამეს ატარებენ სეჯდეს აღმვლენი და ფეხზე მდგარნი თავისი ღმერთის წინაშე, ისინი ამბობენ:

„ღმერთო ჩვენო! აგვარიდე ტანჯვა ჯოჯოხეთისა! უეჭველად, იქ ტანჯვა სამუდამოა.

რა საზიზღარია ეს ადგილი და სამყოფელი!“

ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის,

ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!“

მუსლიმი ძმობის წესი,
სიკეთისკენ მოწოდება,

სიავისკენ წასულ ძმას რომ გ ზას
ულობავს, ეხვეწება.

ჩადენილ უსამართლობას,
თვალს არავინ არ უხუჭავს,

თუ ესვრიან რომელიმეს,
ყველა ტკივილისგან ოხრავს.

მეჰმეთ ქიფ ერსოი



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

17. ძმობა და მეგობრობა

17.1. ძმობა

ძმობა და მეგობრობა ერთმანეთთან ახლო კავშირშ მყოფი ორი მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთიანობას, სიმატკბილობას, თანადგომასა და სიკეთეს უზრუნველყოფს. როდესაც ადამიანი სხვა ადამიანის მიმართ ძმურ სიყვარულს გრძნობს, ის ზრუნავს მასზე და ყოველთვის მზადაა სიკეთე გაუკეთოს. ძმებს შორის გაუგებრობები და კონფლიქტები მოსალოდნელი არ არის და ამავდროულად, თუ რომელიმეს განსაცდელი შეემთხვევა, ძმა ყველანაირი თანადგომით შეეცდება მხარშ დაუდგეს და მდგომარეობა შეუმსუბუქოს. ისლამის მიხედვით, ყველა მუსლიმი ერთმანეთს ძმაა. ისლამი დიდ მნიშნელობას ანიჭებს ნათესაობასა და ღვიძლ ძმობას და ამიტომაც მუსლიმებს შორის ერთიანობისა და ურთიერთსიყვარულის განმტკიცებისთვის ყოველი მუსლიმი ერთმანეთს ძმადაა მიჩნეული. ამრიგად, მილიონობით, უფრო მეტიც, მილიარდობით მუსლიმი ერთმანეთის ძმაა, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა ერთმანეთს პირადად არც კი იცნობენ. ძმობის ამგვა-

რი შეგრძნება მუსლიმთა ერთიანობისა და ურთიერთსიყვარულის დასტურია.

ყოველ;ი საზოგადოებრივი წეს-წყობილების მიზანი ადამიანებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებაა. აღნიშნულის მიღწევა რაღაც ეტაპამდე და გარკვეული დროით არის შესაძლებელი. მუსლიმთა შორის სულიერი ძმობა კი ღვთის კმაყოფილებისათვის ერთმანეთის სიყვარულს ეფუძნება. შესაბამისად, მუსლიმებს შორის ძლიერი მოტივაციაა, ამიტომ მათი ძმობა გაცილებით ხანგრძლივი და მყარია. ყურანის მოწოდებისამებრ, მორწმუნენი ერთმანეთის ძმები არიან. შუამავლის სწავლების მიხედვითაც მუსლიმები ერთმანეთის ძმები არიან და ისინი ვალებულნი არიან მორწმუნე ძმისთვისაც იგივე ისურვონ, რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებენ.

ასევე ჰადისის მიხედვით, შუამავალი მორწმუნე ძმების ურთიერთობას შემდეგნაირად გადმოსცემს: „მორწმუნენი ერთიმეორის მიმართ სიყვარულსა და შემწყნარებლობაში ერთი სხეულის მსგავსნი არიან. როდესაც რომელიმე ორგანო დაავადდება, სხვა ორგანოები უძილობითა და მაღალი სიცხით ტკივილს იზიარებენ“. (იხ. მუსლიმ, „ბირ“, 66). შუამავალის მიმდევარი მეგობრებიც შუამავლის ამ დარიგებას პირნათლად ასრულებდნენ. ამის საუკეთესო მაგალითი მუჰაჯირებისა და ენსარების ურთიერთობაა. მათი ძმობა და თანადგომა მართლაც რომ შეუდარებელი მაგალითებია. მუჰაჯირებისა და ენსარების ურთიერთობა ისლამურ ლიტერატურაში მრავალგზისაა შექებული. გარდა ამისა, მათ ურთიერთობას იწოონებს და აქებს ყურანის აიათებიც:

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლ-

და მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!“ (ჰაშრ, 59/9)

თითოეული ჩვენგანი ამქვეყნიურ გამოცდას გავდივართ. ჩვენი ყოველდღიურობა ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების ძიებასა და სიძნელეების გადალახვის მცდელობას მოიცავს. ჩვენი ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, სიხარულით, სევდით, მხიარულებით, განსაცდელით და ა.შ. ადამიანის ცხოვრებას ახასიათებს როგორც ჯანმრთელობა, ისე ავადმყოფობაც. სხვა და სხვა დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებთან ერთად ჩვენს ირგვლივ არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ასევე დაუნის სინდრომის მქონენი და აუტიზმით დაავადებულები.

ყოველ განსაცდელს, ყოველ პრობლემას თავისი აღმზრდელობითი თვისება გააჩნია. სიძნელეებისა და განსაცდელის მიმართ სიმტკიცის გამოჩენა და მათზე გამკლავება, ასევე ყოველი მოქმედების დროს ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნის შესაბამისად მოქცევა, ადამიანში სულიერ და მენტალურ ამაღლებას იწვევს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ადამიანის განვითარების თავისებურებები და ასევე მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო მიდგომები და ამისათვის საქმის პროფესიონალებისგან რჩევა-დარიგებები უნდა მივიღოთ. ასევე მნიშვნელოვანია პრობლემების ადრეული აღმოჩენა და შესაბამისი მკურნალობით სამომავლო ზიანის მინიმუმამდე დაყვანა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ვალდებულებაა ყურადღებით მოვეპყროთ იმ ადამიანებს, რომლებსაც დაუნის სინდრომი და აუტიზმი ახასიათებთ და არ უნდა დავუშვათ, რომ თავი მარტოსულად იგრძნონ. მათ მიმართ გამოჩენილი მზრუნველობა, ყურადღება და მხარდაჭერა, მათ ცხოვრებას გაუადვილებს. ეს ჩვენი ადამიანური მოვალეობაა.

უზენაესი გამჩენი ბრძანებს:

მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია! (თევბე 9/71)

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვალდებული ვართ ერთმანეთს ყურადღება მივაქციოთ და ერთმანეთის მდგომარეობით დავინტერესდეთ. ჩვენს მორწმუნე ძმებთან ისეთი ურთიერთობა უნდა ვიქონიოთ, რომელიც ადამიანის ღირსებას შეეფერება. ასევე, ხელები უნდა აღვაპყროთ და ღმერთს მუდმივად სიკეთე ვევედროთ. ღმერთს უნდა შევევედროთ მოგვმადლოს ისეთი ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერებას მოგვიტანს.

17.2. მეგობრობა

ძმობის მსგავსი კიდევ ერთი მორწმუნოებრივი ღირებულება მეგობრობაა. მეგობრობა სულიერი ძმობაა. მე-

გობრებს, ძმების მსგავსად ერთმანეთ უყვართ, ერთმანეთს ენდობიან, ეხმარებიან, ერთმანეთს მხარში უდგანან და ერთმანეთის პატივს სცემენ. მეგობრები ერთმანეთს ყველაზე ძვირფას რამესაც ენდობიან და ისინი ერთმანეთს არ ღალატობენ. შეიძლება მეგობრები ერთმანეთს ფიზიკურად დაშორდნენ და სხვა და სხვა მხარეში იცხოვრონ, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ივიწყებენ და ერთმანეთის იმედი ყოველთვის აქვთ. მეგობრები ერთმანეთს ჭირსა და ლხინში გვერდით უდგანან და ერთმანეთის ყველა გასაჭირს იზიარებენ.

ადამიანები სხვადასხვა კატეგორიის არიან. ასევე სხვადასხვა კატეგორისაა ზნეკეთილობაც. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ ვის მიმართ როგორ მოვიქცეთ. ადამიანების და სხვა არსებების მიმართ კარგი მოქცევა, ზოგადად მათი სიმშვიდის უზრუნველყოფასა და წვალებისგან დაცვას გულისხმობს. ამიტომ ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად ყოველთვის ეცადე კეთილი იყო.

ბოროტებას ბოროტებითვე არ უპასუხო. ბოროტების პასუხად ჩადენილი ბოროტებაც, ისლამის მიხედვით ცოდვაა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე სხვებთან ურთიერთობას. ერიდე ურთიერთობას ისეთ ადამიანებთან, რომლებიც შენი რწმენის და ქცევის წინააღმდეგნი არიან. თუმცა, მათ მიმართ ცუდი და ბოროტი განზრახვა არ უნდა გაგაჩნდეს. მათთან გასატარებელი დრო მორწმუნე ძმებთან რომ გატარო უმჯობესი იქნება და თან მათი მცდარი რწმენის ზემოქმედებისგან დაცული იქნები.

ბოროტებასა და ურწმუნოებაში ჩაფლული ადამიანების კარს არ მიუახლოვდე და მხოლოდ გრძნობებზე და

სურვილებზე აყოლილ ადამიანებთან ურთიერთობისგან თავი შეიკავე. თუ საქმის გამო მათთან ურთერთობა მოგიწევს კარგი რჩევები მიეცი და ერიდე ღალატს. შენი კარგი ქცევით და სანდოობით შეიძლება მათთვის ავტორიტეტი გახდე და მათი გადარჩენის საქმეში დიდი როლი ითამაშო.

შეეცადე არავის აჩვენო შენი გაბრაზება და წყრომა დამალე. რაცარუნდა იმ მიზეზით გაბრაზდე, შეეცადე მოერიო თავს და ბრაზი ჩაიცხრო. არ დაუშვა ბრაზმა აგიყოლიოს. თუ ასე მოიქცევი, ამით სატანას სძლევ და ღმერთის კმაყოფილებას მოიპოვებ. გარდა ამისა ეს სასარგებლო იქნება საკუთარი თავის ხელში აყვანისთვის.

თუ გაბრაზების ადრესატს არ გაუბრაზდები და თავს შეიკავებ, ეს ოპონენტს დააფიქრებს და შეცდომის აღიარებისკენ უბიძგებს. ეს კი უფრო სასარგებლო საქციელი იქნება ვიდრე სამაგიეროს გადახდა.

თუ ამ შეგონებას გაითვალისწინებ და შესაბამისად მოიქცევი ღმერთი მადლით დაგაჯილდოვებს. როცა მოპირდაპირეს მიუტევებ და სამართლიანი იქნები, ღმერთი შენს სულგრძელობას დაგიფასებს. რადგან ეს ასეა, მორწმუნე ძმის ნაკლოვანებების მიტევება დიდი სულგრძელობა და მოსაწონი საქციელია.

არ დაუთმო დრო ფუჭსიტყვაობას. როცა დრო გაქვს იკითხე ყურანი, ადამიანებს მოუწოდე სწორი გზისკენ, შეარიგე დამდურებული ადამიანები, მოუწოდე ადამიანებს მოწყალებისა და სიკეთის კეთებისკენ.

17. ძმობა და მეგობრობა

გზაზე სადაც წახვალ შენი შესაფერისი მეგობარი და თანამგზავრი გამონახე. მორწმუნენი ურთიერთდახმარებისა და თანადგომის მეოხებით ძლიერდებიან.

ერიდე ისეთ ადამიანთან მეგობრობას, რომელიც შენი რწმენის და ცხოვრების წესის წინააღმდეგია. ყოველთვის მოძებნე ადამიანი, რომელიც სიმართლეს გეტყვის და მუდმივად ჭეშმარიტებისკენ მოგიწოდებს. თუ ასე მოიქცევი მშვიდად იცხოვრებ და დაიცავ შენს თავისუფლებას.

წმ. ყურანში ღმერთი ბრძანებს:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ, და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის და უეჭველად, მასთან იქნებით შეკრებილნი!

მოკრძალებული იყავით გამოცდისადმი, რომელიც მხოლოდ მათ კი არ ეწევათ, რომელთაც ჩაიდინეს უსამართლობა. და იცოდეთ, უეჭველად, ალლაჰის სასჯელი მკაცრია!“

წმ. შუამავალი თავის ჰადისში ბრძანებდა:

„როცა რაიმეს აგიკრძალავთ,იმას მოერიდეთ. რასაც გიბრძანებთ შეძლებისდაგვარად შეეცადეთ, რომ აღასრულოთ. უეჭველია, რომ თქვენამდელი ხალხები თავიანთი შუამავლებისთვის ზედმეტი შეკითხვების დასმის და შეწინააღმდეგებისთვის განადგურდნენ.“



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„ადრე გ ზის მაჩვენებლად
ხალხისთვის, და მოავლინა

ფურყანი. უეჭველად,
რომელთაც უარყვეს

ალლაჰის აიათები,
მათთვისაა სასტიკი სასჯელი.

უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილი და
სა ზღაურის მიმგებია“.

(ალი იმრანი, D)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

18. მშვიდობისმოყვარეობა და სანდოობა

18.1. მშვიდობისმოყვარეობა

ადამიანი გონიერი არსებაა და სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით ღმერთმა მას მიანიჭა უნარი იმისა, რომ გაუმკლავდეს შინაგან აგრესიას და მშვიდობიანი თანაცხოვრება შეძლოს. გონების გარდა ადამიანს ისეთი ძლიერი ფაქტორები გააჩნია, როგორიცაა რწმენა და სინდისი, რომლებიც მისი შინაგანი ბუნების მოთვინიერების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ადამიანში უკლეთურობისკენ სწრაფვაცაა და სიკეთისკენაც. ყურანის განმარტებით, ადამიანი საუკეთესო ფორმითაა გაჩენილი და ადამიანებს შორის ატეხილი ომები და ხოცვა-ჟლეტა მისი გაჩენის მიზანს არ შეეფერება.

„ და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა!

„უეჭველად, ჩვენ ადამიანი „საუკეთესო ფორმად“ გავაჩინეთ!“

„და ვფიცავ, ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი და მივეცით საშუალება ემოგზაურათ ზღვასა და ხმელეთზე. ჩვენ ვუწყალობეთ მათ სიკეთენი და უპირატესვჰყავით ისინი სხვა მრავალ ჩვენს გაჩენილებთან შედარებით!“ (ისრა, 17/70)

ისლამის დებულებები ადამიანებს მხოლოდ საიქიო ცხოვრებისთვის არ ამზადებს. ის ადამიანებს ასწავლის თუ როგორ უნდა იცხოვრონ ამქვეყნად და თუ როგორ არის ეს შესაძლებელი. ისლამის მიერ დადგენილი კანონები კი ისეთი ლოგიკურობითაა დადგენილი რომ მათი შეცვლის არც შესაძლებლობა და არც საჭიროება არ არსებობს. იქნებ, სწორედ ამაშია ის საიდუმლო, რომ ისლამის კანონები ქვეყნიერების დასასრულამდე არ შეიცვლება.

აიათში წარმოდგენილია საკითხი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების წევრებს შორის გაუტანლობა და დაპირისპირება მიუღებელია. ერი, სადაც ურთიერთდაპირისპირება და შიდა მტრობაა, გარეშე მტრის წინააღმდეგ უძლურია და წინააღმდეგობის გასაწევად დროს და შესაძლებლობებსაც ვერ მონახავს. ამასთანავე, ამგვარი მდგომარეობა ერის სულიერი ძალის დაკნინებას იწვევს, რომლისგან წარმოქმნილ სიცარიელეს ვერაფერი შეავსებს და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი საშინელ უბედურებას გამოიწვევს.

ნუ დაუპირისპირდებით ერთმანეთს, თორემ შიში გძლევთ და დაუძლურდებით, გვაფრთხილებს ჩვენი სარწმუნოება. ამით ნათლად ჩანს, რომ ხალხი, რომელიც ერთიანობას დაკარგავს და ურთიერთდაპირისპირების გზას აირჩევს, დაკარგავს საკუთარი ძალების რწმენას, და-

უძლურდება და განვითარებისა და წინსვლის მაგივრად უკუსვლისა და განადგურების გზას დაადგება.

ხალხს, რომელსაც სურს რომ არსებობა განაგრძოს და განვითარდეს, აუცილებელია ერთიანობა შეინარჩუნოს. ერთმანეთს წაკიდებული ხალხი გარეშე მტერს ვერ დაამარცხებს. ციხე შიგნიდან ტყდებაო, ნათქვამია და ეს სრული ჭეშმარიტებაა. ნებისმიერი ერის დაკნინების მიზეზი ისევ და ისევ შიდააშლილობა და ხალხს შორის ურთიერთდაპირისპირებაა.

აიათში მოთმინებაზეა ყურადღება გამახვილებული. ეს ნიშნავს, რომ მუსლიმი ადამიანი ყოველგვარ საშიშროების წინააღმდეგ მედგრად უნდა იდგეს და არცერთ წინააღმდეგობას, არცერთ მტერს თავი არ დაუხაროს. მოთმინებაში სწორედ ეს იგულისხმება და არა სასოწარკვეთილი ყოფა და ყველაფრის უდრტვინველად ატანა.

წმ. შუამავალი თავის ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს:

„უეჭველია, რომ ღმერთი ჩემს მიმდევრებს ურწმუნოებისთვის არ შეკრებს. ღმერთის წყალობა მიმდევართა ერთიანობისკენაა. ვინც ხალხისგან განცალკევდება (ჯოჯოხეთის) ცეცხლისკენ მიდის.

მორწმუნე მუსლიმი ვალდებულია მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი. დაუშვებელია არეულობისა და ამბოხის გამოწვევა, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. მუსლიმისთვის შესაფერისი როლი, ძმობა და მეგობრობაა:

„რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან . მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გეშინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდია თვისებაა სისაძაგელე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი“.

„და თუ ორი ჯგუფი მორწმუნეთაგან ერთმანეთს შეებრძოლება, მაშინ გამოასწორეთ მათ შორის არსებული. მაგრამ თუკი ზღვარს გადავა მათგან ერთ-ერთი მეორის მიმართებაში, მაშინ შეებრძოლეთ იმ ჯგუფს, რომელიც ზღვარს გადავიდა, ვიდრეღა დაუბრუნდებოდეს ალლაჰის ბრძანებას. ამის შემდეგ თუ შემობრუნდება, გამოასწორეთ მათ შორის არსებული პატიოსნად და იყავით სამართლიანნი, რამეთუ ალლაჰს უყვარს სამართლიანნი,

„რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან . მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გეშინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!“ (ჰუჯურათ, 49/9-10)

თუ მშვიდობისმოყვარენი არ ვიქნებით, მშვიდობა არ იქნება. თუ არ იქნება მშვიდობა, საზოგადოებაში კეთილდღეობა და უსაფრთხოება ფეხს ვერ მოიკიდებს. ინდივიდებს, სოციუმებსა და სახელმწიფოებს შორის უსაფრთხო გარემო რომ ჩამოყალიბდეს, ამისათვის ყველამ მშვიდობისთვის უნდა ვიზრუნოთ. სანდო ადამიანები სანდო საზოგადოებას ქმნიან. მუსლიმი მშვიდობისმოყვარეს ნიშნავს. მუსლიმი მშვიდობიანი ადამიანია. ყურანში ნაბრძანებია:

„და თუ მშვიდობისკენ გადაიხრებიან, მაშ, მისკენ გადაიხარე შენც და მიენდე ალლაჰს. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!“ (ენფალი, 8/61)

18.2. სანდოობა

როდესაც ადამიანისგან საფრთხეს ან უზნეო საქციელს არ მოველით, ის სანდო ადამიანია. სანდო ადამიანის სიტყვაც და საქმეც სანდოა. ის სხვების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, ღირსებას და მსგავსი სახის ღირებულებებს უფრთხილდება და პატივს სცემს. სანდო ადამიანი ამ სტატუსის მოპოვებისათვის მრავალ გამოცდას გადის. მაგალითად, ის ყოველთვის სიმართლეს ამბობს და სიმართლის მხარეს დგას. სანდო ადამიანი სამართლიანია და მისგან სიცრუე და ორპირობა წარმოაუდგენელია. ის ღრსებით აღსავსეა, აქვს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა და შესაბამისად უზნეო ქმედებებს არ სჩადის.

სანდოობის ერთ-ერთი ხშირი გამოვლინება მიცემული პირობის შესრულებაა. სანდო ადამიანი დადებულ პირობას ყოველთვის ასრულებს. უფრო მეტიც, პირობის გარდა, უბრალო ნათქვამსაც ყოველთვის პატრონობს და თავისი ნათქვამის პასუხისმგებელია. მიცემული პირობის შესრულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი თვისებაა, რომელიც სანდო ადამიანს ახასიათებს. ყურანში ნაბრძანებია:

„და არ მიეკაროთ ობლის ქონებას, გარდა სიკეთით, სანამ არ გახდება სრულწლოვანი. და აღასრულეთ აღთქმა. უეჭველად, აღთქმა პასუხისმგებლობაა!“ (ისრა, 17/34)

სიმართლის თქმა და მიცემული პირობის მიმართ ერთგულება ადამიანურთან ერთად რელიგიური ვალდებულებაცაა. ყურანში ვკითხულობთ:

და აღასრულეთ ალლაჰის აღთქმა, თუკი აიღებთ ვალდებულებას. და არ დაარღვიოთ ფიცი მას მერე, რაც დაამოწმეთ იგი, რამეთუ ამით ალლაჰი გაიხადეთ თავდებად. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!“ (ნაჰლ, 16/91)

დიახ! ვინც აღთქმა აღასრულა და ღვთისმოშიში გახდა, უეჭველად, ალლაჰს უყვარს ღვთისმოშიშნი!

უეჭველად, ვინც ყიდის ალლაჰთან დადებულ აღთქმას და დადებულ ფიცს (არღვევს) მცირე ფასად, წილი არ ექნებათ მაგათ საიქიოში, არ დაელაპარაკება მათ ალლაჰი და არ შეხედავს მათ განკითხვის დღეს, და არ განწმენდს (ცოდვებისგან). მათთვისაა (გამზადებული) მტანჯველი სასჯელი!“ (ალი იმრანი, 3/76)

სიტყვასთან ერთად, ადამიანის საქმეც საიმედო უნდა იყოს. ნდობის მოპოვებისთვის ადამიანმა ყოველთვის სწორი საქმე უნდა აკეთოს. მართალი ადამიანი სიმართლის გზას არ გადაუხვევს და თუ შეცდება, უმალ აღიარებს. სიმართლე შუამავლების საერთო თვისებაა და ამდენად ერთ-ერთ უმნიშნელოვანესი ზნეობრივი თვისებაა.

„და გაიხსენე წიგნში იბრაჰიმი: უეჭველად, იგი მართალი და ერთ-ერთი შუამავალი იყო!

და ახსენე წიგნში ისმაილი: უეჭველად, იგი აღთქმის ერთგული, შუამავალი და მაცნე იყო!

და იგი უბრძანებდა თავის ხალხს ლოცვასა და ზექათს, და მან მიაღწია თავის ღმერთთან კმაკოფილებას.

და ახსენე წიგნში იდრისი : უეჭველად, იგი იყო ჭეშმარიტი შუამავალი!“ (მერიემ, 19/41, 54, 56)

სანდოობა ის მნიშნელოვანი ზნეობრივი ღრებულებაა, რომელიც ყველა ადამიანს სჭირდება, რათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიმშვიდე და კეთილდღეობა იქნას მიღწეული. ოჯახის წევრები, მეზობლები, მეგობრები, ნათესავები და ასევე, ზოგადად ადამიანები ერთმანეთს უნდა ენდობოდნენ და ამ ნდობისათვის საჭირო ყველაფერს ასრულებდნენ.

„და ალლაჰმა მაგალითად მოიყვანა იგავი სოფლისა, რომელიც უსაფრთხო და დაცული იყო . იქ მოდიოდა ყოველი მხრიდან უხვი სარჩო, მაგრამ უმადურობა გამოიჩინეს ალლაჰის სიკეთეებისადმი. მაშინ ალლაჰმა აგემა შიმშილი და შიში იმისთვის, რასაც სჩადიოდნენ!“ (ნაჰლ, 16/112)

ამრიგად, როგორც აიათიდან ჩანს, საზოგადობრივი სიმშვიდისა და კეთლდღეობისათვის სანდოობა და სამართლიანობა უკიდურესად მნიშვნელოვანი ფაქტორია.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სანამ ხალხში ღალატი არ იქნება,
მტერი ვერ შეაღწევს,

სანამ გულები ერთად სცემს, მტერი
ვერაფერს დააკლებს.

(მეჰმეთ აკიფ ერსოი, (1981; 179)

muslim georgia
muslim georgia union charity
international



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

19. ერთობა- ერთიანობა და შერიგება

19.1. ერთობა-ერთიანობა

თითოეული ჩვენგანი ამქვეყნიურ გამოცდას გავდივართ. ჩვენი ყოველდღიურობა ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების ძიებასა და სიძნელეების გადალახვის მცდელობას მოიცავს. ჩვენი ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, სიხარულით, სევდით, მხიარულებით, განსაცდელით და ა.შ. ადამიანის ცხოვრებას ახასიათებს როგორც ჯანმრთელობა, ისე ავადმყოფობაც. ერთიანობა, ერთად ყოფნა, თანადგომა და მზრუნველობა ის ქმედებებია, რომლებიც მორწმუნე მუსლიმს შეჰფერის. მუსლიმებს ერთი საერთო მიზანი გვაქვს და ეს მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ამ მიზნისაკენ კი ყველამ ერთად უნდა ვიაროთ. ყურანში ვკითხულობთ:

„ადამიანები ერთ თემად იყვნენ და ალლაჰმა შუამავალნი წარმოგზავნა მახარობლებად და შემგონებლებად. და ღვთიური წიგნი ზემოავლინა მათთან ერთად ჭეშმარიტებითურთ, რათა ადამიანთა შორის ის გადაეწყვიტა, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ. ხოლო ვერ თანხმდებოდნენ ერთმა-

ნეთის შურით მხოლოდ ისინი, რომელთაც მათ შემდგომ ებოძათ ის, რაც ცხადი მოწმობანი მოუვიდათ; და რომელთაც ირწმუნეს, ისინი დაადგინა ალლაჰმა თავისი ნებით იმ ჭეშმარიტებისაკენ, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ. და ალლაჰი სწორ გზაზე დაადგენს, ინებებს ვისაც“. (ბაყარა 2/213)

ყოველ განსაცდელს, ყოველ პრობლემას თავისი აღმზრდელობითი თვისება გააჩნია. სიძნელეებისა და განსაცდელის მიმართ სიმტკიცის გამოჩენა და მათზე გამკლავება, ასევე ყოველი მოქმედების დროს ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნის შესაბამისად მოქცევა, ადამიანში სულიერ და მენტალურ ამაღლებას იწვევს. ერთად ყოფნა, ერთად დგომა და ერთანობის დაცვა ღვთიური ვალდებულებაა და ყოველი მუსლიმი ვალდებულია ეს მოვალეობა შეასრულოს. ყურანში ვკითხულობთ:

„მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ. გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთე (წყალობა) თქვენდამი: და როცა იყავით მტრებად, შეგიერთათ გულები თქვენი და მისი სიკეთით (მადლით) ძმებად იქმენით თქვენ. და თქვენ როცა იყავით ცეცხლის უფსკრულის პირას, გიხსნა თქვენ მისგან. ამგვარად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!“ (ალი იმრანი, 3-1-3)

უზენაესი გამჩენი ბრძანებს:

„მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს“... (თევბე 9/71)

„და აკი, ეშმაკმა მოუკაზმა მათ საქმენი მათი და უთხრა: არ იქნება კაცთაგან თქვენი მძლეველი ამ დღეს. და უეჭველად, მე მოკავშირე ვარ თქვენი . ხოლო ერთმანეთს

როცა შეერკინა ორი რაზმი, შეტრიალდა და გაიქცა იგი, და თქვა: უეჭველად, მე შორსა ვარ თქვენგან . უეჭველად, მე ვხედავ იმას, რასაც თქვენ ვერ ხედავთ . ნამდვილად, მე მეშინია ალლაჰის , რამეთუ ალლაჰის სასჯელი მკაცრია!“ (ენფალ, 8/46)

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვალდებული ვართ ერთმანეთს ყურადღება მივაქციოთ და ერთმანეთის მდგომარეობით დავინტერესდეთ. ჩვენს მორწმუნე ძმებთან ისეთი ურთიერთობა უნდა ვიქონიოთ, რომელიც ადამიანის ღირსებას შეეფერება. ასევე, ხელები უნდა აღვაპყროთ და ღმერთს მუდმივად სიკეთე ვევედროთ. ღმერთს უნდა შეევევედროთ მოგვმადლოს ისეთი ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერებას მოგვიტანს.

19.2. შერიგება

როდესაც ერთობა და ერთიანობა საფრთხის წინაშე დადგება ან დაირღვევა, ცხადია, რაც უნდა მოვიმოქმედოთ. ამ დროს საჭიროა შერიგების გზების ძიება. კონფლიქტის დროს კომპეტენტურმა პირებმა მედიატორის როლი უნდა იტვირთონ და კონფლიქტის მხარეები შეარიგონ. შერიგება მნიშნელოვანი მოვალეობაა. ის ღვური ბრძანება და შუამავლის რჩევაა. როდესაც ინდივიადუალურ ან საზოგადოებრივ დონეზე კონფლიქტი გაღვივდება, შესაბამისი სტატუსისა და კომპეტენციის პირები ამ კონფლიქტის დასრულებას და მხარეების შერიგებას უნდა შეეცადონ. ადამიანი ვალებულია, სანამ რომელიმე მხარეზე დადგებოდეს, ჯერ მხარეებს შორის შერიგების გზები მოძებნოს. გავიხსენოთ წმინდა ყურანის აიათები:’

„რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან . მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გეშინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!“ (ჰუჯურათ, 49/10)

„გეკითხებიან შენ ნადავლის თაობაზე , უპასუხე: ნადავლი ალლაჰისა და შუამავალისაა . მაშ, გეშინოდეთ ალლაჰისა და გამოასწორეთ თქვენს შორის არსებული; ჰმორჩილებდეთ ალლაჰსა და შუამავალსა მისსა, თუკი ხართ მორწმუნენი .“ (ენფალ, 8/1)

„არ არის სიკეთე მათ მრავალგზის საიდუმლო თათბირობებში, გარდა იმისა, სადაც მოუწოდებენ გაიღონ მოწყალება, ან კეთილი საქმე, ან შერიგება ადამიანებს შორის, და ვინც ალლაჰისაგან კეთილმოწყალების სურვილით იქმს ამას, მაშ, მივაგებთ მას უდიდეს ჯილდოს!“ (ნისა, 4/114)

შუამავალიც გვირჩევდა, რომ ორი მოქიშპის შერიგება დიდი მადლია და ამს ყურადღება უნდა მივაქციოთ. (იხ. ებუ დავუდ, „ედებ“, 50)

როდესაც სადმე ერთობა სუფევს და ადამიანებს კარგი ურთერთობა აქვთ, შუღლის შეტანა, განხეთქილების გამოწვევა და მსგავსი ქმედებები ღვთის მიერ აკრძალულია. ყურანში ვკითხულობთ:

„და არ არიოთ ქვეყანა მისი კეთილმოწესრიგების შემდგომ . და შეევედრეთ მას შიშითა და სასოებით . უეჭველად, ალლაჰის წყალობა ახლოსაა კეთილისმთესველთან“. (არაფ, 7/56)

კონფლიკტების აღმოფხვრისათვის საჭიროა მედიატორული კულტურის განვითარება. საზოგადოებაშ უნდა არსებობდეს შესაბამისი მზაობა შერიგებისა და კონფლიკტების მოგვარებისათვის. როდესაც კონფლიქტი წარმო-

იქმნება, მომრიგებლები ჯერ მოგვარების გზებ ეძებენ და შემდეგ კონკრეტული გეგმით მხარეებთან წარსდგებიან. თუ თავდაპირველი გეგმა არ ამართლებს, მედიატორები გეგმას ცვლიან და სიტუაციის მიხედვით სხვა გეგმაზე გადადიან. მორიგების პროცესშ მონაწილეობა დადებითი მოვლენაა და ეს სიმხდალედ, ან უკან დახევად არ უნდა მივიჩნიოთ. უთანხმოების ჩხუბით მოგვარების მცდელობა ჩამორჩენილობის ნიშანია. მუსლიმებისთვის შესაფერისი ქცევა დიალოგი და შეთანხმებაა. მორწმუნე, განათლებული ადამიანი კონფლიქტებს არ ქმნის და არც მათ შექმნას შეუწყობს ხელს. ის კონფლიქტებს დიალოგით აგვარებს. ძალადობა და აგრესია მიუღებელი ფორმებია.

როგორც ცნობილია, სიტყვა ისლამი მშვიდობას ნიშნავს. მუსლიმთა მისალმებაში მშიდობის სურვილია გამოხატული. როდესაც მუსლიმი გესალმება, მშვიდობას გისურვებს და ამით გაგრძნობინებს, რომ მისგან საფრთხე არ მოგელის. ისლამის მიმზანი მსოფლიო მშვიდობის დამყარებაა.

„ალლაჰს ნებავს ცხადყოს (ნებადართული და აკრძალული) თქვენთვის და დაგადგინოს თქვენ იმათ გზაზე, რომელნიც თქვენს უწინარეს იყო. და მოგიტევოთ. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

ალლაჰს ნებავს მოგიტევოთ თქვენ, ხოლო იმათ, რომელნიც ვნებებს არიან აყოლილნი, სურთ გადაგაცდინონ ჭეშმარიტ გზას.

ალლაჰს თქვენთვის შემსუბუქება ნებავს, რადგანაც ადამიანი გაჩენილ იქმნა სუსტი“. (ნისა, 4/28)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

თუ თავმდაბალი ვარ, ვინ უნდა
მიწოდოს ცხვარი?

იქნებ მომკვეთონ თავი, მაგრამ არ
შევდრკე წამით.

მეჰმეთ აქიფ ერსოი

muslimGeorgia
Muslim Georgia Humanitarian International Charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

20. ლმობიერება და მიმტევებლობა

20.1. ლმობიერება

ჩვენს სარწმუნოებაში რწმენა, ღვთისმსახურება და მორალი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ისლამი ჩვენგან ღვთისმსახურების დროს გულწრფელობას ითხოვს და ასევე მოითხოვს, რომ ვიყოთ ლმობიერნი და ზნეკეთილნი. მორწმუნე მუსლიმი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებსა და მეგობრებს. მათთან ურთიერთობაში ძირითადი მამოძრავებელი ხაზი ლმობიერება, შემწყნარებლობა და სიყვარული უნდა იყოს. ამასთანავე, მუსლიმი უნდა აცნობიერებდეს, რომ ყველა და ყველაფერი ღმერთის გაჩენილია, შესაბამისად მათდამი ქცევას ეს ჭეშმარიტება უნდა განსაზღვრავდეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველი მისი გაჩენილი დავაფასოთ.

შუამავალი საუკეთესო მაგალითია. მან საკუთარი ქცევებით გვასწავლა თუ როგორ უნდა მოვექცეთ ადამიანებს და ზოგადად როგორი ურთიერთბებია მისაღები. შუამავალი ლმობიერი, თავაზიანი და შემწყნარებელი ადამიანი

იყო. ის ირგვლივმყოფებს იმედს, სანდოობას და სიმშვიდეს აძლევდა. მასთან ურთიერთობისას ადამიანებს სიმშვიდე ეუფლებოდათ და შიშებისგან თავისუფლდებოდნენ. ოჯახსა და მეგობრებთან დიდად მოსიყვარულე გახლდათ. კარგი დღეების გარდა, ძნელბედობის ჟამსაც მოთმინებას იჩენდა და წონასწორობას არასოდეს კარგავდა. ის ყოველთვის შემწყნარებელი და მიმტევებელი იყო. ღმერთმა შეაქო მისი თვისებები, რაც ყურანშია გადმოცემული:

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრან 3/159)

ჩვენ, როგორც მორწმუნე ადამიანებმა, შუამავლის მაგალითი უნდა ავიღოთ და მის მიერ ნაჩვენები გზა ჩვენი ცხოვრების პრინციპად ვაქციოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ გულწრფელობა, გულმოდგინება, შინაგანი სიწმინდე და სამართლიანობა ხასიათის ძირითად მახასიათებლებად ვაქციოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ თვალთმაქცობა, ორპირობა, ამპარტავნება და მსგავსი ნეგატიური დამოკიდებულებები არც ღმერთის მხრიდან დაფასდება და არც ადამიანების. მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში ავსიტყვიანობას, რისხვას, უხეშობასა და ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შუამავალი გვასწავლის: „მორწმუნე საყვარელი ადამიანია. ვინც ადამიანს ვერ უახლოვდება და არც მას უახლოვდებიან, სიკეთეს არ მოიტანს“. (იხ. იბნ ჰანბელი, 2, 400). „გინდათ გაცნობოთ თუ ვინ არის ის ადამიანი, რომელიც ჯოჯოხეთის ცეცხლში არ მოხვდება? ეს

არის სულთან ახლო, საყვარელი, ლმობიერი ადამიანი“. (იხ. თირმიზი, სიფათულ ყიამე, 45)

ჩვენ იმ საზოგადოების ფასი უნდა ვიცოდეთ, სადაც ვცხოვრობთ და რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ჩვენ ერთმანეთის სიხარული და მწუხარება, ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროთ. ურთიერთბებში დამთმობი და შემწყნარებელი უნდა ვიყოთ. ოჯახში, შინ და გარეთ სიყვარულსა და იმედს უნდა ვასხივებდეთ. მღიმარე სახე და ტკბილი სიტყვა, ლმობიერება და პატივისცემა ჩვენი ხასიათის ძირითადი მახასიათებლები უნდა იყოს და არავის უნდა დავამადლოთ. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ირგვლივმყოფებს ცხოვრება გავუადვილოთ და იმედი მივცეთ.

20.2. მიმტევებლობა

განსაცდელის ჟამს მოთმინება დიდი ზნეობრივი თვისებაა. ასევე მნიშვნელოვანი ზნეობრივი თვისებაა ამ განსაცდელის გამომწვევთა მიმართ მიმტევებლობა. როდესაც ვინმე უხეშად გვექცევა, რამეს დაგვიშავებს, ჩვენს უფლებებს დაარღვევს, ბუნებრივია, სამაგიეროს გადახდის სურვილი გვიჩნდება, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ მიმტევებლობა გამოვიჩინოთ. მაღალი ზნეობის ადამიანები დიდსულოვნებითა და მიმტევებლობით გამოირჩევიან. პატიება ნიშნავს, ჩვენს წინაშე დამნაშავე ადამიანს სამაგიერო არ გადავუხადოთ და მის მიმართ სიძულვილი და რისხვა დავიოკოთ. სასურველია შეცდომის ჩამდენს ავუხსნათ მისი შეცდომის არსი და შესაფერისი ტაქტიანობით გავაფრთხილოთ. ამ გზით ის უკეთ გაიგებს თავის შეცდომას და ჩვენც ბოღმისა და რისხვისაგან გავთავისუფლდებით.

მიტევება მაღალი რანგის ზნეობრივი ღირებულებაა. უფრო მეტიც, ის სამართლიანობაზე უფრო მაღალი საფეხურის ზნეობრივი ღირებულებაა. ეს შემდეგი აიათით არის დამტკიცებული:

„სიავის საზღაური მისი ტოლფასი სიავეა. მაგრამ ვინც მიუტევებს და მშვიდობას დაამყარებს, მაშინ გასამრჯელო მისი ალლაჰთანაა. უეჭველად, მას არ უყვარს უსამართლონი“. (შურა 42/40)

ამრიგად, აიათის შინაარსიდან გამომდინარე, სიავის საზღაური მისი ტოლფასი სიავეა, მაგრამ მიტევება უმჯობესია, რადგან მიტევებისთვის გასამრჯელოს ღმერთი მოგვანიჭებს. დანაშაულის შემთხვევაშ დამნაშავის დასჯა და დაზარალებულის უფლებების აღდგენა, რა თქმა უნდა მიღებული ფორმაა, მაგრამ დაზარალებულის მხრიდან მიმტევებლობის გამოცენა, მის დიდსულოვნებასა და მაღალ ზნეობაზე მეტყველებს და ამისათვის ღმერთ მიმტევებლებს აჯილდოებს.

გარდა ამისა, კარგმა მუსლიმმა დაშვებული შეცდომა მცირედ არ უნდა მიიჩნიოს და უმალ გამოსწორებს უნდა შეეცადოს. მუსლიმს არ უხდება სხვათა შეცოდებების ანალიზი, მან საკუთარი შეცდომები უნდა გაანალიზოს და ყოველთვის ეცადოს, რომ აღარ გაიმეოროს. ადამიანის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა დაიწუნოს საკუთარი საქციელი და გამოასწოროს. შეცდომების გაგრძელება და მისი გამართლების მცდელობა ცალკე შეცდომაა, ამიტომ ადამიანი მუდმივად შეცდომების გამოსწორებაზე უნდა ზრუნავდეს. შეცდომების კლასიფიკაციას და დახარისხებას ჯობია მაშინვე მოვინანიოთ და ღმერთის უსაზღვრო წყალობის იმედი ვიქონიოთ. სინამდვილეში მუსლიმმა რომ

20. ლმობიერება და მიმტევებლობა

შეცდომა უმნიშვნელოდ ჩათვალოს შეუძლებელია. ის ყველა შეცდომაზე წუხს და გამოსწორების გზებს ეძებს. შეცდომის გამო სინანული მნიშვნელოვანი თვისებაა. ამასთანავე მნიშნელოვანია მიტევებაც. მიტევება შუამავლების თვისებაა და ისინი საამისოდ საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ.

მიუგო: „დღეს არ არს კიცხვა თქვენზე. დაე, ალლაჰმა შეგინდოთ, რამეთუ იგი მოწყალეთა უმოწყალესია! (იუსუფ, 12/92)

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. მას აქვს უნარი ისწავლოს, აღიზარდოს და სოციალური გარემოში არსებობისთვის საჭირო ცოდნა დააგროვოს. თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ბოდიშის მოხდაა.

ბოდის მხოლოდ უმცროსები ან ხელქვეითები არ იხდიან. ბოდიშის მოხდა იმას ევალება, ვინც დამნაშავეა და ვინც არ უნდა იყოს დამნაშავე, რაც არ უნდა მაღალი სტატუსის მატარებელი იყოს, სახელმწიფოც კი, თუ დამნაშავეა ბოდიშის მოხდა მისი ვალია.

ბოდიშის მოხდა ადამიანს არ ამცირებს, პირიქით, უფრო ამაღლებს. შუამავალი ადამიანებს არასოდეს ცუდად არ ეპყრობოდა, მითუმეტეს განზრახ. ერთხელ ქადაგებისას მან მრევლს ასე მიმართა: „თუ რომელიმე თქვენგანზე დამირტყამს აგერ ჩემი ზურგი, მოვიდეს და დამარტყას; თუ ვინმეს ჩემგან ასაღები აქვს, აგერ ჩემი ქონება, მოვიდეს და აიღოს“. ყურანში ასევე ვკითხულობთ:

„სიავის საზღაური მისი ტოლფასი სიავეა. მაგრამ ვინც მიუტევებს და მშვიდობას დაამყარებს, მაშინ გასამრჯე-

ლო მისი ალლაჰთანაა. უეჭველად, მას არ უყვარს უსამართლონი“. (შურა, 42/40)

„დაე, მდიდარნი და შეძლებულნი თქვენგან ნუ დაიფიცებენ, რომ არ დაეხმარებიან ნათესავებს, ღატაკებს და ალლაჰის გზაზე გადასახლებულებს. დაე, აპატიონ და იყვნენ ლმობიერნი. განა არ გინდათ, რომ ალლაჰმა მოგიტევოთ? ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“ (ნურ, 24/22)

ბუნებრივია, მიტევების საკითხშ დანაშაულის სიმძმეს გადამწყვეტი მნიშნელობა ენიჭება. თ დანაშაული მძიმეა, დაზარალებულმა რომც მიუტევოს, გულში წყრომა და გულისტკენა მაინც დარჩება. მაგალითად, შუამავალმა ჰზ. ჰამზას მკვლელს მიუტევა, მაგრამ უთხრა, რომ მას არ შეხვედროდა.

ამრიგად, ღმერთი მიმტევებელია და მას სურს, რომ მისი გაჩენილი ადამიანებიც მიმტევებლები ვიყოთ.

„კეთილი სიტყვა და მიტევება უკეთესია ისეთ მოწყალებაზე, რომელსაც თან ახლავს წყენა. და ალლაჰი ყოვლადმდიდარია, შემწყნარებელია.

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმანთ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას, და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მდგომარეობა მისი იმ კლდეს ჰგავს, რომლის ზემოდან მიწაა, ღვართქაფი დაეცა მას და დარჩა სალი ქვა. ეგენი ვერაფერს განაგებენ რაც შეიძინეს, იქიდან. რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს ურწმუნოებს ჭეშმარიტ გზას“. (ბაყარა, 2/263)

20. ლმობიერება და მიმტევებლობა

არ არის თანასწორი სიკეთე და სიავე. დახვდი იმით, რომელიც საუკეთესოა. მაშინ იგი მტრობა, რაც შენსა და მას შორის იყო, გექცევა გულითად მეგობრად.

მას ვერ მიაღწევს, გარდა მათი, რომელთაც მოითმინეს, და მას ვერ მიაღწევს, გარდა უდიდესი წილის მფლობელი“. (ფუსსილეთი, 41/34-35)

როდესაც დამნაშავეს მივუტევებთ და ბოროტებას სიკეთით გადავუხდით, მოსალოდნელია, რომ ის ჩვენი მეგობარი გახდეს. სუმამე ბ. უსალმა შუამავლის მკვლელობა სცადა. შუამავალმა მას აპატია, რის შემდეგაც სუმამემ ასეთ რამ თქვა: „მუჰამმედ, ჩემთვის შენი სახე ამქვეყნად ყველაზე საძულველი იყო, მაგრამ ახლა დედამიწაზე ყველაზე საყვარელი სახე გახდა. ვფიცავ, ჩემთვის შენს სარწმუნოებაზე საძულველი სარწმუნოება არ არსებობდა, მაგრამ ახლა ყველაზე საუკეთესო გახდა. ვფიცავ, შენი ქალაქი ყველაზე საძულველი იყო, მაგრამ ახლა ის ყველაზე საყვარელი ქალაქია“. (იხ. მუსლიმ, „ჯიჰად ვე სიერ“, 59)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

როს ცხენი ნახავს სიბნელეს და
კარგავს შეუპოვრობას,

სამარცხვინო სიკვდილი თუა,
ესაა ალბათ...

მეჰმეთ აქიფ ერსოი (1981; 209)

muslim georgia
muslim georgia union
international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

21. დიალოგი და სტაბილურობა

21.1. დიალოგი

მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის წინ, გონიერ და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებთან საუბარი, მათი რჩევების მოსმენა და გადაწყვეტილების შემდგომ მიღება, ისლამის მიხედვით მოსაწონი და მისასალმებელი საქციელია. არასწორი გადაწყვეტილების მიღება, შემდგომ შეცდომის დაშვება და სინანული, რა თაქმა უნდა, მოსაწონი არ გახლავთ, ამიტომ სასურველია, შეცდომის დაშვებამდე კონკრეტულ საქმეში განსწავლულ ადამიანებს რჩევა ვკითხოთ და გადაწყვეტილება ამის შემდეგ მივიღოთ.

მუსლიმი მორალისტებიც იგივეს გვირჩევენ. ჯერ საჭიროა საკითხის განხილვა, კვალიფიციურ ადამიანბთან საუბარი, მათი აზრის მოსმენა და ამის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება. ყურანში, უზენაესი გამჩენი შუამავალს ასე მოძღვრავს:

„ ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე

მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრანი, 3/159)

„და რომელთაც შეისმინეს თავიანთი ღმერთის, ჭეშმარიტად აღავლინეს ლოცვა და საქმე მათი ბჭობაა ერთმანეთ შორის და რაც ვუწყალობეთ, გაიღებენ იქიდან“. (შურა, 42/38)

მიუხედავად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა ადამიანები ისეთ ურთიერთობაში უნდა იყონ ერთმანეთთან, რომ შექმნან ჯანსაღი და კომუნიკაბელური საზოგადოება. საზოგადოება, სადაც ურთიერთდახმარება და ჯანსაღი ურთიერთობები არ არის, რაც არ უნდა მდიდრებით იყოს დაკომპლექტებული, მაინც სიმშვიდისა და კეთილდღეობის მიღმა დარჩება. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება უსამართლობა, მდიდრებსა და ღარბებს შორის მკვეთრად გამოხატული კონტრასტულობა, რაც გამოიწვევს მასობრივ უკმაყოფილებას და არეულობებს.

ყურანი ადამიანებს მოუწოდებს სიკეთისა და ღვთისმოსაობის გზას არ გადაუხვიონ და ერთმანეთს ხელი გაუწოდონ. სიკეთისა და ღვთისმოსაობის გზით ურთიერთთანადგომა მრავალი მიმართულების შეიძლება იყოს. განათლებულმა ადამიანმა სხვებს თავის ცოდნით უნდა დაეხმაროს, მდიდარმა ფულით, ძლიერმა ძალით და ასე შემდეგ. ამრიგად, ადამიანები ერთი სხეულის მსგავს საზოგადოებას შექმნიან. შუამავალი ბრძანებდა: ადამიანები, ურთიერთგაგების, სიყვარულისა და დახმარების გათვალისწინებით ერთი სხეულის მსგავსნი არიან. როდესაც სხეულს ერთი რომელიმე ორგანო ასტკივდება, სხეულის სხვა ნაწილები განგაშს ატეხენ.

ემპათიის ჩამოყალიბებას მოერე მხარის მიმართ მეგობრული დამოკიდებულება განაპირობებს. როცა ადამიანი რაიმე პრობლემაში ვარდება ის მოძებნის მეგობარს, რათა თავისი დარდი გაანდოს. მეგობარი მოუსმენ, მის დარდს გაიზიარებს და შეძლებისდაგვარად ეხმარება. რეალური დახმარება რომც ვერ შეძლოს, დარდის გაზიარება მაინც ხდება და ადამიანს დარდი უმსუბუქდება. ემპათიკური გაგება ადამიანებს შორის შემწყნარებლობას აყალიბებს. ასეთ დროს ადამიანები გრძნობენ, რომ მეორე მხარისთვის ღირებული არიან, ეს კი ადამიანს ძალიან ამშვიდებს. ემპათიკური გაგება ვისაც გააჩნია საზოგადოებაში განსაკუთრებული ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს. მას ენდობიან და მასთან ურთიერთობას საიამოვნოდ მიიჩნევენ.

21.2. სტაბილურობა

ამ თავში განვიხილავთ სტაბილურობას, რომელიც მისი ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით კი არა, არამედ გადაწყვეტილებისადმი სისტემატიური ერთგულებით იქნება გამოყენეული. გადაწყვეტილების მიმართ ერთგულება და საქმის ბოლომდე მიყვანა ადამიანის მტკიცე ხასიათის ნიშანია.

როდესაც ვიცით, რომ ზნეობრივად რაღაც კარგია, საჭიროა ამ რაღაცის შესრულება. თუ ვიცით, რომ რაღაც კარგია და საპირისპიროს ვაკეთებთ, ეს ზნეობრიობასთან წინააღმდეგობაში მოდის. ამრიგად, ადამიანი უნდა ცდილობდეს აკეთოს ის, რაც კარგია და ასევე უნდა ცდილობდეს არ გააკეთოს ის, რაც ცუდია. გამომდინარე აქედან, ზნეობრივი თვალსაზრისით თეორიულ ცოდნაზე მეტი

მნიშნელობა, პრაქტიკას ენიჭება. ზნეობრივი აღზრდის პროცესშიც ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს. ზნეობრივი აღზრდის პროცესში ძირითადი მიზანი არის, არა მხოლოდ კარგისა და ცუდის შესახებ თეორიული ცოდნის მიღება, არამედ ამ ცოდნის რეალიზება და ქცევებში გამოხატვა.

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრანი, 3/159)

ინდივიდების ზნეობრივი დონე მთლიანად საზოგადოებაზე ახდენს გავლენას. ასევე გავლენა აქვს საზოგადოების ზნეობრივ დონეს ინდივიდების ზნეობრივად ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია ბავშვის სამეგობრო წრე. ნათქვამია, მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. გამომდინარე აქედან, ბავშვის ზნეობრივად ფორმირების პროცესში სამეგობრო ზრეს დიდი მნიშვნელობა გააჩნია. შესაბამისად, მეგობრების არჩევისას დიდი ყურადღების გამახვილებაა საჭირო. ამ პროცესს აქტიურად უნდა აკვირდებოდნენ მშობლებიც. სამეგობრო წრესა თუ საზოგადოებაში გამოვლენილი უზნეობის ფაქტები სწორად უნდა გავიაზროთ და ამგვარი ნაკლოვანებებისგან თავი შროს დავიჭიროთ, რაც საბოლოო ჯამში ზნეობრივად ამაღლებას მოგვიტანს.

ადამიანს გააჩნია გონება და ასევე თავისუფალი ნება, რაც უთუოდ დაეხმარება საიმისოდ, რომ იზრუნოს, მოიმდომოს და საუკეთესო მორალის მქონე გახდეს. ამ პროცესში აუცილებელია დაძლიოს ისეთი სურვილები და

მისწრაფებები, როგორიცაა სიამაყე, ამპარტავნება, შური და სხვა. ამის პარალელურად ადამიანი უნდა ზრუნავდეს ისეთი გრძნობების გააქტიურებასა და გაძლიერებაზე, როგორიცაა შემწყნარებლობა, თანადგომა, სიყვარული და ა.შ. როდესაც ადამიანი სისტემატიურად რაიმეს აკეთებს, ეს ქცევა ჩვევაში გადადის და მისი ზნეობის ფორმირებას იწვევს. შუამავალი კარგი ქცევის სისტემატიურობას გვირჩევდა. (იხ. მუსლიმ, „მუსაფირინ“ 216). როდესაც ადამიანი ყოველდღე ერთი და იგივე საქმეს აკეთებს, ის იმ საქმის ოსტატი ხდება. ასეა ქცევაც, ადამიანის რომელიმე ქცევა თუ სისტემატიურია, ის უკვე იმ ადამიანის ზნეობის ნაწილად იქცევა.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სანამ აირანით თასი წინ მიდგას,

ვფიცავ, სხვის თაფლზე არც კი ვიფიქრებ.

მევლანა, (მესნევი, 16)

muslimgeorgia
Muslim Georgia Union of the International Charity Foundation



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

22. კმაყოფილება და ერთგულება

22.1. კმაყოფილება

აქამდე განხილული მორალური ღირებულებების ერთ-ერთი უმთავრესი დამხმარე ფაქტორი, კმაყოფილებაა. კმაყოფილებაში ვგულისხმობთ ყველა იმ შესაძლებლობებითა და წყალობით კმაყოფილებას რაც გაგვაჩნია. ადამიანი შრომობს და ცდილობს შემოსავალი ჰქონდეს. შეიძლება მისი შემოსავალი მის მოთხოვნილებებს სრულად არ აკმაყოფილებდეს, მაგრამ ის რაც გააჩნია, იმითაც კმაყოფილია. სწორედ ეს არის მორწმუნისთვის შესაფერისი დამოკიდებულება. საპირისპირო შემთხვევაში ადამიანს შური და ბოღმა მოეძალება და ყოველთვის უკმაყოფილების ჭაობში იქნება. მორწმუნეს უმადურობა არ შეჰფერის, ამიტომ ის ყოველთვის კმაყოფილი უნდა იყოს იმ ყველაფრით, რასაც ღმერთი სწყალობს. კმაყოფილი ადამიანი თავისი შრომით რასაც მიაღწევს, იმით კმაყოფილდება და მის შემოსავლებს უფრო მდიდრებისას არ ადარებს. შესაბამისად მადლიერია და შეიძლება ღარიბი იყოს, მაგრამ უმადურ მდიდარზე მეტად ბედნიერია.

კმაყოფილება შეცდომით არ უნდა გავიგოთ. ადამიანმა მთელი თავისი შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს და

იშრომოს, ხოლო რასაც ამ შრომის შედეგად მიიღებს იმით უნდა იყოს კმაყოფილი, თორემ არაფრის კეთება, სიზარმაცე და შესაბამისად გაჭირვება კმაყოფილების მიზეზი არ უნდა იყოს. როდესაც ადამიანი თავისი სიზარმაცით არც საკუთარ თავს, არც ოჯახს და არც ქვეყანას არგია, მისი კმაყოფილება სრულიად უადგილოა. ისლამის მიხედვით შრომა უაღრესად დაფასებულია და ალალი შრომით სარჩოს მოპოვება, გამდიდრება და ამ სიმდიდრის სასიკეთოდ გამოყენება დიდი მადლია. ყურანში ვკითხულობთ:

„ჰკითხე: ვის ძალუძს აკრძალოს მორთულობა და სანუკვარი სარჩოთაგანი ალლაჰის მიერ თავის მსახურნზე ნაბოძები? უთხარი: ეს მათთვისაა ამქვეყნიურ ცხოვრებაში და კერძოდ, აღდგომის დღეს, რომელთაც იწამეს. ამგვარად განვმარტავთ აიათებს ჩვენ იმ ხალხისთვის, აცნობიერებენ რომელნიც“. (ეღრაფი, 7/32) შუამავალი კი ასე ბრძანებს: „ღვთისმოსავთათვის სიმდიდრეს რაიმე ზიანი არ მოაქვს“. (იხ. იბნ მაჯე, „თიჯარეთ“, 1)

ღმერთი ყოვლად მოწყალეა, მწყალობელია, სარჩოს მომნიჭებელია, მაცოცხლებელი და არსებობის შემანარჩუნებელია. დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, ძლიერი თუ სუსტი, ყველა და ყველაფერი მის მიერ ბოძებული წყალობითა და შესაძლებლობით არსებობს. ამ ჭეშმარიტების გააზრება, გათავისება, ესოდენ უსაზღვრო წყალობის მიმართ მადლიერების გამოჩენა, ყოველი მსახურის აუცილებელი ვალდებულებაა.

მორწმუნე ადამიანი, ღვთისადმი მადლიერებას, მთელი არსებით გრძნობს, ამბობს და გამოხატავს. ის შინაგანად მუდმივად მადლიერია და ღვთის მიერ ბოძებულ წყალობას არასოდეს ივიწყებს. ის ენითაც გამოხატავს მადლიერებას

და მუდმივად ღმერთს განადიდებს. ის ცდილობს ხელით, ფეხით, მთელი სხეულით კეთილი საქმეები აკეთოს და ამითაც გამოხატოს, რომ მადლიერია.

მორწმუნემ იცის, რომ ღმერთმა მას გონება უწყალობა და ამის მადლიერება რომ გამოხატოს, უნდა სწამდეს. ღმერთმა მას ცოდნის შეძენის უნარი და შესაძლებლობა მისცა და ამის მადლიერება სხვებზე სწავლებითა და კარგი საქმეების კეთებით უნდა გამოხატოს. ღმერთმა ადამიანს ჯანმრთელობა უწყალობა და ადამიანმა მადლიერება თავისი კეთილადამიანობით უნდა გამოხატოს.

შუამავალი ბრძანებს:

„ვინც ადამიანების მადლიერი არ არის, ის არც ღმერთის მადლიერი იქნება“. (იხ. თირმიზი, „ბირ“ 35). ამრიგად, მორწმუნე ადამიანი ნებისმიერ სიკეთეს სიკეთითვე უპასუხებს და მადლიერებას გამოხატავს. უმადურობა და ამპარტავნება მორწმუნეს არ ეკადრება. ის მადლიერია გარშემომყოფების მიმართ, მშობლების, ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების და ასე შემდეგ.

ღმერთი სიკეთის პასუხად ჯილდოს მწყალობელია. ვინც არ არის ხარბი და უმადური, ღმერთი მათ უფრო მეტ სიკეთეს უწყალობებს. ხუტბას კი წმინდა აიათით დავასრულებ:

„და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით, უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“ (იბრაჰიმ 14/7)

ღმერთმა გვიწყალობა ოჯახი, რომელიც ადამიანის სიმშვიდისა და ბედნიერების ადგილია. ღმერთმა ადამიანს

უბოძა გონება, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია განასხვავოს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, სასარგებლო და საზიანო. ღმერთმა ადამიანს უწყალობა გული და გრძნობები, რათა მან ამქვეყნიური სილამაზე დაინახოს და შეიგრძნოს. ამასთანავე, ღმერთმა ადამიანს წმინდა წიგნები და შუამავლები მოუვლინა, რათა სწორად ცხოვრება ესწავლა და ამქვეყნად და საიქიოში ბედნიერებით დამტკბარიყო.

ამ ყველაფრის ფონზე ადამიანს აქვს ვალდებულება, რომ დაინახოს ეს წყალობა, დააფასოს და გამჩენის მიმართ მადლიერება გამოხატოს. უზენაესი გამჩენი ყურანში ასე ბრძანებს:

„მაშ, გამიხსენეთ მე, (რათა) გაგიხსენოთ თქვენ, იყავით ჩემდამი მადლიერნი და არ იყოთ უმადურნი!“ (ბაყარა 2/152)

ღვთისმსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება ღვთის მიერ ბოძებული წყალობის დანახვა და მადლიერების გამოხატვაა. ადამიანს უმადურობა არ შეეფერის და ის ღვთიური წყალობის გამო მუდმივად მადლიერი უნდა იყოს.

„ალლაჰი კრძალავს მევახშეობას და ამრავლებს მოწყალების გაღებას. და ალლაჰს არ უყვარს არც ერთი ურწმუნო და ცოდვილი“. (ბაყარა 2/276) მადლიერების გამოხატვა, მხოლოდ ენით წარმოთქმული სიტყვებით, არ არის საკმარისი. მადლიერება გულწრფელი რწმენა, წყალობის გულითადი გააზრება და ღვთისადმი უპირობო მინდობაა. დიახ, როდესაც მორწმუნე ამბობს „ელჰემდულილლაჰ“ ის აღიარებს, რომ ყველა წყალობა ღვთისგანაა და ადამიანი ამის მადლიერია. მადლიერების გამოხატვაა ლოცვები, რომლებსაც დღეში ხუთჯერ აღვავლენთ. მადლიერებაა

მარხვა, რომელიც მოთმინებას და ღვიური წყალობის ფასს გვასწავლის. მადლიერებაა ჰაჯის შესრულება, რომელიც ერთი ღმერთის რწმენას გვიმტკიცებს და მუსლიმთა ერთიანობის სილამაზეს გვაზიარებს. მადლიერებაა ზექათი, რომელსაც ღვთის მიერ ბოძებული წყალობიდან გავცემთ. მადლიერების გამოხატვაა, როდესაც მტკიცე რწმენას საუკეთესო ზნეობით შევამკობთ.

22.2. ერთგულება

ერთგულება ადამიანის სიტყვასთან, მეგობრობასთან და წარსულში გაკეთებულ სიკეთეებთან არის დაკავშირებული. ამ თავში, ძირითადად, სიტყვისა და პირობის ერთგულებაზე ვისაუბრებთ. სიტყვისა და პირობის ერთგულება ნიშნავს, რომ ადამიანი მიცემულ სიტყვას არ გადავა, პირობას არ დაარღვევს და თუნდაც პირობის შეცვლით მეტი სარგებელი ჰქონდეს, პირობას არ დაარღვევს. როდესაც ერთგულებას მეგობრებთან კავშირში ვახსენებთ, აქ უკვე მეგობრებისადმი კეთილი დამოკიდებულება, მათთან ყოველთვის სამართლიანად მოქცევა და ღალატის ნებისმიერი ფორმის არდაშვება იგულისხმება. ერთგულებაშ ასევე იგულისხმება ძველი მეგობრების არდავიწყებადა მათთნ კავშირის შენარჩუნება. გარდა ამ ყველაფრისა, ერთგულებაა, რომდესაც ადამიანი ყველას მიმართ სანდო და გამგებიანია. არავის მოატყუებს, არავის უღალატებს და არცერთ შემთხვევაში პირობას არ დაარღვევს.

ყურანის გვასწავლის, რომ სიკეთეს სიკეთით უნდა ვუპასუხოთ. მნიშვნელობა არ აქვს რამდენი ხანია გასული. ყველა ადამიანის მიმართ მადლიერება უნდა გამოვხატოთ. ყველაზე დიდი მადლიერება კი ღვთის წინაშე უნდა გაგვა-

ჩნდეს. ღვთის წყალობა ამოუწურავია და მისი სიკეთე წამითაც არ უნდა დაგვავიწყდეს. ღვთის წყალობის მიმართ კმაყოფილება ცალკე დადებითი თვისებაა და ჩვენ ასევე მადლიერნიც უნდა ვიყოთ. ყურანი გვასწავლის:

„მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებანს შერაცხავთ ცრუდ?! განა შეიძლება სხვა რამ იყოს სიკეთის საზღაური, თუ არა სიკეთე?“ (რაჰმანი, 55/59-60)

ძვირფასი შუამავლი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წინაშე თავდადებული იყო. ის ღვთისადმი მორჩილების, მისდამი თაყვანისცემისა და უსაზღვროდ მინდობის საუკეთესო მაგალითი იყო. ერთხელ, როდესაც ჰზ. აიშემ დაინახა, რომ შუამავალს ღამე ლოცვისგან ფეხები ჰქონდა დასივებული, ჰკითხა: „შუამავალო, შენ ხომ წარსულისა და მომავლის ყველა ცოდვა მიტევებული გაქვს, მაინც ასე რატომ იქცევი?“ პასუხად შუამავალმა ბრძანა: „აიშე, განა მე მადლიერი მსახური არ უნდა ვიყო?!“ (იხ. მუსლიმ, „სიფათულ-მუნაფიყინ“ 81)

ძვირფასო მორწმუნენო!

შუამავალი ოჯახის წინაშეც დიდ თავდადებას იჩენდა. მექას გათავისუფლების დღეს თავისი კარავი ჰზ. ჰატიჯას საფლავთან ახლოს გააშლევინა და ყველაზე რთულ წლებში გვერდში მდგომი გარდაცვლილი მეუღლის მიმართ პატივისცემა გამოხატა.

შუამავალი მშობლების მიმართ უდიდეს პატივისცემას იჩენდა. ერთხელ, როდესაც მასთან ახალგაზრდა ყმაწვილი მივიდა და უთხრა, რომ მშობლები მტირალი დატოვა და მასთან წამოვიდა, შუამავალმა უბრძანა: „დაბრუნდი მათთან და როგორც აატირე, ისე გააღიმე“ (იხ. ებუ დავუდ, „ჯიჰად“ 31)

22. კმაყოფილება და ერთგულება

შუამავალი ასევე ძალიან დიდ პატივს სცემდა სიტყვას. ის მიცემულ პირობას არასოდეს არღვევდა და აუცილებლად ასრულებდა. ერთ-ერთი ჰადისის მიხედვით შუამავლმა პირობის შესრულების მნიშვნელობა ასე განმარტა: „ვინც მიბარებულის მიმართ პასუხისმგებლობას არ გრძნობს, მისი რწმენა ჩამოუყალიბებელია. მიცემული პირობის მიმართ უპასუხისმგებლობას ვინც იჩენს, ის სარწმუნოებაში არაა ჩამოყალიბებული“. (იხ. იბნ ჰანბელი, 3, 134)

სამყაროს წყალობად მოვლენილი შუამავალი გარემოს მიმართაც უდიდეს პატივისცემას იჩენდა: „წარღვნაც რომ იყოს და ხელში ნერგი გქონდეს, დარგეთ“. (იხ. იბნ ჰანბელი, 3, 184)

შუამავალი ასევე მოგვიწოდებს პატივისცემით მოვეპყროთ პირუტყვს: „პირუტყვებთან მოპყრობის თაობაზე გეშინოდეთ ღვთისა“. (იხ. ებუ დავუდ, „ჯიჰად“ 14)

ასევე, შუამავალი გვირჩევს, რომ მცირე განბანვის დროსაც კი ზედმეტი წყალი არ მოვიხმაროთ და ამით გარემოს მიმართ პატივისცემა გამოვიჩინოთ. (იხ. იბნ მაჯე, „თაჰარეთ“ 48)

ერთგულება და პატივისცემა რწმენის ნიშანია და ის მორწმუნე ადამიანისთვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ჩვენ, როგორც მორწმუნე მუსლიმები, ვალდებულნი ვართ შუამავლის რცევებს ყური დავუგდოთ და მისი ცხოვრების გზა მაგალითად მივიღოთ. ყურანში ნაბრძანებია: „და ისინი, რომელნიც მათზე დადებულ აღთქმანს და ანაბარს იცავენ“, (მუ’მინუნ 23/8)

არასოდეს დაგვავიწყდეს, რომ ღვთისადმი გამოჩენილი ერთგულება და პატივისცემა, ასევე ადამიანების,

ოჯახის, გარემოსა და დადებული პირობის მიმართ გამოჩენილი ერთგულება და პატივისცემა, ღვთის კმაყოფილების საწინდარია და ასეთი ქმედება ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების მომტანი იქნება.

muslim georgia
muslim georgia foundation of international charity

ჩვენი მდგომარეობა გავს
გახრწნილ სხეულს,

სულიერი ხრწნა, ვეცემით ზნეობით.

უბრალო სიტყვაა, სიბრძნით აღსავსე,

გვეშველება, ზნეობის ამაღლებით.

მეჰმეთ აქიფ ერსოი (1981; 320)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

23. საკუთარი თავის შეცნობა და სრულყოფილება

23.1. საკუთარი თავის შეცნობა

საკუთარი თავის შეცნობა, ისლამური კულტურის გარდა, სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიურ მიმდინარეობებშიც გვხვდება. საკუთარი თავის შეცნობა, ისლამის კულტურაში, ძირითადად თასავვუფის მიმდევრებისა და ფილოსოფოსების მხრიდან სიღრმისეულად განხილული საკითხია. ამ თვალსაზრისით, მიიჩნევა, რომ საკუთარი თავის ცნობით გამჩენს უკეთ შევიმეცნებთ და შესაბამსიად, ადამიანი უკეთ გაიაზრებს სულისა და სხეულის კავშირს, მათ კავშირს გარესამყაროსთან და ასევე ღმერთთან. რაც შეეხება საკუთარი თავის შეცნობის უფრო პრაქტიკულ, რაციონალურ განმარტებას, ეს არის საკუთარი შინაგანი სამყაროს, შინაგანი მისწრაფებების, მიდრეკილებების გააზრება და ასევე შინაგანი თვითკრიტიკის, საკუთარი თავის განკითხვის მიმართულებით ერთგვარი შინაგანი კულტურის ჩამოყალიბება. ამ გზით ადამიანი საკუთარ თავში ძლიერ და სუსტ მხარეებს აღმოაჩენს, რაც შემდგომში სუსუსტეების გამოსწორებაში დაეხმარება. საკუთარი თავის

შეცნობა ადამიანს დაეხმარება იმ კრიტიკული ზღვარის თვალსაჩინოდ გავლებაშ, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას, ცდუნებებსა და ღვთისმოსაობას შორის გადის და ადამიანი შეძლებს საკუთარი თავის უკეთ კონტროლს.

ამქვეყნიური ცხოვრება საიქიოს მოსამკობადაა. ყველა აქ მომსვლელი აუცილებლად წავა და რასაც დასთესს იმასვე მოიმკის. ნებისმიერი სიკეთე, რომელსაც ადამიანი გააკეთებს, საიქიოში შესაბამისად დაუფასდება. ვინც ბოროტებას ჩაიდენს, საიქიოში შესაბამის საზღაურს მიიღებს. ღმერთი ბრძანებს:

„და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)!

და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)!“ (ზილზალ 99/7-8)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავნი; და დაე, შეხედოს სულმა რა წაიმძღვარა ხვალისთვის. გეშინოდეთ ალლაჰის, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ!“ (ჰაშრი 59/18)

თვითკრიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისა, რომ ადამიანმა საკუთარი შესაძლებლობები სწორად შეაფასოს, განვლილი ცხოვრება გაანალიზოს და მომავალი ლოგიკურად დაგეგმოს. თვითკრიტიკა და საკუთარი თავის განკითხვა, შუამავლების თვისებებიდანაა. როდესაც ადამიანი საკუთარ ნაკლოვანებას აღიარებს, ის ამ ნაკლის გამოსწორებას შეეცდება. თუ ნაკლს არ დავინახავთ, ბუნებრივია, ვერც გამოსწორების საჭიროებას ვიგრძნობთ. როგორც უკვე აღინიშნა, თვითკრიტიკა შუ-

ამავალთა თვისებაცაა. შემდეგი აიათი ამის ნათელი დასტურია:

„და ზენნუნი აკი, წავიდა განრისხებული . იფიქრა, რომ ჩვენ ვერ ვძლევდით მას . შემდეგ შეევედრა წყვდიადიდან : „რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა შენი! დიდება შენდა! უეჭველად, მე უსამართლოთაგანი ვარ !“

ამგვარად, ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება და ვიხსენით იგი მწუხარებისგან. და ასე დავიხსნით ჩვენ მორწმუნეებს!“ (ენბია, 21/87-88)

ამრიგად, ღმერთი გვიბრძანებს ამქვეყნიური ცხოვრების პერიოდში საიქიო სამზადისში ვიყოთ. ის მოგვიწოდებთ საკუთარი თავი გავაკონტროლოთ და საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულნი ვიყოთ.

ადამიანი მუდმივად უნდა ფიქრობდეს რისთვის არის მოვლენილი ქვეყანაზე, საიდან მოდის და საით უნდა წავიდეს. ის საკუთარ თავს მუდმივად უნდა უსვამდეს ამ კითხვებს. მორწმუნე უნდა იაზრებდეს თავის შეცდომებსა და ცოდვებს, რის შემდეგაც უნდა მოინანიოს და მიტევება ითხოვოს. მორწმუნე ადამიანმა იმ ფიქრით უნდა იცხოვროს, რომ ღმერთი მის ყოველ ნაბიჯს ხედავს. ჩვენ უნდა შევძლოთ და რწმენისგან იმდენი ძალა მივიღოთ, რომ ცდუნებები გავაკონტროლოთ და ცოდვებისგან შორს დავდგეთ. ჩვენ უნდა შევძლოთ, თავი დავაღწიოთ ეშმაკის მიერ დაგებულ მრავალფეროვან მახეებს და ასევე წინააღმდეგობა გავუწიოთ ცდუნებებსა და მავნე მისწრაფებებს. ამ გზით ჩვენ შევძლებთ მთელი გულით ღმერთს მივენდოთ და ერთმანეთს სიკეთესა და გულწრფელ ღვთისმსახურებაში გავეჯიბროთ.

საკუთარი თავის შეცნობითა და ღმერთზე მინდობით ცხოვრება, ყოველი მუსლიმისთვის საარსებო კაპიტალია. მორწმუნე, რომელიც წარსულის შეცდომებზე სწავლობს, აწმყოს ფასი იცის და ამავდროულად მომავალს რწმენითა და სიკეთით გეგმავს, გადარჩენის გზაზე დგას და ღვთის წყალობით გადარჩება. შუამავალი შემდეგნაირად გვაფრთხილებს: „ადამიანი განკითხვის დღეს ამ ხუთი რაიმის გამო აუცილებლად განიკითხება: რას მიუძღვნა სიცოცხლე, როგორ გაატარა ახალგაზრდობა, როგორ მოიპოვა ქონება, სად დახარჯა და ასევე თავისი ცოდნის მიხედვით თუ მოქმედებდა“.

დღეები დღეებს, თვეები თვეებს, წლები კი წლებს მისდევენ. დრო შეუჩერებლად მიედინება. ჩვენი ცხოვრების განსაზღვრული ვადა დღითიდღე იწურება. ჩვენი ამოსუნთქვა დათვლილია და ის ყოველწამიერად იკლებს. ყველა ტკივილითა და სიხარულით, ყველა კარგისა და ცუდის განცდით გრიგორიანული წელთაღრიცხვის კიდევ ერთ წელს ვემშვიდობებით. მოდით, ამ მიზეზით კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ გასულ წელს და ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებს. მოდით გავაანალიზოთ ყველა ის შეცდომა, რაც ამ წელს დავუშვით.

საკუთარი თავის განკითხვის საუკეთესო გზა საკუთარი თავის კარგად გაცნობაა. ჩვენ უნდა შევძლოთ ჭეშმარიტების სარკეში შევხედოთ საკუთარ თავს და შეცდომები ვაღიაროთ. კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, საიდან მოვედით და საით მივდივართ.

საკუთარი თავის განკითხვის დასაწყისშივე უნდა ვაღიაროთ ყველა ის შეცდომა, რომლებიც ამქვეყნიური მისწრაფებებისა და ცდუნებების გამო გვქონია. ყველა ის მავნე

ჩვევა უნდა დავივიწყოთ, რომლებიც ცოდვაში გვაგდებს. ცოდვები უნდა მოვინანოთ და პირობა დავდოთ, რომ მეტ-ჯერ აღარ ჩავიდენთ.

საკუთარი თავის განკითხვა რწმენის სრულყოფას ემსახურება და ამ გზით სწორად ცხოვრების შესაძლებლობას ვინარჩუნებთ. უნდა ვიცოდეთ და ვითვალისწინებდეთ ყველაფერს, რაც ღმერთმა ნებადართლად დაგვიდგინა, ან აკრძალა. ეს არის მცდელობა, რომ სიკვდილამდე ვიყოთ ღვთისმსახურებაში და ვაკეთოთ სიკეთე. ჩვენი საუკეთესო მაგალითი ჰზ. შუამავალია, ამიტომ ცხოვრების წესად მისი ცხოვრების გზა უნდა დავისახოთ.

საკუთარი თავის განკითხვა ღვთისადმი უპირობო მინდობაა. მორწმუნე ადამიანი ყველა ადამიანის უფლებებს განუხრელად უნდა იცავდეს. გული ისე უნდა გავიწმინოდთ, რომ იქ მხოლოდ ღმერთის ადგილი იყოს.

23.2. თვითგანვითარება

ადამიანმა საკუთარი არსებობის მნიშვნელობა რომ წარმოაჩინოს და ამავდროულად საზოგადოებაში თავისი ადგილი და ინდივიდუალიზმი შეინარჩუნოს და შესაბამისი ქცევები განახორციელოს სამი რამ სჭირდება; კითხვა, აზროვნება და ფიქრის გაზიარება.

არისტოტელე მკითხველსა და არამკითხველს შორის განსხვავებას მკვდარსა და ცოცხალს შორის განსხვავებას ადრიდა. კითხვა სიცოცხლის ხელახალი გამობრწყინებაა. ბენჟამინ ფრანკლინი ამბობდა, რომ თუ ქვეყანაში კითხვის სურვილი არ მატულობს, უმეცრება და მისგან მოსალოდ-

ნელი უბედურება გარდაუვალი გახდებაო. კარგი, რატომ ხდება, რომ ზოგი ადამიანი, ან ზოგი ერი კითხვას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და ზოგი კი- არა. ამ კითხვას მრავალი პასუხი შეიძლება ჰქონდეს. ნებისმიერი პასუხის მიუხედავად ამ ყველაფრის მიზეზი და საფუძველი ისაა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მომავალს. ადამიანი იმიტომ კითხულობს რომ დარდი აქვს. ხალხი, ერი იმიტომ კითხულობს, რომ საერთო დარდი აქვთ. რაც უფრო მეტია ეს დარდი, მით უფრო მეტს კითხულობს ადამიანი.

ოსმალეთის დროს ბიბლიოთეკები სავსე იყო წიგნებით და ეს წიგნები არამარტო კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ მთელ მსოფლიოში მიჰქონდათ და ამ გზით ცოდნა, კულტურა და ცივილიზაცია. ასეთი წარსულის მქონე ქვეყანაში წერა-კითხვის მცოდნეთა დაბალი მაჩვენებელი და ზოგადად წიგნის მოყვარულთა ცოტა რაოდენობა საგანგაშოა და დამაფიქრებელი.

ადამიანის და საზოგადოების პრობლემაა კონკრეტულ დროს არსებული გამოწვევების გააზრება და მათი მოგვარების გზების ძიება. ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანია სამომავლო მოლოდინების მაღალ იდეალებზე დაფუძნება და შესაბამისი პრევენციული მოქმედებების დაგეგმვა. ადამიანი როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად მუდმივი გაუმჯობესებისკენ უნდა ისწრაფვოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ. ასეთი ადამიანის სტატუსსა და მატერიალურ მდგომარეობას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, შედეგი მაინც უცვლელი იქნება. ასევე არ უნდა დავივიწყოთ წარსული, რომელის მომავლის განჭვრეტის საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

23. საკუთარი თავის შეცნობა და სრულყოფილება

გარდა ამისა საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი კულტურაა და მას თავის მხრივ მატერიალური და სულიერი ინსტრუმენტები გააჩნია. კულტურის სულიერ მხარეს ადამიანის სულიერი სამყარო და გონება ქმნის, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, აქ თავად ხელოვნებაა მთავარი ინსტუმენტი და ასევე ამ კულტურის თაობიდან თაობაზე გადამცემი წიგნები. კულტურა მომავალ თაობებს ხელოვნების ნიმუშებისა და წიგნების საშუალებით გადაეცემა.

კულტურა და ცივილიზაცია მათი მდგენელი სულიერ და მატერიალურ ფაქტორებთან ერთად უნდა განიხილებოდეს. ცნობილია, რომ თუ გონება წიგნით არ იკვებება ერი დეგრადაციის გზას დაადგება. ადამიანი გონებას მხოლოდ წიგნითა და აზროვნებით განავითარებს. წიგნიერება არის ის საფუძველი, რომელიც ხარისხიან ადამიანებს აყალიბებს და მათ მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები თუ ნაწარმოებები თაობიდან თაობას გადაეცემა და შექმნის კულტურას.

„წიგნები გონიერი ადამიანების ბაღებია, ხოლო მადლმოსილი ადამიანების სურნელოვანი ყვავილები“, ამბობდა ხალიფა ებუ ბექირი.

მართლაც, წიგნები, რომელი კულტურიდანაც არის იმ კულტურის ბაღია. ვინც წიგნთან მეგობრობს და მასთან ახლოსაა ის ამ ბაღის ნაყოფს მოიმკის.

წიგნს პატივისცემა სჭირდება. ის იდეალებითაა სავსე და ადამიანისთვის არის ის საშუალება, რითიც მან მაღალ მიზნებს უნდა მიაღწიოს.

წიგნი ადამიანებს ახალ შესაძლებლობებისკენ გზას უხსნის. როდესაც წიგნს ვკითხულობთ მწერლის მთელ

წარმოსახვას და მიგნებებს ვეცნობით. ამდენად ჩვენი ცნობიერება ფართოვდება. ყოველი წიგნი გამოცდილების პროდუქტია.

ასევე, ჩვენი მიზანი სამაგალითო მწერლის აღმოჩენა უნდა იყოს. უნდა ვიპოვოთ მწერალი, რომელიც ჩვენს სულიერ კლიმატზე შეხმიანებას შეძლებს. ასე კითხვაც შეგვიყვარდება.

ცოდნა ცოდნის ცოდნაა.
ცოდნა შენი თავისა.

თუ საკუთარ თავს არ ცნობ,
კითხვა რის მაქნისია.

იუნუს ემრე, (2006; 275)

muslimgeorgia
Muslim Georgia Humanitarian International Charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

24. ცოდნა და სიბრძნე

24.1. ცოდნა

ისლამის მიხედვით ცოდნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. ცოდნა ის საშუალებაა, რომლის მეოხებითაც მატერიისა და მოვლენების შესახებ სწორ დამოკიდებულებას განვივითარებთ. ყურანში ცოდნა და მასთან დაკავშირებული ტერმინები, სულ 750-ჯერაა ნახსენები. ეს უტყუარი დასტურია იმისა, რომ ისლამში ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ისლამის წარმოშობიდან დღემდე ისლამური სამყარო სწავლა-განათლებას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს. სწავლა-განათლებაში იგულისხმება, როგორც რელიგიური, ასევე სამეცნიერო მიმართულებები.

ცოდნა, საუკუნეების განმავლობაში, ისლამური ცივილიზაციის მწვერვალს იპყრობდა და ამასთანავე, ყოველი მუსლიმისთვის ცოდნა უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენდა. ცოდნა, სხვა ზნეობრივი ღირებულებების წყაროს წარმოადგენდა. ისლამურ ტრადიციაში ცოდნა ზნეობასთან ასოცირდებოდა, რადგან მიიჩნევა, რომ

განსწავლული ადამიანი უზნეობას იოლად ვერ ჩაიდენდა. ცოდნა ადამიანის გონებას, სინდისს და თავისუფალ ნებას აძლიერებს. ცოდნა ძალაა. ის იმდენად ცხადი და სასარგებლო ალტერნატივაა, რომ გონიერი ადამიანისთვის ცოდნასა და უმეცრებას შორის არჩევანის გაკეთება ძალიან ადვილია. ამასთანავე, ცოდნის საპირისპირო მდგომარეობა უმეცრებაა. უმეცრება მრავალი უზნეობისა და დაცემულობის ძირითადი გამომწვევი მიზეზია. უმეცარი ადამიანი ბოროტებისა და ძალადობისაკენ არის მიდრეკილი. შეიძლება უმეცარ ადამიანსაც კეთილი ზრახვები გაუჩნდეს, მაგრამ ის თავისი უმეცრებით, ხშირად, საპირისპიროს აკეთებს. ამიტომაა ნათქვამი, უმეცარ მეგობარს, განსწავლული მტერი სჯობსო. ამრიგად, ცოდნის მნიშვნელობა და სარგებელი ძალიან დიდია. ამის გამო შუამავალი ბრძანებს, რომ ცოდნის შეძენა ყველა ადამიანისთვის ფარზია, სავალდებულოა. (იხ. იბნ მაჯე, „მუქადდიმე“, 17). ცოდნის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ყურანისეული მოწოდება, რომლის მიხედვითაც, ომის დროსაც კი, ზოგი ადამიანი შინ უნდა დარჩენილიყო და ცოდნის შეძენაზე ეზრუნა:

„არ არის საჭირო, რომ მორწმუნეები ყველა ერთად გავიდნენ სალაშქროდ. ამრიგად, არ წავიდეს სალაშქროდ თითოეული ტომიდან მცირე ნაწილი, რათა მათ კარგად შეისწავლონ სჯული და შეაგონონ თავიანთი ხალხი, როცა ისინი უკან დაბრუნდებიან ! ეგებ მოკრძალებული იყვნენ ეგენი!“ (თევბე, 9/122)

ჩვენი სარწმუნოება სწავლა-განათლებას, შემეცნებასა და სიბრძნეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. პირველი ღვთური ბრძანებაც ეს იყო: „იკითხე, შენი გამჩენის სახელით“ (იხ. ალაყი, 96/1). ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მთელი ცხოვრება ამ გზავ-

ნილის პირობისამებრ, ცოდნის შეძენას უნდა ვესწრაფოდეთ. ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„„განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უვიცნი?!“ (ზუმერი, 39/9)

აიათის შინაარსიდან გამომდინარე ცხადია, რომ ცოდნას ღვთის წინაშე დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ასევე მრავალი აიათით დამტკიცებულია, რომ სწავლა-განათლება და ცოდნის შეძენა მუსლიმებისთვის წმინდა ვალდებულებაა.

ცოდნა ის ძვირფასი ხაზინაა, რომელიც კაცობრიობის განთარებაში უდიდეს როლს თამაშობს. ადამიანი საკუთარ თავსა და გარესამყაროს ცოდნის საშუალებით სწავლობს. ის სამყაროს არსებობას, მის წესრიგსა და გაჩენის მიზანს ცოდნის საშუალებით აღიქვამს. ცოდნა ის ძალაა, რომლის საშალებითაც ადამიანი საკუთარ ბუნებას წრთვნის. ასევე სწავლაა ის გზა, რომლითაც ადამიანი ჭეშმარიტებას, სამართლიანობას, მორალსა და სათნოებას გაითავისებს. ცოდნის შეძენით ხვდება ადამიანი, რომ ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა გააჩნია და ასევე ცოდნაა ის საშუალება, რომლის საშუალებითაც ადამიანი თავის უფლება-მოვალეობებს აღიქვამს.

ცოდნის უპირველესი წყარო თავად ღმერთია. ღმერთმა სამყარო და ადამიანი გააჩინა, ხოლო შემდეგ ადამიანს ის ყველაფერი ასწავლა, რაც მას ამ სამყაროში ცხოვრებისათვის სჭირდება. ცოდნის მიზანი უზენაესი გამჩენის შეცნობა და მისი კმაყოფილების მოპოვებაა. შედეგად ადამიანი როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოებისთვის სასარგებლო ინდივიდად ჩამოყალიბდება. თუ ცოდნის შეძენის მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება

არ იქნება, ის ამ უდიდესი მიზნის გარეშე კაცობრიობას დადებით შედეგებს ვერ მოუტანს. შუამავალი ღმერთს ასე ევედრებოდა: „ღმერთო! უსარგებლო ცოდნისგან დამიფარე! ღმერთო! მომმადლე სიკეთე იმისგან რაც მასწავლე. მომმადლე სასარგებლო ცოდნა და გამიმრავლე ის!“ (იხ. (თირმიზი, „დეავათ“, 128)

მუსლიმი მორალისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ უმეცრება სულიერი ზნედაცემულობის ძირითადი წყაროა. ისინი მიიჩნევენ, რომ უმეცრება ადამიანის სიცოცხლეს, საკუთრებასა და ღირსებას საფრთხეს უქმნის. უმეცრება საფრთხეა, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. ღვთიური მოწოდებაც ასეთა, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ მივიღოთ ცოდნა, რათა თავი დავიზღვიოთ უმეცრებისგან.

„და თუ გემძიმა შენ მათი ჭეშმარიტების უარყოფა და თუ გძალუძს, ეძიე ხვრელი მიწაში ან კიბე ცაში, რათა მოუტანო იმათ რამე სასწაული . და რომ ყოფილიყო ალლაჰის ნება, მოუყრიდა მათ თავს ჭეშმარიტ გზაზე. ამიტომაც შენ არ იყო უმეცართაგანი!“ (ენამ, 6/35)

„შემწყნარებლობა დაიდგინე შენ, უბრძანე სიკეთე და უმეცართ ზურგი აქციე“. (ეღრაფი, 7/199)

ამრიგად, ერთის მხრივ ცოდნის შეძენაზე უნდა ვიზრუნოთ, ხოლო მეორეს მხრივ, ღმერთს შევევედროთ, რომ სასარგებლო ცოდნა მოგვმადლოს.

„ჭეშმარიტი მეუფე უზენაესი ალლაჰია! ნუ იჩქარებ ყურანის კითხვას (აიათის), სანამ არ დასრულდება შენთვის მისი ზეშთაგონება და თქვი: „ღმერთო ჩემო! შემმატე ცოდნა!“ (ტაჰა, 20/114)

24.2. სიბრძნე

ცოდნა და სიბრძნე ერთმანეთთან ახლო კავშირში მყოფი ორი ღირებულებაა. ეს ორი სიტყვა ყურანში ხშირად გვერდიგვერდაა ნახსენები.

„და როცა ზრდასრული შეიქნა იგი , ვუბოძეთ მას სიბრძნე და ცოდნა. აი, ასე ვუზღავთ კეთილისმქმნელთ!“ (იუსუფ, 12/22)

„და ლუტი, რომელსაც ვუბოძეთ სიბრძნე და ცოდნა და ვიხსენით იგი იმ სოფლისგან, სადაც სისაძაგლეებს სჩადიოდნენ. უეჭველად, ისინი იყვნენ უკეთურნი და უზნეონი!“ (ლუთ, 21/74)

„ამგვარად, ჩვენ ვამცნეთ სულეიმანს იგი და ორივეს ვუბოძეთ სიბრძნე და ცოდნა. და ჩვენ დავუმორჩილეთ მთები და ჩიტები, რათა დავუდთან ერთად განედიდებიათ ღმერთი. და ეს ყველაფერი ჩვენ ვჰქმენით!“ (ენბია, 21/79)

ისლამურ ლიტერატურაშ სიბრძნე ეფლათუნის მოღვაწეობის პერიოდიდადნ დაწყებული მუდმივად გვხვდება. აჰმედ ჰამდი აქსექის განმარტებით, სიბრძნე ყველა მორალური ღირებულებების საწყისია. სიბრძნის მქონე ადამიანი, ანუ ბრძენი ზნეობრივად ამაღლებული ადამიანია. ასეთი ადამიანი გონებრივი ძალიათაა შეარაღებული და მას შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს სიკეთე და ბოროტება, კარგი და ცუდი, და ა.შ.

სიბრძნე თავისთავად გულისხმობს, რომ ამ ღირებულებით შემკული ადამიანი მოვლენების მიმართ სწორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, აქვს მყარი ცოდნა, გამოცდილება და ასევე ზნეობრივი მზაობა საიმისოდ, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს და ამ გადაწყვეტილებების

შესაბამისად სწორად მოიქცეს. ბრძენი ადამიანი თავის ცოდნას და გამოცდილებას პრაქტიკულ ცხოვრებაშ განასახიერებს. შესაბამისად, სიბრძნე ცოდნასთან შედარებით უფრო მაღალი დონის ღირებულებაა. ბრძენმა ადამიანმა იცის ყველა იმ ქცევის მიზეზი, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში მიმართავს და ასევე მას აქვს უნარი განჭვრიტოს ამ ქცევით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები. სიბრძნე გულისხმობს ყველა ქმედების საბაბის, უკანა ფონის, გამომწვევი მიზეზების გეგმაზომიერი ეფექტის გავლენას და შესაბამისად გრძნობს სამომავლოდ შესაძლო ზიანისა და სარგებლიანობის გაზომვას. ალი ფუდ ბაშგილი ამბობს: „ადამიანის ფასი და ძალა განისაზღვრება არა ცოდნის გაფართოებით, არამედ საკუთარი თავის ფლობით, საკუთარი ნების კონტროლით, კარგი ზნითა და სულის წრთვნით“. (2014; 16)

ყურანში სიტყვა სიბრძნე საკმაოდ ხშირადაა ნახსენები. აიათების უმრავლესობაშ სიბრძნე მისი არსებითი მნიშვნელობითაა მოცემული. აიათში, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, სიტყვა სიბრძნე, სიკეთესთან კავშირშია ნახსენები:

„(ალლაჰი) სიბრძნეს აძლევს, ინებებს ვისაც. ხოლო ვისაც სიბრძნე მიეცა, უთუოდ, დაჯილდოვდა იგი უხვი სიკეთით. და ვერ ჩაწვდება ამას, თვინიერ გონიერისა“. (ბაყარა, 2/269)

აღნიშნული აიათით ცხადია, რომ სიბრძნის პატრონი ადამიანი სიკეთითაცაა დაჯილდოებული. ბუნებრივია, ცარიელი სიბრძნე არ არსებობს და მას აუცილებლად ახლავს სიკეთე.

ზნეობა არის იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანებს შორის ურთიერ-

თობებსა და ყოფა-ქცევას. ზნეობა ანუ მორალი ადამიანის შინაგან სამყაროს წარმოაჩენს. ჰადისის წყაროებიდან ცნობილია, რომ შუამავალი ღმერთს ზნეობრივად ამაღლებას ევედრებოდა. (იხ. იბნ ჰანბელი 1. 403). მისი ეს ვედრება გვიჩვენებს, რომ მორალი ადამიანის შინაგანი ბუნებისა და მისი ქცევების ერთობლიობაა.

არსებობს მორალის სხვა და სხვა სახის განმარტებები. აბდულლაჰ ბ. მუბარექი, რომელიც ზნეობრივი საკითხების შესახებ დაწერილი ერთ-ერთი მნიშნელოვანი წიგნის ავტორია, წერს: „მორალი მომღიმარი სახით სიკეთის კეთება და ცუდზე ხელის შეშლაა“. (იხ. თრმიზი, „ბირ“ 62). მორალის ერთ-ერთი პოპულარული განმარტება კი ასეთია: „ადამიანის შინაგან სამყაროში მყარად დამკვიდრებული თვისებები და უნარები, რომელთა საშუალებით ადამიანის ქცევები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ვლინდება“. (იხ. გაზალი, „იჰია“ 3, 125).

მორალის შესახებ წარმოდგენილ ამ განმარტებებს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ რამოდენიმე საკითხი წინა პლანზეა წამოწეული. პირველი არის ის, რომ მორალი ადამიანის შინაგან ბუნებაში დამკვიდრებული უნარია, რომელიც მის ხასიათს განსაზღვრავს. ამდენად ადამიანის ეს უნარი მისი პიროვნულობის განმსაზღვრელი, განუყოფელი ნაწილია. მეორე საკითხი კი მდგომარეობს იმაში, რომ მორალი ადამიანის ქცევებში ვლინდება და მათი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. ფორმირებული მორალის შედეგად ადამიანის ნებისმიერი ქცევა ავტომატურად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ვლინდება. ამრიგად, მორალი ადამიანის ქცევებს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, შინაგანი კარნახით ავლენს. გამომდინარე აქედან, მორალის შესახებ საუბრისას ძირითადი

მნიშვნელობა აქვს არა კონკრეტულ ქცევას ან მის ფორმას, არამედ ამ ქცევის მიზანს.

ძალადობის, შიშის ან მუქარის ქვეშ გამოლენილი ქცევა მორალთან კავშირში არ არის. ნებისმიერი ქცევა მორალიდან გამომდინარედ რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, ადამიანის თავისუფალი ნებითა და სურვილით იყოს გაკეთებული. გამომდინარე აქედან, კანონის შიშით, საზოგადოებრივი აზრის გავლენით, მშობლების ან მასწავლებლის შიშით გამოვლენილი ქცევები მაღალი ზნეობის მაგალითად არ გამოდგება. მორალი წარმავალი, ცვალებადი გამოვლინებებით არ ხასიათდება და ის ადამიანის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მუდმივად განსაზღვრავს მის ქცევებს.

ალი ფუად ბეშგილი მოგვითხრობს თავს გადახდენილ ამბავს, სადაც განმარტებულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილ ადამიანებთან ურთიერთბას და მათგან რჩევების მიღებას.

„პირველი მსოფლიო ომის დროს ოთხ წელზე მეტი ხნით კავკასიაში ვიყავი განმწესებული და მთელი ეს პერიოდი სულ შეტაკებებსა და ბრძოლებში გავატარე. ბოლოს, როგორც იქნა უკან, სტამბოლში გამამწესეს. შინ დაბრუნებიდან პირველი რამოდენიმე კვირის განმავლობაში საშინელი სიცარიელე და უმოქმედობა ვიგრძენი. ვერ გადამეწყვიტა, რა მეკეთებინა. რა გზას უნდა დავდგომოდი და ჩემი ცხოვრება საით წამეყვანა, აზრზე არ ვიყავი. არ ვიცოდი, მიტოვებული სწავლა გამეგრძლებინა თუ ბევრი თანამებრძოლის მსგავსად, სწავლა საბოლოოდ მიმეტოვებინა და რაიმე საქმით დავკავებულიყავი. კვირეების განმავლობაში ამ ორჭოფობას თავი ვერ დავაღწიე და

გადაწყვეტილება ვერ მივიღე. ვისაც ვესაუბრე და რჩევა ვკითხე, ყველა მეუბნებოდა, რომ სწავლა უნდა მიმეტოვებინა და რაიმე საქმიანობას მივყოლოდი. ამ პერიოდში ერთ თანამემამულეს შევხვდი, რომელიც ვაჭრობას ეწეოდა და ამ ქალაქში საქონლის შესაძენად იყო ჩამოსული. მან მკითხა, რის გაკეთებას ვაპირებდი და რა მქონდა გადაწყვეტილი. მე მას ვუთხარი, რომ გაურკვევლობაშ ვიყავი და გასაწყვეტილებას ვერ ვიღებდი, თან დავსძინე, სწავლის გაგრძელების აზრისკენ უფრო ვიხრები, მეთქი.

„ნუ მაოცებ, მეგობარო! ისწავლო და ბიბლიოთეკის ვირთხა გინდა იყო? ადექი, ვაჭრობას მოჰკიდე ხელი, და ფული გამოიმუშავე.“ - მითხრა მან.

ეს ახალგაზრდა ვაჭარი, სულ მოკლე ხანში გარდაიცვალა. მე კი, მისმა სიტყვებმა ისედაც არეული გონება უფრო ამიმღვრია.

ბოლოს გადავწყვიტე ერთ ნაცნობი პროფესორი მენახა და რჩევა მისგან მიმეღო. ის ჩარშიქაფიში ცხოვრობდა და პირდაპირ სახლში ვესტუმრე. ცოტა ხანი რომ ვისაუბრეთ, პროფესორმა მკითხა, რის გაკეთებას ვაპირებდი. მე ჩემი ორჭოფობის და გაურკვევლობაში ყოფნის ამბავი მოვუყევი. პროფესორმა ასეთი რამ მითხრა: ამ გაურკვევლობას შეეშვი და სწავლა გააგრძელე. ადამიანს რაიმე საქმიანობის წამოწყება ყოველთვის შეუძიია, მაგრამ განათლების მიღებას კონკრეტული ასაკი და პერიოდი გააჩნია. შენ სწორედ ამ ასაკში ხარ. თუ ამ ასაკს ახლა არ გამოიყენებ და სწავლას არ გააგრძელებ, ასეთი შესაძ ებლობა აღარასოდეს გექნება. ჯერ განათლება მიიღე და ამის შემდეგ, გინდა ვაჭარი გახდი და გინდა სხვა რამ. მე მას დავუჯერე, სწავლა გავაგრძელე და ამის გამო არასოდეს მინანია. (ბაშგილი, 2014; 78-79)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ“.

(ალი იმრანი, 3/159)

muslim georgia
muslim georgia union
international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

25. თავაზიანობა და დახვეწილობა

25.1. თავაზიანობა

თავაზიანობა, თავმდაბლობა, მოკრძალება ადამიანის ის თვისებებია, რომლებიც საუკეთესო ზნეობასთან ასოცირდება. ყურანში ადამიანის ეს თვისება გამორჩეულადაა ნახსენები და ასეთ ადამიანები დიდად არიან შექებულნი.

სიტყვა ზრდილობა ყოველდღიურ საუბრებში ხშირად გამოიყენება და ის თავისი შინაარსით ახლოს დგას მორალთან. ყოველდღიურ ცხოვრებაში, საუბარში, ქცევაში და ა.შ. დაწესებულია გარკვეული კარგი წესები, რომელთა დაცვაც მთლიანობაში ზრდილობას ქმნის. ზრდილობა თავისთავში მოიცავს თავაზიანობას, შემწყნარებლობას, კარგ ქცევებს და სხვა. გამომდინარე აქედან ზრდილობის წესებს ვინც იცავს მას ზრდილობიანს ვეძახით, ხოლო ვინც ამ წესებს არ იცავს -უზრდელს. ზრდილობა და უზრდელობა მორალური თვისებების გამოვლინებაა. შესაბამისად ზრდილობიანი ადამიანი კარგი მორალის მქონეა და ამის შედეგად ის ღვთის წინაშე დაფასებულია, ხოლო ადამიანებს უყვართ და პატივს სცემენ.

ადამიანს საზოგადოების წინაშე ის ქცევები წარმოაჩენს, რომლებსაც ის ყოველდღურობაში ავლენს. ჩვენი ქცევა შინ იქნება თუ გარეთ, საუბარი, დამოკიდებულებები, მოკლედ ყველაფერი, რასაც გავაკეთებთ, ჩვენს პიროვნებაზე მეტყველებს. მორწმუნე ადამიანს სწამს, რომ ღმერთს ყველაფერი კარგი უყვარს და ამგვარი დამოკიდებულების შედეგად ნებისმიერ სიტუაციაში კარგად იქცევა.

ყურანსა და შუამავლის ჰადისებში მრავლად არის მოცემული ის ზნეობრივი ნორმები, რომლებსაც მორწმუნე ადამიანი უნდა იცავდეს. საუკეთესო ზნეობის შემადგენელი ნორმები იმდენად მომცველობითია, რომ ისინი ჩვენი ცხოვრების თითეულ ნაბიჯს განსაზღვრავენ. ჩაცმისა და ჭამის წესები, ოჯახში ქცევის წესები, უფროსებთან, ნათესავებთან, მეგობროებთან და ზოგადად გარემოსთან ურთიერთობები, გაჭირვებასა და დალხინებაში მოქცევის წესები, მოკლედ ყველაფერი განსაზღვრულია და ყველაფერი ადამიანისთვის საუკეთესი ზნეობის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ ყველაფერის გათვალისწინებით მორწმუნე მუსლიმი საზოგადოების თვალსაჩინო წევრი იქნება და თავისი ცხოვრების სტილით ისლამს განასახიერებს.

„ნუთუ ვერ აღიქვი, როგორ მოჰყავს ალლაჰს იგავად კეთილი სიტყვა ? ის კეთილ ხეს ჰგავს, მყარია მისი ფესვები და ზეცაშია აწვდილი ტოტები მისი.

ნაყოფს იძლევა იგი ყოველ დროს, თავისი ღმერთის ნებით. და მოჰყავს ალლაჰს იგავები ადამიანთათვის, ეგების შეიგონონ!

და ავი სიტყვის მდგომარეობა უფესვო ხის მდგომარეობას ჰგავს, რომელიც მიწაზე ეცემა, რადგან საყრდენი არ გააჩნია.

25. თავაზიანობა და დახვეწილობა

ალლაჰი განუმტკიცებს ჭეშმარიტებას, რომელთაც ირწმუნეს მტკიცე სიტყვით ამყვეყნადაც და იმქვეყნადაც. და აცდენს ალლაჰი უსამართლონს. და იქმს ალლაჰი, ინებებს რასაც“ (იბრაჰიმ, 14/24-26).

როდესაც ვიცით, რომ ზნეობრივად რაღაც კარგია, საჭიროა ამ რაღაცის შესრულება. თუ ვიცით, რომ რაღაც კარგია და საპირისპიროს ვაკეთებთ, ეს ზნეობრიობასთან წინააღმდეგობაში მოდის. ამრიგად, ადამიანი უნდა ცდილობდეს აკეთოს ის, რაც კარგია და ასევე უნდა ცდილობდეს არ გააკეთოს ის, რაც ცუდია. გამომდინარე აქედან, ზნეობრივი თვალსაზრისით თეორიულ ცოდნაზე მეტი მნიშნელობა, პრაქტიკას ენიჭება. ზნეობრივი აღზრდის პროცესშიც ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს. ზნეობრივი აღზრდის პროცესში ძირითადი მიზანი არის, არა მხოლოდ კარგისა და ცუდის შესახებ თეორიული ცოდნის მიღება, არამედ ამ ცოდნის რეალიზება და ქცევებში გამოხატვა.

ინდივიდების ზნეობრივი დონე მთლიანად საზოგადოებაზე ახდენს გავლენას. ასევე გავლენა აქვს საზოგადოების ზნეობრივ დონეს ინდივიდების ზნეობრივად ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია ბავშვის სამეგობრო წრე. ნათქვამია, მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. გამომდინარე აქედან, ბავშვის ზნეობრივად ფორმირების პროცესში სამეგობრო ზრეს დიდი მნიშვნელობა გააჩნია. შესაბამისად, მეგობრების არჩევისას დიდი ყურადღების გამახვილებაა საჭირო. ამ პროცესს აქტიურად უნდა აკვირდებოდნენ მშობლებიც. სამეგობრო წრესა თუ საზოგადოებაში გამოვლენილი უზნეობის ფაქტები სწორად უნდა გავიაზროთ და ამგვარი ნაკლოვანებებისგან თავი შროს დავიჭიროთ, რაც საბოლოო ჯამში ზნეობრივად ამაღლებას მოგვიტანს.

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრან, 3/159)

ადამიანს გააჩნია გონება და ასევე თავისუფალი ნება, რაც უთუოდ დაეხმარება საიმისოდ, რომ იზრუნოს, მოიმდომოს და საუკეთესო მორალის მქონე გახდეს. ამ პროცესში აუცილებელია დაძლიოს ისეთი სურვილები და მისწრაფებები, როგორიცაა სიამაყე, ამპარტავნება, შური და სხვა. ამის პარალელურად ადამიანი უნდა ზრუნავდეს ისეთი გრძნობების გააქტიურებასა და გაძლიერებაზე, როგორიცაა შემწყნარებლობა, თანადგომა, სიყვარული და ა.შ. როდესაც ადამიანი სისტემატიურად რაიმეს აკეთებს, ეს ქცევა ჩვევაში გადადის და მისი ზნეობის ფორმირებას იწვევს. შუამავალი კარგი ქცევის სისტემატიურობას გვირჩევდა. (იხ. მუსლიმ, „მუსაფირინ“ 216). როდესაც ადამიანი ყოველდღე ერთი და იგივე საქმეს აკეთებს, ის იმ საქმის ოსტატი ხდება. ასეა ქცევაც, ადამიანის რომელიმე ქცევა თუ სისტემატიურია, ის უკვე იმ ადამიანის ზნეობის ნაწილად იქცევა.

25.2. დახვეწილობა

დახვეწილობა თავაზიანობის ტყუპისცალია. დახვეწილობა თავაზიანობასთან შედარებით უფრო ფართე გაგების შემცველია. მაგალტად, თუ თავაზიანობა მხოლოდ საუბართან და ქცევასთანაა დაკავშირებული, დახვეწილობა ამ ყველაფერთან ერთად მანერებს, დამოკიდებულებებს, გრძნობებს და აღქმებს მოიცავს.

25. თავაზიანობა და დახვეწილობა

ღვთისმსახურების მიზანი ადამიანში ამ აღქმის განხორციელება და სიყვარულის, სამართლიანობის და ზომიერების ჩამოყალიბებაა. ამ პროცესში ადამიანის გულისა და გონების განზომილებების ჰარმონიულობა ყალიბდება. ამგვარი წონასწორობა ადამიანში სამართლიანობის გრძნობის სახით იჩენს თავს. სამართლიანი ადამიანი ზომიერი, მამაცი და ხელგაშლილი უნდა იყოს. ეს სამართლიანობაა კარვის დედაბოძი. ადამიანის საკუთრებას სამართლიანობა უნარჩუნებს წონასწორობას. თუ ადამიანი სამართლიანი არ არის, სხვა თვისებები რომც გააჩნდეს, წონასწორობასა და ზომიერებას ვერ შექმნის. სამართლიანობას ზრდილობა მოაქვს, რადგან სამართალი და მორალი ერთიმეორეს ავსებენ. სამართლიანობა გონებისა და გულის ჰარმონიულობის შედეგად ჰპოვებს წონასწორობას, ვინაიდან სინდისის გარეშე სასწორის წონასწორობაში მოყვანა შეუძლებელია.

ადამიანის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ ამ შედეგამდე მივდივართ. ბუნებრივსა და ადამიანურს შორის, მატერიალურსა და აზრიანს შორის კავშირს მორალი ამყარებს. მორალი კი ყველაზე ხელსაყრელ ადგილას, სარწმუნოებაში ჰპოვებს ადგილს.

შესაბამისად ადამიანი რწმნის მეოხებით საკუთარ ბუნებას გამოვლენს, ხოლო უარყოფითა და ურწმუნოებით საკუთარ თავს შორდება. არაბულ ენაში რწმენის (იმან) ანტონიმი არის „ქუფურ“. ეტიმოლოგიურად ქუფური დაფარვას, დამალვას ნიშნავს. რწმენაში გამოხატვაა, სააშკარაოზე გამოტანა და შესაბამისად სანდოობაც. გამოდის რომ რწმენა არსებულის წარმოჩინებაა, სააშკარაოზე გამოტანა, ხოლო ურწმუნოება კი -დაფარვა.

“ჰეი, შვილო ჩემო! აღავლინე ლოცვა, უბრძანე აკეთონ კეთილი, აუკრძალე აუგი და მოითმინე ის, რაც თავს დაგატყდეს. უეჭველად, ეს კატეგორიულად გასაკეთებელი საქმეებია!

არ იბრუნო პირი ადამიანებისგან ქედმაღლობის გამო და არ იარო ქვეყანაზე მედიდიურად. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს თავმომწონე, ამაყები!

იარე მოზომილი ნაბიჯით, ხმა დაიმდაბლე! უეჭველად, ყველაზე უსიამოვნო ხმა ვირის ხმაა.

ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ალლაჰმა დაგიმორჩილათ თქვენ ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და სრულჰყო თქვენდა თავისი მადლი ცხადიც და უხილავიც. მაგრამ ადამიანებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც დაობენ ალლაჰის თაობაზე, ცოდნის, ჭეშმარიტი დამადგინებელისა და მანათობელი წიგნის გარეშე”. (ლოყმან, 31/17-19)

პაკისტანელი პოეტი და ფილოსოფოსი იქბალი ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც მთელ თავის გულს ღმერთს მიანდობს და საკუთარ შესაძლებლობებს განივითარებს, სხეულის ვიწრო ჩარჩოებისგან თავისუფლდება და შეძლებს ჩასწვდეს იმას, რაც მას ეკუთვნის. ასე ადამიანი გაიცნობს საკუთარ სულს და საკუთარ თავს.

ამგვარი გათვითცნობიერება ღვთიური საზღვრების დარღვევას არ გულისხმობს. მაიდას სურაში ნაბრძანებია, რომ ჭეშმარიტებას უნდა ჩავწვდეთ და საზღვრებს არ გადავიდეთ. აქვე მნიშვნელოვანია ადამიანის თავისუფალი ნებისა და შინაგანი სურვილების პაექრობა. ზღვარს გადასვლა მუნაფიყობაზე მიანიშნებს. მუნაფიყების ქცევა თითქოსდა ღმერთის ბრძანებების უზადოდ შესრულებაა,

მაგრამ სინამდვილეში არ სწამთ. ასეთი ადამიანები საკუთარი თავის კარგად შენიღბვისათვის ზღვარს გადადიან. ამგვარი ქცევა ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გამოვლინებაზე ხელის შეშლაა.

ფსიქოლოგიური ენით რომ ვისაუბროთ ეს პრობლემა ადამიანებში სასოწარკვეთას იწვევს. სიყვარულისა და ნდობის მოთხოვნილების საკმარისად დაუკმაყოფილების შემთხვევაში ადამიანი ტრაგიკულ პიროვნებად ყალიბდება. ასეთ ადამიანში ამგვარი ღია სივრცეები თუ არ ამოივსო მისი ქცევები რადიკალურ ფორმებს მიიღებს. საზღვრების დაუცველობის მდგომარეობა აგრესიულ ფსიქოლოგიაში გამოვლინდება. ყურანის ენით ასეთ ადამიანები ორპირები არიან. ასეთ ადამიანები სამართლიანობის საზღვრებს არ ცნობენ, მაგრამ გარეგნულად თითქოს ყველაფერს ზედმიწევნით იცავენ.

უსამართლობის განცდის საფუძველში სიძულვილი დგას. სიძულვილი და ბრაზი ადამიანის სულიერი ამაღლების პროცესში დიდი დაბრკოლებებია.

ადამიანმა საკუთარი თავი რომ შეიცნოს საამისოდ სიყვარული, სამართლიანობა, ძალა და ზომიერება ჰარმონიულად უნდა წარმოაჩინოს. ასეთი ადამიანი განსაკუთრებულ გამოხატულებას არ საჭიროებს და ის საკმაოდ უბრალო ადამიანია. ასეთ ადამიანს არ დაჭირდება ზღვარსგადასული ქცევების დემონსტრირება.

ადამიანური ურთიერთობების საკითხშიც უბრალოებაა მნიშვნელოვანი. თავაზიანობა, ზრდილობა, სინაზე, ეს ის თვისებებია, რომელიც მაღალი ზნეობის მახასიათებლებად ითვლება და ამ თვისებების მატარებელი ადამიანის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობთ. სია-

მაყე და ამპარტავნება ნეგატიურ დამოკიდებულებას იწ-ვევს. ამას ადასტურებს კვლევები იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც სხვების სიყვარული დაიმსახურეს და განსა-კუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. სიყვარული და სინაზე ადამიანის თვისებაა, ხოლო ბრაზი და რისხვა -ცხოველისა, ამბობდა მევლანა. გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის სული უბრალოე-ბისა და სიმარტივისკენ არის მიდრეკილი. ბუნებრივია ეს ხელოვნებისა და ესტეთიკური სილამაზის უგულებელყო-ფას სულაც არ ნიშნავს. ხელოვნება თავის არსში უბრალო-ებას გულისხმობს. ყველა სრულყოფილების საფუძველში სიმარტივე და უბრალოებაა. მხოლოდ სისადავეში გამოხა-ტული თვალსაჩინოებაა ეფექტური. ამას ყველაზე უკეთ ქააბას მაგალითზე ვგრძნობთ. ქააბას გარეგნული სახე უკიდურესად სადაა, მაგრამ მისი მნახველი საოცარი ზე-გავლენის ქვეშ ექცევა.

თვალისმომჭრელი და ზედმეტად „კაშკაშა“ რამეები შფოთვას იწვევს და ადამიანი მისგან შორს ყოფნას ირ-ჩევს. ასეთი თვალისმომჭრელი რაღაცაები გვაგრძნობი-ნებს, რომ ის სხვანაირია, უცხოა. სიამაყე, ამპარტავნება, მედიდურობა უარყოფითი თვისებებია და როგორც წესი ეშმაკისეულ მიმართულებად მიიჩნევა.

თანამედროვე საზოგადოებაში გამორჩეულობის სურ-ვილი „ბრენდისადმი“ დამოკიდებულებაში ვლინდება. ბრენდის, მარკის ფლობა ადამიანს აიძულებს უფრო მეტი გადაიხადოს და ამასთანავე კლასობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აიწიოს. მისი ეს ლტოლვა ძირითადად გამოწ-ვეულია არასრულფასოვნების კომპლექსით, რომლის ამოვსებასაც ამგვარად ცდილობს. გამომდინარე აქედან ეკონომიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ადა-

მიანთა გრძნობებიც განსაზღვრავს. საბოლოო ჯამში ასეთი გამორჩეულობის სურვილი ზედმეტ ხარჯვას ცხოვრების ნორმად აქცევს.

საბოლოო ჯამში უბრალოება და ფუფუნება ორივე საზოგადოებრივი ცხოვრების სტილის განსაზღვრაზე დიდად მოქმედებს. ფუფუნება და ზედმეტი ხარჯვა ადამიანის უკმარისობის გრძნობას უმძაფრებს და ზღვარსგადასულობას ნორმად აქცევს, ხოლო უბრალოება შინაგან რწმენასა და სანდოობაზეა დამყარებული, რომლის შედეგადაც შინაგანი სიძლიერე ადამიანის ზომიერად მოქცევას განაპირობებს. ამ მიმართულებით ყველაზე ეფექტური სწავლება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიური ცოდნის გაღრმავებაა.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„თქვი: ჰეი, მსახურნი ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემნდობი, მწყალობელი“.

(ზუმერი, 39/53)



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

26. ბედნიერება და მადლიერება

26.1. ბედნიერება

ბედნიერება ძირითადი მოთხოვნილებების ერთი ნაწილის ან მთლიანის დაკმაყოფილების შედეგად წარმოქმნილი შინაგანი სიხარულის მდგომარეობაა. (ბილმენი, 2007; 49). სიხარული გულის სიხალვათეა, რომელიც ადრე თუ გვიან გაივლის. ამგვარი, წამიერად მოსული სიხარული ამქვეყნიური გრძნობებისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება ისლამისეულ განმარტებას, ისლამის მიხედვით ბედნიერება ორგვარია; ამქვეყნიური და საიქიო. ამქვეყნიური ბედნიერებაც სამ ნაწილად იყოფა; სხეულით განცდილი ბედნიერება. სიმდიდრით, ან მაღალი თანამდებობით განცდილი ბედნიერება და სულიერი ბედნიერება. ეს უკანასკნელი განათლებას, განსწავლულობას უკავშირდება, რასაც შედეგად მაღალი ზნეობა მოაქვს. (ბილმენი, 2007; 49-50)

რელიგიისა და ზნეობის უპირველესი ფუნქცია, ადამიანისთვის სწორად ცხოვრებისა და ბედნიერების გზების ჩვენებაა. ამავდროულად, ეს ორივე, ადამიანს უბედურებისკენ მიმავალი გზების ამოცნობასა და მათგან თავის არიდებასაც ასწავლის. ყურანის ნებისმიერი აიათი ადამიანს ბედნიერებისკენ მიმავალ გზებს ასწავლის და ასევე

ყველა ის გზა, რომელიც ყურანის მიხედვით აკრძალულია, აუცილებლად უბედურების გამომწვევია. მუსლიმები, როგორც წესი, ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერებისთვის პარალელურად იბრძვიან. ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერებისკენ ლტოლვას და ამისათვის ვედრებას გვასწავლის ყურანის აიათებიც:

„და იმათგან, ვინც ამბობს: ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“, (ბაყარა 2/201)

ამქვეყნიური ბედნიერება, რა თქმა უნდა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. თმცა მუსლიმები უპირატესობას საიქიო ბედნიერებას ვანიჭებთ. საიქიო ბედნიერებისათვის კი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა საჭირო, რაც რწმენით, ღვთისმსახურებით, საუკეთესო ზნეობითა და კეთილი საქმეებითაა შესაძლებელი. ყურანში უზენაესი გამჩენი ასე ბრძანებს:

„თქვი: ჰეი, მსახურნი ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემნდობი, მწყალობელი“ (ზუმერი, 39/53)

ბედნიერების მიღწევისათვის მრავალი გზა არსებობს და ადამიანებმა ამ გზების გამოყენებაზე უარი არ უნდა თქვან. სააქაო და საიქიო ბედნიერების მისაღწევად ადამიანი ზნეკეთილი უნდა იყოს და გარშემომყოფებისთვის სიკეთე და სარგებელი მოჰქონდეს. როდესაც შუამავლის ცხოვრებას და მის მიერ აღვლენილ ვედრებებს ვაკვირდებით, ცხადი ხდება, რომ სიკეთე და ადამიანის სულიერი მდგომარეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. „ღმერ-

თო, მომმადლე წყალობა, ვიყო იმ მსახურთა შორის, რომლებიც სიკეთის კეთებისას სიხარულს განიცდიან, ხოლო რაიმე ცუდის ჩადენისას ნანობენ და მიტევებას გევედრებიან“. (იხ. იბნ მჯე, „ედებ“, 57)

ამ ჰადისიდან ვხედავთ, რომ ბედნიერების გზა საუკეთესო ზნეობასა და სიკეთის კეთებაზე გადის. ყურანის აიათებიდან ასევე ვიცით, რომ ადამიანის სულიერი სიმშიდე და ბედნიერება ღვთისადმი მსახურებასა და მის განდიდებასთანაა კავშირში.

„რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰის ხსენებით იჯერეს გულნი მათნი. დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!“ (რად, 13/28)

ასევე ბედნიერების ან უბედურების შეგრძნებასთან პირდაპირ კავშირშია შემდეგი ჰადისიც: „როდესაც ადამიანი იმით კმაყოფილია, რაც ღვთისგან ერგო, ბედნიერი ხდება. თუ ის ღვთის მიერ ბოძებულის მიმართ უკმაყოფილო იქნება და მისგან სიკეთის მოლოდინს შეწყვეტს, უბადური გახდება“. (იხ. თირმიზი, „ქადერ“, 15)

ადამიანის ბედნიერების ან უბედურების განცდასთან დაკავშირებით მრავალი სხვა ჰადისი არსებობს. აქ შეგვიძლია შემდეგი ჰადისი შემოგთავაზოთ: „სამი რამ ადამიანის ბედნიერებას, ხოლო სამი რამ მის უბედურებას მოასწავებს. ადამიანის ბედნიერების ნიშნებია; კარგი მეუღლე, საცხოვრებლად ვარგისი სახლი და ასევე ვარგისი სამგზავრო საშუალება. ადამიანის უბედურების ნიშნები კი შემდეგია: ცუდი მეუღლე, ცუდი სახლი და ცუდი სამგზავრო საშუალება.“ (იხ. იბნ ჰანბელი, 1, 169)

ამ სამს შორის უმნიშვნელოვანესი, რა თქმა უნდა, კარგი მეუღლეა. ხალხურ ტრადიციაშიც ასე გავრცელებული,

რომ ადამიანი რომ ქორწინდება, ამბობენ გაბედნიერდაო. როდესაც ოჯახში მეუღლეებს ერთმანეთი უყვართ, ამ ოჯახში ბედნიერებისთვის მეტი ადგილია. ღვთის შუამავალიც კარგ მეუღლეს და ოჯახში სიყვარულით აღსავსე გარემოს შექმნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჰადისში ვკითხულობთ: „მორწმუნეთა შორის, რწმენის თვალსაზრისით საუკეთესო ისაა, ვისაც საუკეთესო ზნეობა გააჩნია. თქვენს შორის საუკეთესოა, ვინც მეუღლეს კარგად ეპყრობა“. (იხ. თირმიზი, „რადა“, 11)

ჩვენს ცხოვრებას ჩვენი რწმენა განსაზღვრავს. რწმენის ერთ-ერთი პირობა კი საიქიოს რწმენაა. ადამიანმა, რომელსაც საიქიოს რწმენა გააჩნია, იცის, რომ საიქიო ბედნიერების გასაღები მის ამქვეყნიურ ცხოვრებაშია. ის ცდილობს ისე იცხოვროს, რომ ღვთის კმაყოფილება მოიპოვოს და განკითხვის დღეს ღვთიური წყალობის იმედით წარსდგეს. მორწმუნე ადამიანი ცდილობს სიკეთით იცხოვროს, რადგან იცის, რომ სიკეთე მის ამქვეყნიურ ცხოვრებას ბარაქას მატებს. მორწმუნე ცდილობს ისლამით შთაგონებული საუკეთესო ზნეობა გაითავისოს და ამ ზნეობის მიერ ნაკარნახევი ცხოვრების წესით იცხოვროს. მისთვის ღვთისმოსაობა სიმშვიდისა და ბედნიერების მომტანია. მორწმუნე ცდილობს განერიდოს ყველა იმ საქმეს, რომელიც ღვთის გზაზე დგომისგან მის გადაცდომას გამოიწვევს. მორწმუნე მუდმივად ღმერთს ევედრება და ამით თავის მორჩილებას გამოხატავს.

26.2. მადლიერება

ადამიანი ღმერთის მადლიერი უნდა იყოს. ამის აუცილებლობის უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისაა, რომ ღმერთ-

მა ის ადამიანად გააჩინა. ღმერთმა გააჩინა ადამიანი და მსახურება დაავალა. ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობა გამჩენსა და გაჩენილს შორის ურთიერთობის ფარგლებში ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ღვთის წინაშე უკიდურესად უმწეოა და სრულიად მასზეა დამოკიდებული. ამდენად უმწეო და უძლური ადამიანი გამჩენის წინაშე მუდმივად მადლიერების მდგომარეობას უნდა ინარჩუნებდეს. ასევე ადამიანი ვალდებულია მადლობელი იყოს სხვა ადამიანებისა და სხვა არსებების მიმართაც. ამ ყველაფრისთვის კი ის მადლობას უნდა სწირავდეს გამჩენს.

მადლიერება არაბულად არის „შუქურ“. ეს არის წყალობაზე ფიქრი და მისი გამოხატვა. მისი საპირისპირო კი უმადურობა და ურწმუნოებაა.

მადლიერების გამოხტვა ძირითადად სამი სახისაა: პირველი, გულისმიერი მადლიერება. ეს არის მუდმივი ფიქრი ღვთიური წყალობის შესახებ და მადლიერებით განმსჭვალვა. მეორე არის ენით გამოხატული მადლიერება. ეს არის ღვთისადმი მადლიერების აშკარად გამოხატვა, მადლობის თქმა, ხსენება, განდიდება. მესამე კი სხვა ორგანოებით გამოხატული მადლიერებაა. ეს უკანასკნელი ყოველი ორგანოს ფუნქციის ფარგლებში გამოხატული მადლიერებაა.

მადლიერება მოიცავს ადამიანის მიერ მუდმივ მგრძნობელობას ღვთიური წყალობისადმი. ეს არის გრძნობა, როდესაც ადამიანი ყველა ფეხის ნაბიჯზე გრძნობს, რომ ღმერთი მას ათვალყურებს და ადამიანი ყოველი ამოსუნთქვისთვის მადლიერია.

ყურანში ხშირადაა ნახსენები მადლიერება და ეს სიხშირე მის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ღმერთს სურს გაიზაზროს ადამიანმა ის სიკეთე, რაც ღმერთმა მას უწყალობა და მადლიერი იყოს. ამასთანავე ადამიანი მუდმივად უნდა გრძნობდეს საკუთარ უმწეობას და გამჩენზე დამოკიდებულებას. სანამ ადამიანი ღვთისადმი მადლიერებას გამოხატავს ყოველთვის ეზიარება ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას. ცხოვრების ბოლოს კი ეს მადლიერება უფრო დაუფასდება. წარმოგიდგენთ რამოდენიმე აიათს, სადაც ღმერთის მიმტევებლობასა და მოწყალებაზეა ყურადღება გამახვილებული:

„და თუ ალლაჰის მოწყალებათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“ (ნაჰლ 18)

უთხრა, როელიც განსწავლული იყო წიგნიდან: „ თვალის დახამხამებაში აქ გაგიჩენ!“ როცა დაინახა მის წინ მდგარი ტახტრევანი, თქვა: ჩემმა ღმერთმა მოიღო ჩემზე წყალობა, მცდის მადლიერი ვიქნები თუ უმადური. ვინც მადლიერია, ის თავის სასიკეთოდაა მადლიერი, და თუ ვინმე უმადურია - ჩემი ღმერთი ხომ მდიდარია, გულუხვია!“ (ნემლ, 27/40)

თაყვანისცემა და მადლიერება ყურანის მიერ შექმნილი იდენტობის განუყოფელი წყვილია. მადლიერება თაყვანისცემის საფუძველშია და ამავდროულად თაყვანისცემა მადლიერებითაც გამოიხატება. მადლიერება არის მოწოდება, რომ ადამიანმა ღვთის რწმენის შემდეგ უფრო მეტი დაინახოს და ღვთიური წყალობის მიმართ მადლიერება გამოხატოს. შუამავლები ყველაზე დიდი მორწმუნენი იყვნენ და ისინი მუდმივად გამოხავადნენ მადლიერებას. (იხ. ნაჰლ 121; ისრა 3)

26. ბედნიერება და მადლიერება

„და ვფიცავ, ჩვენ მივეცით ლუყმანს სიბრძნე: რომ ალლაჰისთვის მადლობა აღევლინა! და ვინც მადლიერებას აღავლენს, მხოლოდ თავის სასიკეთოდ აკეთებს. და ვინც უმადური იქნება, იცოდეს, რომ უეჭველად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“ (ლოქმან 12)

„ეს უბიწო წიგნი მოვავლინეთ შენთან, რათა შეიგონონ მისი აიათები და რომ განსაჯონ ბრძენკაცთა, ჭკუასაკითხთა!“ (სად, 38/29)

ყურანის აიათებიდან ჩანს, რომ ღმერთმა ადამიანებს ურიცხვი წყალობა არგუნა და მათგან მადლიერების გამოხატვას ითხოვს. უფრო მეტიც, თუ ისინი მადლიერებას გამოხატავენ ღმერთი მათ კიდევ უფრო მეტ წყალობას არგუნებს საიქიოში. ეს ყველაფერი ნათლადაა განმარტებული შემდეგ აიათში:

„და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით , უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“ (იბრაჰიმ 7)

ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა ყველაზე მეტად ეშმაკს არ ესიამოვნება, რადგან მადლიერება მუსლიმობის თვისებაა და ამ დროს მუსლიმის გულში სატანის მიერ დაგებული ხაფანგები უმოქმედოდ დარჩება. არადა ეშმაკს დაფიცებული აქვს, რომ ადამიანს უმადურ არსებად აქცევდა.

„მიუგო : რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ შენს სწორ გზაზედ ;

მერე, უთუოდ, გამოვეცხადები წინიდან და უკნიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან . და ვერ ჰპოვებ მათგან უმეტესს მადლიერს“. (არაფ 16-17)

ზოგი ადამიანი ეშმაკის ხაფანგში უნდა იყოს გაბმული, რადგან მადლიერების გამოსახატად რაღაც დიდი სურვილების ასრულებას, ან დიდი განსაცდელისგან თავის დაღწევას ელოდება. არადა უბრალოდ რომ დაფიქრდეს ადამიანი, უმალ მიხვდება, რომ მისი სიცოცხლის ყოველი წამი მადლიერების მიზეზია. სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გონება, გრძნობები, ჰაერი, რომელსაც სუნთქავს და მრავალი სხვა წყალობა, რომელსაც ვერც კი ჩამოვთვლით. ამ წყალობათაგან ნებისმიერი ცალკე იმსახურებს უსაზღვრო მადლიერებას.

ზოგი ადამიანი, რომელსაც მოვლენების ანალიზი არ შეუძლია, ხელთ არსებულ წყალობას ვერც კი ამჩნევს და მხოლოდ მაშინ იგრძნობს მათ ფასს, როდესაც ხელიდან გამოეცლება. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ცხოვრების ნებისმიერი წამი გამოცდაა და ამ გამოცდაზე ყოველთვის ორი არჩევანია. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი შეწყვილებული ერთი წვეთი ნარევისაგან , გამოვსცდით მას, ამიტომაც დავუდგინეთ სმენა და მხედველობა.

უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ იგი ჭეშმარიტ გზაზე, მაგრამ მას შეუძლია იყოს მადლიერი ან უმადური“. (ინსან 2-3)

ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„რაც იტყვით იმაზე, რასაც თესავთ? განა თქვენ აღმოაცენებთ მას თუ ჩვენ ვართ აღმომცენები? რომ გვენება, უთუოდ, გადავაქცევდით მას ხმელ ნაყარ-ნუყარად. მაშინ თქვენ დარჩებოდით გაკვირვებულნი: „უეჭველად, ჩვენ ზარალი განვიცადეთ, უფრო მეტიც, გავღატაკდით.“ რას

იტყვით წყალზე, რომელსაც სვამთ? განა თქვენ გარდმოავლინეთ იგი ღრუბლებიდან, თუ ჩვენ ვართ ზეგარდმომვლენი? რომ გვენება დავადგენდით მას მწარედ. მაშ, კვლავ არ იქნებით მადლიერნი?“ (ვაქია, 56/63-70)

ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!“

ღვთიურ გამოცდას ის ვერ აბარებს, ვინც მადლიერი არ არის. ვინც დააფასებს ღვთიურ წყალობას და მადლიერებას გამოხატავს ნამდვილი ადამიანისა და ჭეშმარიტი მორწმუნის მდგომარეობას მიაღწევს, რომელიც ადამიანთათავის განსაკუთრებით საპატიო მდგომარეობაა.



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

„იმ პირობით, რომ მიიღებენ,
რჩევა არ მისცე!

სამაგიეროს მოთხოვნით სიკეთე არ
გააკეთო! მაგრამ, ეს ყველაფერი
ღირსეული ცხოვრებისთვის, სიკეთისა
და თანადგომისთვის გააკეთე!

იბნ ჰაზმი, (2012; 119)

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ეპილოგი

ჩვენ ეს ნაშრომი გულის სიწმინდით და ვიწყეთ და შემდეგ ის უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი ღრებულებები მი-მოვიხილეთ, რომლებიც მუსლიმს უნდა ახასიათებდეს. ამ მოგზაურობისას ვისაუბრეთ სიმართლესა და სამართლიანობაზეც, რომლებიც საზოგადობრივი ცხოვრების მოწესრიგებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. ვისაუბრეთ სიკეთესა და სიყვარულზე, რომლებიც უეჭველად მაღალი სულიერი ღირებულებებია. ეს ყველაფერი მცირე ქვეთავების სახით განვიხილეთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის ზნეობის სრული აღწერისათვის ეს ყველაფერი საკმარისი არ გახლავთ. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ საკითხი კონკრეტული თავის სახით არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ სხვა რომელიმე სათაურის ქვეშ მასზე საუბარი იყო.

მაგალითად, სიმართლის სათაურის ქვეშ პირობის დაცვა, პატიოსნების სათაურქვეშ ერთგულება, შრომისმოყვარეობის ქვეშ თანამშრომლობა იყო განხილული. ასევე განვიხილეთ, სიკეთე, ხელგაშლილობა, პატივისცემა, სიმამაცე, ვაჟკაცობა, ღირსება, მოთმინება, მეგობრობა, სიყვარული, მადლიერება, სტუმართმოყვარეობა, ლმობიერება, ცოდნა, სიბრძნე, მშვიდობისმოყვარეობა, სიბრძნე და სხვა.

ადამიანი დაბადებიდანვე გარემოში არსებული მორალის სხვადასხვა სახით გამოვლინებას აბსტრაქტულად აღიქვამს და ეს ყველაფერი მისი ზნეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაღალი ზნეობის სხვა და სხვა გამოვლინებები ადამიანს საშუალებას აძლევს გაითავისოს და ისწავლოს ეს ყველაფერი და ეს ცოდნა, როგორც წესი, ეფექტური და საფუძვლიანია. ინდივიდმა კონკრეტული ქცევების მიზეზები რომც ვერ გაიგოს, ასე გამოცდილებით, დანახვით შესწავლილ ქცევებს დროთა განმავლობაში ითავისებს და იმეორებს. დროთა განმავლობაში მორალური ღირებულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ქცევები ადამიანს ჩვევად ჩამოუყალიბდება და უფრო მეტიც, ადამიანის ცხოვრების წესად იქცევა. ამასთანავე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი გარემო ზეგავლენების მიმართ მუდმივად ღია მდგომარეობაშია. ადამიანს დადებითთან ერთად უარყოფითისკენაც აქვს მიდრეკილება. უარყოფითი მიდრეკილებების განვითარების საფრთხეს ქმნის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცუდი გარემო, ცრურწმენები, ცრუ იდეოლოგია, ტრაგიკული ცხოვრებისეული გამოცდილება, ეგოიზმი და სხვა მსგავსი. ამგვარ ფაქტორებს შეუძლია ადამიანის დამოკიდებულებები შეცვალოს, სიკეთისკენ მიდრეკილებები შეასუსტოს და ბოროტებისკენ უბიძგოს.

თუმცა, დროთა განმავლობაში გარემო ფაქტორებიდან მომდინარე ზემოქმედების შედეგად ადამიანის არჩეული მიმართულება შეიძლება შეიცვალოს. მითუმეტეს გლობალიზაციის პირობებში მსგავსი ალბათობა შესაძლოა ნებისმიერ წამს რეალობად იქცეს, რადგან განსხვავებული რელიგიიის, კულტურისა და ტრადიციის მატარებელი ადამიანები უფრო დიდი მასშტაბითა და სიხშირით ერთ-

მანეთთან კონტაქტობენ. მითუმეტეს როცა მრავალგვარი რელიგიური, იდეოლოგიური და კულტურული თავისებურებების მატარებელი ჯგუფები ერთ სივრცეში ცხოვრობენ. ისინი ერთიმეორის მიმართ ზეგავლენას განიცდიან. ასეთ მდგომარეობაში ყველაზე ძლიერი და მიმზიდველი ჯგუფის სხვა ჯგუფებზე ზემოქმედების ალბათობა უფრო მაღალია. რადგანაც ამ ჯგუფების ერთ სივრცეში თანაცხოვრება გარდაუვალია, მაშინ არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ინდივიდმა პრევენციული დამოკიდებულება უნდა განივითაროს. ამგვარი „აცრის“ მსგავსი დამცავი საშუალებებიდან მთავარი არის განათლება, თავისუფლებისა და თავისუფალი ნების მაღალი ხარისხი და სხვა. გამომდინარე აქედან, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნების აღსაზრდელად აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საუკეთესო მორალური მაგალითები დომინირებს. ამავდროულად ამ მაგალითებს შესაბამისი ინფორმაცია და ცოდნა უნდა კვებავდეს.

ასევე მნიშვნელოვანია მორალური აღზრდის საკითხიც. ამ თვალსაზრისით საკუთარი მიდგომების მუდმივი დახვეწა და მოდერნიზებაა საჭირო. სიმართლის, სამართლიანობის, პატიოსნებისა და სხვა მსგავსი ღირებულებების მიმართლებით სწავლა-განათლება, როგორც წესი, სიკვდილამდე გრძელდება. ამ სფეროში ყოველთვის უფრო და უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაა საჭირო და მომავალი თაობები შესაბამისად უნდა მოვამზადოთ. ყოველ გასულ დღეს ცხოვრების პირობები და არსებული რეალობა იცვლება. შესაბამისად, მორალური დამოკიდებულებებიც ამ პირობებს უნდა შეესაბამებოდეს. „განსწავლულნი და უმეცარნი, ერთნი ვერ იქნებიან“, (იხ. ზუმერ, 39/9). ამ აიათის სწავლება მორალურ ღირებულებებსაც ეხება. თუ გვინდა, რომ ზნეობრივი ღრებულებები განვივითა-

როთ და ამ მხრივ გავიზარდოთ, საჭიროა კონკრეტული მიმართულებით მეტი ცოდნა შევიძინოთ.

იბნ ჰაზმი, რომელსაც ზნეობის საკითხებზე მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი, ამბობს, რომ ამ მიმართულებით ნაკლოვანებები მასაც ჰქონდა, მაგრამ შუამავლის ცხოვრება, უძველესი ფილოსოფოსების ნაშრომები წაიკითხა და ამ ნაკლოვანებების გამოსოწრებას შეეცადა. (2012; 91)

ინდივიდუალურ დონეზე მორალური დონის ასამაღლებლად, ერთ-ერთი მნიშნელოვანი ფაქტორი, სანაცნობო გარემოს სწორი არჩევაა. როდესაც ადამიანს კარგი სანაცნობო წრე ჰყავს, როდესაც მის ირგვლივ მყოფი ადამიანები მაღალი ზნეობისანი არიან, აღნიშნულ პიროვნებასაც მეტი შანსი აქვს, რომ საკუთარი თავის მორალურად განვითარება მოახერხოს. ეს ფაქტორი ეფექტურია, როგორც ბავშვობის ასაკშ, ისე ზრდასრულობისა და ასევე მოხუცებულობის ასაკშიც კი. ადამიანი ისეთ მეგობრებს ირჩევს, როგორც თვითონაა და ასევე ისეთ ადამიანებთან ისურვებს ყოფნას, როგორიც თავად უნდა რომ იყოს. არ არსებობს ადამიანი, რომელზეც გავლენას მეგობრები არ ახდენენ. ამიტომ, ადამიანი უნდა ცდილობდეს, ისეთ სამეგობრო წრე შეარჩიოს, როგორიც თავად უნდა რომ იყოს. შესაბამისი მოწოდებაა წმინდა ყურანის აიათებშიც. (იხ. თევბე, 9/119)

ზოგიერთი მორალისტის აზრით „ფიქრის“ გარეშე ზნეობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევების დემონსტრირების საჭიროება მორალის არსთან შეუსაბამოა. მაგალითად, თუ ფიქრის საჭიროებას გამოვრიცხავთ, ხელგაშლილობის, როგორც მორალური ქცევისთვის საჭირო დამოკიდებულებებსა და ქცევებს ზუსტად ვერ განვსაზ-

ღვრავთ. ხელგაშლილობა სიტუაციის შესაბამისად განსხვავებული ფორმითა და რაოდენობით უნდა ვლინდებოდეს, რათა ის მორალურ ღირებულებათა მოთხოვნების შესაბამისი იყოს. ხელგაშლილობას თუ გადავაჭარბებთ ზღვარსგადასულობას, ფლანგვას მივიღებთ, ხოლო თუ ზედმეტად შევზღუდავთ, სიძუნწემდე მივალთ. შესაბამისად, გონივრული ფიქრის გარეშე ასეთი ქცევის სწორად განსაზღვრას, რომელსაც შესაბამისი დრო და საფუძველი უნდა ამყარებდეს, ვერ შევძლებთ. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელგაშლილობის უნარის მქონე ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამის ქცევას სწრაფად იმიტომ აფიქსირებს, რომ მას საამისოდ წინასწარი მზაობა გააჩნდა და არა იმიტომ, რომ ის არ დაფიქრებულა. გამომდინარე აქედან მორალური ქცევის ფიქრის გარეშე დემონსტრირება არ განიხილება. თუ ადამიანი საკმარისად არ დაფიქრდება, ის შეიძლება თანამედროვე პირობების შესაბამისად მიჩნეული მორალური ღირებულებების საპირისპიროდ მოიქცეს. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც გააჩნია მორალური პრინციპი, რომ სხვისი უფლებები არ უნდა ხელყოს, დაუფიქრებლად, უნებართვოდ აკოპირებს სხვის წიგნს და ამას ამორალურად არც კი მიიჩნევს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი მორალურ პრინციპს კონკრეტულ მოვლენასთან არ აკავშირებს და ზოგადად მისთვის ეს კავშირი ბუნდოვანია. მორალის ყოველდღიურ მოვლენებთან კავშირის ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად მორალის ცოდნა და გათავისება. მორალური გაგება და ცოდნა ძირითადად თეორიულ და აბსტრაქტულ დონეზე რჩება და ხშირად ის პრაქტიკული მორალის სახეს ვერ იღებს. არადა ადამიანის ცხოვრება სწორედაც რომ მორალის პრაქტიკულობას საჭიროებს. მორალური სწავ-

ლება მიმდინარე მოვლენების შეფასებას, სწორ ანალიზსა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას უნდა უზრუნველყოფდეს. ისლამი ძირითად მორალურ პრინციპებსა და შეხედულებებს გვაცნობს და მათ ახსნას და პრაქტიკაში სწორად განხორციელებას ადამიანის მოვალეობად განიხილავს.

ღირებულებებისა და მოვლენების შესახებ მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოებისას საჭიროა სისტემატიურობა. მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სფეროებისა და ახალი ურთიერთბების კვალდაკვალ უნდა ფართოვდებოდეს და ვითარდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ზნეობრივად უკან ჩამორჩება და სხვა რომელიმე საზოგადოების ღირებულებებისადმი დამოკიდებული გახდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი მორალური ქცევების სხვა ეპოქაში უცვლელად გადატანა დროის მიღმა ყოფნას გამოიწვევს. ეს კი, თავის მხრივ, ზნეობრივ კრიზისს გამოიწვევს. ამრიგად, ზნეობრივი ღირებულებების დაცვა და მათი პრაქტიკაში განხორციელება მუდმივ აზროვნებასა და განახლებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოგმატიზმის მახეში აღმოვჩნდებით.

ამ თვალსაზრისით განათლების თავისებურების განმსაზღვრელი მორალია, რაც მორალის მნიშვნელობას წინა პლანზე აყენებს. მორალის შესწავლაზე პასუხისმგებელი პირები (მშობლები, მასწავლებლები და სხვა) სწავლის პროცესს გააზრებულად და მიზანმიმართულად უნდა წარმართავდნენ. ძალადობა და სხვა მსგავსი არამართლზომიერი დამოკიდებულებები ანტიპათიას წარმოშობს და შესაბამისად შედეგიც უარყოფითი დგება. ზოგიერთი აღმზრდელი ამ ყველაფერს არ ითვალისწინებს და საბოლოოდ გამოუვალ

მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში საპირისპირო ხდება და აღსაზრდელი უზნეო საქციელის დემონსტრირებას იწყებს. მზა ინფორმაციის დაზეპირებაზე დამყარებული განათლების სისტემა, რომელიც კვლევის, გონების განვითარებისა და კონსტრუქტივიზმის საშუალებას ნაკლებად იძლევა, აღმზრდელობით პროცესში წარუმატებელია.

როდესაც ადამიანს სურს, რომ ზნეობრივად განვითარდეს, ის სიტემატიურად საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულია და ყველა თავის ნამოქმედარს გულწრფელად აანალიზებს. თუ აღმოაჩენს, რომ გუშინ გაკეთებული საქმე კარგია და კარგი შედეგები მოიტანა, იგივე საქმის კეთება ისევ უნდა გააგრძელოს. თუ აღმოაჩენს, რომ მის მიერ გაკეთებული საქმე ცუდი გამოდგა, ცუდი შედეგები მოიტანა, ის უნდა მოინანიოს და მისი კეთება შეწყვიტოს. ბუნებრივია ასეთ დროს უნდა შეეცადოს, რომ მის მიერ გაკეთებული ცუდი საქმე გამოასწოროს. ამგვარი დამოკიდებულებას ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ იმამი გაზალი უფრო ღრმად მიდის და გვირჩევს, რომ სასურველია ჩვენი ნამოქმედარის აღწერა. ის მიიჩნევს, რომ ვისაც სურს მორალურად ამაღლდეს, ერთი რვეული უნდა იქონიოს, ამ რვეულში თავისი ნამოქმედარი უნდა აღნუსხოს და ასევე მორალური ანალიზი გააკეთოს. ის ასევე გვირჩევს იმ ათი ნაკლოვანების მოცილებას, რომლებიც ადამიანს მორალურად ანადგურებს: 1) სიძუნწე, 2) ამპარტავნება, 3) ბოღმა; 4) თვალთმაქცობა; 5) შური; 6) მრისხანება; 7) სიხარბე; 8) ვნებებზე აყოლა; 9) ფულის სიყვარული; 10) თანამდებობის სიყვარული. ასევე ჩამოთვლილია ის მორალური თვისებებიც, რომლებიც ადამიანის ზნეობას მაღლა სწევს: 1) ცოდვების მონანიება; 2) უბედურებისას მოთმინება; 3) მომხდარზე შეგუება; 4) წყალობის მიმართ მადლიერება;

5) ზომიერება; 6) ამქვეყნიურის მიმართ ზომიერი დამოკიდებულება; 7) გულწრფელობა; 8) ადამიანებთან კარგი ურთიერთობის ქონა; 9) ღვთისადმი სიყვარული; 10) ღვთის კმაყოფილების მოსაპოვებლად მცდელობა. (2008; 4/870)

როდესაც ადამიანი ამ მიმართულებით ფიქრს დაიწყებს, მან არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვების მდგომარეობაც უნდა შეისწავლოს და გამოცდილ ადამიანებს რჩევა ჰკითხოს. ცნობილია, რომ ადამიანი სხვის საქმეს, სხვის ქცევას უფრო რაციონალურად აფასებს, ვიდრე თავისას. როდესაც აღმოაჩენ, რომ სხვა ცუდად მოიქცა და ეს კარგ შედეგს ვერ მოუტანს, ეს გაკვეთილი უნდა იყოს და იგივე რამ არ უნდა გაიმეორო. როდესაც ნახავ, რომ სხვა კარგად მოიქცა და შედეგიც კარგი ჰქონდა, იგივეს გაკეთება შენც უნდა სცადო. (მავერდი; 1982; 583)

ყველა აქ ჩამოთვლილი ზნეობრივი ღირებულებები, არამარტო ინდივიადუალურ დონეზე, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადებითი კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ამ თვისებებით შემკული ადამიანებით შექმნილი საზოგადოება კეთილდღეობასა და სტაბილურობას დაიმკვიდრებს. საზოგადოება, სადაც სიმართლე, სამართლიანობა, პატიოსნება და სხვა მსგავსი ღირებულებები წინა პლანზეა წამოწეული, მუდმივად წინსლისა და აღმავლობის მომსწრე გახდება. ეს კი, საბოლოო ჯამში მომავალი თაობებისთვისაც ხელსაყრელ პირობებს შექმნის, რათა მათაც შეძლონ იმ მორალური თვისებების გათავისება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ყურანში უზენაესი გამჩენი ბრძანებს: „და ჩვენ შენდა გარდმოვავლინეთ წიგნი ჭეშმარიტებით, დასტურად იმისა, რაც მასზე უწინ იყო წიგნში, და დამცველად მისდა . მაშ, განსაჯე

მათ შორის იმის მიხედვით, რაც ზემოავლინა ალლაჰმა , არ განუდგე შენზე ბოძებულ ჭეშმარიტებას და არ აჰყვე მათ სურვილებს . თითოეულ თქვენგანს ჩვენ დავუდგინეთ კანონი და გზა . და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად გქმნიდათ თქვენ . მაგრამ (დაგყოთ) იმისთვის რომ გამოეცადეთ იმით, რაც გიბოძათ. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს კეთილი საქმეების კეთებაში. ყველანი ალლაჰთან მიბრუნდებით და იგი გაცნობებს იმას, რაზეც გქონდათ უთანხმოება“. (მაიდე, 5/48). შემდგომ ჩვენ დავუმკვიდრეთ იგი წიგნი მათ, რომელნიც ავირჩიეთ ჩვენ მსახურთაგან: მათგანაა უსამართლო თავისი სულისადმი, მათგანაა ზომიერნიც და მსწრაფველი სიკეთის ქმნაში, ნებითა ალლაჰითა. სწორედ ესაა დიდი წყალობა!(ფატირი, 35/32).



muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

წყაროები

ყურანის გზა. (2016)მოამზადეს; ჰაირეთტინ ქარამანმა და სხვებმა. ანკარა. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა.

ყურანის შIნაარსი. (2009) მოამზადეს; ჰალილ ალთუნთაში, მუზაფფერ შაჰინი,

ანკარა. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა.

ისლამი ჰადისების მიხედვით. (2013) კომისია. ანკარა. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა.

აქსექი, აჰმეთ ჰამდი, (2016) ზნეობის გაკვეთIლები. ანკარა. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა.

აიდინ, მუჰამმედ შევქი და ჯემილ ოსმანოღლუ, (2015) კულტურათაშორისი განათლება. ანკარა, გამომცემლობა ნობელი.

აინი, მეჰმათ ალი, (2013) მორალის გაკვეთილები, მოამზადა, ისმაილ დერვიშოღლუ, ემირ ჰუსეინ იღითი.სტამბოლი, ბიუიუენაი.

ბაშგილი, ალი ფუადი. (2014) ახალგაზრდებთან პირისპირ. სტამბოლი, გამომცემლობა იაღმური.

ბაირაქლი, ბაირაქთარ, (2011) მორალი ყურანში, სტამბოლი, გამომცემლობა ბაირაქლი.

ომერ ნასუჰი ბილმენი, (2007) მორალი ისლამში. სტამბოლი, გამომცემლობა თlმაში.

ჯუსტაფა ჩიფანი, (2005), კლასიკური თურქული პოეზიიდანამონარიდები. სტამბოლი, ქონიის მერიის გამომცემლობა.

მ. აბდულლჰ დრაზი. (2002) მორალი ყურანში. თარგმნა ემრულლაჰ იუქსელმა. სტამბოლი, გამომცემლობა იზი.

იუნუს ემრე, (2006) იუნუს ემრე, ცხოვრება და ლექსები. აბდულბაქი გულფინარი, კულტურის გამომცემლობა.

მეჰმეთ აქიფ ერსოი. (1981) საფაჰათი, სტამბოლი,

ელ-ფარაბი, ებუ ნასრი. (1997) იდეალური სახელმწიფო. აჰმეთ არსლანი. ანკარა

ჯუსტაფა ფაიდა. (1989) აიშე, თურქეთის სახელმწიფოს ფონდი.ისლამის ენციკლოპედია.

იმამი გაზალი. (2008) სტამბოლი, გამომცემლობა ჰუზურევი.

ეროლ გუნგორი, (2010) მორალის ფსიქოლოგია და სოციალური მორალი. სტამბოლი.

ჯამილე ადამს ჰელმინსქი, (2004), თვისებათა წიგნი. ბრისტოლი, ინგლისი.

იბნ ჰაზმი, (2012) მორალისა და ქცევის წესები. სულიერი დაავადებების განკურნება. თარგმნა ჯუსტაფა ჩაღრიჯიმ. ანკარა. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა.

იბნ მისქევეიჰი, (2013) მორალის სწავლება. აბდულქადირ შენერი. ჯიჰათ თუნჩი, ისმაილ ქაიაოღლუ, სტამბოლი

ელ ისბეჰანი, ებუშ-შეიჰი, (2009) შუამავლის ზნეობა და ცხოვრების წესი. სტამბოლი, გამომცემლობა იზი.

ელ ისფაჰანი, რაგიბ. (2010) ღlრსეული გზა. თარგმნა მუ-ჰარრემ თამნა. სტამბოლი.

მ. იაშარ ქანდემირი. (1997). ჰატიჯა, თურქეთის სახელ-მწიფოს ფონდი.ისლამის ენციკლოპედია. სტამბოლი.

მანუელ კანტი, (2002) მორალის მეტაფიზიკური განზო-მილება. თარგნა იონა ქუჩურადიმ. ანკარა.

ალი ეფფენდი ქინალიზადე. (ზნეობა. ჰუსეინ ალგული, გამომცემლობა თარჯიმანი. 1001 შედევრი.

ნეჯიფ ფაზილ ქისაქურექი. (2008) ჩილე, სტამბოლი, გა-მომცემლობა დოღუ.

მავერდი. იმამი ებულ ჰას ანი. (1982) რელიგიური ქცევის წესები ისლამში. თარგმნა ალი აქინმა. სტამბოლი. გამომ-ცემლობა თემელი.

ჯელალედდინ რუმუ მევლანა. (1985) მესნევი. თარგმნა აბდულბაქი გულფინარი. სტამბოლი.

აჰმეთ ნაიმ ბაბაზადე. (2010). ისლამური მორალის სა-ფუძVლები. რეჯებ ქილიჩი. ანკარა. დიანეთის ფონის გა-მომცემლობა

ჰილმი სოიქუთი („968) დაუვიწყარი იგავები. სტამბოლი. გამომცემლობა ნაშრიათი.

შეიჰ სადი შlრაზი. (1983), ბოსტანი და გულისტანი. თარგმნა ქილისლი რიფათ ბილგემ. სტამბოლი, გამომცამლობა მერალი.

ნევზათ თაჰრანი. (2011). კარგი ადამიანის მოდელი. სტამბოლი. გამომცემლობა თlმაში.

ნურეთთინ თოფჩუ. (2012). მორალი. ეზელ ელვერდი. ისმაილ ქარა, სტამბოლი.

ؤასირუდდინ ტუსი, (2007), ზნოება. თარგმნა ანარ გაფაროვმა და ზაურ შუქუროვმა. სტამბოლი. გამომცემლობა ლიტერა.

ჰილმი ზია ულქენი. (2012) სიყვარულის მორალი. სტამბოლი. გამომცემლობა თრქეთის იშ ბანკი.

ჯაფერ სადიქ იარანი, (2010) მორალი და ეთიკა) სტამბოლი. გამომცემლობა რაღბეთი.

მუსლიმისთვის საჭირო

მორალური ღირებულებები

მუსლიმი არის ადამიანი, რომელსაც უკანასკნელი და სრულყოფილი სარწმუნოების, ისლამის სწამს და ამ რწმენის შესაბამისი ფორმით ცხოვრებას ცდილობს. ისლამი ღვთიური გზავნილის მიხედვით ჩამოყალიბდა და ამ გზავნილის შესაბამისად ჩამოყალიბდა ღირებულებები,რომლებიც მუსლიმის რწმენასა და ქცევებს განსაზღვრავს. მუსლიმი ცდილობს ეს ღირებულებები გაითავისოს და თავისი შინაგანი ბუნება ამ ღირებულებების მიხედვით განაწყოს, რაც მას სათნო და კეთილშობილ მორწმუნედ აქცევს.ამრიგად, ისლამის მიერ მოტანილი აბსტრაქტული ღირებულებები, მუსლიმის პიროვნებაში რეალურ სახეს იძენს და ის უკვე თვალით ხილული ქცევების სახით წარმოჩნდება. ისლამსა და მუსლიმს შორის კავშირი ღირებულებებსა და სათნოებით აღსავსე ადამიანს შორის კავშირს განსაზღვრავს. ისლამი რწმენისა და ცხოვრების პრინციპებს ადგენს და ეს რწმენა და პრინციპები მუსლიმის პიროვნებაში განსხეულდება და პრაკტიკული სახით გვევლინება. ამრიგად, ისლამისეული ღირებულებები, მუსლიმის პიროვნებაში, მის გრძნობებსა და აზროვნებაში, მის ქცევებში ვლინდება. ამრიგად, ღირებულებები და მუსლიმი სულისა და სხეულის მსგავსი არიან. სულის გარეშე სხეული ვერ იცოცხლებს. სხეულის გარეშე სული არ ჩანს.